

ახარები — როგორ განდა  
„ტროცკისტის შვილი“ საქართველოს  
დამსახურებული მწერტინელი

სვ




119 (299) 2/III-8/III.2006.

**გუმბერაზი —**  
როგორი იყო ვასო გოძიაშვილი  
სენაზე და სსოვრებაზე...

1168  
2006

**თემა:**  
**როგორ**  
**მოვიპოვოთ**  
**ბედნიერება...**




„ერთ სწოტირო  
აგზავსაზ გაუიხსენაზ...“

**ნათო გელაშვილის**  
**მეორე ქორწინება ანუ...**



„აღაშინანი-პაუზას“  
მქტიურობის სენა დაეფყო

კომუნისტური აპოქის ბესტსელერი  
**მწერტინე**



**საშა**  
**ჩირქეზის**  
სისხლიანი ბარჩევაზი,  
თავხედური თავდასხმეზი,  
სასტიკი ანგარიშსწორობეზ...  
... და შინელი, რომელსაზ არავინ ელოდა

**„გაუმადარი ანაკონდას“ ჭეუმარიტი სიყვარული**



მარტის  
ნომერში  
იხილეთ:

# უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

4 პოსტერი




საზრუნოს  
სამხრისა და  
აღმოსავლეთის  
დასახლების  
სამხარეთთაშორის

ბრაბიკული  
შესაძრება  
„ზარბაზთა  
კუნძულზე“



ირლანდიელი  
გვლანგუდავი  
დადოვლის  
სამსახურში

ჯიმს ბონდის  
საყვარელი  
პისტოლეტი



ყველაზე  
კაცური ჟურნალი  
არა მარტო  
მათაკასებრისთვის



# არსენალი

№ 3 (20), მარტი, 2006. „ქვიჩის პალიტრა“. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1.5 ლარი

როგორ ავაზეთოთ ვბრის  
და დავიხვით საქთარი  
ჯავახანბეძე

ანტიკური  
სასროლი  
მანქანები

სამსახურების  
ყველაზე  
სიღრმე  
დანაყოფები



ირლანდიელი  
გვლანგუდავი  
დადოვლის  
სამსახურში

ჯიმს ბონდის



მრავალტანკო  
მფრინავი „ვეფხვი“





<b>ბინათყუარები</b>	
სათამაგხენები თუ ოცნების კოშკები ანუ თბილისი-ნიუ-თბილისი	3
<b>ერთი კითხვა</b>	4
<b>პოლიტიკა</b>	
რაც უფრო მყარად დაღვები და რქებით დაებაკები, რუხეთი მით უფრო ბაგინჯავს ანბარის	6
<b>პროვლეა</b>	
ვინაბათაღვლა სალარო-აპარატების ირგვლივ	7
<b>ეკონომიკა</b>	
ღავა „ფაროს“ ბაგო	8
<b>საფრთხე</b>	
ორი წლის წინ, ფრინველის ბრძოლს ვეროპამდე არს მიუღწევია	10
<b>იუზილარი</b>	
„ჩვენი სული საქართველოს რუქას ღაამსგავსეს – ოქუპანტისგან დაბლაქილ რუქას...“	11
<b>დანაკლინი</b>	
„...გამუღარებით, იცინეთ, იცინეთ, როცა მე წავალ“	12
<b>კრიმინალი</b>	
● ოჯახურ კონფლიქტს სისხლის ღვრა მოჰყვა	14
● თურქი ბიზნესმენის საღისტური მკვლელობა	15
<b>გზავნილები</b>	
კორუფცია „გზავნილებში“ ანუ „არ გაბონოს, გვანწყინება“...	17
<b>აპკლუა</b>	
„აღამიანი-პაუზის“ აქტიურობის ხანა: ახალი ალბომი, სოლო კონცერტი და მეორე ქორწინება	20
<b>თევა</b>	
როგორ მოვიპოვოთ ბედნიერება	22
<b>ჩემი თაობა</b>	
„...მოგაჭრით ეს საყურიანი ყური, თუ ა-ლა-ფურებით ვამჯობინო ქართულ სურსას!“	25
<b>პარენისაჟი</b>	
ინტუიციამდე დაყრდნობილი ხელოვნება	27
<b>ტრადიციონი</b>	
ცხოვრების მთა-ბარული წესი, ვინ გაამრულა სწორრობა და „წარმოშობით მესხვარის“ ლიტერატურული კიებანი	28
<b>ნამღვინი აგავი</b>	
ცოლქმრული ერთგულება(?)...	31

**დანაკლინი**

**„...გამუღარებით, იცინეთ,  
იცინეთ, როცა მე წავალ“**




„მე ბედნიერი ვარ იმით, რომ მინდა,  
ვიყო ბედნიერი. აბსოლუტურად ბედ-  
ნიერი აღამიანი არ არსებობს, ეს სი-  
ცრუება. ყველაზე ბედნიერი ალბათ,  
სიკვდილის მერე არიან...“  
ირაკლიმე სასაუბროდ, მის მე-  
გობარს, პოეტ კოტე ყუბანეიშვილს  
დავუკავშირდი.

12

**„...გოგამით ეს საყურიანი ყური, თუ ა-ლა-  
ფურებით ვამჯობინო ქართულ სურსას!“**

„სხვათა შორის, ერთხელ, როცა  
ჩემი მშობლები ნაჩხურები იყვნენ,  
მამამაც ყვაველი მიართვა დედას  
შესარიგებლად, ოღონდ – ქოთნის  
კაქტუსი. როცა ლელამ ჰკითხა: რა-  
გომ ჩათვალე, რომ შერიგებას ქოთ-  
ნის ყვაველი, თანაც, კაქტუსი შეუწყ-  
ობს ხელსო? – მურამ უპასუხა: „...“



25

**„აღამიანი-პაუზის“ აქტიურობის ხანა:  
ახალი ალბომი, სოლო კონცერტი და ...**



„ჩემი სიმღერის ყველა ფრამამ  
მასთან უნდა გაიაროს აპრობა-  
ცია. დიდი მელომანია. ჩემი ცხ-  
ოვრებით ცხოვრობს და თუკი  
რაიმე შეუძლია, მესმარება. საკ-  
მალე ჰკვიანურ რჩევებს მაძლევს  
ხოლმე... მის ნათქვამს უმეგესად,  
ვითვალისწინებ, რადგან...“

20

**გუგუგრაზი – გასო გოქიაშვილი  
სენსაზე და პირად ცხოვრებაში**

„ლობიო უყვარდა ძალიან.  
ერთხელ სუფრიდან დაბრუნებული  
ჰყვებოდა: გაილო ერთი კარი –  
მოდის! გაილო მეორე კარი – მო-  
დის! გაილო მესამე კარი – მოდის!  
ვერ გავიგეთ, რაზე ლაპარაკობდა  
და ვკითხე: – რა მოდის-მეთქი, ვასო  
ძია? – რა და ლობიო, ლო-ბი-ო!..“



45

<b>რეპორაჟი</b>	
ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორმაბი, ყველაზე იზღლიანები...	32
<b>ბესტსელერი</b>	
შიო გვიტაბე. მონანიება (ბაბრქაქაძე)	34
<b>წმინდა წიგნი</b>	
წმინდა შიო მღვიმელი უფილო წყვილებს განსაკუთრებულად შეეწევა	39
<b>ჯანმრთელობა</b>	
● სინუსიტი: როგორ გავიადვილოთ სუნთქვა	40
● მავნე ჩვევა	41
● თაფლი ბანძვების სამკურნალოდ	42
<b>ფაქტობრივი</b>	
ლეო მესი – ვუნდერკინდი, რომელსაც მარალონას აღარეგან	43
<b>ბუბუარაზი</b>	
„თეატრი მისმოვლა, მიმიღავლა, მოსვენებას არ მაქვს...“	45
<b>ანტიდოპრესანტი</b>	
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან	46
<b>პარსკვლავი</b>	
გაუმეაღარი ანაკონდას ჭეშმარიტი სიყვარული	48
<b>ბომონდი</b>	50
<b>ავტო</b>	51
<b>რომანი</b>	
რუსულან ბერიძე. თქვენი (ბაბრქაქაძე)	52
<b>ასპარაზი</b>	
როგორ გახლა „ტრონისტიკის შვილი“ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი	56
<b>ქალი საჭმთან</b>	
ქენტლმენი საგზაო პოლიციელები, გაჯიბილი პატრული და ტყუილი ნაშრომი ბენდინი	58
<b>სახელოსნო</b>	
ბუბუარაზი შექმნილი საოსრება	59
<b>სპანოკრი</b>	61
<b>იუმორი</b>	62
<b>ტესტი</b>	
● რამდენად კარგად იცნობთ თქვენს მეგობარ გოგონასა თუ ვაჟს?	63
● გემუქრებათ თუ არა პაროლონტოგი?	63
<b>...დაბოლოს</b>	64

გარეკანზე: ირმა ლიპარტიანიის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ. წუთშაბათობით გაზეთი „კვირის პალიტრის“ ღამათაშია.

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: ვინა ტყემელაშვილი მენეჯერი: მათე კვიციანი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8  
 ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com  
 ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორი“

## ინტუიციამ დაკრძობილი ხელშეშვა



„ძალიან მიყვარს ისტორია, წარსული, კოსმოსი. მაგრამ როცა რაიმეზე მუშაობას ვიწყებ, ინტუიციას ვეყრდნობი და მერე, თანდათანობით, მიყალიბდება აზრი. თავიდან, რაღაც გაურკვეველს გაკეთება დავიწყებ, მერე ეს თემა წამოვიდა, თავისი ფილოსოფიით...“

# 27

## როგორ გახდა „ტრონისტიკის შვილი“ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

„ბავშვობაში, ბათუმში ვცხოვრობდი და ფეხბურთით ვიყავი გატაცებული. ოჯახით თბილისში რომ გადმოვედით საცხოვრებლად, სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში გავაგრძელე. მეორე მსოფლიო ომის დროს, გექნიკუმში ვსწავლობდი...“



# 56

## ანჯელინა ჯოლი ასეც მსოფრთვს იწყებს



...შეგახსენებთ, რომ ანჯელინას და ბრედ პიტს მალე ბავშვი შეეძინებათ. ზოგიერთი ცნობის თანახმად, ქვეყნიერებას გყუბი მოველინება...  
 „ბრანჯელინის“ ჯერ არდაბადებული შვილის პირველი ფოტო უკვე 1-1,5 მლნ დოლარად არის შეფასებული.


# 50

## მონანიება

– რაიმე განსაკუთრებული ნიშანი ხომ არ შეგიმჩნევიათ რომელიმე მათგანისათვის? – კითხვა დასვა ბალანჩივაძემ.

ექიმი ცოცხალი ხანს დაუქრდა, შემდეგ გადაჭრით უპასუხა:

– არა, არავითარი – თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ გარემოებას...



# 34



# ცათამბჯენები თუ ოცნების ყოშყენი ახუ თბილისი-ნიუ-თბილისი



სკოლაში ალბათ, თითოჯერ მაინც დაგვიწერია თემა, რომელიც აუცილებლად ასე იწყებოდა: „გაზაფხულდა და მინა მუშახელს ითხოვს. გამრჯე გლეხები შესევინა ბალ-ვენახებს“... დღეს კი, სადაა შესასევი გლეხი?! სანთლით რომ ეძებო (სანთლით უნდა ეძებო, აბა, დენი სადა აქვთ?!), ერთ სოფელში ორ გლეხს ვერ ნახავ. სამაგიეროდ, ახლა ქალაქი ითხოვს მუშახელს. საქმის მეტი რაა — ჯერ ასფალტია დასაგები და მერე — ამოსათხრელი.

დასაგები იმიტომ, რომ სადაც ზაფხულში ვერ მოასწრეს, შემოდგომის წვიმების დროს დააგეს და რა თქმა უნდა, ტოსტერში გახუხული პურებივით ამოიყარა. ამოსათხრელი კი — იმიტომ, რომ მთავრობის კურსის, ჩვენი ერი მორ-ალურად და ფიზიკურად უნდა ამაღლდესო, პირდაპირ მე-

პეკინის ქუჩებზე კიდევ უფრო უარესი საცობებია და იმის გამო, რომ შუქნიშანი გააუქმეს, ფეხით მოსიარულეები მოკ-ლე გადარბენებით ცდილობენ ქუჩის მეორე მხარეზე მცირე დანაკარგებით გადალწევენ, მაგრამ სილამაზისთვის არ ღირს ამის დათმობა?! სამაგიეროდ, მალე ცათამბჯენი აიგება და უკეთესიცაა: რაც უფრო დიდი ხნით გაეჩხირები საცობში, მით უფრო კარგად დაათვალიერებ ლამაზ ცათამბჯენს გარედან (აბა, შიგნით ცხვირს ვინ შეგაყოფინებს)?!

მაგრამ ვინ აპირებს ამაზე გაჩერებას? მერე რა, რომ რაც თავისუფალი ადგილები იყო, სამშენებლო კომპანიებმა შეიძინეს და სოკოს ამოსვლის სიჩქარით (და საკითხავი ხარისხით) აგებენ ფერად-ფერად კორპუსებს?! თავისუფალი ადგილებ-ის მეტი რაა: ჯერ მარტო რამდენი ძეგლი გვაქვს; თუ მაინც



ცათამბჯენებში უნდა ვიცხოვროთ, სამსახურიც იქ გვექნება და მაღაზი-აც, „რაღ გინდა“ ის ძეგლები?! მოვხ-სნათ, სპილენძად ან ბრინჯაოდ გავყ-იდოთ და ბარემ, გამზადებულ კვარცხ-ლბეკებზე მორიგი ცათამბჯენები დავდგათ. ის კვარცხლბეკი უფრო გაუძლებს სიმძიმეს, ვიდრე თქვენივე ჩასხმული საძირკველი. ჩვენ კი მინაზე ჩამოსვლა საერთოდ აღარ დაგვჭირდ-ება. ე.ი. აღარც მანქანები გვინდა და აღარც ის მეეზოვეები, „ამხელა“ ხელ-ფასს რომ იღებენ და თითო ქუჩის დაგვაში 70 ლარს იჯიბავენ. და-გროვდეს ის ნაგავიც, რა გვენალკლე-ბა, თუ ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენს ფანჯრებამდეც არ ამოვიდა და არ დაგვახრჩო...

ასე იქცევა თბილისი პატარა ამერიკად. მერე მის უზნებსაც ამერიკის ქალაქებისა და შტატების სახელებს დავარქმევთ და ნიუ-ორლეანისა და სან-ფრანცისკოს მსგავსად გვექნება ნიუ-მუხიანი, სან-ბურთალო, ლას-ვექ-ისი, მიჩი-გლდანი, კალიფორნიჭალა და ა.შ.

ორე ეტაპი — ფიზიკურად ამაღლება იწყება.

თურმე თბილისი ამერიკული ყაიდის ქალაქად უნდა ვა-ქციოთ და ყველგან ცათამბჯენომანია გავაჩალოთ. ჯერ, რა თქმა უნდა, ცენტრალური უბნებიდან დაიწყებენ. გარეუბნებ-ში მცხოვრებთ კი, დროებით ისევ ცხრასართულიან ქოხ-მახებში მოუწევთ გაჩერება. ასფალტის დაგებაც პირდაპირ კავშირშია ამ აღმშენებლობასთან: სადაც კარგად აგებენ, წინასწარ უნდა იცოდეს, რომ მორჩებიან თუ არა, მშენებლო-ბისთვის საძირკველის ამოთხრას დაიწყებენ.

ცხადია, ჩნდება კითხვა: რალას წვალობენ, ბარემ პირდა-პირ გათხარონო, მაგრამ დანგრეული და გაპარტახებული ადგილი გაიყიდება ისეთ მაღალ ფასში, როგორც მოსწორე-ბულ-მოპრიალებული?!

სულ ახლახან, 26 მაისის სახელობის მოედანი უცებ ისე შემოიღობა, რომ „ბარე ორ“ 26 მაისს ვერ გაივლი. ან კი რას ჰქვია გაივლი?! იყიდა იმ პატიოსანმა კაცმა და რომ გაიარო, ხომ დაგიჭრა „პაკრიშკები“ მეზობლის ეზოში გადა-ვარდნილი ბურთივით. მართალია, ამის გამო კოსტავას და

და რაც მთავარია, ალბათ მთავრობა და პარლამენტი ყველაზე მაღალ სართულებზე ისურვებენ განთავსებას, რომ ჰაერიც უფრო სუფთა ექნეთ და საერთოდ ვეღარ გაიგონ, რა ხდება მინაზე...

*P.S. საუბარი 150-ე სართულზე განთავსებულ ოფისში. მდივანი თანამშრომლებს:*

— ხვალ ბოსის დაბადების დღეა და 50-50 დოლარს ვაგროვებ.

— დაბადების დღის აღნიშვნა აღარ მოგვინევს. ბოსი ამ დილით ფანჯრიდან გადავარდა.

— მერე რა? ზეგამდე არ დაეცემა. ასე რომ, ხვალ ვქეი-ფობთ...

პროვოკატორი



# „...ამიტომაც მივიღეთ ლიბერალური დოკუმენტი „ჩანაცვლებასთან“ დაკავშირებით“

— პარლამენტის დადგენილება რუსი სამშვიდობოების გაყვანასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით ფურცელზე რჩება. მოხდება თუ არა, რეალურად ჩანაცვლება?

**პაპაძე ასატიანი, სახალხო ფორუმის ლიდერი:**

— პარლამენტის დადგენილებაში „გაყვანა“ ნახსენები არ არის. ლაპარაკია მხოლოდ ჩანაცვლებაზე, ჩვენ თორმეტი წელია ეს სიტყვა გვესმის, მაგრამ რუსებს ჩაენაცვლა ვინმე? ჩემი აზრით, ჩანაცვლებაზე ლაპარაკი კომიკურია, იუშჩენკომ რალაც თქვა, რადამ მხარი არ დაუჭირა და ამით დამთავრდა საქმე. როგორ გგონიათ, საქართველოს გულისთვის უკრაინა რუსეთს ომს გამოუცხადებს და დაამარცხებს? ჩვენ სიტუაციას ხელოვნურად ვამწვავებთ, შემდეგ შეშინებულები უკან ვიხევთ და ამით უფრო ვაფუჭებთ საქმეს. თავის დროზე, ცხინვალში რუსების შეყვანის გადწყვეტილება შევარდნაძემ, ყვანიამ, სააკაშვილმა, სხვა „მოქცავშირელებთან“ ერთად, ტაშის გრიალით მიიღეს. ეს იყო ქვეყნის ჩიხში შეყვანა, საიდანაც რუსეთის გვერდის ავლით, ველარ გამოვალთ. ჩვენ დასავლეთს საქველმოქმედო ორგანიზაციად ნუ წარმოვიდგენთ, რომელიც საქართველოს ბედნიერებისთვის საბრძოლველად შეიქმნა, მას თავისი ინტერესები აქვს და ანგარიშს არაფერს გაუწევს. სააკაშვილს სწორედ ეს უთხრეს — ომამდე საქმეს ჩვენს იმედად ნუ მიიყვანო. დღეს ამერიკას ერაყში პრობლემები აქვს, ინყება ირანის კამპანია, ევროპა კი ენერგომომარაგებით რუსეთთანაა გადაჯაჭვული. ასეთ დროს, მხოლოდ „გაგებით მოეკიდებიან“ შენს პრობლემებს. მაგრამ გვერდით არავინ დაგიდგება. ასე რომ, სიტუაციის გამწვავებისთვის დრო არასწორად იყო შერჩეული. ამიტომაც მივიღეთ ლიბერალური დოკუმენტი „ჩანაცვლებასთან“ დაკავშირებით, რომლის მიღმაც არც ვადებო და არც კონკრეტული სამოქმედო გეგმა არ ჩანს.

# „დროის გაყვანის ტაქტიკა ამ შემთხვევაში აღარ გააბართლებს“

— ვანო მერაბიშვილი ოპოზიციურ პარტიებს ურჩევს, გირგვლიანის საქმეში აქტიურობისგან თავი შეიკავონ. საჭიროა თუ არა საკითხის პოლიტიზება?

**ქოქა ბუნცაძე, პარლამენტის წევრი:**

— პოლიტიკური ნებაა საჭირო, რომ ძალზე მაღალი თანამდებობის პირები, ისინი ვინც ფიგურირებდნენ ამ მკვლელობაში — ახალაია, სანოძე, დონაძე, მელნიკოვი დაისაჯონ. მინისტრს ჩვენთვის რეკომენდაციების მოცემას, ურჩევნია, გაარკვიოს, რატომ ფიგურირებს საქმეში მისი მეთაფე. თუ შს მინისტრს სამოქალაქო ღირსების გრძნობა შერჩა, უნდა გადადგეს თანამდებობიდან. უმრავლესობა ელოდება, როდის მოგვანვდინა ძალოვნები ახალვერსიას, როდის დაამთავრებენ ბინძური მეთოდებით მუშაობას მოწმეებთან. პრეზიდენტი აცხადებს — ყველა ციხე-

ში, წვრილმანი დანაშაულიც კი არავის ვაპატიოთო! — აქ კი კონკრეტულ ადამიანებს მკვლელობის ორგანიზება ჰბრალდებთ, მათ წინააღმდეგ ამდენი სამხილია, სამართალდამცავები კი გალექსილ, სტანდარტულ პასუხს იძლევიან: „გამოძიება დაადგენს.“ დროის გაყვანის ტაქტიკა ამ შემთხვევაში აღარ გააბართლებს. როგორ წარიმართება საქმე — ეს დამოკიდებულია პრეზიდენტ სააკაშვილის ნებაზე. ახლა გაირკვევა, რამდენად არის ის მზად, მიიღოს ობიექტური და პრინციპული გადაწყვეტილება და თავისი გუნდის წევრები ამ სკანდალური მკვლელობის გამო დასაჯოს. პარლამენტში უკვე დადგა შს მინისტრის გადაყენების საკითხი. ფაქტია, რომ მერაბიშვილის უწყების მაღალი თანამდებობის პირების ჩარევით მოხდა ამ ახალგაზრდების წამება და მკვლელობა. მერაბიშვილი ამ მკვლელობის თანამზრახველია.

# „უნივერსიტეტი საშუალო დონის კოლეჯად აქცინს“

— გაფრცვლებული ინფორმაციით, რუსუდან ლორთქიფანიძემ, განათლების მინისტრთან დაპირისპირების გამო, უნივერსიტეტის რექტორის პოსტიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. თავად ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს...

**ნოსტან პირთაძე, პროფესორი:**

— მითი სააკაშვილის ერთიანი გუნდის შესახებ უკვე დამსხვრეულია. კონკრეტული მაგალითებიდან ჩანს, რომ პრეზიდენტი ადვილად ელევია მის მიერვე ლობირებულ კადრებს. ლომიას გავლენა უფრო ძლიერია, ვიდრე ლორთქიფანიძის. როცა ლომიას კრიზისული პერიოდი აქვს, ის ვაშინგტონსა და ბუდაპეშტში მიემგზავრება: ერთი მხრივ — პოლიტიკური გარანტიების, მეორე მხრივ კი — ახალი დირექტივების მისაღებად. რუსუდან ლორთქიფანიძეს ასეთი პროტექტორები არც ამერიკაში ჰყავს და არც სოროსის ოფისში. სააკაშვილის ხელისუფლებაში ბოგინიც კი პრაქტიკულად, ლომიასა და მის „სულიერ მამებზე“ დამოკიდებული, ამიტომ პრეზიდენტი ყოველთვის განათლების მინისტრის პოზიციების გამყარებას შეეცდება. ბოლო დროს უნივერსიტეტში განვი-



თარებული მოვლენები, ქალბატონ რუსუდანს აიძულებს, ან ხელი მოაწეროს ლომიას იმპერატიულ მოთხოვნას, მთელ უნივერსიტეტში 600 თანამშრომლის დატოვების შესახებ, ან გადადგეს თანამდებობიდან. რუსუდან ლორთქიფანიძე, მეამბოხე პროფესორისა და აკადემიური წარმომადგენლობითი საბჭოს შიშით, ამას ვერ აკეთებს. სწორედ ამიტომ, ლომია პარლამენტში შევიდა საკანონმდებლო ინიციატივით, სადაც ლაპარაკია რექტორის არჩევის ახალ წესზე, რომელიც ბატონ კახას საშუალებას მისცემს, რექტორად თავისი ფავორიტი დანიშნოს. ლომიამ და სააკაშვილმა უნივერსიტეტი საშუალო დონის კოლეჯად აქციეს, თუმცა წინ უფრო „გრანდიოზული გეგმები“ აქვთ. მაგრამ უნივერსიტეტი თავს მოხვეულ კანდიდატურას არ მიიღებს.



## „ვერ წარმოვიდგინო – როგორ უნდა გაიყიდოს ფილარმონია...“

— ფილარმონიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გათავისუფლების შემდეგ, ამ ობიექტის გასხვისებაზე ალაპარაკდნენ. ფილარმონია კერძო პირის ხელში გადადის?

**ბურამ ბაზიძე** *სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე:*

— როგორც კი დავამტკიცეთ, რომ ფილარმონიას თავისი შემოსავლებით არსებობა შეუძლია, სამეთვალყურეო საბჭოს შეცვლა გადაწყვიტეს, რაც ამ ობიექტის გაყიდვისთვის ნიადაგის მომზადებაა. კანონმდებლობით, თუ ამ დარბაზს გაყიდვით, სახელმწიფოს შეუძლია, 5 წლის განმავლობაში მყიდველი დაავალდებულოს, რომ ფილარმონია ამუშაოს, როგორც დიდი საკონცერტო დარბაზი; ამის შემდეგ მესაკუთრეს, საკუთარი სურვილის შესაბამისად მოქმედების უფლება ექნება: თუ მოისურვა, ფილარმონიას რესტორნად, სასტუმროდ ან სოლარიუმად გადააქცევს; შეუძლია, მის ნაცვლად, სრულიად ახალი ობიექტი ააშენოს. მე გაბრაზებული ადამიანის პოზიციიდან არ ვლაპარაკობ — უბრალოდ, ვერ წარმოვიდგინო, როგორ უნდა გაიყიდოს ფილარმონია. მაშინ, ოპერაც გაყვიდით, რუსთაველის თეატრიც... ხომ არის რაღაც, რაც სახელმწიფოს უნდა დარჩეს. არსად მსოფლიოში არ არის იმის პრე-

ცედენტი, რომ ეროვნული მნიშვნელობის კულტურული ობიექტები კერძო პირის ხელში გადავიდეს. ეს საკითხი შევარდნაძის დროსაც დადგა დღის წესრიგში. მაშინ ხმაური აუტყვეთ, ზურაბ ჟვანიამ ჩვენი მოსაზრება გაიზიარა და ფილარმონია გაყიდვას გადაურჩა. ახლა ისე გაგვათავისუფლეს, ახსნა-განმარტებაც არავის მოუცია. ჩვენს ადგილებზე ბულალტერ-გკონომისტები მოიყვანეს და მათ სამჯერ მეტი ხელფასები დაუნიშნეს, ვიდრე ჩვენ გვექნოდა. მე, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, ხომ შემიძლო, 1.000 ლარი დამენიშნა და არ გამერემონტებინა ტულალტერი, გასახდელეები, განათება. მაგრამ ჩვენ დარბაზის გადარჩენაზე ვფიქრობდით, ამით, შენობის გაპარტახება ევალებათ, რომ გასხვისება აუცილებელი გახდეს.



## „ახლა უფრო მოეზადებულაბი შეხვედებით არჩევნებს“

— თვითმმართველობის არჩევნებისთვის სუთი ოპოზიციური პარტია ერთიანდება. მაგრამ ხელისუფლებასთან მმართველაში თქვენს კონკურენტუნარიანობას მაინც სკეპტიკურად უყურებენ...

**ვიქტორია ჩინრაძე**, *ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი:*

— „მემარჯვენეები“, „რესპუბლიკელები“, „კონსერვატორები“, „ლეიბორისტები“ და „თავისუფლება“ სავარაუდოდ, ერთ ბლოკად მოგვევლინება. შესაძლებელია, ამ გაერთიანებას სხვა პარტიებიც შეუერთდნენ. პრაიმერის ჩატარების დროს, ეს თანამშრომლობა უკვე შედგა. ჩვენ დავინახეთ მსგავსი გაერთიანების სუსტი და ძლიერი მხარეები. ამიტომ ახლა, უფრო მომზადებულები შეხვედებით არჩევნებს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების რეიტინგი მუდმივ და უწყვეტ რეგრესს განიცდის, მათ გამარჯვების შანსი ჯერ ისევ აქვთ. ოპოზიცია სწორედ ამ რეიტინგის ანალიზით შეიარაღებული უნდა ჩაებას წინასაარჩევნო მართაონში. ერთპარტიული საარჩევნო ადმინისტრაციისა და ფინანსურად არათანაბარი პირობების გათვალისწინებით (როცა ხელისუფლება ერთი კანდიდატის გამარჯვებისთვის 6-7 მილიონს ხარჯავს) ძნელია, ოპოზიციის კონკურენტუნარიანობაზე ლაპარაკი. თუმცა, ჩვენ ხალხის მობილიზაციის და აქტიურობის იმედი გვაქვს. აუცილებელია ხელისუფლებამ დაინახოს, რომ საზოგადოება მხოლოდ 2003 წლის ნოემბერში არ იყო მმართველი ძალით უკმაყოფილო. ის წინასწარ გაცემულ დივიდენტებს ითხოვს და სრულიად სამართლიანადაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხელისუფლება ეცდება, წინასაარჩევნო პერიოდში, ოპოზიციის ერთიანობაში ბზარი შეიტანოს, ამის დასაწყისი, „მრეწველების“ გადაბირების იყო, როცა მათ ცალკე ფრაქციის ჩამოყალიბება მოინდომეს. მე მაინც იმედი მაქვს, ზემოთ ჩამოთვლილი პარტიები შეძლებენ ერთიანობის შენარჩუნებას.

## „ნაცნობიერების აკაპროფასიონალების სამსახურში მიღება უფრო გასაბნელებელია“

— საზოგადოებრივი ტელევიზიის თანამშრომლები თამარ კინწურაშვილს უპირისპირდებიან. თქვენი აზრით, ეს პროტესტი, მისი მართვის სტილს შეცვლის?

**დოდო შინაძე**, *მეორე არხის ყოფილი დირექტორი:*

— ტელევიზიის ხელმძღვანელის მიმართ ჩემი პრეტენზიები ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს დავაფიქსირე სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. თამარ კინწურაშვილის ტელევიზიაში მოსვლის შემდეგ, სამსახურიდან დაითხოვეს ძალიან ბევრი კვალიფიციური ჟურნალისტი, რომლებიც დღეს სხვა არხებზე წამყვან ჟურნალისტებად მუშაობენ. ნაცნობმეგობრობით არაპროფესიონალების სამსახურში მიღებამ ფართო მასშტაბი მიიღო. არ გაკეთებულა ახალი გადაცემა, გარდა ერთისა, რომელსაც საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ალპი“

ახორციელებს. „ალპი“ კი მისი მუდმივ მოღვაწეობს. თამარ კინწურაშვილს წარმოადგენა არა აქვს ტელევიზიის მართვის მენეჯმენტზე, ის შემოქმედებითი ჯგუფების მუშაობას სრულიად არაადეკვატურად უდგება. გრძელვადიან ხელშეკრულებებს მხოლოდ თავის ახლობლებს უფორმებს, სხვა დანარჩენები ერთთვიანი კონტრაქტებით უნდა შემოიფარგლონ. ეს მართლაც უზნეობაა. პარლამენტს ვთხოვეთ, დაინტერესდეს საზოგადოებრივ არხზე ბოლო 6 თვის განმავლობაში, მიმდინარე პროცესებით, ფინანსებით და მართვის საკითხებით. ჩვენ ამ ეტაპზე, საზოგადოებას ტელევიზიაში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციას მივანვით, მოგვიანებით კი, სხვა ნაბიჯებზე ვიფიქრებთ. კინწურაშვილი საზოგადოებრივ მაუწყებლობაში იმასაც დაანგრევს, რისი გადარჩენაც აქამდე მოხერხდა.





# რას უფრო გეჩქარა დაღვანი და ჩქებით დაეზავები, ჩუსთი მით უფრო გაგიწევს ანგარიშს

ცნისვალის რეგიონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილების მიღებამდეც და შემდეგაც რუსმა დეპუტატებმა არაერთხელ შეგვასვენეს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქალაქეების ინტერესებსა და უსაფრთხოებას დაიცავენ. მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე ფაქტობრივად, კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარების ალტერნატივად, გაუგებარა, რა მოსალოდნელი საფრთხისგან აპირებენ რუსი პოლიტიკოსები შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრები ვითომ რუსეთის მოქალაქეების დაცვას? საერთაშორისო სამართლის ექსპერტის, ლაშა ძეგლაძის აზრით, რუსები საშინაო კონფლიქტურ ნაწილში თავიანთი მოქალაქეების დაცვაზე ლაპარაკით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს არღვევენ და ამით კიდევ უფრო წამგებიან მდგომარეობაში იგდებენ თავს.

## იკა ლომიძე

— მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა რუსეთმაც აღიარა (1991 წლიდან, რუსეთმა ეს არაერთხელ დააფიქსირა), ავტომატურად აღიარა ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები პირები მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან. რუსეთს მანამდე რომ დაეყენებინა საკითხი საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ პირთა მოქალაქეობრივი კუთვნილების შესახებ, კიდევ გასაგები იქნებოდა რუსი დეპუტატების განცხადებები ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქალაქეების არსებობის თაობაზე. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება აღიაროს პირი თავის მოქალაქედ, მაგრამ ეს არ ხდება ავტომატურად. ამას წინ უძღვის მთელი რიგი სამართლებრივი პროცესები. რუსეთს აქვს უფლება, თავის მოქალაქედ აღიაროს სხვა ქვეყნის მოქალაქე, თუ მისი ქვეყნის კანონმდებლობა მას ორმაგი მოქალაქეობის უფლებას აძლევს. სხვა ქვეყნის მოქალაქეს შეიძლება შენი მოქალაქეობაც მიანიჭო იმ შემთხვევაში, თუ ამ პირს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის შენ წინაშე. ან კიდევ მათ, ვისაც რუსეთის მოქალაქეობას ანიჭებენ, მშობლები უნდა ჰყავდეთ რუსეთში დაბადებული. შეიძლება, მოქალაქეობა მიენიჭოთ იმ შემთხვევაშიც, თუ პირის მუდმივი საშუალო და საცხოვრებელი ადგილი რუსეთია. არც ერთ აქ ჩამოთვლილ პუნქტს არ აქვს ადგილი ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. იმ ოსებს, აფხაზებსა და ქართველებსაც კი, რომლებიც კონფლიქტის გამო დევნილები გახდნენ რუსეთის ტერიტორიაზე და დღემდე მუდმივად იქ

ცხოვრობენ და მუშაობენ, შეუძლიათ რუსეთის მოქალაქეები გახდნენ, მაგრამ არავის აქვს უფლება, ხელალებით დაუფრთხოს მოქალაქეობა იმ ხალხს, ვინც კონფლიქტის ზონაში დარჩა. ეს არის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმა, რომლის თანახმად, დაუშვებელია, სახელმწიფომ პოლიტიკურ და ამავე დროს იურიდიულ სფეროში გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც არ ითვალისწინებს სხვა სახელმწიფოს ინტერესებს. ასე რომ, რუსეთის ზემოხსენებული განცხადება წმინდა წყლის ცინიზმია. სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მცხოვრები პირები რუსეთის მოქალაქეები არ არიან.

### — შეიძლება თუ არა, რომ ჩვენ და საერთაშორისო თანამეგობრობამ საერთაშორისო სასამართლოში რუსეთს უპასუხისმგებლო და ცრუგანცხადებების გამო პასუხი მოვთხოვოთ?

— რა თქმა უნდა. ამის პრეცედენტები არსებობს. ეს მარტივი პროცესია. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ქვეყნის მოქალაქეს მეორე სახელმწიფო უკანონოდ „ისაკუთრებს“ მოქალაქეობის მიცემით, დაზარალებული სახელმწიფო შეიტანს სარჩელს პაგის სასამართლოში და ეს ძალიან წამგებიანი იქნება „მტაცებელი“ სახელმწიფოს პრესტიჟისათვის. მიკვირს, როდესაც რუსები სამაჩაბლოში თავიანთი მოქალაქეების არსებობაზე ლაპარაკობენ და ქართული მხარე მას საერთაშორისო სამართლის ენით არ პასუხობს. გამოდის, რომ მათ აბსურდულ განცხადებებს ვეთანხმებით. რუსები აბსურდების ოსტატები არიან. ამის მაგალითია ისიც, რომ ისინი ამბობენ, რუს მშვიდობისმყოფელთა შემოყვანის შესახებ შეთანხმება მხოლოდ ორ ქვეყანას — საქართველოს და რუსეთს შორის დაიდო, — და მიუხედავად ამ აღი-

არებისა, თურმე, ამავე შეთანხმების მიხედვით, ოსებისა და აფხაზების თანხმობის გარეშე, რეგიონებიდან რუსი მშვიდობისმყოფელები ვერ გაველნო, მოუხედავად იმისა, რომ მათ ამ შეთანხმებაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღიათ. ეს სისულელეა — ხელშეკრულებაში ამაზე არაფერია ნათქვამი. რადგან ხელშეკრულება საქართველოს რატიფიცირებული არ აქვს, მას დენონსაციაც არ სჭირდება და ამ ხელშეკრულების მიხედვით, რაიმეს მოთხოვნაზე ლაპარაკი შედეგითაა. ხელშეკრულების გაუქმებაზე რუსეთის თანხმობაც კი არ არის საჭირო. საერთოდ, რაც უფრო გეჩქარა დაღვანი და რქებით დაუტყავი, რუსეთი მით უფრო გაგიწევს ანგარიშს. ამიტომ, უნდა ებრძოლო იმავე მეთოდებით, როგორც თავითონ გებრძვის. გიყვირის? შენც უნდა უყვირო, ოღონდ — სამართლებრივი ენით და მთელი მსოფლიოს გასაგონად.

— რუსეთის დუმის დადგენილებას როგორ შეაფასებთ? რამდენად შეეფერება იგი ცივილიზებული ქვეყნის „დიდი რვიანის“ წარმომადგენლის იმიჯს?

— რუსეთის დუმაში რადიკალურ განცხადებებს ორთქლივით უმჯობენ და ეს მოვლენა დროდადრო, რუსეთის ხელისუფლებაშიც იჩენს თავს. ღმერთმა ნუ ქნას, ეს მუდმივად ხდებოდეს, კატასტროფა იქნებოდა როგორც საქართველოსთვის, ისე რუსეთისთვისაც. დუმის ამ თვისებას შესანიშნავად იყენებს პუტინი, რომელიც ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს: ანუ ერთი მხრივ, რადიკალურ ძალებს გასაქმს არ აძლევს დუმის გარეთ, მეორე მხრივ კი, რადიკალების ყბედობით, ჩვენს სხვა ქვეყნებსაც შეტყობინებებს გვიგზავნის — აი, შეხედეთ, აქ არიან ისეთი ძალები, რომლებიც მზად არიან, რადიკალური ნაბიჯები გადადგან და მათ მე ვაკავებო. ეჭვი მეპარება რუსეთმა მართლა გამოგზავნოს ჯარი ან საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნის შემთხვევაში, უარი თქვას მშვიდობისმყოფელთა გაყვანაზე. ეს დამანგრეველი იქნება სწორედ „დიდი რვიანის“ ნევრი ქვეყნის პრესტიჟისათვის და საეჭვოა, დაუმვას რუსეთმა. ამიტომ, ან მოხდება მშვიდობისმყოფელთა ფორმალის ცვლილება, რაც უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია, ან საუკეთესო შემთხვევაში, რუსეთის სამშვიდობო ძალები გავლენ და უფროს სამხედრო დამკვირვებელთა კონტინგენტი შემოვა. ალბათ, ისინი რეგიონის საკვანძო ადგილებში განლაგდებიან და რაღაც პერიოდის განმავლობაში სიტუაციას დააკვირდებიან. ძირითადი სამოქმედო არეალი დაეთმობა ერთობლივ პოლიციას, რომელიც უსაფრთხოებას დაიცავს. კოკოთი კი გაიძახის, რუსის გარდა ვინც არ უნდა შემოვიდეს, ყველას დაჭევრეტო, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობისა და რუსეთის შეთანხმება კოკოთის ისეთ ცივ წყალს გადაასხამს, რომ გონზე კარგა ხანს ვერ მოვა. პრინციპულ საკითხებზე რუსეთთან შეთანხმების შემთხვევაში, შეიძლება, კოკოთი ისე მოიშორონ, რომ მისი არსებობა ყველას უმალ დაავიწყდება.



დიდი აურზაური, რომელიც საკონტროლო სალა-  
რო-აპარატების საყოველთაო შემოღებას მოჰყვა,  
ბუნებრივია, მთელი საზოგადოების ყურადღების  
ცენტრში მოექცა. ამასთანავე, ბევრი პრობლემა, არა  
მარტო მომხმარებლებისთვის, არამედ თვით  
მოვაჭრებისთვისაც კი რჩება გაურკვეველი. ამიტომ  
ფიქრობთ, საგადასახადო დეპარტამენტის იურიდიულ  
საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის, მამუშაპ  
ბარბაქაძის განმარტებები ზოგიერთ საკითხს  
მინც მოჰყენს ნათელს.



# ხედავთაქვსა სალარო-აპარატების ირგვლივ

## დაიხჯება თუ არა მოვაჭრა, თუ მას გაყიდულ ნივთს დაუბრუნებენ?

### შეა ტუხიაშვილი

— თუ ელოდით, რომ საკონ-  
ტროლო სალარო-აპარატების შემოღებას  
მოვაჭრების მხრიდან ასეთი მწვავე  
პროტესტი მოჰყვებოდა?

— უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი გათე-  
ლები იმთავითვე გაკეთდა, როდესაც ამ კანონ-  
პროექტს იღებდნენ. რა თქმა უნდა, საკანონ-  
მდებლო ინიციატივა აღმასრულებელი ხელისუ-  
ფლებისგან მოდიოდა, კანონმდებლებმა მი-  
იღეს, ჩვენ კი ეს კანონი უნდა აღვასრულოთ.  
სხვათა შორის, არსებული საგადასახადო კოდ-  
ექსი ისედაც ავალდებულებდა ყველა მენარმეს,  
ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას სალა-  
რო-აპარატის გამოყენებას, მაგრამ ამ კანონს  
ყველა არ ემორჩილებოდა. აქვე გეტყვით, რომ  
სასიკეთო ტენდენცია ამჟამად თვალში საცე-  
მი: თუ შარშან მთელი წლის განმავლობაში,  
მხოლოდ 700-მა ადამიანმა გამოთქვა სურ-  
ვილი, სალარო აპარატით ეწარმოებინა საკუ-  
თარი ბიზნესის აღრიცხვა, გასული 2 თვის  
განმავლობაში, დაახლოებით 8500 სალარო-  
აპარატი შევიდა ექსპლუატაციაში.

— ფიქრობთ, რომ ვაჭრობის სე-  
ქტორში სალარო-აპარატების მასო-  
ბრივი გამოყენებით საბოლოო ჯამში,  
ქვეყანაში საბიუჯეტო შემოსავლები  
გაიზრდება?

— პირველ რიგში, ჩვენ ველოდებით, რომ  
სალარო-აპარატების გამოყენებით მკვეთრად  
გაუზღოებსდება მონაცემთა აღრიცხვის სისტე-  
მა. მათ, ვინც მომხმარებელთან ანგარიშს-  
წორებას ნაღდი ფულით ახორციელებს,  
ზუსტად უნდა ჰქონდეთ აღრიცხული მთე-  
ლი ბრუნვა და შემოსავლები. ეს კი ხელს  
შეუწყობს საგადასახადო სამსახურების თან-

ამშრომლებს, სწორად დაინგარიშონ გადა-  
სახადები.

— ეჭვგარეშეა, რომ შემოსავლებ-  
ის ზუსტი აღრიცხვა, გაზრდილ გადა-  
სახადებს გულისხმობს.

— არ მეგულება ერთი მენარმეც კი,  
რომელიც თავის შემოსავლებს არ აღრიცხ-  
ავდეს. უბრალოდ, ისინი, ვინც აქამდე, საამი-  
სოდ ე.წ. „შავ ბუღალტერიას“ იყენებდნენ,  
სანქციების გამკაცრების შიშით, საკუთარ  
ბიზნესს „გაათეთრებენ“. არსებული კანონმ-  
დებლობით, ინდემნარმედ რეგისტრირებუ-  
ლი პირი, მათ შორის, ბაზრობის მოვაჭრე,  
იხდის საშემოსავლო გადასახადს (12%) და  
სოციალურ გადასახადს (20%). ხოლო მათ,  
ვისი ნლოური ბრუნვა 100 ათას ლარს აჭარ-  
ბებს (დაახლოებით მოვაჭრეების შემთხვევაში კი  
ეს იშვიათად ხდება), კიდევ დამატებული ღირე-  
ბულების გადასახადის გადასადა მოუწევთ.  
სალარო-აპარატი სწორედ ამ გადასახადე-  
ბის ზუსტი აღრიცხვისთვისაა საჭირო.

— რამდენად შესაძლებლად მი-  
გაჩნათ ლია ბაზრობებზე ათასობით  
სალარო-აპარატის გაკონტროლება.

— ჯერ დავინწყებ იმით, რომ სალარო-  
აპარატების გამოყენებისგან თავისუფლებიან  
ის ფიზიკური პირები, ვინც საკუთარ მეურ-  
ნეობაში მონეული სასოფლო-სამეურნეო  
პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს...

— ვინ და როგორ განსაზღვრავს  
გლქია მოვაჭრე თუ ე.წ. დამკვედი?

— რა თქმა უნდა, ეს საგადასახადო ინ-  
სპექციის თანამშრომელმა უნდა განსაზღვროს  
და თუ პირს დაუმტკიცდა, რომ საკუთარ  
მოყვანილს არ ყიდის, შესაძლოა, დაჯარიმი-  
დეს კიდევ. რაც შეეხება ბაზრობებს — იქ  
მხოლოდ დაახლოებით მოვაჭრეები როდი დგანან.  
ასეთ ადგილებში  
სწორად შეხედებით  
მაღაზიის ტიპის  
სტაციონარებს,  
რომელთა მფლო-  
ბელებიც ასევე ვალ-  
დებულნი არიან,  
გამოიყენონ სალა-  
რო-აპარატი.

— ასეთი სა-  
ვაჭრო ობიექტე-  
ბი უკვე დიდი  
ხანია, იყენებენ

სალარო-აპარატებს.

— ძალიან კარგია, თუ ასეა მაღაზიების გარ-  
და, ბაზრობებზე სვადასხვა ტიპის კონტინერი-  
ცაა. რაც შეეხება დახლო მოვაჭრეებს, არ გამ-  
ოვრიცხავ, რომ სალარო-აპარატების გამოყენე-  
ბის შემთხვევაშიც კი, მათი გაკონტროლება  
გართულებდა მაგრამ კანონი გვაგადადებულებს  
და უნდა აღვასრულოთ. თუ როგორ — მო-  
მავალი გვიჩვენებს. თვით ადმინისტრირების პრო-  
ცესი გვიჩვენებს, რამდენად შესაძლებელია ბა-  
ზრობებზე ასეთ რეჟიმში ანარმოო გადასახადე-  
ბის აღრიცხვა.

— ბატონო მამუკა, ალბათ, ერთხელ  
მინც ყოფილხართ ბაზრობაზე და  
გეცოდინებათ, რომ არცთუ ისე იშვი-  
ათად, ასეთი ტიპის სავაჭრო ადგ-  
ილებში, სვადასხვა მიზეზით, უკვე  
რეალიზებული პროდუქციის უკან დაბ-  
რუნება ხდება ხოლმე, რა უნდა ქნას  
იმ მოვაჭრემ, რომელმაც ამ გაყიდ-  
ულ ნივთზე ჩეკი უკვე გამოიწერა და  
შემოსავალიც დააფიქსირა?

— ამ პრობლემას სალარო-აპარატის ექს-  
პლუატაციის წესები არეგულირებს: ასეთ შემთხ-  
ვევაში, გადახედვით და მომხმარებელი ადგენენ  
აქტს, გაყიდული საქონლის უკან დაბრუნების  
შესახებ, მომხმარებელი, თავის მხრივ, აბრუნებს  
ჩეკს, რომელიც სალაროს საბილოო, თვითურ  
ანგარიშს დაერთვება.

— თქვენ რეალურად წარმოგიდ-  
გენათ, ბაზრობის დახლოთ მოვაჭრე  
და მომხმარებელი როგორ ადგენენ  
საქონლის დაბრუნების აქტს?

— თუ ადამიანს საკუთარი ბიზნესი მონე-  
რიგებული აქვს და იცის სალარო-აპარატთან  
მუშაობა, აქტის შედგენაში ვერანაირ პრობ-  
ლემას ვერ ვხედავ. არ გამოვრიცხავ, რომ ად-  
მინისტრირების თვალსაზრისით, დახლოთ  
მოვაჭრეებთან ურთიერთობისას პრობლემები  
იქნება, მაგრამ მოვლენების განვითარებას უნდა  
დაველოდოთ.

— კანონს თანახმად, პირ, რომელიც  
მომსახურებას ახორციელებს ოჯახში,  
დანეხებულებში — მოკლედ, მომხ-  
მარებლის ტერიტორიაზე, — გათავი-  
სუფლებულია სალარო-აპარატის გამოყ-  
ენებისგან, მაგრამ უნდა წარმოადგო-  
ნოს ჩეკთან გათანაბრებული დოკუ-  
მენტი. რა დოკუმენტის წარდგენა ევ-  
ალება, მაგალითად, ტელევიზორის ან





სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების ხელოსანს?

— მან უნდა მიმართოს საგადასახადო სამსახურს, შესაბამისი რეკვიზიტების მითითების შემდეგ, მიიღებს ჩეკების საჭირო რაოდენობას, რომელთა გაცემა ორ პირად მოხდება და თვის ბოლოს, ამ ჩეკებით მოხდება მისი შემოსავლებიდან გადასახადების აღრიცხვა.

— საინტერესოა, ვინ ახორციელებს საკონტროლო სალარო-აპარატების ტექნიკურ მომსახურებას?

— სალარო-აპარატების ტექნიკური სერვისი საგადასახადო ორგანოების კომპეტენციას სცილდება. ეს არის მომხმარებელსა და სალარო-აპარატის რეალიზატორ კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილი. როგორც მოგესტუმრებათ, საქართველოში ასეთი სულ 8 კომპანიაა, მათ შორის ერთი, მწარმოებელიცაა — ის სალარო-აპარატ „ივერს“ უშვებს.

— რა გარანტია აქვს საგადასახადო სამსახურს, რომ მომხმარებელი და კერძო კომპანია არ მორიდდებიან და შეცვლიან აპარატის ფისკალურ მექანიზმებს?

— ჯერ ერთი, სალარო-აპარატის მექანიზმებში შეღწევა მარტივი როდია. გარდა ამისა, საგადასახადო სამსახურის თანამშრომელს თითოეულ აპარატში შეჰყავს ინდივიდუალური პაროლი. ამასთან ერთად, სალარო-აპარატს ექნება ლუქი, რომელიც მისი დაცულობის გარანტიას მოგვცემს.

კომენტარისთვის, ფინანსთა მინისტრსაც მივმართეთ:

— ბაზრობებზე მოვაჭრეთა დიდი ნაწილი სოციალურად შეჭირვებული ადამიანები არიან, მათი პრობლემა სალარო-აპარატებთან დაკავშირებით თქვენთვის მიუღებელია?

ლევან ალექსიშვილი:

— ახალი ინიციატივის თანახმად, ბაზრის ხელმძღვანელობა მის ტერიტორიაზე მოვაჭრეებს ამ აპარატს თავად შეუძენს და დაუმონტაჟებს. ამის შემდეგ თითოეულ მოვაჭრესთან გაფორმდება ინდივიდუალური ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მათი ინტერესიდან გამომდინარე დადგინდება, თუ რა პერიოდში აძლევს მათ ხელს აპარატის თანხის გასტუმრება, ანუ მოვაჭრეებს აპარატის ფასის ერთბაშად, პირველსავე დღეს დაფარვა აღარ მოუწევთ. სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ ბაზრობებზე მოვაჭრეთა დიდი ნაწილი სოციალურად შედარებით შეჭირვებული ადამიანები არიან და მათთვის შეიძლება მძიმე ტვირთი აღმოჩნდეს სალარო-აპარატის თანხის გადახდა, ახალი ინიციატივა მისასალმებელია. ვფიქრობ, ამით მოიძებნა ის ვარიანტი, რომელიც მისაღები უნდა იყოს ორივე მხარისთვის. კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლისა და უკონტროლო პროდუქციის ბრუნვის აღკვეთით, მოვაჭრეები თავად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი. ეს ბაზრობების ადმინისტრაციების ინტერესებშიც შედის, რადგან ხშირ შემთხვევაში, ხელმძღვანელ პირებსაც არ გააჩნიათ ზუსტი ინფორმაცია მათ ტერიტორიაზე არსებული ბრუნვის, მოგებისა და სხვა საბაზრო მონაცემების შესახებ. მოკლედ, ჩვენ ვებრძვით ჩრდილოვან ეკონომიკას და საკითხის პოლიტიკურად სრულიად უადგილოა. ■

# დავა „ფეროს“ გაყო

## აქციონერები ქარხანას ვერ იყოფენ

„ფეროს“ აქციონერთა შორის დაპირისპირება გრძელდება. ავსტრიული კომპანია „დი-ეს-ემ დეკა მეტალის“ წარმომადგენელი გიგა ბედინიშვილი ქარხნის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელს, ბრიტანულ „სტემკორს“ გენერალური დირექტორის კაბინეტს არ უთმობს და მათთან თანამშრომლობაზეც უარს აცხადებს. მენიშეები ერთმანეთს სიცრუესა და დეზინფორმაციის გაფრცელებაში ადანაშაულებენ. როგორც „სტემკორი“, ასევე „სელრომექსიცი“, სანარმოს მართვაზე აცხადებს პრეტენზიას და ორივე მენიშე მუშაობის გაგრძელებაზე ნებართვის მოსაპოვებლად მოლაპარაკებებს ანარმობებს მთავრობის წევრებთან. „დი-ეს-ემ დეკა მეტალმა“ საქართველოს მთავრობას უკვე შესთავაზა „ჭიათურმანგანუმისა“ და „ვარციხეშის“ შესყიდვა. ავსტრიული კომპანია მზადაა, ამ ობიექტებში 100 მილიონი დოლარი გადაიხადოს და ამის სანაცვლოდ, „ფეროსში“ მუშაობის უფლება მოიპოვოს. „ჭიათურმანგანუმ-ვარციხეშის“ პაკეტის შეძენის სურვილს, ბრიტანელებიც გამოთქვამენ. გაიზიარა თუ არა საქართველოს მთავრობამ ბრიტანელების შეთავაზება, უცნობია, რადგან „სტემკორის“ წარმომადგენლები მოლაპარაკებების დეტალებს არ ახმაურებენ. მოლაპარაკებების თაობაზე კომენტარს არც სახელმწიფო კანცელარიაში აკეთებენ.

### ნონა ქვიციანიძე

„სტემკორის“ წარმომადგენლები ზესტაფონში 23 თებერვალს გამოჩნდნენ, მაგრამ მათ ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში შესვლა ვერ მოახერხეს. როგორც „სტემკორის“ წარმომადგენელი, ალექსანდრე ანთაძე ამბობს, ახალი სამეთვალყურეო საბჭოს რეგისტრაციაში გატარებამდე, დირექტორის მოვალეობას ის შეასრულებს, რეგისტრში გატარების შემდეგ კი, უკვე გენერალური დირექტორის თანამდებობას დაიკავებს. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას ახალი მენეჯერონე — ბრიტანული კომპანია „სტემკორი“, 15 თებერვლიდან გამოუჩნდა. „სტემკორმა“ „ფეროს“ აქციათა 96,3 პროცენტის მფლობელი — კომპანია „სელრომექსიცი“ 73,12-პროცენტის ნილი შეიძინა. იმის გამო, რომ „სელრომექსიცი“ 26,88-პროცენტის ნილი ავსტრიულ კომპანია „დი-ეს-ემ დეკა მეტალს“ ეკუთვნის, ის კვლავაც ქარხნის აქციათა სრულფლებიან მენიშედ ითვლება.

არაოფიციალური ინფორმაციით, ბრიტანულმა კომპანია „სტემკორმა“ „სელრომექსიცი“ 33 მილიონი დოლარი გადაიხადა. ბრიტანული კომპანია სპილენძისა და კოქსის ერთ-ერთი უმსხვილესი დისტრიბუტორია მსოფლიოში. გარდა ამისა, საქმიანობს მარკეტინგის, ლოჯისტიკისა და გაყიდვის სფეროებში. **ზიზა კვიციანიძე** (ქარხნის ადვოკატი):

— იურიდიულად „ფეროს“ მფლობელი კვლავ — „სელრომექსიცი“, რომელსაც ახალი მენეჯერონე ჰყავს „სტემკორის“ სახით. გაიყიდა არა ქარხნის აქციები, არამედ მისი მესაკუთრის „სელრომექსიცი“ აქციები. „სელრომექსიცი“ კვიპროსშია რეგისტრირებული, ამიტომ მას საქართველოსთან კავშირი არა აქვს და ბუნებრივად, საქართველოს კანონმდებლობა მის გაყიდვას ხელს ვერ შეუშლიდა. ქარხანაში არსებულ დარ-

ღვევებზე თუ ასეთი რამ დადასტურდება, არც ახალი მენეჯერონე აგებს პასუხს და არც „სელრომექსიცი“, რადგან აქციონერთა წინაშე თავად ქარხანა პასუხისმგებელი ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი თუ დადგება, რაშიც ეჭვი მეპარება, პასუხს აგებს სანარმოს მენეჯმენტი და არა „სელრომექსიცი“ ან მისი მფლობელი „სტემკორი“.

აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელ „სტემკორის“ გადაწყვეტილებით, „ფეროს“ სამკაცინი სამეთვალყურეო საბჭო უხელმძღვანელებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, დევიდ ფეტორის თქმით, რომელიც „სტემკორის“ მმართველი დირექტორია და მის საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებზე აგებს პასუხს, საქართველოს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, თბილისში გასულ ოთხშაბათს ჩამოვიდა. როგორც ფეტორი ამბობს, „ფეროს“ ბიზნესშესაძლებლობებმა სოლიდურ ბრიტანულ კომპანიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მის შესყიდვას ამიტომ დათანხმდა.

### დავიდ ფაქტორი:

— იმედი გვაქვს, მთავრობა სანდო პარტნიორად ჩავგვთვლის და დაგვეხმარება იმ მიზნების განხორციელებაში, რაც „ფეროსში“ გვაქვს. ქარხანამ მუშაობა რომ განაახლოს, ამისათვის ნედლეულით უმოკლეს ვადებში მოვამარაგებთ. გარდა ამისა, ინვესტიციების განხორციელებას ვეგმავთ ენერგეტიკაში და მადნის მოპოვებაში. მზად ვართ ინვესტიციები განვახორციელოთ ჰესების მშენებლობაშიც. რადგან „ფეროს“ ეფექტური მუშაობისთვის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა და მადნეულით მომარაგება ესაჭიროება, ინტერესი „ჭიათურმანგანუმის“ მიმართაც გვაქვს. „სელრომექსიცი“ „ფეროს“ აქციათა 96,3 პროცენტს ფლობს. „დი-ეს-ემი“ რჩება „სელრომექსის“ აქციონერად და ამ კომპანიაში აქციათა 26,88 პროცენტს ფლობს, ამიტომ მას უფლება აქვს, მართვაში მონაწილეობდეს.



ამჟამად „სტემკორი“ აკონტროლებს „სელრომექსის“ ბალანსს და „ფეროს“ მართვის პაკეტს განაგებს. თუმცა, მიგვაჩნია, ქარხანამ მოგება ყველა აქციონერს უნდა მოუტანოს, რაც არ უნდა მცირე ნილს ფლობდეს.

— მთავრობასთან მოლაპარაკებას „დეკა მეტალის“ წარმომადგენლები ცალკე აწარმოებენ. ისინი შეხვედნენ პრემიერ-მინისტრს და საკუთარი წინადადებები შესთავაზეს. ამის შესახებ თუ არის თქვენთვის ცნობილი და გიგა ბედინიშვილს თუ ესაუბრეთ?

— წარმოდგენა არ მაქვს, რა შესთავაზა „დი-ეს-ემმა“ მთავრობას. თუ სწორი ინფორმაცია მაქვს, გიგა ბედინიშვილმა განაცხადა, რომ ის ქარხანაში მონიტორინგს ახორციელებდა და არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია, იმ უბრალო მიზეზით, რომ მას ამის უფლებაც არ გააჩნდა. რა თქმა უნდა, ჩვენ გვინტერესებს, რა წინადადება მისცა საქართველოს მთავრობას და რადგანაც ჩვენ ერთად ვაკონტროლებთ ამ ქარხანას, წელიწად-ნახევარია, რაც „ფეროსი“ მიმდინარე სიტუაციას ვსწავლობთ. გასული წლის განმავლობაში, რამდენჯერმე შეხვედი საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს.

ლებმა შიმშილობა დაიწყო ქარხანაში ბედინიშვილის მისვლასთან დაკავშირებით, მაგრამ მე არ მინდა, რომ ბედინიშვილს დავადო ხელი, ვერ ვიტყვი, რომ იგია დამნაშავე. თუმცა, ვერ ვიცხოვრებდი მშვიდად, ჩემ გამო ვილაცას შიმშილობა რომ დაენყო.


— თუ არის გადაწყვეტილი, ვინ დაინიშნება ქარხნის გენერალურ დირექტორად და ვინ უხელმძღვანელებს საწარმოს?

— ჩვენი აზრით, უკეთესი იქნება, თუ მას ადგილობრივი კადრებით დავაკომპლექტებთ. კომპანიის წარმომადგენლები კი, კონსულტანტებად იმუშავენ მათთან. ქარხანას სამი წარმომადგენლისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო უხელმძღვანელებს.

დევიდ ფეტორისგან განსხვავებით, „სტემკორის“ წარმომადგენლებთან ურთიერთობას არ აპირებს გიგა ბაღინიშვილი.

— აქციონერთა უფლებების დარღვევებით მოსულ ხალხთან თანამშრომლობას არ ვაპირებ. მათ აქციები ისე გაყიდეს, აქციონერებისთვის არაფერი უკითხავთ. „სტემკორის“ მიერ აქციების გაყიდვა არც ფიზიკურად და არც იურიდიულად გაფორმებული არ არის. ამიტომ მას ქარხნის მმართველად არ ვთვლით. „სელრომექსმა“ აქციები ისე გაყიდა, აქციონერებისთვის არაფერი უკითხავს. ამით მათი უფლება დაირღვა. მართალია, ისინი აქციითა 50 პროცენტზე ნაკლებს ფლობენ, მაგრამ მათი უფლებების უგულვებელყოფა დაუშვებელია. ასე იქცეოდა ადრე „სელრომექსი“, ახლა „სტემკორიც“ იმავეაირად იქცევა.

— თავად „სტემკორის“ წარმომადგენლები აღიარებენ, რომ



თქვენ გაქვთ უფლება, ქარხნის მართვაში მონაწილეობდეთ და მზად არიან, „დეკა მეტალთან“ ითანამშრომლონ...

— დიდი მადლობა, ამას მაინც თუ აღიარებენ. სამაგიეროდ, ჩვენ არ ვალიარებთ მათ მოსვლას, რადგან საკუთრების უფლება არა აქვთ გაფორმებული და რეგისტრირებული. ვიდრე სამეთვალყურეო საბჭო საჯარო რეესტრში არ არის გატარებული, ის თავის უფლებამოსილებას ვერ განახორციელებს და ვერც გენერალურ დირექტორს დანიშნავს. ამიტომ, მათი საქციელი თვითმარქვიობაა და მეტი არაფერი. ასეთ ბანდიტურ ცვლილებას რეგისტრაციაში არასდროს გაატარებენ.

— „სტემკორის“ წარმომადგენლებთან ადრე თუ გვიანათ ურთიერთობა?

— ურთიერთობა არ გვექონია, მაგრამ შევხვდით, როცა პრეზიდენტის მრჩეველი ვიყავი ეკონომიკურ საკითხებში.

— თქვენ, როგორც „დეკა მეტალის“ წარმომადგენელი, უკვე შეხვედით მთავრობის წარმომადგენლებს. რა წინადადებები შესთავაზეთ მათ?

— ჩვენ მზად ვართ, შევიძინოთ „ჭიათურმანგანუმი“ და „ვარციხეჰუსი“. რაც შეეხება ფასს, როგორია მთავრობის მოლოდინი, ვიცით და ჩვენი შეთავაზება 100 მილიონ დოლარზე ნაკლები არ იქნება.

გიგა ბედინიშვილი გენერალური დირექტორის კაბინეტის დატოვებას არ აპირებს და აცხადებს, რომ ქარხანაში მანამ დარჩება, ვიდრე მაკონტროლებლები ფინანსური დოკუმენტაციის რევიზიას დაასრულებენ. ფინანსური პოლიცია, რომელიც ძველ დირექტორატს ბიუჯეტის კუთვნილი 90 მილიონი ლარის დამალვაში ადანაშაულებს, საწარმოს ბუღალტერიის შემოწმებას აგრძელებს. როდის დაასრულებს იგი „ფეროსს“ რევიზიას, ჯერჯერობით უცნობია, რადგან ფინანსურ პოლიციაში ამის თაობაზე კომენტარს არ აკეთებენ.

# მინდა ყველამ იცოდეს, რომ არაფრის მოპარვას არ ვაპირებთ. არავის წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ ცხადია, ქარხანა ისე ველარ გააგრძელებს მუშაობას, როგორც გასულ წლებში მუშაობდა.

გნებებს. მინდა ყველამ იცოდეს, რომ არაფრის მოპარვას არ ვაპირებთ. არავის წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ ცხადია, ქარხანა ისე ველარ გააგრძელებს მუშაობას, როგორც გასულ წლებში მუშაობდა.

— თუ შეხვედით ბედინიშვილს და თუ გარკვეულ მასთან ურთიერთობა?

— მას ბოლოს, წელიწად-ნახევრის წინ შეხვდით. ის მას შემდეგ არ დაეკავშირებია, თუმცა დიდი სიამოვნებით შეხვდებოდით, რადგან მზად ვართ, ნებისმიერ მხარესთან ვითანამშრომლოთ. ვიცი, რომ თანამშრომ-

იდვა არც ფიზიკურად და არც იურიდიულად გაფორმებული არ არის. ამიტომ მას ქარხნის მმართველად არ ვთვლით. „სელრომექსმა“ აქციები ისე გაყიდა, აქციონერებისთვის არაფერი უკითხავს. ამით მათი უფლება დაირღვა. მართალია, ისინი აქციითა 50 პროცენტზე ნაკლებს ფლობენ, მაგრამ მათი უფლებების უგულვებელყოფა დაუშვებელია. ასე იქცეოდა ადრე „სელრომექსი“, ახლა „სტემკორიც“ იმავეაირად იქცევა.

— თავად „სტემკორის“ წარმომადგენლები აღიარებენ, რომ

**პრეპარატი ფენსი** გაძლევეთ უნიკალურ შანსს

**ფსორიაზი** ენფეთ **საუკუნოვანი** **მგზავა** გამორღილებს!

**ნეიროდერმიტი**

**სეპორა** **იკითხეთ**

**ოქსორნალეთ** **უფთიაქაზი**

საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მაღამოს საშუალებით


სახელი ხაზი: 39 66 03

მაკრანლოზაგა 7 კვირის შემდეგ

მაკრანლოზის შავი



# ორი წლის წინ ფრინველის გრიპს ევროპაშიც არც მიუღწევია...



თებერვლის დამლევს, პარიზში სასაოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნაზე გამოსვლისას, საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა თანამოქალაქეებს მოუწოდა — ფრინველის გრიპს გამო პანიკას ნუ მიეცემით და ნურც ქათმის სორცის მირთმევისგან შეიკავებთ თავს, რადგან ვირუსი — H5N1 სრულიად ნადგურდება 70-გრადუსიანი დამუშავების შედეგად... შირაკი იმ ქვეყნის მეთაური გახლავთ, სადაც ევროკავშირში პირველად დაფიქსირდა შინაური ფრინველის მასობრივად დაავადების შემთხვევები. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ დეპარტამენტ ენის ტერიტორიაზე მდებარე მეფრინველეობის ფერმაზე აღნიშნული ვირუსისგან 11 ათასი ინდაური ამოწყდა.

გრიპისგან გარეული ფრინველის დაღუპვის შემთხვევები ევროპის არაერთ ქვეყანაში მოხდა. ჩვენი მეზობელი სახელმწიფოებიდან ბოლო ინფორმაცია, რომელიც ასევე გარეული ფრინველის დასნებოვნებას შეეხება, რუსეთიდან მოვიდა: ინფექციის კერები ყაბარდო-ბალყარეთში, დაღესტანში, ჩეჩნეთში, ყალმუხეთში, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებში დაფიქსირდა. რუსეთის ფედერაციის მთავრობამ გრიპთან საბრძოლველად, საგანგებო შტაბი შექმნა და მის ხელმძღვანელად, პირველი ვიცე-პრემიერი, დმიტრი მედვედევი დანიშნა. 15 მარტიდან, მოსკოვში, ზოოპარკსა და სხვა ზოოდანესებულებებში, სადაც ფრთოსნები ბინადრობენ, მათი ვაქცინაციის დაწყებას აპირებენ. შინაური ფრინველის მასობრივი ვაქცინაციისთვის მზადყოფნას აცხადებენ აგრეთვე საფრანგეთისა და პოლანდიის ხელისუფალნიც.

ბუნებრივია, სხვადასხვაგვარ პრევენციულ ზომას იღებენ ყველა ქვეყანაში, სადაც ქათმის გრიპის შემთხვევები დაფიქსირდა ან ეს საშიშროება მეზობლის ტერიტორიიდან თუ გადაამფრენი ფრინველებისგან ემუქრებათ. თუმცა, ყველგან ხელისუფალნი ცდილობენ, დაამშვიდონ მოსახლეობა, რადგან პანიკა მხოლოდ დამამძიმებს სიტუაციას. თავის დასამშვიდებლად კი, სხვა ფაქტორებთან ერთად, ალბათ, ისიც შეიძლება მოვიშველიოთ, რომ ფრინველის გრიპის პირველი მასობრივი გავრცელება 2003-2004 წლების მიჯნაზე მოხდა, მაგრამ მას პანდემია არ მოჰყოლია, უფრო მეტიც — ვირუსს ევროპამდე არც მიუღწევია.

ვირუსის გავრცელების არეალის შესახებ საინტერესო ინფორმაცია შემოინახა იმდროინდელმა პრესამ, კერძოდ: ფრინველის გრიპის შტამი — H5N1 პირველად აღმოაჩინეს 1997 წელს, ჰონკონგ-

ში. მაგრამ ადამიანთა მასობრივად დაავადებას 2003 წელს, სამხრეთ კორეაში ჰქონდა ადგილი. ვირუსი გავრცელდა: ჩინეთში, ვიეტნამში, ტაილანდში, ლაოსსა და ინდონეზიაში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2003 წელს, 6 ქვეყანაში ქათმის გრიპით ადამიანის დასნებოვნების სულ 169 შემთხვევა აღირიცხა, 91 დასნებოვნებული გარდაიცვალა.

წელულს, ფრინველის ვირუსისგან ადამიანთა დაღუპვის შემთხვევათა რიცხვი გაცილებით ნაკლებია. ლეტალური შედეგები დაფიქსირებულია ინდონეზიაში, ჩინეთში, ეგვიპტეში, ნიგერიაში. პრევენციული ზომების სათანადოდ დაცვის შემთხვევაში, სასეებით შესაძლებელია, ახალი მსხვერპლის თავიდან აცილება. პრევენციულ ზომებს შორის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, ყველგან, მოსახლეობის ინფორმირებულიობას მიიჩნევენ. „მოსახლეობამ უნდა დაიცვას ის წესები, რომელთა დაცვისკენაც მოუწოდებთ. არ უნდა იქონიონ უშუალო კონტაქტი გარეულ ან შინაურ დაავადებულ ფრინველთან. თუ საეჭვო, მომკვდავ ფრინველს ნახავთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეხოთ მას, მოუხმეთ შესაბამის სამსახურებს. ვისაც შინაური ფრინველი ჰყავს, უნდა უზრუნველყოს მათი ისეთ გარემოში ყოფნა, რომელიც გამორიცხავს კონტაქტს გარეულ ფრინველთან. ამავე დროს, აუცილებელია, მოვარიდოთ ბავშვები რისკ-ზონებსა და ფაქტორებს“, — განაცხადა „კვირის პალიტრის“ კორესპონდენტთან საუბრისას, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა **ლადო ჭიკაბიძემ**.

„მინდა დავამშვიდო მოსახლეობა, რომ პანიკის საფუძველი არ არის, ნურც აჭარაში მომხდარი შეგავსინებს. განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს მანამ, სანამ ფრინველთა გადაფრენა-გადმოფრენა

დასრულდება ანუ გაზაფხულსა და შემოდგომაზე. H5N1-ის არსებობა მხოლოდ ხელვაჩაურის რაიონში, ადლიის ტბის ნაპირზე აღმოჩენილ დაცემულ ფრინველში დადასტურდა. დაავადების ადგილიდან 3 კილომეტრის რადიუსში ვაქცინაციის დეზინფექციას, გამოვაცხადეთ კარანტინი, ვსოცავთ შინაურ ფრინველს. საგანგებო რეჟიმი შემუშავდა ბაზრებისთვის, სადაც კატეგორიულად აიკრძალა ცოცხალი ფრინველით ვაჭრობა. რაც შეეხება დაკლულით ვაჭრობას, იგი დაშვებულია ყველგან, ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტის სამსახურის შემოწმების შემდეგ. ქათმის ფერმებიც საფუძვლიანადაა დაცული, რომ გადაამფრენი ფრინველისგან ვირუსმა არ შეაღწიოს“, — გვამშვიდებს ვეტერინარიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ჰამბულ გალდაქლიძე**. და, ბოლოს, კიდევ რამდენიმე რჩევა — ამჯერად, ფიტოთერაპევტ **ნანული ნაჭყიაისგან**: „სასურველია, მიირთვათ C ვიტამინით მდიდარი პროდუქტი. სურდოს ან ჩვეულებრივი გრიპის დროს, გირჩევთ, სცადოთ ნატურალური საშუალებებით ორგანიზმის გამაგრება“.

სხვადასხვა ქვეყანაში, როგორც ფრინველის, ისე ადამიანისთვის განკუთვნილი ვაქცინების შემუშავება მიმდინარეობს. ამავე დროს, სპეციალისტების აზრით, ვაქცინაცია სარისკო ღონისძიებაც გახლავთ, რადგან ვაქცინა ჩვეულებრივ, მასში ჩადებულ 2-3 ტიპის შტამზე მოქმედებს და სხვებისგან ხსნის საშუალებას არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, თუ სიმართლეა ის, რომ თურქეთში იანვარში დატრიალებულმა ვირუსმა მუტაციის პროცესი უკვე განიცადა, სადღეისოდ არსებული ვაქცინა მასთან საბრძოლველად აღარ გამოდგება. ამიტომ, კვლევები სამეცნიერო ლაბორატორიებში გრძელდება... ■





მკითხველის წინაშე ბატონ თამაზ ჭილაძის წარდგენა არ სჭირდება. მწერალმა უკვე კარგა ხანია დიიმიტასურა ხალხის სიყვარული და პატივისცემა. 5 მარტს, ბატონ თამაზს 75 წელი უსრულდება. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, შინ ვესტუმრეთ და შემოქმედს, რომელიც მუდამ თავს არიდებს ჟურნალისტებთან შეხვედრას, ინტერვიუ „გამოცეფეთ“...

# „ჩემი სული საქართველოს რუკას დაუმბეჭდეს — ოკუპანტისგან დაგლეჯილ რუკას...“

„დღეს არა მარტო ბევრ რამეზე პასუხი არ ვიცით, კითხვებიც გამოგველია“

## თამაზა კვინიკაძე

— ბატონო თამაზ, ჩვენი ჟურნალის სახელით გილოცავთ იუბილეს. როგორ აღნიშნავთ ხოლმე ამ დღეს?

— დიდი მადლობა მოლოცვისთვის! ამ დღეს განსაკუთრებულად არ აღვნიშნავ. თუ ვინმე მესტუმრება, სიამოვნებით მივიღებ.

— გვიამბეთ თქვენს ოჯახზე.

— რა შეიძლება ვთქვა ჩემს ოჯახზე?.. ჩვენ ცხოვრობთ სამივენი ერთად: ჩემი და — თინა, ოთარი და მე. რაც მთავარია, ერთად ყოფნა გვიხარია...

— თქვენი ნაწარმოების პერსონაჟები ძირითადად, ახალგაზრდები არიან. რას გვეტყვით დღევანდელ ახალგაზრდობაზე?

— არც ერთი თაობა ერთმანეთს არ ჰგავს და ამავე დროს — ჰგავს კიდევ. ჩვენ გენეტიკური ღერძი გვაქვს საერთო, რაც ერთმანეთთან გვაახლოებს და გვამსგავსებს: ქვეყნის ისტორია, კულტურა, ადათ-წესები. ჩემი თაობის ახალგაზრდობასა და დღევანდელ ახალგაზრდობას შორის არის მსგავსებაც და თვალში საცემი განსხვავებაც.

— რა არის თვალში საცემი განსხვავება?

— ჩემი თაობა ალბათ, უფრო ინტელექტუალური იყო, ვიდრე დღევანდელი. ჩემს ახალგაზრდობაში, ნაწარმოებით ფასდებოდა მწერალი. დღეს კი, შეიძლება, არაფერი დაწერო და მაინც მწერალი გერქვას. ტელევიზორში თუ მწერლად გამოგაცხადებენ, ბევრს უკვე მართლა მწერალი ჰგონიხარ... ეს არა მარტო მწერლობის დევალაციაა, არამედ — ახალგაზრდა თაობის. ამას შეიძლე-

ბა, ზოგიერთ შემთხვევაში, ახალგაზრდები ვერ ხვდებოდნენ, იმიტომ, რომ სიტუაციის ეიფორიის ვარდისფერი ბურუსი უშლით ხელს. ეს არაფერია, უსათუოდ გაივლის... ჩემი ნათქვამი, რასაკვირველია, ყველას ერთნაირად არ ეხება, მაგრამ დაკონკრეტებას ნუ მომთხოვთ. საერთოდ, დიდი იმედი მაქვს დღევანდელი ახალგაზრდობის.

— დღეს, შემოქმედს რამდენად აქვს ხელშეწყობა სახელმწიფოსგან?

— ამ შემთხვევაში, არ შემიძლია არ გითხრა და არ გამოვხატო ჩემი გულისტკივილი — რომელ ხელშეწყობაზეა ლაპარაკი?! დახურეს „მნათობი“, „ცისკარი“, „დილა“... არ მეგონა, რომ ასე მოხდებოდა. ამის დაჯერება ჩემთვის ტრაგედიის ტოლფასია. ის, რითაც ჩვენი ერი თავს იწონებს და იმედია, მომავალშიც მოიწონებს, ამ ჟურნალებშია დაბეჭდილი. „მნათობს“ თბილისის სამოქალაქო ომის დროს დაეწვა ბინა. მთლიანად განადგურდა ძვირფასი ხელნაწერები, დაინვა „მნათობის“ ბიბლიოთეკა. ამ ჟურნალის თაობაზე, ღია წერილი გავუგზავნე ჩვენს ხელისუფლებას, მაგრამ — ამაოდ... ამავე დროს, გული მწყდება ჟურნალისტებზე. მათ ჩვენთვის მხარი უნდა დაეჭირათ: ჩვენ ხომ კოლეგები ვართ! რატომღაც, ხმა არ ამოიღეს. ამას ვერ ვიტყვი „იმედის“ ტელევიზიაზე. არ დაგიმალავთ — ძალიან მიკვირს და გული მწყდება. მეგონა, ხალხის რეაქციაც მწვავე იქნებოდა. „მნათობი“ ხომ კულტურის ძეგლია! იგი ხალხს ეკუთვნის და არა მხოლოდ მის რედაქციას. ხელისუფლების გულგრილობის კი, ნამდვილად არ მიკვირს...

— რატომ?

— თქვენი „ვერაგული“ კითხვით, მესმის, საიტკენაც მიბძებო, მაგრამ ვერ ამიყოლიებთ. მე პოლიტიკაში არ ვერევი. ამავე დროს, მჯერა — მე და ოთარი ვემსახურებით ყველაზე დიდ პოლიტიკას — ქართულ კულტურას. ძალიან ბევრ რამეზე ვარ გულნატკენი. ერი დაიქსაქსა თუ დაქსაქსეს?.. სულიერი სეპარატიზმი მოგვერია. ჩვენი სული საქართველოს რუკას დაამსგავსეს — ოკუპანტისგან დაგლეჯილ რუკას. დღეს, არა მარტო ბევრ რამეზე პასუხი არ ვიცით, კითხვებიც გამოგველია...

— ბატონო თამაზ, მომავლის რწმენა ხომ არ დაგიკარგავთ?..

— არა, ღმერთმა დამიფაროს, მომავლის არ მჯეროდეს!..


— თქვენ დიდი წვლილი მიგიძღვით ქართული დრამატურგიის განვითარების საქმეშიც. რას გვეტყვით თანამედროვე დრამატურგებზე?

— სამწუხაროდ, თეატრებშიც ძალზე მძიმე მდგომარეობაა. რამდენიმე დღის წინ გახლდით ვაკის „თეატრალურ სარდაფში“, ველაპარაკე ამ თეატრის მესვეურებს და იმედი ჩამესახა: მე მჯერა — ახალი „სარდაფებიდან“ უნდა აღმოცენდეს ახალი ქართული თეატრი, რადგან ხალხის უთეატროდ დატოვება არ შეიძლება, მაშინ მართლა დავიღუპებით. რაც შეეხება ახალგაზრდა დრამატურგებს — უკვე 25 წელია, დიდი გაჭირვებისა და წვალბის მიუხედავად, ვატარებ ყოველწლიურად ახალგაზრდა დრამატურგების სემინარს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს გვყავს ბევრი ნიჭიერი დრამატურგი.



— თქვენი მუზა?

— ჩემი მუზა — ქართული ენაა. ტიციანს აქვს ასეთი სტრიქონი: „ლექსითვითონ მწერს...“ ენა მწერლის შთამბგონებელი, ამოდის და ამოდის მისი სტიქიდან სახეები, მეტაფორები... უმდიდრესი ენა გვაქვს, რომელიც ამჟამად, ხომ ხედავთ, რას დაამსგავსეს?! როგორ ლაპარაკობენ ტელეეკრანებიდან — ფაქტობრივად, ქართული სიტყვებით და რუსული სინტაქსით! მთავარი კი, სინტაქსია — იგი არა მარტო ენის, არამედ ერის სულის კონსტრუქციაცაა. ტელევიზიებში ასეთ შეცდომებს არ უნდა უშვებდნენ, რადგან მას დიდი გავლენა აქვს ხალხზე. სამწუხაროდ, ქვეყანაში კულტურული დონე დაქვეითდა და ის, რაც გვჭირს, ამის ბრალია. პროვინციალიზმ-



ქალია ქართული სუფრის ემზი და სილამაზე

მა გაიმარჯვა. მე ერთგან მიწერია და თქვენთანაც გავიმეორებ: პროვინცია, ხალხის სამშობლოა, პროვინციალიზმი კი — ბრბოსი.

— დაბადების დღეს, თქვენს ოჯახში ალბათ, პატარა სუფრა მაინც იშლება ხოლმე. ქართული სუფრის ფენომენზე ხომ არ გვესაუბრა?

— დღეს, ქართული სუფრა აღარ არსებობს. არა მარტო ქართული, ნებისმიერი სუფრა ადამიანებით არის საინტერესო. ეს მაინც არ გვეშლებოდა ქართველებს, სუფრის ფასი ვიცოდით. ქალია ქართული სუფრის ემზი და სილამაზე. და დღეს თუ ქალს არ მივაკარებთ, ან თუ მივაკარებთ და სათანადო პატივს არ ვცემთ, მაშინ ასეთ სუფრას ფასი აღარ ექნება...

— „სულ ერთმა ჭიქამ დაბართო ასე...“ — ამბობთ ერთ-ერთ ლექსში. ცხოვრებაშიც თუ დამთვრა-

ლხართ ერთი ჭიქით?

— როგორ არა?! პირველ ჭიქაზე ყოველთვის ვთვრებოდი და მერე ვფხიზლდებოდი ხოლმე. მაგრამ დამერწმუნეთ, არა მარტო ერთი ჭიქით — ზოგჯერ, შეიძლება, უღვინოდაც ისე დათვრე. გააჩნია, ვინ ზის სუფრასთან...

— პირველი სიყვარული გაიხსენეთ.

— პირველად, 6 წლის ასაკში შემეყვარდა ერთი გოგონა, საბავშვო ბაღში.

— როგორ გამოხატავდით ამ სიყვარულს?

— გამოხატავდი კი?! მერეც მიყვარდა, რამდენჯერმე. ვფიქრობ, რომ სანამ სიყვარული შეგიძლია, მანამდე ხარ ადამიანი.

— ჭეშმარიტი სიყვარული ერთ-ერთ მოდისო, — ამ აზრს არ ეთანხმებით?

— არა. ეს ლამაზად ნათქვამი სიტყვებია და მეტი არაფერი. სიყვარულმა არითმეტიკა არ იცის...

— რაიმე ეპიზოდს ხომ ვერ მოგვიყვებოდათ თქვენი ცხოვრებიდან?

— კიდევ კარგი, არ მითხარი — კურიოზო! დღეს ჟურნალისტებს ორი რამ აინტერესებთ, კურიოზი და აგრესია...

— თქვენი წაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: „შენი ცხოვრებაც კროსვორდით იქნება თავიდან ბოლომდე ამოხსნილი და შევსებული... და შენც შიგ, ამოხსნილი ოცნებების ერთფეროვნებაში იქნები შემძვრალი და შეკეტილი“. როგორ უნდა ვიცხოვროთ, რომ ასე არ დაგვემართოს?

— მე ჭკუის დამრიგებლად ვერ ვივარგებ. იმიტომ, რომ თვითონ არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო. ვიცი მხოლოდ ერთი რამ: დალაგებულ და საათივით აწყობილ არსებობას, ცხოვრებას ვერ დაარქმევ. ერთფეროვანი ოცნება ხომ საშინელებაა! ჩვენ ოცნებით ვართ მდიდრები. ადამიანს შეიძლება, ყველაფერი წაართვა და აუკრძალო, ოცნების გარდა. როგორიცაა შენი ოცნება, ისეთივე ხარ შენც.

— მკითხველისთვის საინტერესო იქნება, რაზე ოცნებობს თამაზ ჭილაძე...

— „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!“ — თქვა ვაჟამ. მეც ამაზე ვოცნებობ — ჩემი ქვეყნის უკეთეს მომავალზე, ქვეყანაზე, სადაც ყველანი ისე ვიცხოვრებთ, როგორც ოცნებაში წარმოგვიდგენია...

„...ეექსტაზით, იცინეთ, იცინეთ,“

ნოცა ძე ნაჯალ

„მე ბედნიერი ვარ იმით, რომ მინდა, ვიყო ბედნიერი. აბსოლუტურად ბედნიერი ადამიანი არ არსებობს, ეს სიცრუეა. ყველაზე ბედნიერი ალბათ, სიკვდილის მერე არიან... აბსოლუტური არაფერი არსებობს. არსებობს მხოლოდ მიდრეკილება და სურვილი ბედნიერების. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, ბედნიერი ვარ. როცა ეს სურვილი ქრება, ადამიანი, ფაქტობრივად კვდება“, — ამბობდა ირაკლი ჩარკვიანი 2005 წლის იანვარში, ჟურნალ „გზისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. ამის შემდეგ, ის გახდა „მეფე“. გამოსცა ავტობიოგრაფია — „სიტყვა მეფისა ერთისა“, რომლის პრეზენტაციაც, სამწუხაროდ, ველარ მოასწრო, და ამზადებდა ალბომს — „ძირს მეფე!“.


მუსიკოსის მეგობრები და ახლობლები ხაზს უსვამენ იმას, რომ ირაკლი ბავშვივით გულუბრყვილო იყო. თვითონაც ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში: „ვთვლი, რომ მე საერთოდ, დაფრჩი ბავშვად. იმიტომ, რომ ვისაც ვუყურებ, ისინი უფრო დაბერდნენ, ვიდრე მე. ადამიანების უმრავლესობა 20 წლის მერე ბერდება. ეს ქალებში განსაკუთრებით ჩანს ხოლმე. მამაკაცებშიც ასეა. მე ბავშვი ვარ და ვიქნები. არასოდეს დაებერდები, იმიტომ, რომ არ მინდა“.

ირაკლიზე სასაუბროდ, მის მეგობარს, პოეტ აკოტი მუხამანიშვილს დავუკავშირდი.

ნათია თენიშვილი

90-იანი წლების დასაწყისში ირაკლი ჩარკვიანისა და კოტე ყუბანიშვილის მიერ შექმნილმა „რეაქტიულმა კლუბმა“ საზოგადოებაში შოკი გამოიწვია. ეს ადამიანები იმ დროისთვის უცნაური ლექსებით უარყოფდნენ ყველაფერს ძველს და ამკვიდრებდნენ რალაცას ახალს. ბატონი კოტე ამბობს, რომ აუცილებლად გასაველეელი იყო გზა რომანტიზმიდან მოდერნიზმამდე და ეს, ირაკლი ჩარკვიანთან ერთად, მანაც აიღო საკუთარ თავზე. ისინი ერთმანეთთან უფრო მეტ დროს ატარებდნენ, ვიდრე თავიანთ ცოლებთან, რაც ხშირად, რა თქმა უნდა, ცოლების უმეყოფილებას იწვევდა.





— ირაკლი ლიძავაში გაცივანი, დიდი ხნის წინ. იქ ჩემს ბევრ ახლობელს ჰქონდა სახლი. ისინი მხოლოდ ზაფხულობით ისვენებდნენ, მე კი, მთელი წელი იქ ვცხოვრობდი, ხან ერთ სახლში, ხან — მეორეში და მხოლოდ ცუდი ამინდის დროს ჩამოვდიოდი თბილისში. ირაკლი ვიღაცას ჩამოჰყვავდა ლიძავაში და იქ შევხვდით ერთმანეთს. ძალიან ლამაზი იყო შესახედავად. ნათელი იყო და არავის არ ჰგავდა. როცა მიხვდა, მე რა ტიპი ვიყავი, თავიდან, ცოტა მიფრთხოდა. მერე, როგორც კი დაველაპარაკეთ ერთმანეთს, ცხადი გახდა, რომ ერთ ჭკუაზე ვართ და ერთნაირად ვაზროვნებთ. მე არაფერში არ ვზღუდავდი, მისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით მყავდა მიღებული. ამიტომ, ჩემთან კარგად გრძნობდა თავს. მეც მჭირდებოდა ირაკლი. ის 70-იანელია, მე — 60-იანელი, განსხვავება დიდი იყო და მე მჭირდებოდა მასთან ურთიერთობა, რომ მისი თაობისთვის გამეგო და რაღაცები მესწავლა. ჩვენი სათქმელს, ჩვენი მამების თაობის პოეტები ვერ ამბობდნენ. ისინი სვამდნენ, მათთვის ღვინო იყო შველა. ჩვენ ვწნოდით და სხვა სიმართლე გვექონდა. ჩვენი პოეზია თავისუფალია. მე ნახევარი ფეხით ძველებში ვიყავი, ნახევარი ფეხით — ახლებში. ირაკლი ახალი იყო და ამიტომ მჭირდებოდა. თავიდან, ინგლისურს მასწავლიდა. გაუთავებლად ვლაპარაკობდით ინგლისურ პოეზიასა და კულტურაზე. მერე, ნელ-ნელა, ლექსებზე გადავიდით და რადგან არავინ იყო, მოვიგონეთ ავტორები და გავაკეთეთ „რეაქტიული კლუბი“. ორგანიზაციულ მხარეებს მე ვაგვარებდი. მე დავრბოდი სტამბაშიც და ქალაქზეც. ასეთი რაღაცები ირაკლის არ შეეძლო. მე წიგნის ბეჭდვის საქმეებზე ველაპარაკებოდი და უცებ მეტყოდა — არ დავლიოთო?... ძალიან მაგარი კაცი იყო!..

— „რეაქტიული კლუბის“ პირველ პერიოდში, საზოგადოების დიდ ნაწილს კატეგორიულად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა თქვენ

მიმართ. ამაზე როგორ რეაგირებდით?

— ეს არც იყო გასაკვირი. ვერც გაარკვიეს, ვინ ვიყავით. ამ დროს, ჩვენ პირდაპირ ვამბობდით, რომ მოვედით იმ კლიშეებისა და დოგმების დასანგრევად, რომლებიც ჩვენი აზრით, ხელს უშლიდა ხალხის განვითარებას. პრინციპში, ეგრეც იყო. ბევრი რაღაცა დავანგრეთ...

— თვითონ ირაკლის რა რეაქცია ჰქონდა ამ უარყოფით დამოკიდებულებაზე?

— არც ბრანდებოდა და არც სწყინდა. მას უსხარტესი გონება და დიდი იუმორის გრძნობა ჰქონდა. ამ თემაზე ძალიან ბევრი გვიცინია... ის ნამდვილი მუსიკოსი იყო, უნიჭიერესი მუსიკოსი და პოეტი. იყვნენ მსოფლიოში ეგეთი ტიპები — მორისონი და ვილკინგი. ეგეთი იყო ირაკლიც. ყველამ ასე — ახალგაზრდობაში დაამთავრა სიცოცხლე... მე საშინლად მეშვება ნერვები: 54 წლის ვარ და კიდევ არ ვკვდები, მაგრამ რა ვქნა, თავს ხომ არ მოვიკლავ?! ძან დაგებურდი იმისთვის, რომ კარგი პოეტი ვიყო. მე პირადად, ძალიან ბევრი დამაკლდა ირაკლის



გარდაცვალებით. შოკში ვარ. მომიწევს ბევრი რამის გადაფასება...

— იოლი იყო ირაკლისთან ურთიერთობა?

— ძალიან უბრალო და ნათელი ადამიანი იყო. ჰქონდა ხანდახან, თავისებური გაფრენები, მაგრამ ასეთი იყო და უნდა „გაგეტარებინა“... ძალიან საყვარელი იყო და პატარა ბავშვით გულუბრყვილო. პრანჭიაც იყო, არ ეტყობოდა, მაგრამ ძალიან პრანჭია იყო: თუ რამეს სარკის მაგვარს დაინახავდა, აუცილებლად ჩაიხედავდა... ცოლისთვის და კლასიკური გაგებით — ნორმალური ადამიანისთვის ალბათ, აუტანელი იყო. ის იყო ნამდვილი ხელოვანი, პოეტი, რომელიც ვერ იქნებოდა ჩვეულებრივად მოწესრიგებული და პენიანი.

— როცა „მეფე“ დაირქვა, ამასაც მოჰყვა საზოგადოების რაღაც ნაწილის უკმაყოფილება. თქვენ როგორ რეაქცია გქონდათ?

— მე ვიცნობ ირაკლის და ვიცი მისი ხასიათი. ეს მისი მორიგი ინტრიგა იყო. შეიძლება — გამართლებული, შეიძლება — გაუმართლებელი, მაგრამ ყველა ვარიანტი — საინტერესო. ერთი პერიოდი ერთ-ერთ არზზე სულ ტელეეკრანზე იყო, რეალურ შოუში მონაწილეობდა: „ერთი თვე ირაკლი ჩარკვიანთან ერთად“. ხანდახან, ძან მეშლებოდა ნერვები. რომ შემხვდა, ორ წუთში ამიხსნა — ასე გადავწყვიტე, საჭიროაო... რაც შეეხება „მეფეს“ — თვითონ გახსნა ინტერნეტ-გვერდი — „მეფუნა/იაშუკომ“. ახლა, ალბომს ამზადებდა — „ძირს მეფე“ სასაცილო იყო ამაზე გაბრაზება... ძალიან დამაკლდა, ელემენტარულად, მასთან ლაპარაკი მომენატრება. ირაკლი ჩემზე უმცროსია და მეგონა, რომ მე უფრო ადრე ნავიდოდი ამ ქვეყნიდან. აქვს დამასწრო, ამაშიც მაჯობა... გაცნობიერებული ჯერ კიდევ არა მაქვს, რა მოხდა. მაგისნაირი ადამიანები სამწუხაროდ, ცოტანი არიან ჩვენს ქვეყანაში. ის მართლა, ისტორიას დარჩება. „პატარა ბიჭი დამეკარგა, წითელპერანგა...“ — ეს ბიჭი ჩემთვის ირაკლია...

ბოლოს კი, ირაკლი ჩარკვიანის, „რეაქტიული კლუბის“ არსებობის დროს დანერვილ ლექსებს შემოგთავაზებთ:

„ქარვისფერ ყანათა ღელვა დარჩება, მენამული ზღვის ზღვა მდუმარება. ფრთამოტეხილი მერცხლის საშველად, მე მარტო ნავალ. გაკურთხოთ ღმერთმა და დამივიწყეთ, დაე, სხვა გემები მორეკოს წყალმა. გემუდარებით, იცინეთ, იცინეთ, როცა მე ნავალ“.

„თოვლიან ქართა დევნით დაღლილი გადაუქროლებს ჩემს ქანდაკებას მერცხალთა გუნდი. მე ისევ მოვალ, მხოლოდ არავის გაუშხილო რომ მე დავბრუნდი!“



# ოჯახურ კონფლიქტს სისხლის ღვრა მოჰყავს

## „მივხვდი, რომ მასთან გაჩერება ადარ შეიძლებოდა“

1980 წელს დაბადებული რამაზ ცეცხლაძე და 1967 წელს დაბადებული დავით გამახარია სასამართლოს წინაშე უმძიმესი ბრალდებებით წარდგნენ. ბრალდებებს შორის გახლდათ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა და გადაზიდვა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა. დანაშაული, რომლისთვისაც ისინი გაასამართლეს, ოჯახურ კონფლიქტს, კერძოდ, ცოლ-ქმარს შორის ჩხუბს მოჰყავს.

სასამართლომ ცეცხლაძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო გამახარიას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საქმის მასალების მიხედვით, თავდაპირველად, კონფლიქტი გამახარიასა და მის მეუღლეს შორის წარმოიშვა. როგორც ამბობენ, მეუღლის განაწყენება ახლობლის დაბადების დღის წვეულებაზე ცოლის საქციელმა გამოიწვია.

„იმ დღეს დილიდან გაღიზიანებული ჩანდა. განსაკუთრებით ჩემ მიმართ იყო აგრესიული და ვატყობდი, რომ არ უნდოდა წვეულებაზე წავსულიყავი. მისგან ასეთი საქციელი, სიმართლე გითხრათ, არ გამკვირვებია, რადგან ეს პირველი შემთხვევა არ იყო და როგორც მაშინ ვფიქრობდი, არც უკანასკნელი. ჩემი მეუღლე ბუნებით ეჭვიანი ადამიანი გახლავთ. ეჭვიანობს ყველაზე და ყველაფერზე, თუმცა თავად ამას არასდროს აღიარებს. საერთოდ, ყველას მიმართ აქვს უნდობლობა სისხლში გამჯდარი და ეს მხოლოდ ჩვენს ურთიერთობაში არ აისახებოდა. ყოველთვის უჭირს სხვისი დაჯერება... ჩვენი ახლობელი და ბავშვობის დროინდელი მეგობარი იმ დღეს წვეულებას მართავდა და სხვებთან ერთად, ჩვენც რესტორანში დაგვპატიჟა. ასევე დაპატიჟა ჩემი ბიძაშვილი — თამუნა და მისი ქმარი. იუბილარი ჩვენი საერთო მეგობარი იყო. ჩემი ქმრის გაღიზიანების მიუხედავად, ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ რესტორანში მეც წავსულიყავი. ყველანაირად შევეცადე, თავიდან ამერიდებინა მასთან ჩხუბი. სამწუხაროდ, მოგვიანებით, ეს შეუძლებელი გახდა. რესტორანში, როცა უკვე ყველანი დათვრნენ და სუფრიდან აიშალნენ, ჩვენც დავაპირეთ წასვლა. სწორედ მაშინ მითხრა ჩემმა მეუღლემ საყვედური ერთ-ერთ ჩვენს მეგობართან ცეკვის გამო. მისაყვედურა — ჩემი თანდასწრებით უარს არავის არაფერზე უუბნები და უჩემოდ რას იზამო? ვცადე სიტუაცია არ გამემწვავებინა და არაფერი ვუპასუხე, მაგრამ კონფლიქტი ავტომატურად გაგრძელდა. შინ თამუნას ქმრის მანქანით მივიდოდით. წინა სავარძელზე თამუნა იჯდა, საჭესთან მისი ქმარი (მანაც დალია, მაგრამ ძალიან მთვრალი არ იყო), უკან კი — მე და ჩემი მეუღლე. ჩემი ქმარი ჩემთან ჩხუბს არც ამ სიტუაციაში მოერიდა. მაგინებდა და მლანძღავდა. მე ხმას არ ვიღებდი, მაგრამ ჩემმა ბიძაშვილმა ვერ მოითმინა და უსაყვედურა — ცოლს ელეემენტარულ პატივს არ სცემ, როგორ იქცევი, ეს რა დღეში გყავსო? ყველაზე მეტად ამ სიტყვებმა თამუნას ქმრის გაბრაზება გამოიწვია. გაჩუმიდი, შენი საქმე არ არისო — უთხრა. თამუნა მაინც არ გაჩერდა — როგორ გაჩერდე, ჩემი ბიძაშვილია და არ დავიცავა? თუ გგონია, რომ შენგან ასეთ რამეს მოვიტონ, ძალიან ცდებიო. მაშინ გიგამ — თამუნას ქმარმა ცოლს მარჯვენა

ხელი მოუქნია და გაშლილი მტევანი სახეში გაარტყა... მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი ქმარი ჩემს გინებას განაგრძობდა. გიგას ვთხოვე, დამშვიდებულყო და მსენა გაჩერებინა. მინდოდა, სიტუაცია განმუხტულიყო და ამიტომაც ვარჩიე, შინ ტაქსით წავსულიყავი. ეს რომ ვთქვი, გიგა გაბრაზდა, უარი მითხრა — ასეთ რამეს როგორ ამბობ, მე ვერ მიგყვანთო? მაგრამ შინ ტაქსით წასვლა ჩემმა ქმარმაც აიჩემა და ისიც იძულებული გახდა, გაჩერებინა... ძალიან ვიყავი აღელვებული, თამუნაზე ველავდი. ჩემი ქმარი შუა ქუჩაში მაგინებდა, შინ რომ მივდიოდი, სასტიკად მცემდა. მაშინ მივხვდი, რომ მასთან გაჩერება აღარ შეიძლებოდა. მეორე დილით დედაჩემთან წავედი... — ასეთი ჩვენება მისცა გამახარიას მეუღლემ, **ქმინ შარაბიძე** სასამართლოს. როგორც თავად აღნიშნა, იმ დღიდან ის ქმარს გაშორდა და მას შემდეგ რა მოხდა, არ იცის. ქმარს გაეყარა მისი ბიძაშვილიც...

მომხდარში თამუნა შარაბიძის (ქეთი შარაბიძის ბიძაშვილის) ქმრის — გიგა ძონენიძის ნათესავები გამახარიას ადანაშაულებდნენ. გამახარიას თავისი ოჯახის წევრები გამოესარჩლნენ და ოჯახები ერთ-მანეთს დაუპირისპირდნენ. ერთხელ, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, გამახარია თავისი ავტომანქანით თბილისში, წერეთლის გამზირზე მოძრაობდა. მანქანა ერთ-ერთ მალაზიასთან გააჩერა, იქ კი შემთხვევით, გიგა ძონენიძე დაინახა. მიუახლოვდა მას და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაცენა. ამ ინციდენტის შესახებ ძონენიძემ თავის ძმას და დეიდაშვილს უამბო. მათ შურისძიებისკენ მოუწოდეს გიგა ძონენიძეს და გადაწყვიტეს, გამახარია მათაც ცეცხლათ. შესაფერისი დრო და ადგილიც შეარჩიეს. საღამოს, გამახარიას მის საცხოვრებელ კორპუსთან ჩაუსაფრდნენ და სცემეს. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, ძონენიძემ მაშინ სხვებიც ახლდნენ. დაახლოებით 5 ახალგაზრდაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ მათი ვინაობა გამოძიებით ვერ გამოვლინდა. ძონენიძეები, რომლებიც „უიგულის“ მარკის ავტომანქანით იყვნენ, იქაურობას გაშორდნენ, ნაცემი გამახარია კი იქვე მიატოვეს. მომხდარის შესახებ გამახარიამ თავის მეგობარს — ცეცხლაძეს უამბო და თან უთხრა, რომ ძონენიძეების მოკვლა ჰქონდა განზრახული და მეგობარს

დახმარება სთხოვა. მას იარაღი სჭირდებოდა. ცეცხლაძემ, რომელიც წარსულში ნასამართლევი გახლდათ და აქედან გამომდინარე, შესაბამისი კონტაქტებიც ჰქონდა, მეგობარს დახმარებაზე უარი არ უთხრა. დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შექნილი „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი გამახარიას მან დღის სამი საათისთვის მიუტანა. ძმები ძონენიძეები ერთ-ერთ მალაზიაში მუშაობდნენ და სავარაუდოდ, იმ დროსაც იქ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. გამახარიამ მალაზიის თანამშრომლებს უთხრა, რომ მათთან დაკავშირება უნდოდა. გამახარია გიგა ძონენიძეს ტელეფონით ესაუბრა და უთხრა, რომ მასთან სალაპარაკო ჰქონდა. ძონენიძემ მას ტელეფონი გაუთიშა... მალაზიის თანამშრომელმა მას უთხრა, რომ გიგა ძონენიძეს ცოტა ხნის წინ ნათესავებმა მიაკითხეს, ისინი სოფელში აპირებდნენ წასვლას და ამიტომაც, სავარაუდოდ, დიდხანს არ დაბრუნდებოდა.

მალაზიიდან წასულებმა გადაწყვიტეს, ძონენიძეს დასდევნებოდნენ და გეზი კახეთის გზატკეცილისკენ აიღეს. მაშინ, როცა მანქანით მოძრაობდნენ, მოულოდნელად გზაზე ძონენიძის ავტომანქანა შეჩერდა. მანქანაში ძონენიძის გარდა, მისი ძმა და ნათესავი ისხდნენ. ცეცხლაძემ, რომელიც საჭესთან იჯდა, მას სიგნალით ანიშნა გაჩერებულიყო. ძონენიძემ მანქანა არ გააჩერა. მაშინ გამახარიამ ჩამოსწია წინა კარის მინა, აიღო ავტომატი, შემართა სასროლად და რამდენჯერმე ზედიზედ ისროლა ძონენიძის მანქანის მიმართულებით. გიგა ძონენიძე მკვლავში დაიჭრა. ამის გამო მან საჭე ვერ დაიმორჩილა. ავტომანქანა შეეჯახა ბორდიურს და ამოიყარა. გამახარიამ და ცეცხლაძემ იფიქრეს, რომ მანქანაში ცოცხალი ველარავინ გადარჩებოდა და ამიტომაც შემთხვევის ადგილი სარქაროდ დატოვეს.

საბედნიეროდ, განზრახვა მათ სისრულეში ვერ მოიყვანეს. მართალია, გიგა ძონენიძის ძმა მძიმედ დაიჭრა, მაგრამ დროული სამედიცინო დახმარების შედეგად, მას სიცოცხლე შეუნარჩუნეს. რაც შეეხება მესამე მგზავრს, მან სხეულის დაზიანება ავტომანქანის გადატრიალებისას მიიღო.

გამახარია და ცეცხლაძე მიიმალნენ. მომხდარი ფაქტიდან დაახლოებით ერთ კვირაში, პოლიციაში გამახარიას მამა გამოცხადდა და სამართალდამცველებს სწორედ ის „კალაშნიკოვი“ ჩააბარა, რომლითაც მისმა შვილმა დანაშაული ჩაიდინა. სამართალდამცველებს მან ისიც უთხრა, რომ მისი შვილი მზად იყო, პოლიციას ჩაპბარებოდა. გამახარიამ წარდგენილი ბრალდება აღიარა, ცეცხლაძემ კი — არა. ცეცხლაძე აღნიშნავდა, რომ მას იარაღიდან არ უსვრია და ამდენად, მისთვის 19, 109-ე მუხლით ნაყენებული ბრალდება უნდა მოეხსნათ. თანამსრულებლობისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების თაობაზე პოლიციისთვის შეუტყობინებლობის გამო, მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.



# თურქი ბიზნესმენის საღისებური მკვლელობა

„ის მის მოხრჩობას ცდილობდა... ვიცოდით, რომ 50 ათასი დოლარი თან ჰქონდა“

„ირგვლივ არავინ იყო და თან ბნელოდა... კისერში სწვდა და მის მოხრჩობას ცდილობდა. მე ფეხებს ვუკავებდი და დროდადრო მუშტებს ვურტყამდი გვერდებში... შემდეგ დანები ამოვიღეთ... ზუსტად რამდენი ჭრილობა მივაყენეთ, არ მახსოვს, იმ დროს ამას არ ვითვლიდით... მახსოვს, რომ ხელები და ტანსაცმელი ჩვენც სულ გასისხლიანებული გვექონდა.“ — ასე აღწერა მკვლელობა მის მიერ ჩადენილი შემზარავი დანაშაული პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში. მან მეგობარი და თანამშრომელიც ამხილა. სამართალდამცველებისთვის არაფერი დაუმაღავს. დანაშაულის მოტივიც ახსნა და აღნიშნა, რომ საღისებური მკვლელობა ანგარების მიზნით, დიდი რაოდენობის ფულის გამო ჩაიდინა. მსხვერპლი ახალგაზრდა მამაკაცი, თურქი ბიზნესმენი აღმოჩნდა. დანაშაულები კი — 35 წლამდე ასაკის ორი ქართველი. მომხდარი ფაქტიდან ცოტა ხანში, ერთერთი მათგანი სწორედ თურქეთის პოლიციამ დააკავა. დაკავებულის ადვოკატის თქმით, მისი ბრალდების საქმე თავის დროზე, თურქეთის სასამართლომ განიხილა და უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა. მას სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილი შეუფარდეს. თუმცა, ვიდრე განაჩენი ძალაში შევიდოდა და აღსრულდებოდა, საქმეში ბევრი რამ შეიცვალა...

თურქეთის პოლიციის მიერ დაკავებული, საქართველოს მოქალაქე — 1964 წელს დაბადებული რ. ჩხარტიშვილი გახლდათ, მის მიერ დასახელებული, დანაშაულში თანამონაწილე კი, 1962 წელს დაბადებული გ. ბათიაშვილი. თავდაპირველად დაკავებულებმა თქვეს, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ისინი რამდენიმე წლის მანძილზე ენეოდნენ კომერციულ საქმიანობას. სწორედ ამ წლებში, კერძოდ, 1996 წელს გაიცნეს მათ თურქი ბიზნესმენი — ჰ. სამანჯი. ბიზნესმენს რამდენიმე მალაზია ჰქონდა. ბათიაშვილი და ჩხარტიშვილი ამ მალაზიების კლიენტები იყვნენ. ისინი სამანჯისგან საქონლის პარტიებს ხელსაყრელ ფასად ყიდულობდნენ, და საქართველოში ყიდდნენ. სამანჯთან მათ ძალიან კარგი და საკმაოდ ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. თუმცა, საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ ჩხარტიშვილისა და ბათიაშვილის კომერციული საქმიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერც თურქეთში და ვერც საქართველოში ვერ მოიპოვეს... ის ფაქტი, რომ ისინი წლების მანძილზე სისტემატურად დადიოდნენ თურქეთში და გარკვეული პერიოდით

რჩებოდნენ კიდევაც იქ, დადასტურდა, მაგრამ მათი საქმიანობის სფერო გაურკვეველი დარჩა... დადგინდა ისიც, რომ ისინი მართლაც დიდი ხნის მანძილზე იცნობდნენ სამანჯს, მაგრამ რა ვითარებაში გაიცნეს ის და რა აკავშირებდა მათ ერთმანეთთან, ესეც ბუნდოვანია. საქმის მასალებში ეს საკითხი ღიადაა დატოვებული, არაფერი წერია არც იმ ვერსიების შესახებ, რომელიც ოფიციალური უწყებების მიღმა ვრცელდებოდა. ბევრი ნარკობიზნესზე საუბრობდა, ზოგი — ქალებით ვაჭრობაზე... ვერსიები გადაუმონებელი დარჩა...

საქმის მასალების მიხედვით, მკვლელობა 1997 წელს მოხდა. დანაშაული შემთხვევამდე თითქმის ერთი თვით ადრე დაიგეგმა. იმ დროს ბათიაშვილიც და მისი მეგობარი ჩხარტიშვილიც თურქეთში იმყოფებოდნენ. დანაშაულის იდეა ბათიაშვილს გაუჩნდა, გეგმა ერთად შეადგინეს. გადაწყვიტეს, სამანჯი როგორმე მოტყუებით საქართველოში ჩამოეყვანათ. გეგმის თანახმად, ისინი მას დააყაჩაღებდნენ, შემდეგ მოკლავდნენ, გვამს კი დამარხავდნენ...

ტყუილიც მალევე მოიფიქრეს — თითქოს მათი ნაცნობი ქართველი, საქონლის პარტიის იაფად გაყიდვას აპირებდა, რადგან ფული სჭირდებოდა სასწრაფოდ, მათ კი საჭირო თანხა არ გააჩნდათ და ამიტომაც სთავაზობდნენ სამანჯს, თავად ჩადო ფული ამ საქმეში, რის შემდეგაც ორმაგ მოგებას ნახავდა. საუბარი იყო 50 ათას დოლარზე. თანხის გადახდა მხოლოდ ნაღდი ფულით უნდა მომხდარიყო. როცა დაკითხვისას ბრალდებულებს მოსთხოვეს, დაეკონკრეტებინათ, მოფიქრებული ტყუილის მიხედვით, რა სახის საქონლის შეთავაზებას აპირებდნენ ბიზნესმენისთვის, მათ აღნიშნეს, რომ ეს უცხოური მარკის მსუბუქი ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები გახლდათ. გამოიძება პასუხს დასჯერდა...

დათქმულ დროს ბათიაშვილმა და ჩხარტიშვილმა სამანჯს მიაკითხეს. ზემოთ აღნიშნული წინადადებაც შესთავაზეს და თანხმობაც მიიღეს. ბიზნესმენმა დაუფიქრებლად გადადო სხვა საქმეები და გასამგზავრებლად მოემზადა. როგორც ჩანს, ბათიაშვილსა და ჩხარტიშვილს ძალიან ენდობოდა და ეჭვი არაფერზე აუღია, ვერც იფიქრებდა, თუ ეს ნდობა მას სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა.

ბიზნესმენს ფული და საჭირო დოკუმენტები შავ დიპლომატში ედო. როგორც შეთანხმდნენ, ჯერ ბათუმში უნდა გაჩერებულიყვნენ. სტუმრის მასპინძლობა იმ სალამოს ჩხარტიშვილმა ითავა. ამიტომაც, ყველანი ერთად მისი საცხოვრებელი ბინისკენ გაემართნენ. ჩხარტიშვილმა ერთ საათში საუკეთესო პურმარილიც მოიტანა და სუფრაც გაშალა. სტუმარს ღვინოც დააღვივინეს. თავდაც დალიეს. ბიზნესმენს უთხრეს, რომ ქართველ ნაცნობს, რომლისგანაც მას საქონელი უნდა ყვიდა, მეორე დღეს შეხვდებოდნენ.

„ქეიში დრო მალე გავიდა. სამივენი

მთვრალეები ვიყავით. ბათიაშვილმა თვალის მანიშნა, დროა, აღარ გადავდოთო და რამდენიმე წუთში წასვლაზე დაიწყო ლაპარაკი. შეთანხმებულები ვიყავით, რომ როცა დრო დადგებოდა, ის შინ წასვლას მოიმიზეზებდა. წამოდგა და თქვა — უკვე ძალიან გვიანია, ხვალ ვეღარ ავდგები, ახლა შინ თუ არ წავედი და გამოვიძინეო. მეტი დამაჯერებლობისთვის, ჩემთან დარჩენა ვთხოვე, მაგრამ, როგორც წინასწარ შევთანხმდით, მან ოჯახის წევრების მონახულება მოიმიზეზა. მაშინ შევთავაზე, რომ ორივენი გავაცილებდით და სახლში მანქანით წავიყვანდით... ხელვაჩაურის რაიონის სოფელისკენ წავედიოთ. თითქმის ღამის 4 საათი იყო. მე საქვსთან ვიჯექი, სამანჯი გვერდით მეჯდა, ბათიაშვილი კი — უკანა სავარძელზე. მალე მუხრანობის ტერიტორია გამოჩნდა. დაუსახლებელი ადგილი იყო, ჯერ ყანები, შემდეგ კი ჩაის პლანტაციები... წინასწარ ვიცოდი, რომ სწორედ ჩაის პლანტაციებისკენ უნდა წავსულიყავი. სამანჯი ვერაფერს ხედეოდა, სასმელი ძალიან მოჰკიდებოდა. გზაში ბევრი არ გვილაპარაკია... შესაფერის ადგილს რომ მივუახლოვდით, მანქანა გაეჩერე. სამანჯს არც მაშინ გაჰკვირვებია რამე. ბათიაშვილი მანქანიდან გადავიდა, თან რკინის ძელი გადაიტანა, რომელიც მანქანაში წინასწარ სპეციალურად ჩავდეთ, შემდეგ წინა კარი გააღო და ძელი სამანჯს თავში ჩაარტყა. ამასობაში მეც გადავედი. სამანჯმა გონება დაკარგა. ის მანქანიდან გამოვართვი. ბათიაშვილმა სახეში მუშტიც ჩაარტყა. რალაც მომენტში სამანჯი გონს მოვიდა და წინააღმდეგობის განევა სცადა. ბათიაშვილი მას კისერში სწვდა, მის მოხრჩობას ცდილობდა. მე ფეხებს ვუკავებდი და ასე სამანჯის შეჩერებას ვცდილობდი. ის მინაზე მუცლით იწვა. ბათიაშვილმა ქურთუკის ჯიბიდან სპეციალურად მომზადებული თოკი ამოიღო. სამანჯს ზურგის მხრიდან შემოახვია თოკი კისერზე და ძლიერად მოუჭირა. მე ჯერ იდაყვი დავარტყი სახეში, შემდეგ ჯიბიდან დანა ამოვიღე და სხეულზე, რამდენიმე ადგილზე ჩავარტყი. დანი დაზიანებებს მას ბათიაშვილიც აყენებდა. რამდენი ჭრილობა მივაყენეთ და ზუსტად რა ადგილებში, არ მახსოვს, იმ დროს ამას არ ვითვლიდით. მახსოვს ის, რომ ხელები და ტანსაცმელი ორივეს გასისხლიანებული გვექონდა...“ — წერს ჩვენებაში ჩხარტიშვილი.

სახის არეში მის მიერ მიყენებული დარტყმის შედეგად დაზარალებულმა ყბის ძვლების მოტყინილობებიც მიიღო. რაც შეეხება დანი მიყენებულ ჭრილობებს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა გარდაცვლილის სხეულზე 27-მდე მძივი და მსუბუქი ჭრილობები დათვალეს. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ჭრილობების უმრავლესობა ზურგსა და გულმკერდის არეში დაფიქსირდა. დაზარალებული დაზიანებულები ჰქონდა ფილტვები და გული. ჩვენებაში ჩხარტიშვილი იმასაც წერს, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში სხ-



ეულის დაზიანება თავდაც მთელი. მისი თქმით, დაზარალებულმა მას თავდაცვისას მოქმედების ფეხი ჩაარტყა სახეში, კერძოდ, თვალის არეში. დამანაშავეებსა და მსხვერპლს შორის ჭიდილი დაახლოებით 40 წუთი გაგრძელდა. დანიტ აჩეხილი ბიზნესმენი ადგილზევე გარდაიცვალა. როცა დარწმუნდნენ, რომ მოკვდა, ბათიაშვილმა და ჩხარტიშვილმა გარდაცვლილის გაძარცვა დაიწყეს.

„ბათიაშვილმა ტანსაცმელი თითქმის გახადა, ფულს ეძებდა, მაგრამ ვერსად იპოვა. ტყავის ქურთუკი გახადა და მე გადმომიგდო, წავიღოთო — მიხსრა. ქურთუკის ჯიბეში მას მხოლოდ სახარჯო ფული — 300-მდე დოლარი აღმოაჩნდა. მე გარდაცვლილს ბეჭედი და ოქროს საათი შევხსენი. ბათიაშვილი იგინებოდა. ფული უნდა ჰქონდეს, სად არისო? — ყვიროდა. მაშინ გამახსენდა, რომ სამანჯს თან შავი ტყავის ხელჩანთაც ჰქონდა. ბათიაშვილს ვუთხარი, ალბათ იმ ჩანთაში აქვს, სახლში დატოვა-მეთქი. ირგვლივ არავინ იყო და თან ბნელოდა, მაგრამ მაინც შევშინდით და ავიჩქარდით. გარდაცვლილი ჩანთა ბურჯებში მივშალეთ, გზიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით და იქაურობას გავეცალეთ...“ — წერს ჩხარტიშვილი.

სახლში მიბრუნებულბმა ტყავის ჩანთაც იპოვეს. ჩანთაში მართლაც იყო 50 ათასი დოლარი, ბანკში გასანაღდებელი ფულის ქვითრები, პასპორტი და სხვა დოკუმენტები. მკვლელობიდან რამდენიმე დღეში, საბანკო ანგარიშები რომ გაენაღდებინა, ჩხარტიშვილმა თურქეთში გამგზავრება გადაწყვიტა. ასეც მოიქცა, მაგრამ ამჯერად მისი ჩანაფიქრი წარმატებული არ აღმოჩნდა. თურქი ბიზნესმენის საქართველოში გამგზავრების შესახებ მისმა ახლობლებმა იცოდნენ და სამშობლოში დაროულად რომ არ დაბრუნდა, არც არავის დაუკავშირდა, ეჭვი გაუჩნდათ. მასთან დაკავშირება რომ ვერაფრით შეძლეს, მისი გაუჩინარების შესახებ პოლიციას აცნობეს. იმ დროისთვის მკვლელობიდან უკვე ერთი კვირა იყო გასული. პოლიცია ჩხარტიშვილისა და მისი მეგობრის კვალს მალე დაადაგ, მათზე ძებნა გამოცხადდა და აღნიშნულის შესახებ ქართველ სამართალდამცველებსაც აცნობეს. ამიტომაც დააკავეს თურქეთის საზღვარზევე ჩხარტიშვილი, რომელიც, როგორც ჩანს, არ ელოდა, რომ ყველაფერი ასე მალე გამოაშკარავდებოდა. ამის გამო, სამართალდამცველებს სრულიად „მოუშადადებელი“ შეხვდა.

რაც შეეხება ბათიაშვილს, ის ერთხანს ემალებოდა პოლიციას, მაგრამ რამდენიმე თვეში, გისოსებს მიღმა ისიც აღმოჩნდა. ის ქართველმა სამართალდამცველებმა აჭარის ტერიტორიაზე დააკავეს. ჩადენილი დანაშაული ორივემ აღიარა. „მაშინ პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩხარტიშვილს სასჯელის უმძღელესი ზომა — სიკვდილით დასჯა შეუფარდა, მაგრამ განაჩენი გასაჩივრდა და მოსამართლეებმა სასჯელი უვადო თავისუფლების აღკვეთით შეუცვალეს. ჩხარტიშვილმა სასჯელის ნაწილი მოიხადა, თუმცა მისი პატიმრობის პერიოდში ის არ წყვეტდა საჩივრების წერას მისი მდგომარეობის შემსუბუქებისა და შეწყალების თაობაზე. ის თვლიდა,

რომ სასამართლომ მის სასარგებლოდ არც ერთი შემამსუბუქებელი გარემოება არ გაითვალისწინა. ამ შემთხვევაში, მსჯავრდებულმა თავისას მიაღწია, რადგან მისი მოთხოვნა სავსებით კანონიერი იყო და საბოლოოდ, საქმე იმით დასრულდა, რომ ჩხარტიშვილს ციხეში გატარებული წლები აკმარეს და პატიმრობიდან გაათავისუფლეს“, — აღნიშნა ჩხარტიშვილის ინტერვიუსების დამცველმა ადვოკატმა.

თუმცა სასჯელმოსხმისთვის თავისუფლებაც აუტანელი გახდა. მას შემდეგ, რაც დაზარალებული ოჯახის წევრებმა და გარდაცვლილის მეგობრებმა ჩხარტიშვილის ციხიდან გათავისუფლების შესახებ შეიტყვეს, მას მოსაკლავად დევნა დაუწყეს. გადანყვებილი ჰქონდათ, თავად გაესწორებინათ მასთან ანგარიში და ჩადენილი მკვლელობისთვის შური ეძიათ. როცა ნახა, რომ თურქეთში არ დაედგომებოდა, ჩხარტიშვილმა საქართველოში გამომგზავრება დააპირა.

2004 წლის გაზაფხულზე, დაზარალებული მხარის შურისძიებისგან თავის დაღწევის მიზნით, გამოსამგზავრებლად დილის 7 საათზე უკვე მზად იყო. სასაზღვრო-საგუშაგოს „ბოლოკოს“ სამოქმედო მონაკვეთზე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ჯარისკაცებმა ის საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო დააკავეს. მაშინ ჯარისკაცებთან თავის მართლებას ჩხარტიშვილი ასე შეეცადა — ხელვაჩაურის რაიონის მკვიდრი ვარ, აქვე სოფელში ვცხოვრობ, ძროხები დამკვარგა და მათ ვძებ, ამიტომაც აღმოვჩნდი აქო. ჯარისკაცებმა მას არ დაუჯერეს, სამართალდამცველებმა კი, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს.

ამ პერიოდში გაირკვა მისი კავშირი ექვსი წლის წინ მოხდარს საშინელ მკვლელობასთანაც. ჩხარტიშვილს, ზემოთ აღნიშნულ მუხლიდან ერთად, განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისთვისაც დაუწყეს ბრალდება. სასამართლომ ჩხარტიშვილს, ისევე როგორც, თავის დროზე ბათიაშვილს, 15 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ განაჩენს პროტესტით შეხვდა მსჯავრდებულები და მისი ადვოკატიც.

„ჩხარტიშვილი ჩადენილი მკვლელობისთვის უკვე გაასამართლა თურქეთის სასამართლო ორგანოებმა და სასჯელიც შეუფარდა მას. სასჯელი მსჯავრდებულმა ნაწილობრივ მოიხადა კიდევ, ხოლო შემდეგ გაათავისუფლდა პატიმრობიდან. ერთი და იმავე დანაშაულისთვის, ფაქტობრივად, ორჯერ გაასამართლეს და ეს ყოველად დაუშვებელია. მას უნდა მოეხსნას 104-ე მუხლით ნაყენებული ბრალდება. რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთას, ამ დანაშაულისთვის მას სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა, დაკავების დღიდან მოყოლებული, ფაქტობრივად, უკვე მოხდილი აქვს და აქედან გამომდინარე, ის პატიმრობიდან უნდა გაათავისუფლდეს“, — აღნიშნა ადვოკატმა სასამართლო სხდომაზე. მისი მოთხოვნა სასამართლომ არ გაითვალისწინა და ამის საფუძველად, თურქეთის რესპუბლიკიდან გამოთხოვილი დოკუმენ-

ტები დაასახელა.

მოსამართლის თქმით, სინამდვილეში ყველაფერი ისე არ აღმოჩნდა, როგორც ამას განსასჯელის ადვოკატი ამბობდა. „საქმის ვითარება რეალურად სხვაგვარია და ყოველივე ეს განსასჯელის მდგომარეობას არ ამსუბუქებს. არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი და სარწმუნო მტკიცებულება არ მოიპოვება იმის თაობაზე, რომ ჩხარტიშვილმა მართლაც მოიხადა სასჯელი ჩადენილი მკვლელობის გამო. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, იმის მიმართ, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე, ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის იურისდიქცია“, — აღნიშნულია განაჩენში.

თურქეთის იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი მასალები საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართულ სხდომაზეც გამოაქვეყნეს. მასალების თანახმად, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ჩხარტიშვილი თურქეთის პოლიციამ 1997 წლის მარტში დააკავა, სასამართლოს გადანყვებილი მისი ალკვეთის ღონისძიება შეეცვალა და გათავისუფლდა პატიმრობიდან. ამის შემდეგ საქმე ქალაქ სტამბოლის სისხლის სამართლის საქმეთა № 1-მა სასამართლომ განიხილა. 2003 წელს სასჯელი მას უვადო თავისუფლების აღკვეთით შეუცვალეს. ვითარება 2004 წელს კვლავ შეიცვალა. საჩივრის საფუძველზე, განაჩენი კვლავ გაუქმდა და ჩხარტიშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ხელახლა გამოსაძიებლად დააბრუნეს. შექმნილი მდგომარეობის გამო კი, ჩხარტიშვილი ხელახლა განაჩენის გამოკი, პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ეს სწორედ ის პერიოდი, როცა დაზარალებული ოჯახისგან შევიწროებული ჩხარტიშვილი საქართველოში ჩამოდის და მას საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის აკავენ. საზღვრის ოფიციალურად გადაკვეთას ის ვერც შეძლებდა, რადგან ამის უფლება თურქეთის რესპუბლიკისგან არ ჰქონდა.

„ყოველივე აქედან გამომდინარე გაირკვა, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის ჩხარტიშვილს რეალურად სასჯელი არ მოუხდია. ის ფაქტობრივად, მსჯავრდებული არ ყოფილა. ადვოკატს კი სასამართლო შეცდომაში შეჰყავდა“, — აღნიშნეს სხდომაზე პალატის მოსამართლეებმა. როცა ყველაფერი გაირკვა, ადვოკატმა და მისი დაცვის ქვეშ მყოფმა, მოთხოვნა პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ შეცვალეს და ამის ნაცვლად, სასჯელის შემსუბუქება მოითხოვეს. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია. საბოლოოდ, დამანაშავეს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს, სასჯელის მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დანესუბუქებაში მოხდით. „ერთვალისწინებით იმას, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის თურქეთის ციხეში სამ წელზე მეტი გაატარა, იმასაც, რომ ცოლ-შვილი ჰყავს, მათი ერთადერთი მარჩენალი კი თავადაა. რაც შეეხება დანაშაულს, ის აღიარებს მას და ინანიებს კიდევ. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ სასჯელის შემსუბუქებას იმსახურებს“, — განაცხადეს მოსამართლეებმა. ■





# პატიმარი უმეცარდა

კორუფცია „გზაჯინილებში“ ანუ „არ გეგონოს, გეწყინება“...

მკითხველის მიერ სხვადასხვა დროს გამოგზავნილი მესიჯებიდან ჩანდა, რომ თემა, რომელიც პატიმრებსა და მათ მიერ შებმულ გოგონებს ეხებოდა, აქტუალური იქნებოდა და სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, „გზაჯინილები“ ერთხელ, ამ საკითხისთვის დაგვეთმო. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: აღმოჩნდა, რომ ეს სერიოზულ პრობლემასაც კი წარმოადგენს ბევრი გოგონასთვის. რაც ყველაზე სამწუხაროა, ასეთი კონტაქტის უმეტესობა თურმე, სავალალო შედეგით მთავრდება. ამის თქმის საფუძველს, მკითხველების მიერ გამოგზავნილი უამრავი მესიჯი მაძლევს... ვიცი — მკითხველებს გიყვართ, როცა „გზაჯინილებში“ იუმორით გააჯერებულ ამბებს კითხულობთ, მაგრამ ამჯერად, ხუმრობის გუნებაზე ნაკლებად დადგებით. სამაგიეროდ, ჭკუის სასწავლებელ შემთხვევებს გაცნობით. აჰო, თვითონ აღნიშნავთ ხოლმე — „გზაჯინილებში“ ნაკითხული ამბების წყალობით, ხშირად, სხვის შეცდომებზე ვსწავლობთ... შესაძლოა, ამჯერადაც, სხვისი ნაამბობიდან საჭირო დასკვნები გამოიტანოთ.

20 წლის მზიას თავს გადახდენილ ამბავსაც, როგორც ყველა დანარჩენს, ბანალური დასაწყისი აქვს.

## მარი ჯაფარიძე

### მწარე სიმაართლე, რომელიც გვიან გამეჯანდა

„მარი, ძალიან მტკივნეულ თემას შეეხეთ. ნამდვილად საჭირო იყო ამ პრობლემის, წინ წამოწევა... 2 წლის წინ, ტელეფონით გავიცანი ბიჭი, რომელიც უზომოდ შემეყვარდა. თავიდან, ხარი გამოუშვა ჩემს ტელეფონზე. შემდეგ, მე გადავურევკე. ნომერი შემეშალაო, — მითხრა. ცოტა ხანში კი, დამიბეჭდა. მე რაიონში ვცხოვრობდი და მისაღები გამოცდებისთვის ვწმადებოდი. მოგეხსენებათ, სოფელში მცხოვრები გოგონასთვის, რომლისთვისაც გართობის არანაირი საშუალება არ არსებობს და არც ბიჭების ყურადღებითა გათამამებული, ნამდვილი ხაფანგია, როდესაც გამოჩნდება უცხო, თბილისელი ბიჭი და ისეთ თბილ სიტყვებს მისწერს, რომ თავგზას აუბნევს... მთელი სულითა და გულით შემეყვარდა დათო. ვკითხვობდი: კი, მაგრამ ქალაქში გოგონები დაილ-

ია, მე რომ სიყვარულს მისხნი-მეთქი?... ამას იმით ხსნიდა, რომ თურმე, ქალაქელი გოგონები გარყვნილები არიან და მას სუფთა, პატიოსანი გოგო სჭირდებოდა. მეც ბრმად მივინდე და თავით გადავმევი სიყვარულის მორევში. მეუბნებოდა, რომ როცა სტუდენტი გაგვადებოდა და თბილისში ვიცხოვრებდი, მაშინ მნახავდა, რადგან არ უნდოდა სოფელში გამოჩენა — ისეც შენ გიფრთხილდებიო, — მეუბნებოდა. მოკლედ, დღე ერთი იყო და ათას მესიჯს მიგზავნიდა. მასზე ფიქრით ვიძინებდი და ვიღვიძებდი. ინტერესი მკლავდა და ერთი სული მქონდა, როდის ვნახავდი ჩემი ოცნების მამაკაცს... როგორც იქნა, სტუდენტი გაგვადი. საცხოვრებლად მამიდასთან გადმოვდი. ვფიქრობდი, ახლა კი დაადგება საშველი ჩვენს შესვედრას-მეთქი, მაგრამ არა და არ მხვდებოდა. მოიმიზეზა, დედა მყავს ავად, კობო აქვს და არავის ნახვის სურვილი არა მქვსო. მესიჯებს ძველებურად მწერდა და სიყვარულსაც ძველებურად მეფიცებოდა. ცოტა კიდევ

გაუძელიო, — მეუბნებოდა. მეც ვიცდიდი, აბა, რა მექნა?! ვთხოვე, სახლის ტელეფონის ნომერი მომეცი, მამიდასგან დაგირეკავ-მეთქი, — მაგრამ ისევ ავადმყოფი დედა მოიმიზეზა: — არ მინდა, რომ შენ-უხედესო... ამასობაში, 1 წელი გავიდა. ერთ დღეს გადავწყვიტე — ან შემხვდებოდა, ან ყველაფერს წერტილს დავუსვამდი. ამის შესახებ მასაც შევატყობინე. შევეჯექი ვირზე და ჩემი ნათქვამი აღარ გადავთქვი. არც მესიჯებს ვუგზავნიდი და არც მის ხარებს ვპასუხობდი. ბოლოს, სხვა გზა ვარ აღარ დარჩა, გამიბილა — პატიმარი ვარ და აბა, როგორ მოვხერხებ შენთან შესვედრასო?! — ამას უამრავი საბოდიშო სიტყვა მოაყოლა და მითხრა — შენი დაფრთხობა არ მინდოდა, ვიცოდი — თუ შეიტყობდი, რომ პატიმარი ვარ, მაშინვე დამეკარგებოდი, მე კი დღე-დღეზე გათავისუფლებას ველი და მერე, ყველაფერს მოგიყვებოდიო... თავზარი დამეცა. არ ვიჯერებდი, მეგონა, ჩემთან შესვედრა არ უნდოდა და პატიმრობა მოიგონა. ეს რომ ვუთხარი, დამპატიოა სანახავად, რომ დავრწმუნებულიყავი მის სიმართლეში. მივედი. რომ ვნახე, წყენა დამავიწყდა და შევურიგდი. მე ხომ ის მიყვარდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, პატიმარი იყო თუ არა, უბრალოდ, ის მენყინა, რომ მატყუებდა... იმ დღიდან, სწორედ დავედიო მის სანახავად და 3 თვის შემდეგ, მის ლოგინშიც აღმოვჩნდი. ასე გრძელდებოდა კიდევ 5 თვე, ვიდრე არ დავორსულდი. დათო მპირდებოდა — რომ გამოვალ, ცოლად მოგიყვანო. ამიტომ არ მინერვიულია, ვიფიქრე, ციხეში დავკორწინდებოდი და სისხარულით ვაუწყე ახალი ამბავი. მაგრამ — ნურას უკაცრავად! კინალამ გაგიჟა. მაშინვე მოითხოვა, რომ ბავშვი მომეცილებინა. უარზე რომ დავდექი, უკვე სხვა გზა არ ჰქონდა და გამიბილა, რომ თურმე, ცოლ-შვილი ჰყოლია. აი, ასე მომატყუა პატიმარმა და როდესაც ბავშვი მოვიმორე, ვუთხარი — ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია-მეთქი. არც უნერვიულია, მაშინვე სისხარულით დამემწვიდობა და იმის შემდეგ, აღარც გამოჩენილა. ასე გამაუბედურა ერთმა დანაშაუდამ“.

უკვე დიდი ხანია, თუთიყუში კუმ ჩემი ოჯახის სრულუფლებიან წევრად ითვლება. ის გალიაში ცხოვრობს და ყველაწილი კომფორტი აქვს შექმნილი: ვიტამინებით მდიდარი საკვები, წყალი და გასართობად — სარკე და „ჩხაუნა“ სათამაშოებიც კი აქვს. როდესაც გალიას ფანჯრის რაფაზე დავდგამ ხოლმე, უამრავი ბელურა ახვევია გარს და სულ მეჩვენება, რომ ისინი ჩემს თუთიყუშს შენატრიან: მათ ხომ არსებობისთვის ბრძოლა უნევთ. სამაგიეროდ, ისინი თავისუფლები არიან და გალიაში გამომწყვდეული კუმას ილბალს მხოლოდ ჩიტის „მოკლე ჭკუით“ ზომავენ... ეს ყველაფერი შემდეგი რესპონდენტის ნაამბობმა გამახსენა.

### „გამოჭერილი“ პატიმარი

„ჩემი ამბავი ალბათ, სხვებისგან ცოტათი განსხვავებული იქნება, რადგან სხვა გოგონებისგან განსხვავებით, მე თვითონ მოვიწინადინე პატიმრის გაცნობა. ერთ ოჯახში ფოტოალბომს ვთვალთვრებდი და ძალზე ლამაზი ბიჭის ფოტოს ნახავდი. იმნამსვე მოვიხიბლე ამ ადამიანით და მისი ვინაობა ვიკითხე. ის იმ



ოჯახის ვაჟის მეგობარი აღმოჩნდა და ისიც გავიგე, რომ პატიმარი იყო და 9 წელი ჰქონდა მისჯილი, ხოლო ჯერ სულ 3 წელი იყო, რაც სასჯელს იხდიდა. არც ამას შევუშინდი, პირიქით — მოვიხიბლე კიდევ, რადგან გოგონების უმეტესობას ხომ სწორედ ასეთი ბიჭები მოსწონს... თან თურმე, ციხეში ძალზე პატივცემული ადამიანი ყოფილა, ენ. ქურდი. ბევრი ვინაობა და მისი ტელეფონის ნომერი გავიგე. ერთხელ, გამბედაობა მოვიკრიბე და დაფურცე. ვითომ, ექიმთან ვრეკავდი, იმის საკითხავად, დედისთვის დანიშნული მკურნალობა გამეგრძელებინა თუ არა... მივესალმე და დავინწყე — გამარჯობათ, მე ქალბატონი ნინოს შვილი ვარ, ანტიბიოტიკის მიცემა ისევ განვაგრძობ თუ არა-მეთქი?... — სხვაგან მოხვდიო, — მიპასუხა. მოვუბოდიშე და ყურმილი დავკიდე. ახლა უკვე მასზე იყო დამოკიდებული, დამირეკავდა თუ არა. 2 დღის შემდეგ დამირეკა და მკითხა, ვინ ვიყავი. ამის მომდევნო კითხვა იყო — გათხოვილი ხარ? როდესაც პასუხი მიიღო, მერე დედაჩემის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა. ამის შემდეგ, დაინყო და დაინყო... მე ძალიან ბედნიერი ვიყავი, რადგან რამდენიმე თვის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემ მიმართ ინტერესი გაუჩნდა. უკვე ყველაფერი დაწვრილებით იცოდა. არასოდეს უთქვამს, — ჩემს სანახავად მოდიო. პირიქით, სულ იმას ამბობდა — ქალს ციხეში რა უნდა, დედაჩემსაც კი აკრძალული აქვს აქ მოსვლა... ბევრი თაყვანისმცემელი მიყვდა. ყველა ჩამომამოხრა და მიუხედავად იმისა, რომ ის პატიმარი იყო, ყველგან ვგრძნობდი მის უხილავ გავლენას. ბიჭები უკვე თვითონ მერიდებოდნენ... ჩემი ოჯახი კი, ვიღაც ახლობლის ნათესავს მირიგებდა. მე ის, გალიაში მჯდომი ჩემი პატიმარი მერჩინავ ყველას. არასოდეს მომკლუბია მისგან საჩუქრები და ყურადღება. ფაქტობრივად, ის მინახავდა, ტანისამოსისა თუ წვრილმანი ხარჯებისთვის ფულს მიგზავნიდა, რადგან იცოდა, რომ დედა ცუდად მყავდა და საარსებო პირობები არ მქონდა... ჩვენი ურთიერთობა უკვე 4 წელია, გრძელდება. ის ისევ პატიმარი, მე კი ჯერჯერ არ მინახავს. არადა, მის საცოლედ ვითვლები და როგორც კი გათავისუფლდება, მაშინვე ვიქორწინებთ. ოჯახმა რომ ამის შესახებ შეიტყოს, ლამის მომკლეს. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე — მის სიყვარულს ვერავინ დამიშლის და არაფერი მითხრათ-მეთქი... ჩემი ბიძაშვილი ბიჭი დაიბარა ციხეში და მას ელაპარაკა. არ ვიცი, რა უთხრა, ან ჩემი ოჯახის წევრებთან რა დააბარა, მაგრამ იმის შემდეგ, ხმას აღარავინ მცემს და ამ თემაზე ლაპარაკს ყველა ერიდება. ამ ბოლო დროს გადავვიდე — გინდა თუ არა, უნდა გინახულო-მეთქი, — მაგრამ ჯერჯერობით, ვერ დავითანხმე. აი, ასე „გამოვიჭირე“ პატიმარი და ახლა ველოდები მის გამოსვლას“.

ბევრი ითქვა და დაინერა იმის შესახებ, თუ როგორ მოულოდნელად ზოგიერთი ქართველი ქალი ფულს თურქეთში. ასეთი რესპონდენტებიც მყოლია და როცა მიზეზი მიკითხავს, ათასგვარ გულის ამჩუყებელ ამბავს ვისმენ ხოლმე: როგორ ვერ ყიდულობდა ნაშალს ავადმყოფი შვილისთვის, როგორ უკვებო-

და შვილი შიმშილით, მშობელმა მამამ აიძულა და ამის გამო გადადგა ეს ნაბიჯი და ა.შ. მაგრამ იმის მსგავსი, რასაც შემდეგი რესპონდენტი მიმესივება, მერწმუნეთ, არასდროს გამოვიგონია და არც თქვენ გეგნებთ მოსმენილი.

**ბურისძიება**

„მ წლის წინ, ტელეფონით გავიცანი ბიჭი. მაშინ „გე-პე-ის“ მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი და ერთი ჩვეულებრივი, თანატოლები-სგან არაფრით გამოჩნეული გოგო გახლდით. როდესაც ჩემს ცხოვრებაში ეს „ვირტუალური“ მამაკაცი გამოჩნდა, თავიდან, არც კი მივაქციე ყურადღება. მერე კი, ძალიან შემეყვარდა და მის გარეშე სიცოცხლე ვეღარ წარმოვიდგინა. ყველაფერი მეფროდა, რასაც მეუბნებოდა არ მეგონა, რომ ასეთი თამაში შეეძლო. სიყვარულს მევიცებოდა და მიირდებოდა, ცოლად მოგიყვანო... მეც, სულელი, აყვივი და თავგზაბანულელი, მის ყველა სურვილს ვასრულებდი. ვყიდულობდი მონი-ბარათებს, მიმქონდა საჭმელ-სასმელი და ტანისამოსი. ერთხელ კი, დამირეკა და მითხრა, რომ თურმე, 3 ათასი დოლარი ნააგო და თუ ფულს 2 კვირაში არ ჩააბარებდა, აუცილებლად მოკლავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ნანახი არ მყავდა, სულს არ დავიშურებდი მისთვის. ძლივს ვუშოვე „პროცენტისანი“ თანხის ნაწილი, დედას ოქროს ნივთები მოვბარე, მერე გაუფიქრე და საჭირო ფული მოვაგროვე, რომ მისთვის მიმეტანა. მიუფიქრე იმ პირობით, რომ 1 თვეში უკან დამიბრუნებდა. ერთი კი არა, რამდენიმე თვე გავიდა და ფულს არ მიბრუნებდა. ვალის მოთხოვნას მოვეწმინდე, რადგან მეც მეკალე მანუხებდა... მერე შემოთავაზა — თურქეთში გაგიშვებ, სადაც ახლობლები მყავს და სამუშაოს გიმოვიან, ვალეზსაც გაისტუმრებ და ოჯახისთვის ბნის საყიდელ ფულსაც მოაგროვებ, რომ ტუბილი და თბილი ოჯახი შექმნათ... ბევრი ვიფიქრე და დავთანხმდი. ვიდრე წავიდოდი, მას უნდა შევხვედროდი. თან პირდაპირ მითხრა, რომ მასთან მივდივარ ღამით უნდა დავრჩენილიყავი. შემეშინდა, რადგან მანამდე, მამაკაცი არ მყოლია, მაგრამ მაინც დავთანხმდი. რაღაც, უცნაურად იქცეოდა, არ მელაპარაკებოდა, მაგრამ ჩავთვალე, რომ ჩემი რცხვენოდა... ერთ კვირაში, უკვე თურქეთში ვიყავი. იქ კი, ერთი ქართველი ქალის ხელში ჩავვარდი, რომელმაც ბარში დამანყებინა მუშაობა. აღმოჩნდა, რომ მიმტანობის გარდა, მსურველებისთვის სექსმომსახურებაც უნდა გაეწია. უარი ვთქვი. ისევ იმას დაფურცე და შეგვივლე ჩემი გასაჭირი, მაგრამ მითხრა — არა უშავს, რაც მთავარია, ქალწულბა ხომ მე ჩამაბარე, ახლა, ფული ისე გავჭირდება, რომ მე თვალს დავებ-უჭავ ყველაფერზეო... მაშინ მივხვდი, რომ მახემში გავები, მაგრამ რაღა დროს?! არც ჩაკტილი ვყოფილვარ, როგორც ამას ტრეფიკინგის მსხვერპლი ჰყვებიან ხოლმე, არც ვინმეს ვუცემივარ — მე თვითონ დავთანხმდი ამ ყველაფერზე და ახლა, ბოლომდე უნდა მეზინდა ჩემი ტვირთი... თავიდან, ძალზე ცუდად ვგრძნობდი თავს, მაგრამ მერე, შევჩვიე, თუმცა, ხანდახან, სიბრაზე ნაშომივლიდა და მინდოდა, ჩემი უბედურების თავიდათავი გამენადგურებინა... ვალი გავისტუმრე და ჩემს პატი-

მარსაც იქიდან ვინახავდი. ის თვეში სულ ცოტა, ათას დოლარს მაინც მთხოვდა... ახლაც მაყრილობს იმ სიტყვების გახსენებაზე, რომლებსაც თურქი კაცები მეუბნებოდნენ — „სექსი, მადამ?“ ოჰ, ღმერთო, შენ გადაუხადე სამაგიერო იმას, ვინც ასე გამწირა... მაგრამ ჯერ ყველაფერი არ მითქვამს... ერთი წლის შემდეგ, დავბრუნდი რამდენიმე კვირით, რომ ოჯახი მომენახულებინა. გადავწყვიტე, ჩემს „კავალერს“ შევხვედროდი. უარი არ უთქვამს. როცა პაემანზე მივედი და ის ვნახე, ვერ ვიცანი, რადგან სულ სხვა ადამიანი გამოემეტა. არ ვივარდები, რომ ის იყო. მამ, ის კაცი ვინა იყო, ვისთანაც ერთი ღამე გავატარეთ-მეთქი? — ის ჩემთან ერთად იხდიდა სასჯელს, ფული გადაიხსნა, რომ შენთან დაწოლის უფლება მიმეცათ... ავეცი და წამოვედი. მირეკავდა, მემუქრებოდა, თუ ისევ თურქეთში არ დაბრუნდები, არ გაგასარებო... ამასობაში, ერთი თბილისელ კაცი გავიცანი, რომელიც სიყვარულს მევიცებოდა. არ დამიძალავს მისთვის, რაც თავს გადაიხდა. ყურადღებით მისმენდა და თავს აქნევდა. მერე, იმ პატიმრის სახელი და გვარი მკითხა. იმ დღიდან, იმ არაკაცს ჩემთვის აღარ დაურეკავს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი გავიგე, რომ მაგრად დაუსჯიათ მისი საქციელისთვის. ალბათ, როგორც ნანობს...“

როგორც ჩანს, პატიმრები არც გათხოვილ ქალებს ინდობენ და მათაც ბაჭებივით იჭერენ ყურებით. თუმცა, აქ უკვე სხვა პრობლემა ჩნდება და საქმეს „მეორე ნახევრები“ ართულუბენ...

**ორმაგად მითვებული**

„ყველაფერი იმით დაინყო, რომ ჩემი მობილურით ჩემმა მეგობარმა ისარგებლა და ციხეში თავის ნათესავს ელაპარაკა. მერე იმას სხვისთვის მიუცია ჩემი ნომერი და ერთ დღეს, ჩემს ტელეფონზე ისეთი მესიჯი მოვიდა, რომ ქვასაც კი ააჭირებდა... თავიდანვე, იმით ინწყებდა, რომ პატიმარი იყო და არავის სჭირდებოდა, რომ ცოლმა მიატოვა და გათხოვდა, შიმშილით სული სძვრებოდა და დედასაც კი არ აინტერესებდა მისი მდგომარეობა... ლამის გადავირიე, ამ ბიჭის ცოდვით აღარ ვიყავი და გადავწყვიტე, დაეჭმარებოდი. მაშინ ის ვერ ვიფიქრე, რომ თუ თავისიანებს არ უნდოდათ, ე.ი. ღირსი იყო და იმიტომ მიატოვებს. რომელი დედა ტერუზა გამოვდი, რომ მისი ცოდვილი სული მესხნა?!. მაგრამ აბა, რა ვიცოდი, რა მოჰყვებოდა ამ ამბავს?!. ერთი სიტყვით, ჩვენი ურთიერთობა ასე დაინყო და ჩემი ლალატით დამთავრდა: ვულაღტე ქმარს, რომელიც ამის ღირსი იყო, მაგრამ მანამდე, არასოდეს გამიბედავს სხვა კაცზე ფიქრიც კი; ვულაღტე ოჯახს და შვილებს. ერთხელ რომ ვუვტობე, უკან გამოსასვლელი გზა აღარ დამჩნა. იცით, როგორი მუხუხდავი და მახინჯია?.. რამ შემაყვარა, მეც არ ვიცი. ერთი სიტყვით, ყველაფერზე მივდიოდი, რომ მენახა და თუნდაც, ერთი ღამე გამეტარებინა მასთან. მის გვერდით თითქოს ქალად ვგრძნობდი თავს და ძალიან მომწონდა, რომ რაღაც საიდუმლო მეც მქონდა. ერთ დღეს, ვიღაც ქალმა დამირეკა, მის ცოლად წარმომიდგინა თავი და „გმირულად“ გამოიჩინა. ჩემი ქმრის სიახლოვეს არ დაგინახო, თორემ, თვალებს

დავთხრო, — მითხრა. გოაცებობსან პირი დაველე. გადავწყვიტე, გამეჩვიე, რა ხდებოდა. დავრეკე და დარცხვნილმა მიპასუხა, რომ თურმე, აქამდე მტყუებდა და ცოლს არ მიუტოვებია, თან დაამატა, რომ სიციუმდე ვუყვარდი და ცოლი ჩვენს ურთიერთობას ხელს ვერ შეუშლიდა... ამის დაჯერება არ მინდოდა, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა?! გადავწყვიტე, დავშორებოდი, მაგრამ მანტაქუსა და მუქარაზე გადავიდა — შენ ქმარს ვეცხვიო, — მეუწებოდა და თავს არ მანებებდა. იძულებული ვიყავი, რომ მასთან ურთიერთობა გამეგრძელებინა, თუმცა, დამორების სურვილი არც მქონდა... ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, შევიღებთ ერთად, სოფელში ვიყავი, როცა დამირეკა. ამ დროს, ჩემი ქმარი იყო ჩამოსული ჩვენს მოსანახულებლად და ზარს უპასუხა. გავეშრი, მაგრამ ხელიდან ხომ ვერ გამოვვლედი! ჰოდა, იმანაც პირდაპირ უთხრა — ვინ ხარ, ძმაო, ამ ტელეფონს რატომ პასუხობ? ჩემი ქმარი გადაიარა და კითხვა შეუბრუნა — შენ თვითონ ვინ ხარ, ამ ნომერზე რომ რეკავ? — მე, ძმაო, პატიმარი ბიჭი ვარ და ეს ტელეფონი ჩემს საყვარელს ვუთხროს... ხომ წარმოგიდგენიათ, იქ რა ამბავი ატყდებოდა?! ოჯახი დამენგრა, მე ერთი თვე ვიშუშებდი ჩალურჯებულ ადგილებს და რომ გამოვკვთიდი, მერე, აღარც პატიმარმა მოინდომა ჩემთან შეხვედრა და მითხრა: აღარ დამირეკო, ყველაფერი დამთავრდა, მე 2 თვეში ვთავისუფლდები და არ მინდა, ცოლთან პრობლემები შემექმასო... ვიცი, ბევრი იტყვის, ახია შენზეო და მართალიც იქნება. მიჭირს იმის დაჯერება, რომ ეს ყველაფერი მე გადაამხდა თავს, მაგრამ სად გავექცე ჩემს წარსულს?! ამიტომ მინდა, ყველას ვუთხრა: ნუ ჩივდებით თავს ასეთ დღეში, არ ენდოთ უსწო მამაკაცებს. მათ საოცარი უნარი აქვთ, რომ გაგაბრიყვონ და მშრალზე დაგტოვონ..“

ალბათ, ამიერიდან, მსგავსი რამ უფრო იშვიათად მოხდება, რადგან როგორც ცნობილია, მობილური ტელეფონები თითქმის ყველა პატიმარს ჩამოართვის. თითქმის-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ როგორც ჩანს, ზოგს მაინც დარჩენია და სწორედ ამის წყალობით, რამდენიმე პატიმარი შემეხმინა. მათი მუსიკებიდან ყველაზე საინტერესოს გაგაცნობთ.

**მოკყეუბული და „გამოყენებული“ ქალები**

„გამარჯობა, მარი. მე თვითონ პატიმარი ვარ. შენს ერთგულ მკითხველს ჩვენ შორის ბევრს იბოვო. იცი, როგორ ვხალისობთ ხოლმე მუსიკებზე?! მერე ვარჩევთ ამბებს და ვართ ერთ ამბავში. შენ ჩვენიანად მიგვაჩინარ და ოჯახის წევრად გთვლი, რადგან როცა პატიმრებზე წერ, ყოველთვის იგონობა თანადგომს და თანაგრძნობა. ახლა, ისეთ ამბებს მოგწერენ, რომ ალბათ გაგიჭირდება, ისევე ჩვენი მხარი დაიჭირო, მაგრამ რას იზამ? არ გეგონოს, დაია, რომ გვეწყინება. მრავლობითი იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ამ მუსიკას ჩემი მეგობრების სახელით ვწერ. ისინი მკარნახობენ, მე კი ტექსტს ვკრეფ. იმედს ვიტოვებ, რომ რამდენიმე მუსიკი მაინც გამოერევა, სადაც ჩვენზე კარგს იტყვიან. საქმე ისაა, რომ როდესაც კაცი ამდენი წელი ციხეში ზიხარ, რაღაცით დრო ხომ უნდა გაიყვანო! ჰოდა, ვუშუბთ ზარებს უცხო

ნომრებზე და თუ გოგო გადმოგვირეკავს, უკვე ერთი ნომერი გვაქვს და გვიხარია. მერე გაცივ-ნობთ. თუ შეგატყობთ, რომ პატიოსანი, კარგი გოგოა, მაშინ ისევე ხდება, რომ ოჯახებსაც კი ქმნიან. თუ არა და, ჩვენც კაცები ვართ და ქალები გვიყვარს, დავიხარებთ და... ისა, რა, ვითომ ბორდელში ვყოფილვართ და ეგ არის... ვისაც ფული აქვს, არც ის არის პრობლემა, რომ ქალი გამოიძახოს და ფული გადაუხადოს, მაგრამ ასეთები ერთეულები არიან. ამიტომ მიდის ჩალიჩი „უფასო“ ქალებზე. თუ მთლად გათასხირებული არ არის, პირდაპირ ვერ ეტყვი, რისთვის გჭირდება. ამიტომ გვინ-ვეს ტყუილების თქმა. ხომ იცი, ყველა ქალი ოცნებობს გათხოვებაზე. რომ ეტყვი, ცოლად მოგიყვანო, ის უკვე შენია... ისევე ხდება, რომ ქმრიან ქალებსაც აბამენ. ისინი დანატრებული არიან მამაკაცისგან თბილ მოპყრობას და მამ-ინვე ეგებიან ანკვსზე, როგორც კი შენგან სითბოს იგრძნობენ. ასეა და რა ვქნათ?! ზოგიერთ პატიმარს აქ თავის გატანა უჭირს. თუ ვინმე დოკლავა გოგო გამოიჭირა, გამოიყენებს, ტელეფონს მაინც ჩართვინებს, რომ სხვა, უფრო მდიდარი გამოიჭიროს და მას ფული შეან-ეროს. თუმცა, რამდენიც გინდა, იმდენი პატი-მარი მინახავს, რომ მართლა შეგყვარება ასე გაცნობილი გოგო და ისიც მინახავს, როგორ იტანჯება ამ სიყვარულის გამო. უნდა დამეთ-ანხმით, რომ მსგავსი ამბები „სვაბოდაზეც“ ხდება. უბრალოდ, ჩვენი გაცუებული მაინც სხვანაირად ჩანს, თორემ, აბა, მიიხედ-მოიხედეთ, რამდენი მოტყუებული, „გამოყენებული“ და მიტოვებული ქალი დადის თქვენ გარშემო. მაგრამ მანდ დიდი სივრცეა და არ ჩანს. არსებობს რაღაც პატარა ნაწილი გოგონების, რომლებიც ურთიერთობაზე არაფრის დიდებით არ მოდიან. აბა, იმათ როგორ მოგატყუებთ?! დარწმუნებული ვართ, ბევრი გოგო წაივითხ-ავს ამას და თუ აქ ვინმესთან ურთიერთობა აქვს, იმასაც ნაკითხებს და წინასწარ გეტყვით იმ პასუხს, რომელსაც ისინი მიიღებენ: ყველა პატიმარი ერთნაირი არ არის, ნუ უჯერებ უურნალში „ნაბუტყურებს“, ხომ იცი, რომ მე შენ ქვეყანას მირჩევინარო. ისინი დაიჯერებენ თუ არა, ეს უკვე მათი საქმეა... კარგად დმერთ-მა სიკეთე ნუ მოგიშალათ თქვენ და თქვენს მკითხველებს! იმ გოგონებს კი, ვისაც პატიმრები უყვართ, ღმერთმა შეძლება და გაძლება მისცეს..“

**„მეგონა, ვუყვარდი...“**

„ტელეფონით გაცივანი ერთი პატიმარი, რომელსაც დათო ერქვა. დიდ პატივს ვცემდი და ვაპტირობდი კიდევ. კვირაში ორჯერ ციხეში მისთვის დელიკატესები მიმიქონდა, უბრალო სიგარეტს როგორ ვაკადრებდი?! ძვირად ღირებულ სიგარეტს ბლოკებით ვყიდულობდი და ვამარაგებდი. ბევჯერ ფულიც გამიგზავნია მისთვის. ტელეფონის ნომერიც კი, „წყვილი“ გვექონდა. 2 დღეში ერთხელ, ტელეფონსაც ვურთავდი. საოლქო სასამართლოდან ნახვის ნებართვა ავიღე და ვინახულებ კიდევ. ძალიან მომეწონა. მეგონა, მასაც მოე-წონო, რადგან დასაწუნი ნამდვილად არა ვარ. ხანდახან, დედაჩემსაც კი ელაპარაკებოდა ტელეფონზე. მეგონა, მართლა ვუყვარდი, მაგრამ ძალიან უნამუსოდ მომექცა. ესეც არ იკმარა და დედამისიც ჩართო საქმეში. იმხე-

ლა ქალს მაინც სად ჰქონდა ჭკუა, რომ შევილს დაუჯერა, მის უნამუსობაზე თვალი დახუჭა და ჩემით ისარგებლა?! სახლის ტელეფონზე 1.200 ლარი ვალი დავიდე, იმდენი ვილაპარაკე ტელეფონით. ისიც იმიტომ, რომ მისთვის დრო მალე გასულიყო და არ მოეწყინა. არც ერთ მის სასამართლოს არ ვაცდენდი, სიციხ-იანიც კი წავსულვარ, რომ მისთვის მეგულმე-მატყვირა. თურმე, რა ტყულად ვირჯებოდი! ერთ დღეს, დათოს დედას ვლაპარაკე მობი-ლურზე. თურმე, ტელეფონის გათიშვა არ სცოდნია და მის საუბარს მოვკარი ყური. მეზობელს ეუბნებოდა: მე და ჩემი ბიჭი ამ გოგოს მაგრად ვიყენებთო... ღმერთმა გასცეს პასუხი ჩემს მაგივრად! ლამის ყველაფერი გამ-აყიდვინეს. მინდა, ყველამ გაითვალისწინოს ჩემი მაგალითი. პატივისცემით, ლალი“.

**„ვითომ გავებუტა...“**

„დიდი ხანია, მინდა, ჩემი თავგადასავალი მოგიყვებ და ახლა სწორედ შესაფერისი თემაა. პატიმარი შემიყვარდა. ყველაფერი 8 წლის წინ დაიწყო. ვილაპარაკე ბიჭმა დამირეკა, გაცნობა მითხოვა. უარი არ მითქვამს. რამდენიმე დღის შემდეგ მითხრა, რომ პატიმარი იყო, მაგრამ მასთან ურთიერთობა არ შემინწყვეტია. ასე გაგრძელდა 4 წელი. ხშირად, მესიჯის წერაში გამოთენებია... ჭკუას მარიგებდა, მისი რჩევები კი, ნამდვილად გამომადლა. ის ციხეში დააფ-და. იქიდან გამოსვლის შემდეგ, რამდენჯერმე შეხვედით. ბოლო შეხვედრისას, სიყვარული ამისხნა. ამის შემდეგ, ვითომ გავებუტე და აღარ ვურეკავდი. როცა თვითონ დამირეკა, უკვე ძალიან ცუდად იყო და ხანგრძლივად ლაპარაკი ვეღარ შეძლო. მითხრა — სიყვარულისთვის უნდა მეზრძოლო... ძალიან თბილი სიტყვები მითხრა და ტელეფონი გა-თიშა. ამ საუბრიდან 1 კვირის შემდეგ გარ-დაიცვალა. მე კი ამის შესახებ მოგვიანებით გავიგე. უკვე 1 წელი გავიდა და ახლა ჭბდები, რომ მეც მიყვარდა, მაგრამ თავს ვიკავებდი“.

**„არ უნდა, რომ გული მატყინოს...“**

„მეც გაცივანი პატიმარი ტელეფონით, მაგრამ მას ჩემთვის არც დეპოზიტის შევსება უთხოვია, არც ფული. მას ცოლი და 3 წლის შვილი ჰყავს და მე მისი შვილი მოვწათლეთ. მისი ცოლი გავებუტე შეხვდა ამ ამბავს და ვმეგობრობთ კიდევ. ლადოს კიდევ 3 წელი დარჩა მოსახდელი და ჩვენ ერთად ველოდებ-ით მის გათავისუფლებას. სულაც არ არის ყველა პატიმარი ერთნაირი. მარიკო“.

„ტელეფონით შეუყვარდი პატიმარს. მეც შემიყვარდა, მაგრამ ჩემი ოჯახი მისი წინააღ-მდეგი იყო. ყველაფრის მიუხედავად, მაინც დავკორწინდი. ჩემი მუდგლე ძალიან მალე გარდაიცვალა. ახლა ჩვენს შვილს ვაყოლებ დარდს. გოჩა, ისევე მიყვარხარ...“

„მინდა, იმ გოგოს მივმართო, რომელსაც პატიმარი შეუყვარდა და ძმად დაბადების დღე მიულოცა. ჩემო კარგო, გრძნობებმა არ დაგაბრმავოს. მეც შენს დღეში ვარ. მის ძმას არ უნდა ენახე. ახლა მას თავს ვეღარ დაა-ლენე“.

„მე — არა, მაგრამ ჩემს გადარეულ დაქალს მგონი, მართლა შეუყვარდა პატიმარი, რაც



ძალზე მადიქერებს. სულ უფიჩინებ — შეეშვი, თავს ნუ დაილუპავ-მეთქი, — მაგრამ ამაოდ. მაინც ისე იქცევა, როგორც გული უკარნახებს. უკვე „ტელეფონომანად“ იქცა. არ მესმის, ტელეფონით გაცნობილ ადამიანს, მით უმეტეს პატიმარს, როგორ ენდობა. რა ვიცი, აბა...“

„მეც პატიმარი მიყვარს, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ჩვენ ერთმანეთი გაცხილებით ადრე გვიყვარდა. ის იტალიაშია. იმისთვის გაემგზავრა, რომ ოჯახის შესაქმნელად, ცოტა ფული მოეგროვებინა და მშობლების კისერზე არ ყოფილიყო. უკვე 1 წელია, არ მინახავს. ჩემს ოჯახს ისედაც არ მოსწონს და ახლა ეს გვინდოდა კიდევ?! მაგრამ არავის აზრი არ მაინტერესებს: როგორც კი ციხეს თავს დააღწევს, მაშინვე დავკორწინდებით. სალი, ბათუმი“.

„რატომ არ უნდა შეგიყვარდეს პატიმარი? ისიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანია! შეცდომას ყველა სჩადის, მაგრამ ზოგს აპატიებენ, ზოგს — არა. პატიმრებიც შეცდომების გამო ისჯებიან. მიუტყეველი შეცდომა კი არ არსებობს“.

„ამას წინათ, წავიკითხე ერთი გოგოს გზავნილი, სადაც წერდა, რომ პატიმარი შეუყვარდა. მეც გავიციანი ტელეფონით ერთი პატიმარი. ჯერ ერთმანეთს პირისპირ არ შევხვედრივართ, მხოლოდ სურათები გავცვალეთ. როგორც მეუბნება, ძალიან მოვეწონე და შეუყვარდი კიდევ მპირდება, რომ გამოვა, უნდა დავკორწინდეთ. ის კი სულ მალე გამოვა და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. არც მე ვარ მის მიმართ გულგრილი. მაგდა, ქუთაისი“.

„მარი, რამდენჯერ მოგწერე მესიჯი და არც ერთხელ არ გამომიქვეყნე. ზოგიერთი კი ყოველ ნომერში მადლობას გიხდის... არადა, რა მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ეს მესიჯი! მინდაც ჩანყოფა ხდება?... შენთანაც კორუფციაა?...“

„ერთი თბილისელი ბიჭი გავიციანი ტელეფონით და შემეყვარდა. უკვე ერთი წელია, მინერ-მონერა გვაქვს, მაგრამ ჯერ არ მინახავს. ამ ცოტა ხნის წინ კი მომწერა, რომ ურთიერთობა უნდა გაწყვიტოთ, რადგან არ უნდა, რომ გული მატკინოს. არა მგონია, რომ პატიმარი იყოს, მაგრამ ვგრძნობ, რომ რაღაც დიდ საიდუმლოს მალავს... იმედია, ამ მესიჯს არ წაიკითხავს, რადგან არ მინდა, თავი ამოიცილოს“.

„ერთ პატიმართან „ვესიჯობდი“. არ შემიყვარებია, მაგრამ ის სიყვარულს მეფიცებოდა. მადლობა ღმერთს, არ შევცდი და თავის დროზე შევიტყვე, რომ თურმე ჩემ გარდა, სხვასაც ბევრს ელაპარაკებოდა... ყველა პატიმარი უგულო და მატყუარაა! გიო, მიცანი?... თათია, ბათუმი“.

„მე თვითონ ვარ პატიმარი, ოღონდ, ციხის კი არა — „გზაპნილუბის“. დამატყვევებს მესიჯებმა და მაინც გმადლობს ამ ტყვეობისთვის, რადგან სწორედ თქვენი საშუალებით გავიციანი პავლიკა... აჩრდილი“.

ამჯერად „გზაპნილუბს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: ერთი შანსი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61, გვიამბეთ — გამოიყენეთ თუ არა ცხოვრების განმარტებელი შანსი. ველით თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

კომპოზიტორი და მომღერალი ნატო გელაშვილი სულ ახლახან, მეორედ გათხოვდა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ის „ადამიან-პაუზა“, მაგრამ ამას წინათ, ერთი სოლო კონცერტე გამართა, სულ მალე კ, მეორე სოლო კონცერტის გამართვასაც აპირებს.

ყიდის თუ არა ნატო თავის სიმღერებს, ვის ეძღვნება პოპულარული სიმღერა — „ყვავდება როცა ნუში“ და ვინ არის მისი მეორე მეუღლე — ამ ყველაფერს ჩვენი ინტერვიოდან შეიტყობთ.

ნათია ქივიძე

— ნატო, ამჟამად რას საქმიანობთ? შემოქმედებითი სიახლეები თუ გაქვთ?

— რამდენიმე დღის წინ, „სითი ქლაბში“ მქონდა სოლო კონცერტი, უფრო სწორად — მინიკონცერტი, რადგან მისი გამართვა საონტანურად, ორ დღეში გადაწყდა. 10-12 სიმღერა შევასრულე, ჩემს მერე, სხვა მომღერლებიც გამოვიდნენ სცენაზე, მაგრამ იმ საღამოს რატომღაც, ნატო გელაშვილის კონცერტი დაურქვა.

— ამჟამად, ახალ სიმღერაზე მუშაობ?

— ვმუშაობ, ოღონდ, ძველი სიმღერის — „არემარე მოქარგულას“ გადაკეთებულ ვარიანტს ვაკეთებ. მოგახსენება, ადრე ამ სიმღერას ტრიო „თბილისი“ ასრულებდა, მაგრამ სამწუხაროდ, ნუგზარ აფხაძე გარდაიცვალა და ეს სიმღერაც აღარ ჟღერს. ამიტომ, უნდა განვაახლო ეს სიმღერა, ფონოგრამას „ცოცხალი“ გიტარის თანხლებით ვწერ და სიმღერასაც ბევრი მომღერალი ერთად შევასრულებთ. სწორედ ამ სიმღერით დამთავრდება ის ალბომი, რომელსაც ვუშვებ.

— იქნებ, უფრო დანერგებით მოგვიყვე ახალ ალბომზე.

— 9 სიმღერა უკვე მაქვს და ამ ერთ სიმღერას ველოდები. ალბომის გამოშვებას არ ვაპირებ, მაგრამ ჩემი ბოლო სიმღერა — „ყვავდება როცა ნუში“ ხალხს მოსწონს და მართლა შევწუხდი, რადგან ყველა მთხოვს, გადამიწერე ან ახალი ალბომი მაინც გამოუშვიო. ამიტომ დავაჩქარე ალბომზე მუშაობა.

— ალბომში შესულ 10 სიმღერას შუენ ასრულებ თუ სხვა მომღერლების ჩანაწერებსაც მოვისმენთ?

— ამ ალბომში მე მხოლოდ 3 სიმღერას შევასრულებ, ესენია: „ყვავდება როცა ნუში“, რომელსაც, როგორც მოგახსენებთ, გიო ხუციშვილთან ერთად ვასრულებ, „ნუშიას“ და სიმღერას — „არემარე მოქარგულას“. დანარჩენ სიმღერებს სხვა შემსრულებლები იმღერებენ.



„აღაჟიანი-პაუზის“ შემოქმედის ნათია ქივიძის ინტერვიუ: ახალი ალბომი, სოლო კონცერტი და მეორე მეუღლე

— ნატო, როგორ ფიქრობ — მომღერალი უფრო ხარ თუ კომპოზიტორი?

— მომღერალი ნამდვილად არა ვარ და ამას ყოველთვის ყველგან ვამბობ. ავტორი ვარ. უბრალოდ, ვმღერი იმას, რაც ჩემს სულთან ახლოს არის. ზოგიერთი სიმღერა არ აუღერდა ისე, როგორც მე მინდოდა და ამიტომ, ჩემული ვერსია ჩავენერე ეს მომღერლობა არ ნიშნავს.

— რამდენადაც ვიცი, მხოლოდ ერთი კლიბი გაქვს გადაღებული რა არის ამის მიზეზი?

— არა მხოლოდ მე — არც ერთ ჩემს სიმღერაზე არ არის კლიბი გადაღებული. ლელა ნურნუშვიას „სულელი წვიმა“ — საკონცერტო ვერსიაა, მისივე შესრულებით — „ღამე ქუჩას მივუყვები“, გიო ხუციშვილის „ლოთიანი“, ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ გადაღებული იყო. ასევე სტუდიური გვექონდა „ჩემო ცისფერთვალა“ და ა.შ. ერთადერთი კლიბი მაქვს — „თენდება“. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ თუ სიმღერა „მღერის“, მის გასაპროტებად კლიბი სულაც არ არის საჭირო.

— საკუთარი შემოქმედებიდან თუ გამოყოფ რომელიმე სიმღერას, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს? ჩემი აზრით, ასეთი სიმღერა — „ჩემო ცისფერთვალა“ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ტელეფონის ზუმერადაც კი დაგოყენებია...“

— სხვათა შორის, პირველად მოხდა ჩემს ცხოვრებაში, რომ ტელეფონზე საკუთარი სიმღერა მაქვს. ხან ვის ვთხოვდი და ხან ვის — გადმომიწერეთ-მეთქი, მაგრამ აქამდე არ მქონია. სამწუხაროდ, ამ ზარებში მე დიდად ვერ

ვერკვევი. ამას წინათ, სრულიად უცხო ნომერს დაუყენეს ეს ხარი და რომ დაფურცევი, იმდენად მომეწონა, რომ ვთხოვე — იქნებ, მეც დამიყენოთ-მეთქი. სულ ერთ კვირაა, რაც მაქვს და ძალზე მომწონს. ამასთანავე, ეს სიმღერა ჩემს უფროს შვილს — გიორგის ეძღვნება. თან იმიტომაც მიყვარს ეს სიმღერა, რომ ჩემთვის „უბერებელია“ — როცა არ უნდა ვიმღერო, არასოდეს მომბეზრდება და სადაც არ უნდა აუღერდეს, არასოდეს გადავრთავ სხვა არხზე. სხვა შემთხვევებში, თუ რომელიმე ჩემს სიმღერას წავაწყდები, შეიძლება გადავრთო, რადგან ამას ჩემთვის მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ეს იყო ერთ-ერთი პირველი სიმღერა, რომელიც სცენაზე შევასრულე. ამ ერთი სიმღერით დაგდიოდით კონცერტებზე მე და გიო ხუციშვილი.

**საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას საკუთარ სიმღერას რომ გაიგონებ, რა გრძნობა გეუფლება?**

— ამ დროს არანაირი ამბიციაც არა მაქვს. სიმართლე გითხრა, ასეთი სიტუაციები არ მსაიაოვნებს... ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით, ზაფხულში ხდება ხოლმე, როცა ღია კაფეები და ბარები მუშაობს. იქ რომ აღმოვჩნდები და ჩემი სიმღერა მესმის, თავს ძალზე შუბოჩილად ვგრძნობ. ამიტომ, ყველა ჩემს ახლობელს, რომლებიც ამა თუ იმ კლუბის მეპატრონეები არიან, ვთხოვ ხოლმე — როცა მე შემოვიდვიარ, ჩემი სიმღერები გამორთეთ-მეთქი.

**წელან თქვი — როცა მომღერლის მიერ შესრულებული არ მომეწონება, საკუთარ ვერსიას მაშინ ვწერო. ხშირად მომხდარა ასეთი რამ?**

— ხანდახან ხდება. საერთოდ, ორი მიზეზი არსებობს, რის გამოც ვმღერო: ერთი — რაც ვთქვი და მეორე ის, რომ ბევრი სიმღერა ჩემი ბავშვობის დროინდელია. მაშინ, სულაც არ ვაპირებდი სცენაზე დგომას, მაგრამ ძალიან მიწოდდა, რომ ის სიმღერები მემღერა, ამიტომ ჩაწერე. ახლაც, რომ გადახედო ჩემს კონცერტებს, ძირითადად, ძველ რეპერტუარს ვასრულებ, რადგან მე ხელწერა არ შემიცვლია. მაქვს ის, რაც მაქვს. ათასში ერთხელ თუ შევამატებ რაიმეს ახალს. ჩემი მუსიკალური „გარდერობი“ არ იცვლება... რაც შეეხება მომღერლებს: რა თქმა უნდა, არ დავასახელებ, თუ ვინ იყვნენ ისინი, ვისი ნამღერიც არ მომწონებია. მომღერლისთვის შენიშვნაც კი არასდროს მიმიცია, რადგან არასოდეს ვესწრები ჩანერას, ყოველთვის ვაძლევ მომღერალს იმის საშუალებას, რომ იმღეროს ისე, როგორც მას ესმის. შეიძლება, მასაც არ მოეწონოს ჩემი ნამღერი და ყველაფერს თავისებურად ხედავდეს, ამიტომ ვანიჭებ სრულ თავისუფლებას. არაჩვეულებრივი გამოთქმა — გემოვნებაზე არ დაობნო. არავის ვუდავებ. თუ მისი ნამღერი არ მომეწონება, მოგვიანებით, ჩემს ვერსიას ვწერ.

**ადრე გითქვამს ჩემთვის — როცა სიმღერას ვწერ, ის შგნიდან მოდის, აბსოლუტურად ჩემია და ამისთვის შესაფერისი განწყობილება მჭირდებაო. შეკვეთით თუ დაგინერა სიმღერა?**

— არა, გამოირიცხებოდა. შესაძლოა, საფულეში 20 თეთრიდა მედოს და სიმღერაში დიდ თანხას მთავაზობდნენ, მაგრამ მაინც ვერ დავწერ, არ შემიძლია, ფიზიკურად ვერ დავწერ. ჩათვალე, რომ იმნუთას, ცარიელი ქალი ვარ და თავში არაფერი მომივა. შესაძლოა, დაემთხვას — რაღაც სათქმელი მქონდეს და იმ დროს შემომთავაზონ სიმღერის დანერა, — მაგრამ ვერ ასეთი შემთხვევა არ მქონია. შემიძლია, ხატზე დავიფიცო, რომ ალბათ, სულ სამი სიმღერა მექნება გაყიდული — დანარჩენს საჩუქრად გავცემ, რადგან თითქმის ყველა ჩემს სიმღერას ჩემი მეგობრები მღერიან და ჩემთვის მეგობარი და ფული — აბსოლუტურად სხვადასხვა თემა: სადაც მეგობრობაა, იქ ფულზე ლაპარაკი შეუძლებელია.

**დღეს, შოუბიზნესში სრული „გამყინარებაა“, შენც შემოქმედებითი პაუზა გაქვს. როგორ ფიქრობ — რა არის ამის მიზეზი?**

— ჩემი მაგალითით შოუბიზნესზე ნუ იმსჯელებ, რადგან საერთოდ, მე „ადამიანი-პაუზა“ ვარ. შესაძლოა, რაღაც დავწერო და მერე, მთელი წელი აღარაფერი გავავეთო. ყოველთვის ასეთი ვიყავი... ნამდვილად ვერ გეტყვი, რა მოხდა ქართულ შოუბიზნესში. მომღერლები დაიქსაქსენ, სულ საზღვარგარეთ დადინ, იქ ურჩევნიათ. აქ არ იმართება კონცერტები, ფინანსური ნაკლებობა... ყოველთვის ვამბობდი, რომ „არტ-იმედის“ არსებობა კარგიც იყო და ცუდიც, რადგან მაშინ, მომღერლები მიეჩვენებოდა იმას, რომ მათ სტაბილურად ჰქონდათ ჰონორარი, უწერდნენ სიმღერას, უღებდნენ კლიბს და ა.შ. მომღერლის პრობლემა მხოლოდ ის იყო, რომ სტუდიაში დამდგარიყო და ემღერა. ადამიანი ამ ყველაფერს ეჩვევა. მანამდე კეთდებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ — წვალბით: ყველა საკუთარი ჯიბიდან იღებდა საჭირო თანხას. მერე, „არტ-იმედი“ რომ იყვნენ და პრობლემა არ ჰქონდათ, დაეყრდნენ ამ კომპანიას. შემდეგ კი, უცებ, ეს საყრდენი გამოეცალათ და იძულებულნი გახდნენ, პატარა ბავშვით, თავიდან დაეწყათ ბრძოლა... როცა ვაკვირდები მომღერლებს, ვხედავ, რომ ყველას ძალიან გაუჭირდა. მე „არტ-იმედი“ არ ვყოფილვარ, შესაბამისად, არც ასვლა მქონია და არც ჩამოსვლა. თუ მქონდა ფული, ჩაწერდი სიმღერას, თუ არა და — არა. როგორც ვცხოვრობდი, ისევე ვცხოვრობ. გაჭირვებასაც მიჩვეული ვიყავი და ფულის ქონასაც. აქტიური პერიოდი არასოდეს მქონია. შესაძლოა, ორი კონცერტი ერთდროულად გამემართოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალი რეპერტუარი მაქვს. ჩემს კონცერტებზე მსმენელები კონკრეტული განწყობილებით მოდიან: იქ რომ „ერთი კაცი მიყვარდა“ არ შევასრულო, რაღაცის ნაკლებობას იგრძნობენ და მინდა თუ არა, ამ სიმღერას რეპერტუარიდან ვერ ამოვიღებ. კონცერტის შემდეგ, სრულიად უცნობი ადამიანები მოსულან და უკითხავთ — რატომ არ იმღერე ის სიმღერაო?..

**გამოდის, რომ კომერციული მომღერალი არა ხარ და საკუთარი შემოქმედების ხარჯზე არ ცხოვრობ...**

— როგორც კომპოზიტორს, შემოსავალი არასოდეს მქონია. მყავს მოსწავლეები, რომლებსაც მუსიკასა და სიმღერაში ვამეცადინებ და აქედან მაქვს შემოსავალი. ამას ისიც დავმატებ, რომ კონცერტზე მიწვევენ ძალიან ხშირად. 16 წლის ასაკიდან, მოსწავლეები ყოველთვის მყავდა.

**მათ ალბათ, საკუთარ სიმღერებსაც ასწავლი, ხომ?**

— ძალიან იშვიათად, ისიც — თუ თვითონ მთხოვენ. ვერ ვასწავლი ქართულ კლასიკას — იმას, რაც ქართულმა ადამიანმა აუცილებლად უნდა იცოდეს. ამას წინათ, ბავშვები გადაემკვიდნენ — „აყვავდება როცა ნუში“ გვასწავლეთ... სამწილად არ მიყვარს, როცა ჩემს სიმღერას ვასწავლი. ისინიც რაღაცნაირად, იმაზე ბიან: თუ ამ დროს, როცა რაღაც არ გამოსდით, ნერვიულობენ. ამიტომ მირჩევენია, სხვისი შემოქმედება ვასწავლო.

**სოლო კონცერტზე მუშაობის დანებებას არ აპირებ?**

— უკვე დანებებული გვაქვს, მაგრამ როგორ მოვასწრებთ, არ ვიცი, რადგან მოგვსენება, ახლა დიდი მარხვა იწყება და გამოირიცხებოდა, მარხვის დროს, რაიმე მსგავსი გავავეთო: ასეთ დროს, სცენაზე ვერ გამოვალ და ვერ ვიმღერებ. ალბათ უფრო, მისშივე გავმართავ სოლო კონცერტს.

**ახლა, შენს პირად ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზეც მოგიყვებო. როგორც ვიცი, სულ ახლახან გათხოვდი.**

— მართალია. ჩემი მეუღლე გახლავთ ვახო... — რომელსაც სიმღერასთან არანაირი კავშირი არა აქვს...

— არა. მაგრამ უკვე ისე კარგად გავრკვეა ამ ყველაფერში, რომ ჩემი სიმღერის ყველა ფრაზა მასთან უნდა გაიაროს აპრობაცია. დიდი ძელომანია. ჩემი ცხოვრებით ცხოვრობს და თუკი რაიმე შეუძლია, მესმარება. საკმაოდ ჭკვიანურ რჩევებს მძალეებს ხოლმე... მის ნათქვამს უმეტესად, ვითვალისწინებ, რადგან რამდენჯერაც არ დაუჯერე, იმდენჯერ ნავითგერი ცხვირი. თუკი რაიმე ახალს დავწერ, ჩემი პირველი შემფასებელი ვახოა. ვიცი, რომ ჩემი შემოქმედება მისთვის იმდენად ძვირფასია, რომ ცუდ რჩევას არასოდეს მომცემს.

**სიმღერა თუ მიგიძღვნა მისთვის?**

— რა თქმა უნდა. „აყვავდება როცა ნუში“ — მას მიუძღვნე და ძალიან ბედნიერია ამით.

**მესამე შვილის გაჩენას აპირებ?**

— ვაპირებ, რადგან ძალიან მინდა, რომ გოგონა მყავდეს. ჩემს შვილებსაც ძალიან უნდათ, რომ კიდევ ერთი დედამამიშვილი ჰყავდეთ. მათაც და უნდათ... ახლა, ოჯახში ცოტა ვინროდ ვართ. როცა გავფართოვდებით, შვილებზე მაშინ ვიფიქრებთ.

**როგორი ურთიერთობა აქვთ ბავშვებს ვახოსთან?**

— არაჩვეულებრივი. ძალიან მეგობრობენ ერთმანეთთან. ვახო მათთვის ჭკუის კოლოფია და რაღაც „პატურებს“ სულ მას ეკითხებიან. ვახოც ჭკუას არიგებს. მის სიტყვას ბავშვებისთვის ძალზე დიდი ფასი აქვს...





# როგორ მოვიპოვოთ

# ბედნიერება

მამყვანის  
ბედნიერობას  
— „მე მიხდა!“  
ქალის  
ბედნიერობას  
— „მას ყხდა!“

რა არის ბედნიერება? ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა ძნელია. ნაწილობრივ, ეს გახლავთ ადამიანის უფლება, რომელიც თითოეულ ჩვენგანს დაბადებისთანავე ენიჭება... არ არსებობს ბედნიერი ცხოვრება — არსებობს მხოლოდ ბედნიერი დღეები... ან — ნუთუები?... უბრალოდ რომ ვთქვათ, ადამიანი ბედნიერად თავს მაშინ გრძნობს, როდესაც ყველაფერი კარგადაა... მაგრამ რას ნიშნავს ეს „ყველაფერი კარგადაა“?... რა გვგზის ბედნიერებას?... არსებობს თუ არა ქალური, მამაკაცური ბედნიერება?... არის თუ არა ფული — ბედნიერების საწინდარი?..

## მარი ჯაფარიძე

ამ, ბოლო კითხვით თავდაპირველად, ერთ მდიდარ ქალბატონს მივმართე, რომელიც ინტერვიუზე დამთანხმდა, მაგრამ როდესაც საუბრის თემა გავუხილე, რატომღაც საკუთარი თავის გამჟღავნებაზე უარი თქვა. სამაგიეროდ, საინტერესო პასუხი გამცა ჩემ მიერ დასმულ ბევრ კითხვაზე:

— იცით, რა ხდება?... ფული ბედნიერების საწინდარი არ გახლავთ, მაგრამ მისი არსებობა ამის ერთ-ერთი აუცილებელი წინა პირობაა. სხვაგვარად, სრულ ბედნიერებას ვერ მოიპოვებთ. არსებობენ ძალიან მდიდარი, მაგრამ უბედური ადამიანები. ასე რომ, ფულთან ერთად, კიდევ ბევრი რამ არის საჭირო, რომ ბედნიერი იყო.

— თქვენ თუ გაქვთ ის „ბევრი სხვა რამ“? ბედნიერი ხართ?

— ჯერ გავარკვიოთ, რა არის ბედნიერება. ჩემი აზრით, ბედნიერების ერთ-ერთი ნიშანია, გამარჯვების განცდა — ალლოდისმენტები, წარმატება, აღიარება... ოღონდ, ეს უნდა იყოს საკუთარი შრომით მიღწეული, დამსახურებული გამარჯვება. ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის ისე ხდება, რომ წარმატებას ძალზე იოლად ვაღწევ, ამიტომ გამარჯვებისა და ამით მონიჭებული ბედნიერების მწვავე განცდა არ მქონია... ბედნიერებაა, როდესაც ქმართან ხანგრძლივი თანაცხოვრების შემდეგ, ურთიერთობები არ გახუნებუ-

ლა და მასთან ყოველდღიური შეხვედრა სისხარულს განიჭებს. ასევე, საყვარელ ადამიანთან განშორების შემდეგ შეხვედრაც დიდი ბედნიერებაა, თუ ის ნამდვილად, მთელი გულით გიყვარს. შვილების წარმატება და ჯანმრთელობა, მთელი ოჯახის თავშეყრა და საუბარი იმაზე, რომ ყველაფერი კარგადაა — ესეც დიდი ბედნიერებაა. იყო ჯანმრთელი და გქონდეს სხვა ადამიანების დახმარების სურვილი, დრო და საშუალება — ესეც ბედნიერებაა. საყვარელი საქმე, შობი, კარგი განწყობილება და მოგზაურობა... ხომ მეთანხებით, რომ ბედნიერებაა?... ცხოვრობდე ცალკე და შენს შვილებსაც საკუთარი ბინა ჰქონდეთ, გყავდეს ავტომობილი, რომ ნებისმიერი მიმართულებით კომფორტულად გადაადგილდებოდე, გქონდეს საცურაო აუზი და კონდიციონერი, ჯანმრთელი და ჭკვიანი შვილიშვილები... ეს ყველაფერი დიდი ბედნიერებაა... ესეც პასუხი თქვენს კითხვაზე. თუ არ ჩავთვლით შვილიშვილებს, რომლებიც ჯერჯერობით არ მყავს, სხვა ყველაფერი მაქვს და ვფიქრობ, რომ ძალიან ბედნიერი ადამიანი ვარ.

ფსიქოლოგ მარინა რაზინაშვილთან საუბარი იმავე კითხვით დავიწყე:

— ქალბატონო მარინა, არის თუ არა ფული ბედნიერების საწინდარი?

— ჩვენს ბებია-ბაბუებთან შედარებით, თანამედროვე ადამიანები გაცილებით მდი-

დრები არიან, მაგრამ — ნაკლებად ბედნიერები. კეთილდღეობის დონის გაზრდამ, რომელიც ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე შეიმჩნევა, იოტისოდენადაც არ შეუნყო ხელი ცხოვრებით კმაყოფილების სუბიექტურ შეგრძნებას. მატერიალური კეთილდღეობის გაზრდით ადამიანები ბედნიერნი არ გამხდარან. ბედნიერება მდგომარეობს არა ფულსა და სიმდიდრეში, არამედ სიმდიდრესთან დამოკიდებულებაში. გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანები, რომლებიც დაკავებული არიან ფულისა და ქონების დაგროვებით, გაცილებით უბედურნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც სულიერი სიმდიდრის მოპოვებას ცდილობენ. ცნობილია, რომ „მატერიალისტები“ ბედნიერებას განიცდიან იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ცხოვრებაში ყველაფერი კარგადაა და მათი შემოსავალი შესაბამეა მათსავე წარმოდგენას სიმდიდრეზე, მაგრამ თუ მათი ფინანსური მდგომარეობა ოდნავ გაუარესდა, მაშინ ისინი გაცილებით უბედურად გრძნობენ თავს, ვიდრე „იდეალისტები“ და დეპრესიამაც უფრო იოლად ცვივდებიან. მათი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ „მატერიალისტებს“ მიაჩნიათ — ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება: საყვარულის, ოჯახის, მეგობრებისა და ბედნიერებისაც კი. დროთა განმავლობაში, ისინი რწმუნდებიან, რომ არასწორად ფიქრობენ და როცა ამას აღმოაჩენენ, სწორედ მაშინ გრძნობენ თავს უბედურად. ფული და ნივთები თავისთავად არ შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი. მთელი სირთულე ადამიანის მათდამი დამოკიდებულებაში მდგომარეობს. საერთოდ, არ მიყვარს ამერიკული მაგალითების მოყვანა, მაგრამ მინდა, ყურადღება გავამახვილო ერთ საკითხზე. ფსიქოლოგები სწავლობდნენ იმ ადამიანთა ცხოვრებას, ვინც ძალზე ილბლიანი აღმოჩნდა და უეცრად — ლატარიით ან კაზინოში დადებული ილბლიანი ფსონით გამდიდრდა. აღმოჩნდა,

რომ ამის შემდეგ, ამ ადამიანთა ცხოვრება დღით დღე უკან-უკან წავიდა, მათი ოჯახები დაინგრა და კარიერაც თან მიჰყვა... 2002 წელს, ამერიკელმა ჯექ ვიტაკერმა ლატარიაში იმ დროისთვის რეკორდული თანხა — 4 მილიონი დოლარი მოიგო. გამდიდრებულმა ჯექმა მიატოვა ოჯახი და დაიწყო თავმჯდომეობა ცხოვრება. მოგებული თანხა წელიწად-წახევარში გაფლანგა და 2004 წლის დეკემბერში, ნარკოტიკის ზედმეტი დოზისგან გარდაიცვალა. ის რომ არ გამდიდრებულიყო, წლების განმავლობაში იცხოვრებდა ოჯახთან ერთად, ჩვეულებრივად იზრომებდა და შესაძლოა, ღრმა სიბერემდე ეცოცხლა. არსებობს სიმდიდრის მოხვეჭის ზღვარი, რომელიც ცხოვრებით ტვინის გარანტიას წარმოადგენს. ამ ზღვარს მიღწეული ადამიანის შეჩერება უკვე დიდი სირთულეს წარმოადგენს — მას მეტი და მეტი სურს, ბედნიერებას სწორედ ქონების გაორმაგებაში, გაათმაგებასა და გაასმაგებაში ხედავს და მიაჩნია, რომ მატერიალურ კეთილდღეობას შეუძლია ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა. რამდენიმე წლის წინ მყავდა პაციენტი, რომელიც საკმაოდ მდიდარი გახლდათ. ის ვერ ახერხებდა შვილთან — 13 წლის გოგონასთან ურთიერთობის მოგვარებას. ვცადე, დამერწმუნებინა, რომ მის მიერ შვილისთვის შექმნილი საუკეთესო პირობები და უზრუნველი ცხოვრება სულაც არ იყო საკმარისი მამა-შვილს შორის იდეალური ურთიერთობისთვის. დაფიქრებული მისმენდა, უეცრად მომიბრუნდა და მეუბნება — გამოსავალი ვიპოვე, ვიცი, რა დამეხმარება: ჩემს შვილს ეზოში დიდ საცურაო აუზს ავუშენებ და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგებო... მასთან ლაპარაკის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა: შეაყარე კედელს ცერცვი. ამიტომ ვთხოვე, შვილი მოეყვანა ჩემთან... ძალზე კარგად მოაზროვნე, გონებაგახსნილი მოზარდი აღმოჩნდა. მას არ აკმაყოფილებდა ის, რაც ჰქონდა. ყიდულობდნენ ძვირად ღირებულ სათამაშოებს, ჰქონდა უკანასკნელი მოდელის კომპიუტერი და ყველანაირი კომფორტი, მაგრამ არ აძლევდნენ მეგობრებთან ურთიერთობის საშუალებას. მასთან მასწავლებლებიც კი შინ მოდიოდნენ... მშობლები უკრძალავდნენ ტელეფონთან მისვლას, სასეირნოდ წასვლას... გოგონა ისეთ ასაკში იყო, რომ სჭირდებოდა თანატოლებთან ურთიერთობა, თუნდაც სიყვარულის გრძნობის განცდა. მას კი ამის საშუალება არ ჰქონდა და თავს უბედურად გრძნობდა — მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი, საშუალო შეძლების მქონე ოჯახის შვილი მას ბევრი რამის გამო, ნამდვილად შენატროდა... ეს საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ ბევრი ფული არ ნიშნავს ბედნიერებას, საამისოდ კიდევ სხვა პირობებია საჭირო.

რა პირობებია ეს?

ერთ-ერთი პირობაა, წარმატებული სიყვარული. შეყვარებული ადამიანი დიდი სიმძლავრის ელექტროგენერატორივითაა, გარშემო მუდმივად დიდ, დაღვებითად და მუხტულ ველს ქმნის. ადამიანთა უმეტესობა საკუთარი ბედნიერების განსაზღვრისას, სწორედ ამ კრიტერიუმს ასახელებს: თუ სიყვარულში გაუმართლა, დანარჩენი —

წვრილმანია... თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ასეთი ადამიანები მართლაც, ყველანაირ პრობლემას იოლად აგვარებენ. ყველა ადამიანი იბრძვის საკუთარი წილი ბედნიერების მოსაპოვებლად. ამ ბრძოლის დროს, ზოგი, წარმატებული ბიზნესმენი ხდება და დიდძალ ფულს შოულობს, ზოგი — ქორწინდება, ზოგი, პირიქით — ოჯახს ანგრევს და იმ ბედნიერების საძებნელად მიდის, რომელიც თავად აქვს წარმოდგენილი... ადამიანები ბედნიერებას სხვადასხვაგვარად უყურებენ. მაგალითად, თუ უსახლკარო, ერთი ღამით თავმჯდომარს, ცხელ საჭმელსა და რბილ ლოგინს იშოვის, მერწმუნეთ, ის ძალზე ბედნიერი იქნება, მაგრამ მდიდარ ადამიანს ბედნიერებას ასეთი წვრილმანი ვერ მიაჩნება, მან შესაძლოა, პატარა ბავშვივით გაიხაროს, როდესაც 50-მილიონიან ქარხანას იყიდის... პრაქტიკაში მაქვს ასეთი მეტოდი: ყველა პაციენტს, განურჩევლად ჩემთან მოსვლის მიზეზისა, ვთხოვ, რომ ფურცელზე აღწეროს დღე, რომელიც ყველაზე მეტად დაამახსოვრდა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, 100-დან 100-ზე იხსენებს იმ დღეს, რომელიც მის ცხოვრებაში ყველაზე საშინელი გახლდათ... შემდეგ ვთხოვ, გაიხსენოს ყველაზე ბედნიერი დღე. მათი ჩანაწერები



მეხმარება მკურნალობის მეთოდის შერჩევაში და შემდგომი კვლევისთვის მჭირდება. შემიძლია გიჩვენოთ ის ჩანაწერები, რომლებიც უკვე ათასობით დამიგროვდა და მხოლოდ ერთ შემთხვევას გავიხსენებ, როდესაც პაციენტმა პირველადვე, ბედნიერი დღე გაიხსენა. ხომ საინტერესოა, რამ მიანიჭა მას ასეთი ბედნიერება, რომ არასოდეს ავიწყდება?! აი, მისი ჩანაწერიც:

„მე დავუბრუნდი ძველ სამყაროს და ის უკეთესი და თითქოს კეთილიც კი მეჩვენება. გუშინ დავბრუნდი მთიანი აჭარადან... ბალახებში ვინჯე და ვიცინოდი... გამიკვირდა, სიცილი დამიბრუნდა... თვეღე დეიდას 3 თვის ნაგაზი ფეხებში გამებლანდა და ნამაქცია. თვეღეს 4 შვილი და 7 შვილიშვილი

ჰყავს და ყველასთვის ჰყოფნის სითბო. მეც გავთბი მის გვერდით. იქ „გამჭვირვალე“ ტყეებია და ლამაზი ცა... თვითონ სოფელი საუკეთესოა, საუკეთესოა შორის. იქ კარზე ბოქლომს არავინ ჰკიდებს და შინ დაბრუნებულმა შესაძლოა, მაგიდაზე ახალგაომომცხვარი ნახუქები აღმოაჩინო, ან ცხელი ხაჭაპური... რომელიღაც მეზობელს დაუცხვია, თევზით თუ მიხვდები, ვინ გასამოცნა... იქ ერთმანეთს ყველაფერს უნაწილებენ და სითბოს არ იშურებენ, თუნდაც ჩემნაირი, უცხო სტუმრისთვის. თვეღე მარტო ცხოვრობს. შვილები „ქალაქ არიან ნასულნი“ — ასე ამბობს თვითონ. რაზე არ ვსაუბრობდი მე და თვეღე. წარსულს ვისხენებდით და იმ ბედნიერ დღეებს შეგნატროდით, როცა ყველა კარგად ვიყავით. ჩემი იქ ყოფნა ერთგვარად, „მუცლის ზეიმიც“ გახლდათ. თვეღე კარგი დიასახლისია, პროდუქტი კი — იმ მაღლიან მინაზე მოყვანილი... ეს ის ადგილია, სადაც დროს „არ ექქარება“ და არსად გაგვიანდება. დრო იზოგება არა საათობით, არამედ — სამუშაოთი. გუშინ კიტრი დაგამწნილეთ, დღეს — ხაჭაპურს შევაცისობთ... სამზარეულოს ფანჯარა ბალის პეიზაჟის ნახატის ჩარჩოსავითაა. ნამოსვლამდე 3 დღით ადრე, ამ „ნახატის“ ყურებისას, სევდა შემომანვა. როგორ უნდა გავძლო ამ სამყაროს გარეშე? როგორ დავუბრუნდე ძველ, ტრადიციულ საცხოვრებელს? უცებ, ხმა ჩამესმა: შემოუვი ეს ტკივილი შენს გულში! მეც შემოვუვი და საშინელ მომავალს არსებობის უფლება მივეცი. ამით არაფერი დაშავებულა. უბრალოდ, ბალის ნახატი ძალიან ღრმად შემოიჭრა ჩემში და ჯადოსნურ კარად გადაიქცა, სადაც მამინ შვეალ, როცა მომინდება. ეს სამყარო ყოველგვარი ბოროტისგან დაცულია და მასში თვეღეა. ის დედაჩემის სტუდენტობის მეგობარია. ჩვენ კი საერთო ტკივილი გვაქვს — დედის გარდაცვალებით განცდილი ტკივილი. ჩვენ ხომ ერთმანეთს მაშინ დავმორდით, როცა მე ჯერ კიდევ 16 წლის ვიყავი... თვეღეს დედის სუნი აქვს... მე კი ბედნიერი ვარ, რადგან ამ სუნს ქვეყნად არაფერი შეედრება. ახლა, ქალაქში, სამსახურში და ძველ სამყაროში დაბრუნებული, ყველაფერს სხვაგვარად ვხედავ და მინდა, კარზე ის წარწერა გავაკეთო, რაც თქვენს კარზეა, ქალბატონო მარინა (გულისხმობს ჩვენს რესპონდენტს, ფსიქოლოგ მარინა რეხვიაშვილს. — ავტ.) — „ცხოვრება მშვენიერია!“

ხედავთ? აი, ასეთმა უბრალო მოგზაურობამ შეიძლება, ადამიანი ბედნიერად აქციოს. სოფელში ყველანი დავდივართ, მაგრამ ალბათ, არავის უთქვამს — ბედნიერი ვარ, რომ სოფელში ვიხდები. ამ წერილის ავტორს კი შეუძლია, თამამად თქვას ამის შესახებ. იცით, საქმე რამია? ხშირად, ბედნიერების ძებნაში, გზას ვკარგავთ და როცა ვიპოვით, აღმოჩნდება, რომ იმ დედაბერივით მოგვსვლია, რომელიც სათვალეს ეძებდა და ცხვირზე ჰქონია დაკოსებული... ჩვენი წილი ბედნიერება ყველას გველოდება — უბრალოდ, ძალიან ბევრს არ უნდა ვითხოვდეთ ცხოვრებისგან. ის, რაც ერთ დროს ბედნიერებად მიგვანდა, თუ ჩვეულ ცხოვრე-




ბის წესად გვექცა, უკვე აღარ ვთვლით ღვთის საჩუქრად და სხვა, უფრო დიდ ბედნიერებას ვეძებთ.

თემა, რომელზეც ვსაუბრობთ, ამოუწურავია, აქ დასმულ კითხვებზე პასუხების მიღებას ადამიანი ქვეყნიერების დასაბამიდანვე ეძებს. როგორი იყო ეს პასუხები, გამოჩენილ მოღვაწეთა ვერსიებით? შესაძლოა, ქვემოთ მოყვანილი აფორიზმებიდან და სენტენციებიდან აღმოჩნდეს ისეთი, რომელსაც „მოირგებთ“ და დაიხმართ იმის ძიებისას, თუ რა არის თქვენთვის ბედნიერება:

- ამბობენ, უბედურება კარგი სკოლაა, თუ ეს ასეა, მაშინ ბედნიერება საუკეთესო უნივერსიტეტი ყოფილა  
*ალექსანდრე პუშკინი*
- ყველა ადამიანი ბედნიერია, ოღონდ ყველამ როდი იცის ამის შესახებ...  
*შრილანდი ნინუა*
- ბედნიერებისთვის ნებისმიერი შიმშილის მოკვლაც საკმარისია.  
*ხალხური*
- მიეცით ბედნიერ ადამიანს წვეთი სატანჯველი, თორემ ის ბედნიერების შეგრძნებას დაკარგავს  
*ჟენსი ავსტრი*
- მოიქეცი ისე, თითქოს უკვე ბედნიერი ხარ და აუცილებლად გახდები ბედნიერი  
*ლილ კარნევი*
- ბედნიერების წყაროდან ბედნიერებას გახვრეტელი ქურჭლით ვიღებთ და როცა ის ბაგესთან მიგვაქვს, ქურჭელი თითქმის მოლიანად დაცლილი გვხვდება  
*ჟენსი ავსტრი*
- ბედნიერება ეს არის ძლიერი ჯანმრთელობა და სუსტი მესხიერება.  
*ერნესტ ჰემინგუეი*
- სიყმაწვილეში ბედნიერებაა — ოცნება, ხოლო სიბერეში — მიღწეული მიზნები  
*ხალხური*
- ადამიანი არასოდესაა ისეთი უბედურო, როგორც მას ეჩვენება და არც ისეთი ბედნიერი, როგორც მას სურს.  
*ხალხური*
- მამაკაცის ბედნიერებას ჰქვია — „მე მინდა“, ქალის ბედნიერებას კი — „მას უნდა“  
*შრილანდი ნინუა*

სრული ბედნიერებისთვის ყოველთვის „უნიშვნელო“ რამ გვაკლია: მილიონი დოლარი, ძალაუფლება ან ჯადოსნური ჯოხი, რომელიც ყველა სურვილს აგვისრულებს... დავანებოთ თავი ამ „წვრილიმანებს“ და ვიყოთ უბრალოდ, ბედნიერი...

# ყველა ასაკის მკითხველისათვის!



# ამ ნიგნის კითხვის დაწყება ნებისმიერი გვერდიდან შეიძლება!

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს რუბრიკას „ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან“, რომლის ავტორიც გოჩა ფანჯიკიძე გახლავთ. ხუთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, ჟურნალის დაარსების პირველი დღეებიდან, რუბრიკამ მკითხველის ყურადღება და ინტერესი დაიმსახურა. მრავალფეროვანი სამეცნიერო, პოპულარული, იუმორისტული ინფორმაცია, რომელიც სისტემატურად მიეწოდება მკითხველს, ასახავს როგორც მიმდინარე, ჩვენი დროისთვის აქტუალურ პრობლემებსა თუ მსოფლმხედველობას, ასევე უცნობ თუ ნაცნობ მოვლენებს კაცობრიობის ისტორიის ოქროს ფონდიდან. ფაქტები შესაძლებლობის ფარგლებში საგულდაგულოდ არის შემოწმებული, დამუშავებული და ავტორისათვის სასურველი რაკურსით დანახული.

წიგნში შესულია ჟურნალ „გზაში“ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საუკეთესო მინიატურები და ასობით ახალი ჩანაწერი თუ საინტერესო ფაქტი.

**ნიგნები სასული მიზანით ფასნაგავის გარეშე!**  
**ტელ: 42-43-40; 33-26-73**

„... მოძაქემიო ეს  
სასუმისნი ყუმნი,  
ას  
ს-ლ-ა-ო-უმ-შ-ე-ცი  
ჯადუმიანი ჭამიოლო  
სყომას!“



ქვა მიწაქვე

— წინათ, უფრო მეტად მეგობრულე-ბი და ვაჟკაცურები იყვნენ, ვიდრე — დღეს. მეგობრობის ფენომენი მართლა შეიცვალა. ადრე თურმე, მეგობრობა წმინდა რამ იყო, დღეს კი, ეს გრძნობა გაუბრალოებულია. ისე ადვილად მეგობრდებიან და შორდებიან ადამიანები ერთმანეთს, თითქოს არანაირი კვალი არ რჩება მათ გულეში. ძალიან მინდა, ვცდებოდე, მაგრამ სამწუხაროდ, ეს სიმართლეა.

როგორ ერთობა შენი თაობა?

— ახალგაზრდა ყველა დროს თავისებურად ერთობა. თუ ადრე, ოჯახებში იკრიბებოდნენ და პიკნიკებზე დადიოდნენ, დღეს ჩვენი გართობაა ბარსა და რესტორანში დროს ტარება.

თაობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, ქალ-ვაჟს შორის ურთიერთობაა. როგორაა დღევანდელი ახალგაზრდა მამაკაცების დამოკიდებულება ქალის მიმართ?

— ქართველი კაცისთვის ქალი ყოველთვის სათუთი არსება იყო. ქალის გამო არაერთი ბრძოლა მომხდარა, არაერთი ლექსი დაწერილა... დღეს ეს გრძნობა ძალზე ჩვეულებრივი გახდა. დღეს სასიყვარულო ლექსების დაწერა წარმოუდგენელი და სასაცილოა. მართლაც რომ, ყველაფერი გაუბრალოებულია: მოიყვანენ ცოლს, ცოტა ხანში — მეორეს. რალაც „ლაითად“ ხდება ეს ყველაფერი... მე ვის ვეუბნები? მეც ხომ უკვე მეორე ცოლი მოვიყვანე... მაგრამ არა იმიტომ, რომ აუცილებლად ასე უნდა მოვექცეულიყავი — უბრალოდ, პირველმა ქორწინებამ არ გამიმართლა. მაღლობა ღმერთს, რომ მეორე ქორწინებით კმაყოფილი და ბედნიერი ვარ... სხვათა შორის, ოჯახები ადრეც ინგრეოდა, მაგრამ ამას მასობრივი ხასიათი არ ჰქონდა. დღეს თითქოს მოდაში შემოვიდა ოჯახის დანგრევა და

„წინათ, უფრო მეგობრულეები და ვაჟკაცურები იყვნენ. დღევანდელი ახალგაზრდობის უმეტესობა, ყველა გაგებით, „ზურგში ჩამრტყმელია“, — ამბობს მსახიობი ბიორბი ზივშიძე, რომელიც უდიდეს სხვაობას ხედავს დღევანდელ და უფროს თაობას შორის...

ხელმეორედ შექმნა. სამწუხაროდ, ქალიც და მამაკაციც სიამაყით ამბობენ — ერთმანეთს დაგვშორდით და ახალ ცხოვრებას ვინწყებთო...

კიდევ რა განსხვავებაა ძველ და ახალ თაობას შორის?

— მაგალითად, ადრე, სასიყვარულო წერილებს სწერდნენ ერთმანეთს. მამისგან გამიგონია — თურმე, ადრე, წერილს სუნამოსაც ასხამდნენ, რომ კარგი სურნელება დატრიალებულიყო ამ წერილის წაკითხვის დროს... სამაგიეროდ, ახლა მესიჯებს უგზავნიან ერთმანეთს. მაგალითად, მე დიდ სიამოვნებას მგერის მესიჯის გაგზავნა და მიღება. ვგვიყვები სასიყვარულო მესიჯების დაწერაზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლე ამბობს — რომანტიკული არა ხარო. მე მას არ ვეთანხმები, ჩემი აზრით — ვარ: მაგალითად, მთელი ღამე მის სადარბაზოსთან მანქანაში არაერთხელ გამიტარებია. სხვათა შორის, ყვავილებიც ბევრჯერ მიჩუქებია, რაც პირველი ცოლისთვის არასოდეს გამიკეთებია. ეს ჩემგან უდიდესი ჟესტია და ამას დანახვა უნდა. მახსოვს, ერთხელ, ჩემს მეუღლეს, იმისათვის, რომ შემრიგებოდა, ულამაზესი თაიგული მივართვი. დიდი სიამოვნებით ვიჩხუბებდი, იმ პირობით, თუ მასთან შესარიგებლად, ლიმუზინით მის ფანჯრებთან გავეჩერებოდი, თაიგულით და შამპანურით ხელში. მერე, როცა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი ჩამოვიდოდა, მას აუცილებლად რესტორანში დავპატიჟებდი და კიდევ ერთხელ, სანთლების შუქზე, პატივებს ვთხოვდი... ხომ ლამაზი ზღაპარი მოგყვები! მაგრამ მე მინდა, რომ ეს ცხადში განვაცხორციელო. ერთხელაც, ავადგები და სპეციალურად ვიჩხუბებ ჩემს ცოლთან, რომ ასეთი ღამაზი სანახაობა

დავდგა... სხვათა შორის, ერთხელ, როცა ჩემი მშობლები ნაჩხუბრები იყვნენ, მამამაც ყვავილი მიართვა დედას შესარიგებლად, ოღონდ — ქოთნის კაქტუსი. როცა ლელამ ჰკითხა: რატომ ჩათვალე, რომ შერიგებას ქოთნის ყვავილი, თანაც, კაქტუსი შეუწყობს ხელსო? — ზურამ უპასუხა: აბა, მოჭრილ ყვავილს ხომ არ გაჩუქებდიო!..

რა არ მოსწონდათ შენი ოჯახის უფროს წევრებს ახალგაზრდობა?

— ისინი ყველაზე მეტად უფროსების მიმართ უმცროსების უპატივცემულობას ვერ ეგუებოდნენ. მეც არ მომწონს უზრდელობა: მაგალითად, სახლში რომ დარეკავენ, გამარჯობასაც არ იტყვიან და ისე დაინწყებენ ლაპარაკს. ბებიჩემიც (ელენე ყიფშიძე — ავტ.) პირველ რიგში, ზრდილობას აფასებდა ახალგაზრდობაში. ბევრჯერ უთქვამს დანანებით — ახალგაზრდების უმეტესობა ტრანსპორტში ადგილს არ დაგიტოვებს, ადრე კი ეს წარმოუდგენელი იყო... ჩემი აზრით, ადამიანს ელემენტარული კულტურა უნდა ჰქონდეს. მამაკაცს კი, არ შეეფერება ქალის უპატივცემულობაც, რაც დღეს ძალზე ხშირად ხდება. სირცხვილია, როცა ტრანსპორტში ახალგაზრდა ბიჭი ზის და გოგონა ან მანდილოსანი ფეხზე დგას.

ოჯახში როგორ გზრდიდნენ?

— მკაცრად თუ თავისუფლად? — ძალიან თავისუფლად. ჩემი მშობლები იგივე ჩემი მეგობრები იყვნენ. არ არსებობდა, მათთვის რაიმე მეთხოვა და არ შეესრულებინათ. თუნდაც, სკოლაში წასვლა რომ დამეხარებოდა, ვთხოვდი და არ მიშვებდნენ...

ყველაზე მეტად, რის გამო გასაყვედურობენ ხოლმე?

— იმის გამო, რომ ძალიან უყურა-



დღეებო ვარ: შეიძლება, ბავშვისთვის პურის საყიდლად დილას გასული, საღამოს 5 საათზე დავბრუნდე — თუ გზაში უეცრად, რაღაც მოხდა, ყველაფერი დამავინწყდება... რა ვქნა, ასეთი ვარ. ძალიან მინდა გამოვსწორდე და უფრო ყურადღებებიანი გავეხდე.

**— ყური რომ გაქვს გახვრეტილი და საყურით დადიხარ, ამაზე ოჯახის წევრები არაფერი გეუბნებიან?**

— არა, არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ. თავის დროზე, ზურასაც უნდოდა ტატუირება და ყურის გახვრეტა, მაგრამ მსახიობმა ლევან უჩანეიშვილმა უთხრა — რად გინდა მსახიობს ასეთი რამის გაკეთებაო?! მამა ბავშვობაში ჰიპი იყო, „ბარბანზე“ უკრავდა და ყურის გახვრეტაც ამიტომ უნდოდა... ამას წინათ, ზურა მეუბნება: რაც მინდოდა და ვერ ავისრულე, ყველაფერი შენ გააკეთე, თუ გინდაო. ჰოდა, ტატუირებაც გავიკეთე, ყურიც გავიხვრეტიე, კაბრიოლეტიც ვიყიდე და მოტოციკლეტიც. ამ ყველაფერზე ოცნებობდა მამა, მაგრამ ვერ აისრულა. ბოლოს, მოტოციკლეტი რომ ვიყიდე, კინალამ გაგიყვდა. თურმე მასაც ძალიან ნდომებია მოტოციკლეტი, მაგრამ მისი შეძენა ვერ შეძლო. მითხრა: მართალია, რისი მულამიც მქონდა, ის შენ აისრულე, მაგრამ მე ბევრი რამ ოჯახის გამო ვერ შევძელი, შენ კი, მარტო საკუთარ თავზე ფიქრობ — აბა, მანქანის გაყიდვა და მოტოციკლეტის ყიდვა რა ლოგიკაა? რომ გყავდეს მანქანაც და მოტოციკლეტიც და მდიდრულად ცხოვრობდე, კიდევ მესმის, მაგრამ ნამდვილად არ მესმის, როგორ შეიძლება მანქანის გაყიდვა და მოტოციკლეტის ყიდვაო...

**— გიორგი, ქართული სუფრის ტრადიციები თუ მოგწონს?**

— ძალიან მებაყვება, რომ ისეთი ერის შვილი ვარ, რომელსაც უდიდესი სუფრული ტრადიციები აქვს. ადრე თურმე, სუფრა ერთ დიდ სპექტაკლს უდრიდა. დღეს მართალია, ამ დონის სუფრები აღარ იშლება, მაგრამ მაინც არის შემორჩენილი ტრადიცია. სამწუხაროდ, მე თამადაობით ვერ დავიკვებნი, მაგრამ ამის სურვილი ყოველთვის მქონდა. ისე, დიდ სიამოვნებას მგვრის ნამდვილ სუფრაზე ყოფნა და კარგი თამადის მოსმენა. მიყვარს, როცა თამადა იმპროვირებულად უძღვება სუფრას და არა წინასწარ მომზადებულ სადღეგრძელოს ამბობს. საყურე რომ მიკეთია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული სუფრა არ მიყვარს. სხვათა შორის, შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ მე ქართულ ჩოხაზეც ვკვიდები.

**— ალა-ფურშეტიზე რა აზრის ხარ?**

— ქართულ სუფრას, ალა-ფურშეტი როგორ უნდა მერჩინოს?! მომაჭერი აი, ეს საყური-

ანი ყური, თუ ოდესმე ალა-ფურშეტი ვამჯობინო. მე ევროპელი კი არა, ქართველი ვარ და შესაბამისად, მიყვარს ნაღდი მამაპაპური ქართული სუფრა.

**— როგორ ფიქრობ — ადრე უფრო იოლი იყო პოპულარობის მიღწევა თუ დღეს?**

— რაღაცის მიღწევა დღეს უფრო შესაძლებელია, მაგრამ შენარჩუნებაა რთული. შეიძლება, ბედმა გაგიღმოს და სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდე ყურადღების ცენტრში. ამაში, რა თქმა უნდა, უდიდესი წვლილი ტელევიზიის მიუძღვის. ავიღოთ გადაცემა რეალითი-შოუ: სრულიად უცნობი ადამიანები უცებ აღმოჩნდნენ ყურადღების ცენტრში. გარდა ტელევიზიისა, ადამიანის პოპულარიზაციას ხელს უწყობს ჟურნალ-გაზეთებიც. დღეს სისულელეც რომ გააკეთო და შენზე დაწერონ, უკვე პოპულარული ხარ. ამრიგად თვით პოპულარობის მოპოვებას ბევრი არაფერი უნდა — მთავარია, კარგი საქმის გამო გახდე პოპულარული. აი, ამისათვის კი, საჭიროა მონდომება და შრომა.

**— უფროსი თაობის წარმომადგენლებიდან ვინ არის შენთვის მისაბაძი?**

— ჩემთვის მისაბაძი არავინაა. საქმის მიმართ სერიოზული დამოკიდებულების მხრივ, ძალიან მომწონს მამაჩემი: ის 24 საათი, შინ თუ გარეთ, მუდამ რაღაც როლზე მუშაობს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის შემოქმედებაში პაუზაა.

**— უფროსი თაობის წარმომადგენელთა ცხოვრებაში რა არ მოგწონს?**



აბა, მანქანის გაყიდვა და მოტოციკლეტის ყიდვა რა ლოგიკაა?

— მიუხედავად იმისა, რომ ქალს პატივს სცემენ, მათი უმეტესობა ცოლებს, როგორც მონებს, ისე უყურებდა: მას ევალებოდა მხოლოდ ბავშვის მოვლა, სახლის დალაგება და საჭმლის მომზადება. დღეს ასე აღარ არის. ან კი რატომ უნდა იყოს?! ჩემი აზრით, ცოლს ისეთივე უფლება უნდა ჰქონდეს, როგორიც ქმარს.

**— ყველაზე მეტად რა მოგწონს ახალგაზრდა თაობაში?**

— ყველაზე მეტად მომწონს ახალგაზრდების გამბედაობა და მიზანდასახულობა. ახალგაზრდა თაობა „გუბკასავითაა“, რომელიც იკრავს და ისრუტავს ყველაფერს. თუ ძველი თაობა ადვილად ვერ იღებდა გადაწყვეტილებებს, დღეს იოლად ხდება ყველანაირი გადაწყვეტილების მიღება.

**— შენ უფროსი თაობის არაერთ მსახიობთან ერთად მოგინია და გინევეს მუშაობა. ძნელია მათთან ურთიერთობა?**

— არა. მართალია, უდიდეს მსახიობებთან მომიწია მუშაობამ, მაგრამ ისინი, იმის გამო, რომ უდიდესი პროფესიონალები არიან, არ მაკომპლექსებენ. მართლაც, ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი პარტნიორები იყვნენ: კახი კავსაძე, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ ფირცხალავა, დათო დვალისვილი, ჟანრი ლოლაშვილი, გივი სიხარულიძე და სხვები. ისინი, როგორც მსახიობს, ბევრ რჩევას მაძლევენ. ყველაზე დიდხანს პარტნიორებს მინევეს ჟანრი ლოლაშვილი. სულ მალე, ტელესერიალის „ცხელი ძაღლი“ — მე-4 ნაწილის გადაღებას ვიწყებთ. მის გვერდით მუშაობისას, ბევრი რამე ვისწავლე.

**— დაბოლოს: ამას წინათ, რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუამ, ლაშა ბულაძის პეისის მიხედვით დადგა სპექტაკლი — „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პროზოდენტი“, სადაც შენ სტომატოლოგის როლს ასრულებ. როგორ მოხვდი იქ?**

— რუსთაველის თეატრში ჩატარდა კონკურსი და 200 კაცისგან 11 აგვიყვანეს. თავიდან, ძალიან გამიხარდა და ამავე დროს, შემეშინდა კიდევ — იმიტომ, რომ მუშაობა ისეთ თეატრში, როგორიც რუსთაველის თეატრია, მეტ პასუხისმგებლობას გაკისრებს. იქ მოხვედრა ყოველთვის მიუწევდომლად მიმანდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე რუსთაველის თეატრის სცენაზე დავდგებოდი და ბატონი რობერტი იქნებოდა ჩემი რეჟისორი. ბედნიერი ვარ, რომ ამ ბუმბერაზ ადამიანთან მუშაობის შესაძლებლობა მომეცა.



# ინტუიციას დასურდნობილი ხელოვნება

## „ნატალის“ მოდელებს ფოტოხელოვანთან მუშაობა გაუჭირდათ

ფოტოხელოვანმა ბასო შონკარდტმა თავის მესამე პერსონალურ გამოფენას უცნაური სახელწოდება — „გზავნილი ძველ ცივილიზაციებს“ — შეურჩია. ბესოს თქმით, მან საკუთარ ფანტაზიას უსაზღვრო თავისუფლება მისცა და ამ გამოფენით, წარსულისა და მომავლის ცივილიზაციები ერთმანეთს დაუკავშირა. ამ იდეის განხორციელებაში „ნატალის“ მოდელები დაეხმარნენ, რომლებსაც თავიდან, კი გაუჭირდათ ბესოს ჩანაფიქრის გაგება, მაგრამ როგორც თავად ფოტოხელოვანი ამბობს, საერთო ჯამში, „ის ხაზი დაიჭირეს“, რომელიც მას სჭირდებოდა...

### ლიპა ქაჩია

— წარმომოხბოთ გერმანელი ვარ (ბაბუა მყავდა გერმანელი), მაგრამ თბილისში დავიბადე. დავამთავრე თბილისის სამხატვრო აკადემია — თეატრის ფერწერის განხრით. შემდეგ, გავიარე ფოტოგრაფიის კურსები.

— როგორც ვიცო, ფოტოხელოვნებაში პრობლემა მოგიპოვებიათ...

— ფოტოგრაფიის შესწავლა რომ დავიწყე, მეორე წელსვე ავიღე პირველი პრიზი. ადრე არსებობდა გალერეა — „რეაქცია“, სადაც გაიმართა კონკურსი სახელწოდებით — „არადანი მე“. კონცეფცია დაახლოებით ასეთი იყო: შენ ხარ არჩევანი, ანუ შეგიძლია აირჩიო ვიღაცა, მე კი ვარ ხელოვანი — ანუ არადანი... მეორედ, პრიზი მოვიპოვე ერთ-ერთი ჟურნალის საუკეთესო დასურათებისთვის. შემდეგ გავიმარჯვე კონკურსში, რომელიც გაერომ ამიერკავკასიაში მოაწყო თემაზე — „მშვიდობისა და პრევენციისთვის“.

— ფერწერაში თუ გაქვთ ასეთივე წარმატებები?

— არა, რადგან ფერწერისთვის დრო არ მრჩება, იმდენად „ჩავეფლეთ“ ფოტოხელოვნებაში.

— რატომ დაინტერესდით ფოტოგრაფიით?

— საერთოდ, ყოველთვის ძიებაში ვიყავი. სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში, მუსიკალურ სასწავლებელშიც ჩავაბარე — საქსოფონზე ვუკრავ. შემდეგ, ფოტოგრაფიამაც მიმიზიდა და საკუთარი თავიც ვიპოვე. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ეს ჩემი



მესამე პერსონალური გამოფენა.

— საიდან წამოვიდა იდეა — „გზავნილი ძველ ცივილიზაციებს“?

— ძალიან მიყვარს ისტორია, წარსული, კოსმოსი. მაგრამ როცა რაიმეზე მუშაობას ვიწყებ, ინტუიციას ვეყრდნობი და მერე, თანდათანობით, მიყალიბდება აზრი. თავიდან, რაღაც გაურკვეველის გაკეთება დავიწყე, მერე ეს თემა წამოვიდა, თავისი ფილოსოფიით...

— როგორ აღმოაჩინეთ, რომ ეს წარსულისა და მომავლის ცივილიზაციების დაკავშირება იყო?

— ეს მართლაც, გზავნილია ძველი ცივილიზაციიდან, რომელიც ვერ გეტყვით, საიდან წამოვიდა, მაგრამ ყველაფერი ავაგე მეცნიერთა ვარაუდზე. საქმე ესეა შევითხვას — ჰქონ-

დათ თუ არა კავშირი დედამიწასთან უცხოპლანეტელებს?... მერე, როგორც ხელოვანმა, ჩემს ფანტაზიას მივეცი თავისუფლება და „დავამყარე კონტაქტი“ წარსულსა და მომავალს შორის...

— თქვენს ფოტონამუშევრებში მოდელებს ტანსამოსზე მიმაგრებული აქვთ ყანწი...


— ყანწი უბრალოდ, რეკვიზიტია. მასში შეიძლება ესხას წყალი, ეყაროს თოფის ნამალი და ა.შ.

— რა ადგილი უკავია თქვენს ფოტონამუშევრებში საღებავს და საერთოდ, რამდენად მნიშვნელოვანია ის?

— რამდენად მნიშვნელოვანია, ვერ გეტყვით, მაგრამ ხელოვანი იმდენად თავისუფალია, რომ ამ ყველაფრის გამოყენების უფლება აქვს. ერთხელ, საკმაოდ სერიოზული მხატვრის გამოფენაზე წავედი. კედელზე, ფერწერის ნიმუშებს შორის, ეკიდა დახვრტილი ტილო. მხატვარს ვკითხე — ეს რა არის-მეთქი? იცით, რა მიპასუხა?... — მომინდა და გავაკეთე, დავინახე, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო... ხელოვანი ყველაფერს საკუთარი გრძნობითა და ხედვით აკეთებს — შეიძლება, საღებავი იხმაროს, ტილოზე რაღაც მიანებოს ან შეიძლება, რაღაც დახვრტოს და გამოფინოს. ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც შემოქმედი, თავისუფალი ხარ, ყველაფრის უფლება







გაქვს.

— სულ რამდენი ფოტო გაქვთ?

— 130-მდე.

— ამ თემაზე რამდენი სანი მუშაობდით?

— 2 წელი. შეიძლება, ცოტა მეტიც.

— პერსონაჟებად „ნატალის“ მოდელები შეგირჩევიათ. მათთან მუშაობა ადვილია?

— სიმართლე გითხრათ, თავიდან გამიჭირდა. იმიტომ, რომ თავდადვაც არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. ბევრი საცდელი გადალება გვექონდა. მესამე გადალებს დროს, ჩანაფიქრი უკვე ჩამომიყალიბდა, ფოტომ ის სახე მიიღო, რომელსაც ვეძებდი.

— მოდელებს თქვენი გაგება არ გაუჭირდათ?

— ზოგს გაუჭირდა იმის გაგება, თუ რა მჭირდებოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველას მუშაობით კმაყოფილი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა 1 კარგი ფოტო გამაკეთებინა, ზოგმა — მეტი, ზოგმა საერთოდ ვერ შეძლო ჩემი გაგება, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა — მთავარია, რომ ყველამ იმუშავა და საბოლოო ჯამში, „დაიჭირეს ის ხაზი“, რომელიც მჭირდებოდა.



# სსოვრების მთა-ბარული წესი, ვინ გააბრუნა სწორფროგა და «წარმოშობით მესხვარის» ლიტერატურული ქიკაანი

ეთნოგრაფი ბიორბი ცოცანიძე რამდენიმე ეთნოგრაფიული ნარკვევისა და ნოველების კრებულის ავტორია. შარშანწინ საუკეთესო პროზაული კრებულისთვის — „ნაწერი ხანჯრის წვერით“, ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატი გახდა. ბატონი გიორგი წარმოშობით თუშია, თუმცა, თავად ასე ამბობს — ვარ „წარმოშობით მესხვარე“, რომელსაც გზა აერია და „ცივილიზაციის ჯუნგლებში“ დახეტიალებს...



## ნილო ჯავახიშვილი

— ახალგაზრდობისას არასდროს ვყოფილვარ ცხვარში, სიბერის უამს კი, მომიხდა მეცხვარეობა — თუშური დიალექტური ლექსიკონისთვის მასალის შეკრების მიზნით. ჩემი ნოველების კრებულის, სხვათა შორის, იმ ერთმა წელმა შვა. ძალიან საინტერესო და რთულია მეცხვარეების ცხოვრება. არ ვგულისხმობ მხოლოდ მძიმე კლიმატურ და საცხოვრებელ პირობებს. მეცხვარეობას სწავლა უნდა, ნებისმიერი კაცი არ გამოდგება ამ საქმისთვის. შეიძლება, ვიღაცას ისინი უბირ ადამიანებად მიაჩნდეს, მაგრამ იცით, შინაგანი ბუნებით რამდენად პოეტურები არიან?!

— „წარმოშობით მესხვარე“ ვარო, — მითხარით, მაგრამ სად დაიბადეთ? მიაშვით თქვენ შესახებ.

— 1937 წლის 4 ოქტომბერს დავიბადე. როგორც იცით, ის წელი რეპრესიების წელი იყო და ამიტომ ამბობენ — მაშინ კარგი ხალხი არ იბადებოდაო... ეს — ხუმრობით, სინამდვილეში კი, არც მეტი, არც ნაკლები, გზაში დავბადებულვარ, თუშეთსა და კახეთს შორის. თუშები XX საუკუნის შუა წლებამდე, „ორმაგი საბინადარო ცხოვრებით“ ცხოვრობდნენ — მთასა და ბარში. ეს განაპირობა იმან, რომ მათ ოდიტოგანვე, მეცხვარეობის გამო, ბართან უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდათ, ვიდრე სხვა მთიულებს. თუშებს კახეთის მეფეებთან დიდი სიახლოველობა ჰქონდათ — თუ მეფეები საზაფხულო საძოვრებს არ დაუთმობდნენ, როგორ იარსებებდნენ?! ხევსურეთში მეძროხეობა იყო უფრო პრესტიჟული დარგი, იქ მეცხვარე ვერ იქნებოდა სახელგანთქანი, თუშეთში კი — მეძროხე. მეძროხეობა საერთოდ, ქალების საქმედ ითვლებოდა. გვიან ფეოდალურ

ხანაში კახეთის მეფეებმა ალვანი თუშებს სამუდამო მფლობელობაში გადასცეს, ოღონდ, ერთი პირობით — იქ სოფლები არ უნდა გაეშენებინათ. თუშებისთვის ალვანში დასახლების უფლება რომ მიეცათ, ამით მოისპობოდა ზღუდე, რომელიც ჩრდილოკავკასიელი მთიელებისგან იცავდა საქართველოს. რუსეთის მმართველობის დროს კი, თუშებმა ალვანში დასახლების უფლებაც მიიღეს, ოღონდ, ეს არ იყო მიგრაცია, ეს იყოს საცხოვრისის შუაზე გაყოფა: თუშებს არ მოუშლიათ მეურნეობა მთაში. ასე დამკვიდრდა მხოლოდ თუშეთისთვის დამახასიათებელი, სხვა რეგიონებისგან განსხვავებული, მთაბარული ცხოვრების წესი. საერთოდ, საქართველოს მთიანეთს საფუძვლად ჰქონდა ერთნაირი ტრადიციები, მაგრამ რადგან, გეოგრაფიულად, ერთმანეთისგან იზოლირებულად ცხოვრობდნენ, თავისებურებაც ბევრი იყო.

— თუშურ სიმღერებზე მინდა გკითხოთ: რა დაედო საფუძვლად იმ მოტივებს, რომლებიც დღემდე ასე ძლიერ მოსწონს ხალხს?

— მუსიკათმცოდნეები და მუსიკალური ფოლკლორის სპეციალისტები გამოყოფენ მუსიკალურ დიალექტებს. თუ თუშურ სიმღერასაც მოისმენ და ჩეჩნურ ან ინგუშურ ნამღერსაც დაუგდებ ყურს, მათ შორის მსგავსებას აუცილებლად აღმოაჩენ, თუმცა მუსიკათმცოდნეებმა დაასკვნეს, რომ თუშური სიმღერა, გამორჩეული მუსიკალური ენის დიალექტს წარმოადგენს. თუშურ პოეზიაში განსხვავდება ქალთა და მამაკაცთა პოეზია: ქალთა ძირითადად, სატრფიალო ან საგმირთა, მეცხვარული პოეზია კი, მარტომყოფი კაცის დარდისა და ვარამის, ფიქრის გამომხატველია.

— ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, რომელი კუთხვა უფრო საინტერესოა?

— უკლებლივ ყველა კუთხე — მთისაც

და ბარისაც ერთნაირად საინტერესო და ფასეულია, ხალხთმცოდნეობის თვალსაზრისით. უფრო ეგზოტიკური, მთიანი კუთხეებია, რადგან ორიგინალობა მათ უფრო შეინარჩუნეს. გასული საუკუნის 50-იან წლებში, მთავრობის დირექტივა იყო — მთიელები ბარში ჩაესახლებინათ. ეს პროცესი მხოლოდ საქართველოში როდი მიმდინარეობდა, ასე ხდებოდა მთელ საბჭოთა კავშირში — უნდოდათ პატარა-პატარა დასახლებების გამსხვილება — და შორეული დასახლებული პუნქტების მიახლოება ადმინისტრაციულ ცენტრებთან. ასე რომ, გლობალიზაცია საქართველოში ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, რასაც თან სდევდა ნიველირება ეთნოგრაფიულად თავისებური კუთხეებისა. ხევსურები, რომლებიც შატილიდან კახეთში ჩაასახლეს, ვერც გაკახდნენ (მათივე ტერმინით რომ ვთქვათ) და ვეღარც ხევსურებად დარჩნენ. ზამთრის რელიგიური დღესასწაულების დროს, სანქსჩვეულებო რიტუალებს ბარში ვერ შეასრულებდნენ — იქ ხომ არ ჩამოჰყავთ მათი ჯვარხატები?! ახალი წლის დღესასწაულზე გეტყვი, როგორ აღინშნავდნენ ძველად. მთაში — თუშეთშიც, ფშავეზშიც და ხევსურეთშიც ეს დღესასწაული იწყებოდა შობას და გრძელდებოდა ორი კვირა, — ნყალკურთხევამდე. თითოეული დღე რომელიმე წმინდანისადმი იყო მიძღვნილი. ყველა რიტუალი წარმოაჩენდა მთის ხალხის დამოკიდებულებას — გარე სამყაროსთან, ღმერთთან, ზეცასთან. რაც შეეხება მეკვლეობის ტრადიციას, ვთქვათ, ხევსურეთში: შატილში ახალი წლის საღამოს, ყველა შატილიონი მამაკაცი ოჯახიდან წაიღებდა ტაბლას და სალოცავის კარზე მიდიოდა. იქ შეასრულებდნენ საღვთისმსახურო რიტუალებს და პურობდნენ კიდევ. დილით, ყველა თავ-თავის ტაბლას აიღებდა და სოფლისკენ მიემშრებოდა. თვითონ იყვნენ მეკვლეები საკუთარ ოჯახებში... ეს წესი მოიშალა, თანაც, სამწუხაროდ, მთაშიც აღარავინ ცხოვრობს, თითო-ორო-ლა ოჯახი იყო და ისიც აქეთ გამორბის...

— მუშაობისას, თუ აღმოგიჩნე-

**ნათ ისეთი რამ, რაც მანამდე არ იცოდით და გაგაოცათ?**

— გაოცებით, არაფერს გაფოცებინავარ, მაგრამ ბევრი რამ, რაზეც ზერეულე წარმოდგენა მქონდა, საფუძვლიანად შევისწავლე. ყველაზე საინტერესო და ნაკლებად „ნაშლადი“, საქორწინო წესჩვეულებები და მიცვალებულთთვის წესის აგების რიტუალი აღმოჩნდა. დღესაც, ალვანში თუშების ქორწინოში თუ მოხვედებით, შეესწრებით ასეთ რამეს: შუა ქორწინოში დაიძახებენ — მოდიან, მოდიან... ვილაც თოფს გაისვრის; გარმონის დაკვრით და სიმღერით მოდის ჯგუფი ხალხისა, რომელსაც ჭალარა კაცი მოუძღვება; მას უჭირავს ტაბლა, რომელზეც დევს ვეებერთელა პური და პურში ჯვარია ჩარჭობილი. ეს წინამძღოლი, ნეფის ან პატარძლის დედის ძმა გახლავთ. მთაში არც ქალს და არც ვაჟს არ ეკითხებოდნენ, ერთმანეთი უყვარდათ თუ არა. ვაჟის მშობლები არჩევდნენ საპატარძლოს. იყო შემთხვევები, როდესაც ქალს დანიშნავდნენ, ვაჟს კი ცხვარში შეატყობინებდნენ — ჩამოდი, უნდა დაგაქორწინოთო. ეს ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა. ოღონდ, ქალ-ვაჟს მაინც ეკითხებოდნენ — ვინმე ხომ არ ჰყავდა შეგულებული? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მაჭანკალი საქმის მოგვარებას იწყებდა. პირველად მისვლა ქალის ოჯახში არის პირის ხილვისა — მაჭანკალი აუწყებდა, რომ ამა და ამ ოჯახს სურს მათთან დამოყვება. ვისაც იმ ოჯახში გადამწყვეტი სიტყვა ეთქმოდა, იტყოდა — ძალიან კარგია, რომ ეს სურვილი გვაცნობეთ, მაგრამ დავეკითხებით ნათესაებს, გავიკითხავთ თქვენს ამბავსაც და დღეის სწორს მოდით პასუხისთვისო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქალი თანახმა იყო, მაჭანკლის სამჯერ მისვლა აუცილებლობად ითვლებოდა, თანხმობას პირველსავე მისვლაზე არავინ ამბობდა, მაჭანკალს სუფრაზეც კი არ მიიწვევდნენ. აი, მეორედ მისვლისას კი, თანხმობის შემთხვევაში, გაუმასპინძლებოდნენ კიდევ

(თუ არადა, თავზიანი უარით გაისტუმრებდნენ). მესამე მისვლაზე კი, საპატარძლოს უკვე ნიშნავდნენ. სხვათა შორის, ტრადიციულ ოჯახებში დღემდე შემორჩენილია ხელის თხოვნის ასეთი წესი. მოლაპარაკებები ოჯახებს შორის მარიამობის მარხვის პერიოდში მიმდინარეობდა, ქორწინლს კი, მარხვის შემდეგ, სამშობლოდ მოსამუშაოების დამთავრების შემდეგ იხდიდნენ. რაც შეეხება საქორწინო ასაკს



— როდესაც ვაჟი სოციალურად მომწიფებული იყო, ჰყავდა ცხვარი და შექმნილი ოჯახის რჩენა (ასეთ ვაჟზე ამბობდნენ — კაცად ნაქნარიო), მაშინ მიიჩნევდნენ, რომ მზად იყო დასაქორწინებლად. ქალი კი მზად უნდა ყოფილიყო დედობისთვის... საინტერესო მოვლენაა ხევსურული სწორფრობა, რომლის შესახებაც უკვე ბევრი თქმულა და დანერვილა. ამას ბევრი ზერეულე უყურებს — არადა, ამ წესჩვეულებას ღრმა სოციალური ფესვები აქვს. ეს არის სიმინფის ასაკში მყოფი ქალ-ვაჟის ურთიერთობა, რომელშიც ქალური თუ მამაკაცური სანყისი იგნორირებულია. სწორფრობა იყო რაღაც წმინდა, ამაღლებულის გამოვლენა. ეს იყო სიყვარული, ოღონდ — ეროტიკის გარეშე. სწორფრები, დობილ-ძმობილები იყვნენ. თუმცა, ზოგჯერ ხდებოდა ისეც, რომ მათ ერთმანეთი შეუყვარდებოდათ. მოგვიანებით, როდესაც ეს ჩვეულება კახპობად გადაიქცა, გადავარდა კიდევ, რაც შეეხება წაწლობას — ეს იყო ფშავეზი და ადრევე გაუკუღმართდა. არ იყო დაწესებული ისეთი მკაცრი შეზღუდვები, როგორც ხევსურეთში. ფშავეზი სოფლიდან არ მოიკვებდნენ კაცს იმის გამო, რომ სწორფერთან ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა. შატილიონები და არსოტიონები არაგვის ხეობის ხევსურებს სძრახავდნენ — ნოლა-დგომის წმიდათაწმიდა ტრადიცია თქვენ გააუკუღმართეთო. თავშეუკავებელ ნოლას „არაგველ ნოლას“ ეძა-



ლაშა ბუღაძე, მეზა მეღულაშვილი, ბესიკ ხარანაული, თემურ დოიაშვილი, ოთარ კვიციანი, გიორგი ცოცანიძე, თამარ ფხაკაძე



„რად რამ გასწავლა, ქალაუ, წოლაი არაგულაო, გვერძე დაწოლა წესია, შენ რა გულაღმა ბრუნავო?“



ხდნენ და ასეთი ლექსიც კი გამოუთქვეს: „რად რამ გასწავლა, ქალაუ, წოლაი არაგულაო, გვერძე დაწოლა წესია, შენ რა გულაღმა ბრუნავო?“

— რას იტყვით იმ რიტუალების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ბრძოლის წინ სრულდებოდა?

— როდესაც მთიელები მეფის ლაშქარში მიდიოდნენ, შეიყვებოდნენ ლაშარის ჯვარში, გადაიხდიდნენ სამღვთოს, დაკლავდნენ საკლავს და წმინდა გიორგის დროშას წაიძვარებდნენ. გმირი კოპაღე კარაბისა, ავსულთა წინააღმდეგ მებრძოლი ღვთაება გახლავთ, წმინდა გიორგი კი — ომის, ამიტომაც მიჰქონდათ ომში წმიდა გიორგის დროშა.

— როგორი იყო გარდაცვლილთათვის წესის აგების რიტუალები?

— როდესაც ოჯახში იყო მომაკვდავი და სულთან ბრძოლის აგონია დიდხანს გრძელდებოდა, შეუთვლიდნენ ხოლმე დედის ძმის ოჯახს — მგებრის სუფრა მოიტანეთო. რა იყო მგებრი? ითვლებოდა, რომ რაკი მომაკვდავი ასე იტანჯებოდა, ე.ი. რალაც მოუნანიებელი ცოცხალი რჩებოდა ამქვეყნად. ამიტომ დედის ძმის მხრიდან გარდაცვლილთა სულები მას სულეთში უნდა შესძლოლოდნენ. გაამზადებდნენ სუფრას, სასმელს, გამოაცხობდნენ ქაღებებს, დაუდებდნენ მომაკვდავს თავთან, აანთებდნენ სანთელს, იტყოდნენ დედის ძმათა სულის მოსახსენებელს და შეევედრებოდნენ — შეუნდეთ, აპატიეთ, თუ რამ მოუნანიებელი ცოცხალი აქვს მომაკვდავს და მიიღეთ სულეთშიო. ამბობენ, რომ ამ რიტუალის შემდეგ, მომაკვდავი მშვიდად მიიბარებდა სულს მეუფეს... ამის შემდეგ, ოჯახის დიასახლისი გამოაცხობდა ქაღებებს, მიცვალებულს თავთან დაუდებდნენ წყალს, დაუდებდნენ მატყელს და მარილს, ანთებდნენ სანთელს და გასათხოვარი ქალი დაადებდა ხელს გარდაცვლილს ჯერ გულზე, მერე — ძირს, იატაკზე. ასე იმეორებდა სამჯერ. ამას სულეთის საგზალს ეძახდნენ... როდესაც ქელეხის სუფრაზე ვხვდები, ძალიან

მაბრაზებს ერთი ჩვეულება. ჯერ ხალხი საფლავიდან არ არის მობრუნებული, რომ ზოგი უკვე სუფრას უზის და „ქე-იფობს“, ისმის თევშების და დანა-ჩანგლის რახარუხი... ასე როგორ შეიძლება?! თუშეთში დღესაც მკაცრად იცავენ იმ წესს, რომ ვიდრე არ იტყვიან მიცვალებულის შესანდობარს, საჭმლისკენ არავინ გაიხედავს. თანაც ძველად, ქელეხის სუფრაზე მხოლოდ გარდაცვლილთა შესანდობარს ამბობდნენ. დღეს კი უდღეგრძელებელი აღარავინ რჩებათ — ცოლი, ქმარი, შვილები, შვილების მეგობრები და ა.შ.

— ახლა ლხინის სუფრაზეც მოგიყვებით: როგორი მომლენები იყვნენ უწინ და რა სადღეგრძელოებს ამბობდნენ აუცილებლად?

— თუშების სუფრაზე ტრადიციულად უღერდა გრძელი სიმღერები — სიუჟეტინი, რომლებიც ამა თუ იმ ტრაგიკული შემთხვევის შესახებ მოუთხრობდა მსმენელს. ქორწილში პირველად, ნეფედედოფლის სადღეგრძელოს სვამდნენ, ქელეხში კი, პირველი იყო — გარდაცვლილის შესანდობარი, მეორე — მგებრის, მესამე — „ცოდვილა უბატრონობის“, ვისაც ამქვეყნად მომხსენებელი არ ჰყავდა, მერე ახალგარდაცვლილთა სულებსაც მოიხსენიებდნენ და ა.შ. ჩვეულებრივ, ტრადიციულ სუფრაზე კი, აუცილებლად შეისმებოდა: მტრის ხელით ნახოცებისა, მეცხვარეებისა, ცხვრის თეოზე გაცივებულებისა — ანუ, გარდაცვლილების (თეო ერქვა იმ ადგილს ველზე, სადაც მეცხვარეები ღამეს ათევდნენ), „ფათურაკით ნახოცებისა“ და ა.შ. ცოტას სვამდნენ, არ თვრებოდნენ, რადგან სირცხვილი იყო, კაცს ფეხი თუ აერეოდა!..

— როგორც ვიცო, ხშირად გაქეთ ურთიერთობა უცხოელ ტურისტებთან. რთი ინტერესდებიან ისინი, რა აოცებთ ყველაზე მეტად და საერთოდ, თუ აინტერესებთ ჩვენი



ცოტას სვამდნენ, არ თვრებოდნენ, რადგან სირცხვილი იყო, კაცს ფეხი თუ აერეოდა!..

ტრადიციები და წეს-ჩვეულებები?

— რა თქმა უნდა, აინტერესებთ. მაგრამ სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა ექსკურსიამძღოლებმა ნაკლებად იციან ამა თუ იმ ძეგლის ისტორია. არსებობს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის საზოგადოება. საზოგადოებას ტურისტული საქმიანობის უფლებაც აქვს. ჩამოჰყავთ შვეიცარიელები და გერმანელები, რომელთაც მთელ საქართველოს ათვალიერებინებენ. სამი დღე თუშეთის დასათვალიერებლად არის ხოლმე გამოყოფილი და თუშეთში ჯგუფი მე მიმყავს. ყველაფერი აინტერესებთ — ბუნებით დაწყებული, რელიგიითა თუ სახალხო რიტუალებით დამთავრებული. მოგზაურობით ძალიან კმაყოფილები რჩებიან. იქაურები ხშირად ეზატივებიან და სასმელს სთავაზობენ, რაზეც უარს არ ამბობენ. ვცდილობ, ავარიდო ხოლმე სმას და ამიტომ ყველას, ვუშებნები: აქ ასეთი წესია — სამჭიქაზე მეტის დაღევა არ შეიძლება-მეთქი...

— თქვენს მეუღლეზეც მითხარით რაიმე როგორც ვიცი, ისიც ეთნოგრაფია.

— დიას, ჩემი მეუღლე — ნანული აზიკურიც ეთნოგრაფი გახლავთ. ისიც თუშია. 34 წლის ვიყავი, როდესაც დაქორწინდი და კარგად მახსოვს, მაშინ ჩემმა მეგობარმა, მიხეილ ქურდიანმა მითხრა: შვილი არ არის მიზანი, შვილი არის საშუალება მიზნის მისაღწევად — მიზანი, შვილიშვილიაო... მართლაც ასეა — ორი შვილიშვილი მყავს და მგონი, შვილებზე მეტად მიყვარს ორივე. ნანული ამას წინათ, მესხეთში გახლდათ წასული — იქაურ ქალებს ტრადიციულ ხელსაქმეს ასწავლიდა. ამ პროექტს ხელოვნების მუზეუმი ახორციელებს. სხვათა შორის, საერთოდ, დიდი ინტერესი შეინიშნება ტრადიციული ხელსაქმის მიმართ. შეიძლება, ეს, მატერიალური ფაქტორითაცაა გამოწვეული — ზოგი ქსოვით და ქარგვით ირჩენს თავს.

— ბატონო გიორგი, საუბრის დასასრულს, მინდა გკითხოთ ნოველების კრებულზე — „ნანერი ხანჯრის წვერით“. როგორ შეიქმნა ეს კრებული და ამჟამად თუ მუშაობთ რაიმეზე?

— გადავხედე ჩემს ნანერებს, მოგონებებს, ნანახს, განცდილს და აღმოჩნდა, რომ კარგად წასავითხი ამბები იყო. დავხვეწე და გამოვაქვეყნე, ვიფიქრე — სხვათადაც წაიკითხო-მეთქი. ასე გახვდი „საბას“ ლუარვატიც... ამჟამად, დავმთავრე მუშაობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გზამკვლევზე. ვფიქრობ, ახალი ტურისტული სეზონისთვის უკვე გამოვცემ, ახლა კი დამფინანსებლის ძიებაში ვარ. ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ, გზამკვლევი — მასში თავმოყრილია მასალაც, რომელიც ექსკურსიამძღოლმა ამა თუ იმ ძეგლის შესახებ უნდა უამბოს ტურისტებს.

# ცოლქმრული ერთგულება(?!)...

ინგა ჯაყელი

ეს ამბავი ისეთმა ქალბატონმა მომიყვა, სიმართლე გითხრათ, იუმორის გრძობაში უფრო ჩავუთვალე „ალსარება“ და სანამ შეილები არ დაიფიცა, არ დაფუჯერე, რომ რეალურად თავს გადახდენილს მიყვებოდა. მით უმეტეს, რომ მის ოჯახს კარგად ვიცნობ და არც მის მეუღლეს აქვს დონჟუანის და კახანოვას რეპუტაცია ქალაქში...

მოკლედ, ჩვენი ფრიად პატივცემული ქალბატონი რამდენიმე თვის წინ ავად გახდა და როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, კარგა ხანს ითრია ფეხი ექიმთან მისვლაზე, მერე კი — „დაზაფრულმა“ ერთბაშად და „დაუნდობლად“ მიახალა ქმარს, — კიბო მაქვს და გიხაროდეს, გაგესწება ანი ხელფეხი ახალგაზრდა ქალებთან საურთიერთოდ, ამ ბოლო ხანებში მაინც აღარ გახსენდებოდა, კაცი რომ ხარ და როგორც ქმარს, გარკვეული მოვალეობებიც გვეისრებოდაო!

შემცბარმა კაცმა ის იყო, დააპირა შევამათება, რომ თითქოს რაღაც გაახსენდაო, ენას კბილი დააჭირა და იმ სათქმელს მიაგნო, რაც ასეთ დროს ყველაზე დროული იყო ალბათ:

— შენს სიკვდილს კი არა, გაჭირვებას არ მომასწროს ღმერთმა! დედით დაობლებას, მირჩევნია, ცხრაჯერ მამის გარეშე დარჩენი ჩვენი შვილები, პროფესორებს დაგახვევ თავზე და მაინც გიშველი! — ისე მტკიცედ თქვა, თითქოს სიკვდილი ის სუსტი მეტოქე ყოფილიყო, რომელსაც პირველივე დარტყმა ნოკაუტში აგდებს და საკაცით გაჰყავთ რინგიდან...

ასე იყო თუ ისე, იმავე დღეს, ქალაქში ცნობილ გინეკოლოგს მიჰგვარა მეუღლე (პრობლემა გინეკოლოგიური გახლდათ!) და იქ რაც მოხდა, ის მიაშობ სწორედ ჩემმა პერსონაჟმა ქალბატონმა:

— გამსინჯა ექიმმა და ექთანს გადაულაპარაკა რაღაც... ისედაც შიშით შეპყრობილი, სულ გადამრია ეჭვმა და ავბლავდით: უკვე შეგუებული ვარ სიკვდილზე ფიქრს, პირდაპირ მითხარით, რამდენი ხნის სასიცოცხლე დამრჩა-მეთქი!... პასუხად, ისე გამიღიმა ექიმმა, მეგონა, არანორმალური თუ არა, სადისტი მაინც იყო: პირობას გაძღვეთ, ამ ავადმყოფობით სიკვდილი არ გემუქრებათ, მაგრამ დიაგნოზში რომ არ შევცდებ, ვენეროლოგის დასტურიც მჭირდებაო! და ჩამივარდა ენა. მერე კი, როცა ორივემ დაასკვნა — ნამდვილად სიფილისიაო! — მართლა შემშურდა მკვდრების, ნამოვტი და ისევე, ნელს ქვევით შიშველი ვტაკე თავით კედელს — ვაი, დაღუპულო ოჯახი-მეთქი!... გამაკავეს, თორემ მართლა არ ვიცოცხლებდი თავს — საქმე ისაა, რომ ეჭვიც არ შემპარვია, ავად-



მყოფობით ქმრის ლაღატისთვის დავისავე... ჰო, ჰო, ნუ მიყურებ გაკვირებული — ვინ არ შემცდარა ცხოვრებაში ერთხელ?! მეც შევცდი, ჩემი ბედოვლათი ქმრის გადაძვიდე ნელინადი ისე იყო გასული, არც გამოუხედავს ჩემკენ სანოლში. ის კაცი კი თან მყვებოდა, ახალგაზრდაც იყო, ენერგიით აღსავსეც, საჩუქრებითაც ამავსო, დაბადების დღეც რესტორანში გადამიხადა, რომელიც, სხვათა შორის, სულ არ გახსენებია ჩემს ქმარს... ჰოდა, შამპანურმა აშირია ტვინი... — გამოფხიზლებულს, ისე შემრცხვა, ტელეფონზეც აღარ დავლაპარაკებოვარ იმ კაცს, თორემ, შეხედრავ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მაგრამ არ მაპატია ღმერთმა ჩემი პატიოსანი ქმრისთვის თავზე ლაღის დასხმა და... — მომვალით, ქმარი მაინც არ მაცოცხლებს, თუ გადავურჩი, ძმები არ მაცოცხლებენ და მისხენით-მეთქი! — შევევედრე გაოგნებულ ექიმებს, რომლებიც დაბნეულები ლულულუდებდნენ: ჩვენ გვეგონა, ქმარმა შეგყარათ უბედურება და იმას ვფიქრობდით, ის როგორ „გადაგვერჩინაო!“... მერე კი, „დამამზვიდეს!“ — სიკვდილს მერეც მოასწრებო, — კუთხეში დამსვეს და მითხრეს — ყურადღებით იყავი, ვეცადით, შენი ქმარი არ გადაიხრის, ვეჭყვით, რომ სიფილისი სტომატოლოგთან ყოფნის დროს შეგყარაო!... შემოიყვანეს ჩემი ქმარი, დაისვეს წინ... მუშტისხელა ვარ დარჩენილი და ველოდები სიკვდილს... — მოგილოცავთ, თქვენს მეუღლეს მართალია, სერიოზული სენი აქვს, მაგრამ სასიკვდილო არაფერი სჭირს, ყურადღებით და გაგებით მოვავსინეთ — სიფილისი...

ვინ აჯალა გაგრძელება და სტომატოლოგზე ზღაპრების მოყოლა?! შემოირტყა ჩემმა ქმარმა მოტვლებილ თავში ხელი: ჩამქოლეთ, დავლუპე არაკაცმა ოჯახიო! — და აღიარა, რომ „სულ ერთხელ“, მაგრამ მაინც მიღალატა... სულ დამავინყდა საკუთარი ცოდვა და ის იყო,

მოლაღატე ქმრისთვის შერჩენილი ორი ღერი თმაც უნდა ჩამომეუტა, რომ ექიმმა იღრი-ალა: ქმარა ისტერიკებო! — ისეთი თვლით მიცქერდა, შემრცხვა და გონს მოვედი... გვიმკურნალეს და ახლა, ორივე კარგად ვართ, ქმარი საშუადაოდ დავიბრუნე — თან მყვება, რადგან არ შევარცხენი და საქვეყნოდ არ გამოვჩქქე! — შემინებული, ცხოვრებაში აღარ გაიხედავს სხვა ქალისკენ...

— თქვენ?! — რა — მე, არ გადამრიო! იმ ერთხელაც რომ შევცდი, იმასაც სიკვდილის ბოლომდე ვინანებ, მით უმეტეს, რომ ღმერთმა საგზაოდ „მსუბუქი სასველი“ მაკმარა...


სხვათა შორის, ექიმმა ისიც მითხრა — თქვენ არც პირველი წყვილი ხართ, რომელსაც ასეთი კურიოზი შეემთხვა და არც ბოლო იქნებთო!... ამ ამბავს კი იმიტომ გიყვებით, რომ სხვა ქმრებმა მეტი ყურადღება მიაქციონ თავიანთ ცოლებს და ამძუნუნებულ კატებივით გაერ-გარე არ ირბინონ!

— თქვენმა ქმარმა რომ იეჭვოს რამე?! — ვერ იეჭვებს: კაცები იდიოტურად თავდაჯერებულები არიან და როცა სხვის ცოლებთან დაძვრებიან, არ ფიქრობენ, სად შეიძლება ამ დროს, მათი ცოლები იყვნენ, რომლებსაც არანაკლებ სჭირდებათ სიყვარული და ალერსი!...

...ზემოთ მოთხრობილმა ამბავმა ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენა: როცა საქართველოში სამოგზაუროდ ნამყოფ ამერიკელს ჰკითხეს — ყველაზე მეტად რამ გაგაოცაო? — უამრავ საოცრებას შორის, ერთ-ერთ პირველ ადგილზე აღნიშნა: საქართველოში ყველა კაცს ხუთ-ხუთი საყვარელი მაინც ჰყავს, ამ დროს — ყველა ქალი პატიოსანიაო! აქედან თავადაც მშვენიერ დასკვნას გააკეთებთ, ძვირფასო მკითხველო...




# ყველაზე მაღლა, ყველაზე ნორჩად, ყველაზე იტალიანად...



## დედამიწის მსხოვრებთაგან უდიდესი ფეხი

ამერიკელი მსახიობი მეთიუ მაკგრეგორი 63 ზომის ფეხსაცმელს ატარებს. საინტერესოა, რომ მისი მარჯვენა ტერფი — 44,45 სმ სიგრძისაა და მარცხენისას 1,27 სმ-ით აღემატება. ფილმში — „მსხვილი თევზი“ (2003 წ.) მთავარი როლის შემსრულებელი მაკგრეგორი 2,29 მ სიმაღლისაა. მისი თქმით, ერთი წყვილი ფეხსაცმელი მას 22.745 დოლარი უჯდება.



## დედამიწის ბარუმო განმარტოებით მოგზაურობისას დამყარებული სისწრაფის რეკორდი

ის ბრიტანელ ქალს — ელენ მაკარტურს ეკუთვნის, რომელმაც ტრიმარანით — "B&Q" — 71 დღეში, 14 სთ-ში, 13 წთ-სა და 33 წმ-ში შემოიარა ჩვენი პლანეტა. მან 2004 წლის 18 ნოემბერს, საფრანგეთის კუნძულ უესანის ნაპირთან აიღო სტარტი, შემოუარა კეთილი ნების კონცხს (სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკა), გაიარა სამხრეთ ავსტრალიის სანაპიროსა და სამხრეთ ამერიკის გორნის კონცხის გასწვრივ და 2005 წლის 7 თებერვალს, საფრანგეთის ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე, ესანის კუნძულთან დაბრუნდა.



## ყველაზე სწრაფი გუნდური მოგზაურობა

14-კაციანი ჯგუფმა, კაპიტან ბრუნო პერონის (საფრანგეთი) მეთაურობით, კატამარანით — „ორანჟ II“, 50 დღეში, 16 სთ-ში, 20 წთ-სა და 4 წმ-ში შემოუარა დედამიწას. ისინი 2005 წლის 24 იანვარს, საფრანგეთში, კუნძულ უესანიდან გავიდნენ და 16 მარტს დაბრუნდნენ სტარტის ადგილას.

## მოგზაურობათა ყველაზე ხანგრძლივი სერია

1988 წლის 13 მარტს, ავსტრალიელმა იონ სანდერსმა, დედამიწის გარშემო 3 მოგზაურობისგან შემდგარი სერია დაასრულა. ის სამოგზაუროდ 13,9 მ სიგრძის ნავით — „პერი ინდევიორ“ — 1986 წლის 25 მაისს გაემგზავრა. მოგზაურობათა სასტარტო და საფინალო ადგილად სანდერსმა ავსტრალიის ქალაქი ფრიმანტლი აირჩია.

## უსწრაფესად სარეისო თვითმფრინავით

2004 წლის 6-8 ივლისს, გერმანული გაზეთის — „ბილდ ამ ზონტაგ“ რედაქტორმა, მაიკლ კვანდტმა დედამიწას სარეისო თვითმფრინავების მეშვეობით შემოუარა. მან 6-ვე კონტინენტი 66 სთ-სა და 31 წთ-ში შემოიარა. თავისი უჩვეულო მოგზაურობა მაიკლმა სინგაპურში დაიწყო და იქვე დაასრულა.

საუკეთესო ხარისხის მატყლი	მსახიობი ... სარაჯიშვილი	მიმართვა იაპონულ-ისადმი	ჰომეროსის პოემა	გრძელის საპირ-ისპირო ცნება	ბრაზილიური ცეკვა	საქართველო					
მედი	სოსი	ლინა	ნუსა	ნინო	დიტა	დავით	გოხი	ქე	სს	გზა	ქო
ქალა-ქისთავი	იაპონური თეატრი	დავით აღმაშენებელი „გალობანი ...“	... ელიავა	მუდმივი შიშის სინონიმი „... მახვილი“	მს./ფ. „დაკარგული სამოთხე“ — ... ქარქაშაძე						



# ნიგნი თავბადასავლების მოყვარულთათვის!



„მე ერთი მოგზაურობაზე თავგადაკლული კაცი ვარ...“  
– ამ სიტყვებით დაამახსოვრა თავი წიგნის ავტორმა ჟურნალ „გზის“ მკითხველს. თანაც, ამ სიტყვებს დროდღარ არა მხოლოდ ეფექტის მოსახდენად იმეორებდა, არამედ მართლაც ასე იყო...

აკაკი გვენავა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობის ჩანაწერებით დატვირთული მოვიდა რედაქციაში. ასე გაჩნდა რუბრიკა „მოგზაურის დღიურები“, რომელიც იმთავითვე მოვიდა თვალში მკითხველს. მეტიც, პუბლიკაციათა ბეჭდვა „დაგეგმილი“ ხანმოკლე ციკლის ნაცვლად, მთელი ოთხი წლიწინად გაგრძელდა. მის თითოეულ გამოშვებას მოუთმენლად ელოდნენ სათაგადასავლო ჟანრის მოყვარულნი, ხოლო როცა რუბრიკის „დასკვნითი“ ნაწილი გამოქვეყნდა, გვისაცვლურეს, ასე მაღე(!) რატომ დაამთავრეთო.

ახლაც გვწერენ და გვირეკავენ, რუბრიკის განახლებას გვთხოვენ. აკაკის კი დღესაც აჩერებენ ქუჩაში მადლობის გადასახდელად, იმ ფოტოებით ცნობენ, მის „მძაფრსიუჟეტთან“ ჩანაწერებს რომ ახლდა. ერთი სიტყვით, ჩვენი მოგზაური-პუბლიცისტი ამავდროულად ჟურნალ „გზის“ პოპულარულ სახედაც იქცა.

2002 წლის თებერვლიდან მოყოლებული, აკაკი გვენავამ მკითხველს ახალი თვალით (თანაც ძალზე ორიგინალურად) დაანახვა არგენტინა თუ ბრაზილია, პოლანდია თუ საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, ირანი... და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატები. გასაოცარი კომუნიკაბელობის, ინტუიციისა და მოგზაურისთვის დამახასიათებელი ხედვის წყალობით აკაკი უამრავ მეგობარს იძენს ყველგან, სადაც კი ფეხი დაუდგამს. შტატებში, რუსული სასტუმროს მეპატრონე ქალიდან დაწყებული, პრესტიჟული უნივერსიტეტის პროფესორით და ოლბანის ციხის „მეთვალყურით“ დამთავრებული. დიას, ჩვენი გმირი ამერიკულ ციხეშიც მოხვდა სრულიად უდანაშაულო და...

თუმცა, უმჯობესია, ყველაფერ ამის შესახებ თავად წაიკითხოთ. ჟურნალ „გზის“ მკითხველები კი ალბათ კიდევ ერთხელ სიამოვნებით გადაავლებენ თვალს ნაცნობი მოგზაურის ერთად თავმოყრილ ჩანაწერებს. აკი, სწორედ ისინი გვთხოვდნენ, წიგნად გამოეცით აკაკი გვენავას „მოგზაურის დღიურები“...




**ნიგნები სასული მიზანით ფანაგაზის გარეშე!**  
**ტელ: 42-43-40; 33-26-73**

ნიგნი	იტალიის ეფუქი	3,14	პატაკი (ძვ.)	ეკალიფის ნორჩი ყლორტები, ხმარობენ მხლად	მწერალი ... ბიჩერ სტოუ	ცეცხლსასროლი იარაღი	ნაცია
ნიგნი	ანუ	საჩხვლექი იარაღი სპორტულ ფარიკაობაში	სასტუმროს მოსამსახურე ვესტიბიულში	უდაბნო სამხრეთ ამერიკაში	ვულკანი სიცილიაზე	ფართო, რასაც დიდი განი აქვს	



# პონანია

## შიო გვეტაძე



(დასაწყისი იხ. „გზა“ №8)

ქალაქის მილიციის უფროსს, პოლკოვნიკ დავით ბალანჩივაძეს ღამის 3 საათზე აცნობებენ, რომ ერთ-ერთ ოჯახზე თავხედური ყაჩაღური თავდასხმა მოხდა, რომლის დროსაც, მისი უფროსი დანით დაჭრეს. ადგილზე მისულ პოლკოვნიკს, ატირებული დი-ასახლისი და მისი მე-ზობლები ხვდებიან. ბალანჩივაძე, გამომძიებელი ლევან მინდელი და ოპერატიული ჯგუფის სხვა წევრები ადგილის დათვალიერებასა და ნივთმტკიცებათა შეგროვებას იწყებენ. საავადმყოფოში მიყვანილი, დაჭრილი ტყვევლიაძე მიყენებული ჭრილობებისგან კვდება. მეორე დღეს, ბალანჩივაძე და მინდელი ქალაქის პროკურორს, გიორგი ხომერკის მოახსენებენ მოპოვებულ ინფორმაციას. თათბირის შემდეგ, როცა მინდელი საკუთარ კაბინეტში განმარტოებით აანალიზებს სიტუაციას, მას აცნობებენ, რომ მილიციაში მოვიდა ქუთაისში ცნობილი ქირურგი გრძელიძე, რომელიც ღამით ვილაცებს გაუტაციათ, დაჭრილი კაცის სამკურნალოდ თვალახვეული, სადღაც ნაუყვანიათ და შემდეგ, მის სახლთან ახლოს ჩამოუხვავამ მანქანიდან.

დაახლოებით 15 წუთის შემდეგ, მინდელი განყოფილების უფროსის კაბინეტში იყო.

— გაიცანით გამომძიებელი მინდელი, — მიმართა პოლკოვნიკმა ბალანჩივაძემ მის პირდაპირ მჯდომ შუახნის მელიოტ, სათვალთან მამაკაცს. მერე მინდელს მოუბრუნდა: — უცნობი ავადმყოფის სამკურნალოდ, მოტაცებული ექიმი გრძელიძე.

გრძელიძე წამოდგა, მინდელს თავი დაუკრა და ხელი ჩამოართვა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით! — მინდელი მის პირდაპირ დაჯდა და მილიციის უფროსს ჰკითხა: — დაჰკითხეთ?

— მხოლოდ ვესაუბრე... ამხანაგმა გრძელიძემ არ ისურვა, თავისი მოსვლის მიზეზი მორიგისთვის გაენდო, პირდაპირ ჩემთან მოვიდა. მოვუსმინე თუ არა, ვიფიქრე, იქნებ, ეს მოტაცება ტყვევლიაძეს საქმესთან იყოს დაკავშირებული-მეთქი, ამიტომ დაგირეკეთ, — უპასუხა ბალანჩივაძემ. შემდეგ წამოდგა და მინდელს თავის სავარძელზე მიუთითა: — აქ დაჯექით, ლევან, და თქვენ დაჰკითხეთ. მეც მოგისმენთ.

გამომძიებელმა უფროსის სავარძელში გადაინაცვლა, მოტანილი საქალაქიდან სუფთა ფურცლები ამოიღო და გრძელიძის დაკითხვას შეუდგა.

— პატივცემულო ექიმო, გთხოვთ, შეეცადეთ, არაფერი, თქვენთვის უმნიშვნელო წვრილმანიც კი არ გამოგრიქეთ.

— პირველ რიგში, — დაიწყო გრ-

ძელიძემ — გთხოვთ, არავინ გაიგოს, მით უმეტეს, ჩემმა გამტაცებლებმა, რომ ჩემი ფეხით მოვედი მილიციაში, თორემ, სიკვდილი არ ამცდება. ასე გამაფრთხილეს წუხანდელმა „პაციენტებმა“ და ვფიქრობ, ისინი არაფერის წინაშე არ დაიხვეწენ უკან. თუმცა, ბევრი არაფერი ვიცი და მათი ვინაობაც არ შემიძლია დავასახელო... თანმიმდევრობით მოგიყვებით ყველაფერს, რაც მოხდა. წუხელ, სიძე და ქალიშვილი, რომლებიც თბილისიდან ჩემთან სტუმრად იყვნენ ჩამოსული, ღამის მატარებელზე გავაცილეთ. ცოტა ნასვამიც ვიყავი და სადგურიდან დაბრუნებისთანავე, დავიძინე. რამდენი ხანი მეძინა, არ ვიცი, უეცრად ზარის ხმამ გამაღვიძა. წამოვდექი. ჯერ ტელეფონი მეგონა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ კარზე რეკავდნენ. შუქი ავანთე, კარი გავაღე, მაგრამ ჯაჭვი არ მომიხსნია, ისე შევეკითხე, ვინ უნდოდათ.

„ქირურგი გრძელიძე სახლში ბრძანდება?“ — მკითხეს გარედან.

„მე გახლავართ, — ვუპასუხე, — რაშია საქმე?“

„ექიმო, თქვენი გადაუდებელი დახმარება გვესაჭიროება, დაგვდეთ პატივი და გამოგვყვით, კაცი გვიკვდება.“

მართალი გითხრათ, ცოტა შემეშინდა და ვიდრე კარს გავაღებდი, მოსულნი შევათვალეირე. ორნი იყვნენ: ერთი, შედარებით ახალგაზრდა, მეორე კი — ჭალარა, წვერიანი, თავზე ჩაბალახშემოხვეული, ჩემი პირველი ვარაუდით — სოფლელი, გლეხი კაცი... რადგან

კარის გაღება დავაყოვნე, მოსულთაგან უფროსმა მითხრა:

„ჩვენი არ შეგეშინდეთ, ექიმო. მართალია, ძალიან გვიანია, მაგრამ ცუდი განზრახვით არ გეგონოთ მოსული. გაგვიღეთ კარი, კაცი გვყავს დაჭრილი და ყოველი წუთი ძვირფასია. ნუ დააგვიანებთ, თორემ, თქვენს სინდისზე დარჩება ახალგაზრდა ადამიანის სიკვდილი...“

მოგესხენებოთ, ექიმს ხშირად, გვიანაც მიმართავენ დახმარებისთვის, რადგან ავადმყოფობამ, მით უმეტეს, ფათერაკმა, დრო არ იცის. ამიტომ, კარი გავაღე და ორთავე შემოვუშვი. უცნობები თავაზიანად მომესალმნენ და თხოვნა გამიმეორეს. ბევრი აღარ მიფიქრია, სასწრაფოდ ჩავიცვი, ქირურგიული იარაღები პატარა ჩემოდანში ჩავანყვე და გავყვი.

„შორს არის თქვენი ავადმყოფი?“ — ვიკითხე, როცა ქუჩაში გამოვედი.

„არც ისე ახლოა, მაგრამ ჩვენ მანქანით წავალთ“, — მიპასუხა ახალგაზრდამ და თავაზიანად გამომიღო ჩემი სახლის წინ გაჩერებული მანქანის უკანა კარი. ჩავჯექი. ახალგაზრდა საქესთან დაჯდა, მეორე — ჩემ გვერდით მოთავსდა და მანქანაც დაიძრა.

ჩემი სახლიდან სულ რაღაც ასიოდ მეტრის გავლის შემდეგ, მანქანამ ბნელ ქუჩაში შეუხვია და გაჩერდა. გაკვირვებაც კი ვერ მოვასწარი, რომ ჭალარამ საფეთქელთან რევოლვერის ლულა მომაღო და ჩემი, მაგრამ მტკიცე ხმით მითხრა:

„პატივცემულო ექიმო, თუ ხმაურს არ ატეხთ, თქვენს სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ დავაუქრებ, ხოლო თუ ჩვენს პირობებს მიიღებთ და არ გაჯიუტდებით, თქვენი შრომა უხვად იქნება ანაზღაურებული. ახლავე უნდა გითხრათ ისიც, რომ უარის შემთხვევაში, სიკვდილი გელით...“

„რა გინდათ ჩემგან? თუ გაძარცვას მიპირებთ, მე არავითარი ძვირფასი ნივთი, გარდა მაჯის საათისა, თან არა მაქვს“, — მივუგე მე.

„როგორ გეკადრებათ, პატივცემულო ექიმო?! ჩვენ ძმარცველები კი არა ვართ! — მიპასუხა ახალგაზრდამ და შევამჩნიე, რომ მასაც რევოლვერი ეჭირა ხელში. — პირიქით, როგორც ბიძაჩემმა გითხრათ, თქვენი შრომა უხვად იქნება ანაზღაურებული, ოღონდ საჭიროა, წამოყენებულ პირობებზე დათანხმდეთ და უსიტყვოდ აასრულოთ ჩვენი მოთხოვნა.“

„რა პირობებს მიყენებთ?“ — შევეკითხე.

„სულ უბრალოს, რითიც არც თქვენი ღირსება შეილახება და არც სინდისი, — დაიწყო ჭალარამ. — ჩვენ არ გატყუებთ, მართლა გვყავს დაჭრილი, რომელსაც თქვენი გადაუდებელი დახმარება ესაჭიროება. მაგრამ თქვენთვის უცნობი უნდა დარჩეს მისი ვინაობა. არ დაგიმალავთ, დაჭრილი — ახალგაზრდა, სასიძო ბიჭია, მშვენიერი ვაჟკაცი.“

დაჭრეს ქალის გამო და თუ გაიგეს მისი ვინაობა, ციხე არ ასცდებდა. ამიტომ, მე ახლა თვალეზს აგისხვევთ და ისე წაგიყვანთ ავადმყოფთან. თქვენ არც ერთი შეკითხვით არ მიმართავთ არც მას, არც სხვა ვინმეს; შეასრულებთ თქვენს საქმეს, მიიღებთ სათანადო გასამრჯელოს და ჩვენ, ასევე უვნებელს, ოლონდ, თვალახვეულს, მიგიყვანთ სახლში. თანახმა ხართ?”

„რა გაეწყობა?! — ვუპასუხე. — თქვენ ხელთ ვარ და სხვა რა გამოსავალი მაქვს?!“

ჭალარამ რევოლვერი მომამორა, პალტოს გულის ჯიბიდან შარფი ამოიღო, ბოდიში მოიხადა და თვალეზი ამიხვია. შემდეგ, ისევ მომადლო იარაღი და გამაფრთხილა:

„გახსოვდეთ — ერთი დაყვირება ან შარფის მოხსნის მცდელობა და... გესვრით“.

ხმა არ ამომიღია.

მანქანა დაიძრა...

ვიარეთ დაახლოებით 30-35 წუთი. შემდეგ, გაჩერდით.

„მოვედით! — მომესმა ჭალარას ხმა. — გახსოვდეთ, როცა საქირო იქნება, შარფს ჩვენ თვითონ მოგხსნით. ახლა კი, მანქანიდან გადმობრძანდით, სიარულის დროს, მე დაგეხმარებით“.

ჭალარამ მანქანის კარი გამოაღო, მანქანიდან გადავიდა, ხელი მომიკიდა და გადამიყვანა. ცალ ხელზე ხელთათმანი არ მეყვია, შიშველ ხელზე თოვლის ფიფქების დაცემით მივხვდი, რომ ხვავრიელად თოვდა. ჭალარამ ხელკავი გამომდო და ნამიყვანა... მალე, ჭიშკრის გაღების ხმა გავიგონე. როდესაც ჭიშკარში შევედით, ჩემდაუნებურად, ნაბიჯების თვლა დავინწყე... ოცდამერვე ნაბიჯზე გამყოლმა

გამაჩერა.

„რაზია საქმე?“ — ვიკითხე.

„არაფერი, პატივცემულო ექიმო. აქ კიბე იწყება და ფეხი არ დაგიცდეთ“.

ხელის ფათურით მოვქებნე მოაჯირი და კიბეზე შევდგი ფეხი. მეორე მხარეს, კვლავ გამყოლი მაშველებდა ხელს... როცა ჩვიდმეტი საფეხური ავიარეთ, მოაჯირი შეწყდა და ვიფიქრე, რომ კიბე დამთავრდა. გამყოლი ალბათ მისვდა ჩემი გაჩერების მიზეზს:

„იარეთ, იარეთ, — მითხრა მან — კიბე არ გათავებულა“.

მე წინ წავდგი ერთი ნაბიჯი და წავიფორხილე, რადგან მორიგ საფეხურს ველოდი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ბაქანზე ვიმყოფებოდი. ამ ბაქანიდან კიბე სხვა მიმართულებით მიდიოდა. მეორე ნაბიჯი უკვე მის საფეხურზე შევდგი და სვლა განვაგრძე. ამჯერადაც, არ ვიცი რატომ, ანგარიშიშუცემლად, მექანიკურად განვაგრძე თვლა. სულ 22 საფეხური გამოვიდა...

ჭალარამ კარი გააღო, სახლში შევედით, სიტბო ვიგრძენი. გამყოლმა კიდევ 10 ნაბიჯი გამატარა, მეორე კარი გააღო და სხვა ოთახში შემიყვანა. იქ უფრო თბილოდა. ვიდექი და ხმას არ ვიღებდი. ჭალარამ თვალსახვევი მომამორა.

შუქმა სიბნელეს შეჩვეული თვალი მომჭრა და დახუჭე. როცა კვლავ გავახილე, დავინახე, რომ მე და ჭალარა საკმაოდ მოზრდილ ოთახში ვიმყოფებოდით.

„დამთავრდა, ბატონო ექიმო, მასკარადის პირველი ნაწილი, — გაიღმა მან და დასძინა: — სულითა და გულით გთხოვთ, მაპატიოთ ჩემი უხეში მოქმედება. იმედია, გამიგებთ, სხვა გამოსავალი

არ მქონდა“.

პასუხი არ გამიცია. თვალეზით ავადმყოფს ვეძებდი, მაგრამ შეკითხვისგან თავი შევიკავე. ჭალარა მისვდა.

„ახლავე ყველაფერი მზად იქნება“, — მიპასუხა უტყყ კითხვაზე.

იმავე წუთს, გაიღო კარი და შემოვიდა ახალგაზრდა, რომელსაც ხელში ჩაიდანო, საპონი და პირსახოცი ეჭირა. ჭალარამ ტაშტი მოძებნა, სკამზე დადგა და თავზაიანად მთხოვა, ხელი დაიბანეთო. წყალს ახალგაზრდა მისხამდა.

ჭალარამ ელექტროქურა ჩართო, შემდეგ, ჩემს დაუკითხავად, ჩემოდანი გახსნა, სტერილიზატორი ამოიღო, შიგნით წყალი ჩაასხა, სკალპელი, პინცეტი და სხვა იარაღები ჩაყარა და ქურაზე შემოღდა.

„მაჩვენეთ ავადმყოფი“, — ვუთხარი ჭალარას, როცა ხელის დაბანას მოვრჩი.

მან უხმოდ გააღო მეორე ოთახის კარი და მანიშნა, გამომყევითო. უსიტყვოდ გავყევი.

ეს ოთახი, პირველთან შედარებით, უფრო დიდი იყო. ერთ მხარეს ორი სანოლი იდგა, ერთ-ერთზე მამაკაცი იწვა და კვნესოდა. ღამის სანათური იმდენად მკრთალ შუქს გამოსცემდა, რომ ავადმყოფის სახე ვერ გავარჩიე.

„აანთეთ სინათლე“, — მივმართე ჭალარას. მან უხმოდ მოძებნა ჩამრთველი და ბროლის ჭალი აანთო.

ავადმყოფს საბანი გადავხადე, გასისხლიანებული პერანგი ავუნეე და დავინახე, რომ მუცლის არე სახვევებით ჰქონდა შესვეული.

„შეიძლება, ერთი შეკითხვა დაგისვავთ? ის მხოლოდ ავადმყოფს შეეხება...“ — მივმართე ჭალარას.

„ბრძანეთ“.

„ვინ შეუხვია ჭრილობა?“

„მე“.

„შეიძლება გავხსნა?“

„ცხადია“, — მიპასუხა მან.

ავადმყოფს გასისხლიანებული სახვევები მოვაცილე და ჭრილობა გავსინჯე. ის მუცელში იყო დაჭრილი. ღრუში ბევრი სისხლი ჩაჰქცეოდა და ეტყობოდა, დაჭრილს ბევრი სისხლი დაეკარგა. ის უგონოდ იყო.

„რას იტყვით?“ — შემეკითხა ჭალარა.

„ავადმყოფის მდგომარეობა სერიოზულია, საქიროა სასწრაფო ქირურგიული ჩარევა, სისხლის გადასხმა. ყოველივე ამის გაკეთება მარტო ჩემ მიერ, ყოვლად შეუძლებელია. თუ დაჭრილს ახლავე არ წავიყვანთ საავადმყოფოში, აუცილებლად დაიღუპება“, — მივუგე მე.

ჭალარამ ბოროტად დააკვესა თვალეზი. მან მრისხანე ტონით მითხრა:

„არა, ექიმო, ყველაფერი, რაც საქიროა, აქ გაკეთდება და გაკეთდება მხოლოდ თქვენ მიერ. მე თვითონ ვიქნები თქვენი ასისტენტიც და ექთანიც. რაც შეეხება სისხლის გადასხმას — ამასაც იოლად მოვაგვარებთ, ჩემს სისხლს გადავუხსამთ“.





გაოცებულმა შეეხედე:  
„როგორ თუ თქვენს სისხლს?! ეს შეუძლებელია! დაჭრილს შეიძლება, სულ სხვა ჯგუფის სისხლი აქვს, ასეთ შემთხვევაში, თქვენი სისხლის რამდენიმე წვეთიც მას უეჭველად დაღუპავს.“

„მაგაზე ნუ სწუხხართ: ჩვენ ერთი ჯგუფის სისხლი გვაქვს.“

„თქვენ რა, დაჭრილის მამა ხართ?“

„მე გაგაფრთხილეთ — კითხვებისგან თავი შეგუკავებინათ!..“ — მკვახედ მომიჭრა მან.

„კი, მაგრამ ეს შეუძლებელია! სხვა არა იყოს რა, სისხლის გადასხმის ხელსაწყოებიც არა მაქვს!..“ — არ ვნებდებოდი მე.

„გიმოვიტ. ახლა კი, დროს ნუ კარგავთ, მიხედეთ ავადმყოფს!“ — მომიგდო ჭალარამ. შემდეგ, ახალგაზრდას დაუძახა, ჩემთან დატოვა და თვითონ ოთახიდან გავიდა.

რამდენიმე წუთში, ჭალარა სისხლის გადასასხმელი აპარატით დაბრუნდა და ახალგაზრდას უბრძანა, ელექტროქურა, სტერილიზატორი და ჩემი ჩემოდანი შემოეტანა. როდესაც ეს ყველაფერი ოთახში შემოიტანეს, ჭალარამ ხელები დაიბანა, ახალგაზრდასაც დააბანინა და შემდეგ, მე მომმართა:

„ასისტენტები მზად არიან, ექიმო. გთხოვთ, საქმეს შეუდგეთ!“

ჩემოდნიდან ხალათი ამოვიღე, ჩავიცვი და ამ ძალზე უჩვეულო პირობებში ოპერაციისთვის მზადებას შევუდექი.

ჭალარამ თეთრეულის კარადა გამოალაო, რამდენიმე ზენზარი გამოიღო და უსიტყვოდ მომიწოდდა.

მე უკანასკნელად ვცაადე გაბრძოლება:

„იცოდეთ, ასეთ პირობებში გაკეთებული ოპერაცია, თითქმის ავადმყოფის მკვლელობის ტოლფასია. ნუ მაიძულებთ ამ საშინელების ჩადენას, ნუ მაქცევთ მკვლელად. დაჭრილი მაინც შეიბრალებთ.“

„ექიმო, გთხოვთ, საქმეს შეუდგეთ! აი, თქვენი ჩემოდანი, შპრიცი და საანესთეზიო საშუალებები“, — მიპასუხა ჭალარამ. მაინც ვყოყმანობდი. ახალგაზრდამ ჯიბიდან ბეჭუთი ამოიღო: „გაძლევთ 30 წამს“, — მშვიდი, შეუვალი ტონით მითხრა მან და მიხვდვი — სიცოცხლეს მართლაც, მხოლოდ ოპერაციის გაკეთების შემთხვევაში შევინარჩუნებდი.

„რეზინის მილი მომეცით, — მივუბრუნდი ახალგაზრდას, — თქვენ კი, — მივმართე ჭალარას, — მოემზადეთ. გახსოვდეთ, რომ სიკვდილის მუქარით მაიძულებთ, თქვენი სისხლი გადავუხსა დაჭრილს...“

ჭალარამ უხმოდ გაიხადა პიჯაკი, პერანგის სახელო შეიხსნა და დაკუნთული, მისი ჭალარა წვერისთვის შეუფერებლად ძლიერი მკლავი გამოაჩინა...

დიდი წვალბით გადავუსხი დაჭრილს სისხლი, შემდეგ ჭრილობა გავხსენი, მუცლის ღრუ ამოვუსუფთავე და როდესაც ყოველივეს მოვრჩი, ირიჟრაჟა კიდეც ახალგაზრდამ ოთახში კონიაკი, ღვი-

ნო, ცხელი ჩაი და საუზმე შემოიტანა. მე უკვე ვიცოდი, რომ დაჭრილი სიკვდილს გადაურჩა. დავრწმუნდი იმაშიც, რომ ის და ჭალარა, ახლო ნათესავები — შესაძლოა, მამა-შვილიც — იყვნენ და ახლა, როდესაც ყველაფერი დამთავრდა, შიშის ნაცვლად, ცნობისმოყვარეობამ მძლია. ვინ არის ეს ხალხი? სადა ვარ? ვინ ქალის გატაცებისას დაიჭრა ეს მშვენიერი ვაჟკაცი და ასე უბატომ მალავენ მისი დაჭრის ამბავს?..

ჭალარა მაღიანად ილუჟემბოდა. გადავწყვიტე, დამერღვია მიცემული პირობა და რამდენიმე კითხვით მაინც მიმემართა ჩემი მოძალადე მასპინძლისათვის. თითქოს ჩემი ფიქრები ამოიცნო — ჭალარამ ძლივს შესამჩნევად, დამცინავი ღიმილით, რომელშიც მუქარაც გამოსჭვიოდა, კვლავ გამაფრთხილა:

„პატივცემულო ექიმო, მე თქვენ აგიკრძალეთ კითხვების დასმა და ჩემს სიტყვას არ გადავალ, თუმცა, თქვენგან დიდად დავალებული ვარ. სანაცვლოდ, შრომას უხვად აგინაზღაურებთ. უადგილო, ცუდმა ცნობისმოყვარეობამ კი შესაძლოა, კარგი თავი და მაღლიანი მარჯვენა დაგაკარგინოთ... ბოროს, — მიუბრუნდა ახალგაზრდას, — მოიტანე ფული.“

ახალგაზრდა ნამოდგა, სკამზე გადაკიდებული პიჯაკიდან ფულის დასტა ამოიღო, რამდენიმე კუპიურა ამოაძრო და ჭალარას გაუწოდა.

„ეს რა არის?! აი, შე ძუნწო, შენა! კიდეც მოიტა!“

ახალგაზრდამ მთელი დასტა გაუწოდა. ჭალარამ 30 ცალი ასმანეთიანი გადათავლა, გამოიწოდა და მითხრა:

„ეს თქვენი შრომის საზღაურია. მოცემულ სიტყვას მტკიცედ ვიცავ... აიღეთ, აიღეთ-მეთქი!“ — აუწია ხმას, რადგან შემატყო, ცყოყმანობდი.

ფული გამოვართვი.

ჭალარამ ჩაიცინა და კონიაკი გადაპკრა.

„საჭირო აღარა ვარ, გთხოვთ, გამიშვათ“, — მივმართე მას.

გაიცინა:

„არა, ექიმო, თქვენი გაშვება ახლა, შეუძლებელია: უკვე გათენდა და აქედან თვალახვეული კაცის გაყვანა, ცოტა არ იყოს, უხერხულია. მოითმინეთ, დალამდება თუ არა, სრულიად უვნებელს მიგიყვანთ სახლში. თუ დაილაღეთ, მოისვენეთ, თუ არა და, ისე იგრძენით თავი, როგორც ძვირფასმა სტუმარმა მოყვარული მასპინძლის ჭერქვეშ.“

ისევ კონიაკი გადაპკრა.

საკვირველი იყო — ამ საკმაოდ ჭარმაგმა, ჭალარა კაცმა თითქმის ერთი ბოთლი კონიაკი შესვა და სიმთვრალის ნასახიც არ ეტყობოდა!.. ორი კაცის სამყოფს სვამდა, ჭამდა და ჩემთან საუბარს განაგრძობდა... გამაოცა იმანაც, რომ საკმაოდ კარგად ერკვეოდა სამედ-იციონო ტერმინოლოგიაში.

ერთი სიტყვით, დალამებამდე იმ იდუმალ ბინაში დავრჩი. ჩემს ძალად

მასპინძლებს ერთი წუთითაც არ მივუტოვებდით მარტო და თუმცა იმ ორ ოთახში თავისუფლად სიარულის ნებას მაძლევდნენ, კატეგორიულად ამიკრძალეს ფანჯარასთან მიახლოება. ჩაკეტილ დარბაზებში მარტოდნენ სინათლის წვრილი ზოლი აღწევდა. კიდეც კარგი, საათი არ ჩამომართვეს, თორემ, დროსაც ვერ გავიგებდი.

...როგორც იქნა, დალამდა, მაგრამ ჩემს გაშვებას მაინც არ ჩქარობდნენ. თორმეტის ნახევარზე, ოთახში ჭალარა შემოვიდა.

„ბატონო ექიმო, აბა, ერთხელაც დახედეთ ჩვენს ავადმყოფს, შემდეგ დაგვარიგეთ, როგორ მოვუაროთ და გაემგზავრეთ.“

ავადმყოფს ეძინა. ოპერაციის შემდეგ, მისი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მაჯა სუსტად, მაგრამ რიტმულად უცემდა. სიკვდილის საშიშროება აღარ არსებობდა. ყოველივე ეს ჭალარას ვუთხარი. შემდეგ დავარიგე, როგორ მოქცეულიყვნენ, განსაკუთრებით ავუკრძალე ავადმყოფის განძრევა და ნასასვლელად გავემზადე.

„როდის შეიძლება, ფეხზე წამოდგეს?“ — მკითხა ახალგაზრდამ.

„ერთი კვირა მაინც უნდა იწვეს“, — მივუხე, ამ კითხვით გაოცებულმა.

ჭალარამ ჩაიცინა, კვლავ ზრდილობიანად მოიხადა ბოდიში უხეშობისთვის და ახლა, უკვე ჩემი საკუთარი შარფით, მაგრად ამიხვია თვალები.

იმვე გზით, იმავე კიბით, ისევ ჭალარის უშუალო დახმარებით ჩავედი ეზოში, იქიდან ჭიშკარში გავვედით, სადაც ჩამსვეს მანქანაში და შინისკენ წამიყვანეს.

გარკვეული ხნის შემდეგ, მანქანა გაჩერდა.

„მოვედით. აქედან თქვენს სახლამდე 200-300 მეტრია. ბოდიშს ვიხდი, რომ სიფრთხილის გამო, სახლამდე ვერ მიგაცილებთ... კიდევ ორი პირობა და თავისუფალი ბრძანდებით“, — ჩაილაპარაკა ჭალარამ ჩუმად და რევოლვერის შეხებაც ვიგრძენი.

„კიდეც რა გინდათ ჩემგან?“ — შევეკითხე.

„ცოტა რამ. პირველი: მანქანიდან გადასვლის შემდეგ, 30 წუთი თვალსახვევს არ მოიხსნით; მეორე: დაივიწყებთ ჩვენს ვიზიტს — თქვენ არსად არ ყოფილხართ და არავითარი ოპერაცია არ გაგიკეთებიათ! თქვენ უკვე იცით, რომ პირობას მტკიცედ ვასრულებ. თუ ნახევარი საათის განმავლობაში, თვალსახვევის მოხსნა გაზედეთ, სინათლეს სამუდამოდ გამოეთხოვებით, ხოლო თუ ვინმესთან დაგცდებთ ჩვენი სტუმრობის ამბავი, იცოდეთ — მიწაშიც რომ ჩაძვრეთ, მაინც მოგაგნებთ და სიცოცხლეს გამოგასალმებთ, გასაგებია?“

„გასაგებია, — მივუხე მე და დავძინე: — ძალა თქვენს ხელშია...“

„კეთილი. მამასადამე, შევთანხმდით. გადაბრძანდით მანქანიდან.“

ჭალარამ კარი გამოაღო, ხელი შე-

მაშველა და მანქანიდან გადამიყვანა.

„აქ დადექით, ამ შესახვევში. ყურადღებას არავინ მოგაქცევთ. დინჯად დაითვალეთ ორი ათასამდე, შემდეგ, შეგიძლიათ, თვალსახვევი მოიხსნათ... მშვიდობით! არ გისურვებდით კიდევ ერთხელ ჩვენთან შეხვედრას, მით უმეტეს — ნახევარი საათის გასვლამდე...“ — მუქარის ტონით მითხრა მან და ხელი გამიშვა.

არ გასულა ნახევარი წუთიც, რომ მანქანის ძრავას ამუშავების ხმა გავიგონე და მარტო დავრჩი.

რამდენჯერმე გადავწყვიტე თვალსახვევის მოხსნა, მაგრამ იმის შიში, რომ ჭაღარა სადმე ახლოს იდგა და მითვალთვალებდა, გამბედაობას მიკარგავდა. ასე გავიდა მტანჯველი ნახევარი საათი, რის შემდეგაც, გაბებდე და შარფი მოვიგლიჯე. მარტოდმარტო ვიდექი შესახვევში — თუ რომელში, უცებ ვერ გავარკვიე. შემდეგ, განათებული ქუჩა დავინახე და იქით ავიღე გეზი. როდესაც სინათლეზე გამოვედი, დავრწმუნდი, ნერეთლის ქუჩაზე ვიმყოფებოდი და მამინვე, აქეთ, მილიციის განყოფილებისკენ წამოვედი... აი, სულ ეს არის. მე მგონი, არაფერი გამომრჩენია, — დაამთავრა თხრობა გრძელიძემ. შემდეგ, სათვალე მოიხსნა, გულდასმით განწინდა, ისევ გაიკეთა და გამომძიებელს მიაჩერდა.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოწვა. გამომძიებელი მაგიდაზე დადებულ ფურცელს ჩაშტერებოდა, რომელზეც გრძელიძის თხრობისას შენიშვნებს ინერდა. დუმდა ბალანჩივაძეც... მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ექიმის ნაამბობმა. პოლკოვნიკს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გრძელიძის გამტაცებლები და დაჭრილი, ახალგაზრდა ქალის მოტაცებაში სულაც არ იყვნენ გარეუღნი, მაგრამ ვინ იყვნენ ისინი?.. ჰქონდათ თუ არა რამე კავშირი ტყვეშეღებვის მკვლელობასთან?.. სად იყვნენ დაბინავებული და როგორ შეიძლებოდა, მიეგნოთ მათი სახლისთვის?..

იგივე კითხვები აწვალებდა მინდელსაც. როგორც გამოცდილი გამომძიებელი, ის დიდ ანგარიშს უწევდა პროფესიონალურ ინტუიციას — აქ კი, გარდა ინტუიციისა, ფაქტების ისეთ დამოხვევასთანაც ჰქონდა საქმე, რომლებიც თითქმის უეჭველს ხდიდა კავშირს ამ ორ საქმეს შორის.

— ხომ ვერ გვეტყვი, რა დრო იქნებოდა, სახლიდან რომ გამოხვედით? — ბოლოს და ბოლოს, დაარღვია დუმილი მინდელმა.

— როგორ არა?! ჩემი სახლიდან 3 საათსა და 40 წუთზე გავედი — ეს დანამდვილებით მახსოვს, რადგან ვი-

დრე სინათლეს გამოვრთავდი, საათს დავხედე.

— თქვენი აზრით, რამდენი კილომეტრი გაიარეთ?

— მე მგონი, არანაკლებ 30 კილომეტრისა.

— რატომ გგონიათ?

— საქმე ისაა, რომ მე თვითონ, აგერ 10 წელია, საკუთარი მანქანა — „პობედა“ მყავს და თვალსახვეულსაც, მოტორის ხმის მიხედვით შემიძლია, სიჩქარის მიახლოებით განსაზღვრა.

— თქვენ „პობედით“ წაგიყვანეს? — შევეკითხა პოლკოვნიკი.

— მაგას ზუსტად ვერ გეტყვით: სამწუხაროდ, ყურადღება არ მიმიქცევია. შეიძლება, „პობედა“ იყო, შეიძლება — „მოსკვიჩი“.



— მანქანაში რომელ მხარეს იჯექით? — ისევ მინდელმა დასვა კითხვა.

— მარცხენა მხარეს და ძალიანაც შევწუხდი.

— რამ შეგანუხათ?

— სავარძლის ნაწილი, როგორც ჩანს, დაზიანებული იყო, ზამბარას ქსოვილი გაეჭრა და მხოლოდ შალითა იჭერდა. მოგეხსენებათ, ასეთ სავარძელზე ჯდომა არცთუ ისე სასიამოვნოა. ისე შემანუხა, ადგილის შეცვლაც დავაპირე, მაგრამ შემეშინდა, ჩემი მოძრაობა წინააღმდეგობის განვად ან თვალსახვევის მოხსნის ცდად არ აღექვათ და დაპირებისამებრ, ადგილზე არ გავეთავებინე...

— თქვენი აზრით, სად წაგიყვანეს?

— აბა, რა ვიცი?! დარწმუნებული ვარ, ქალაქარეთ ვიყავი, უფრო — მაიაკოვსკის (ამჟამად, ბალდათის. — რედ.) რაიონისაკენ, მაგრამ სად, წარმოადგენა არა მაქვს.

— ასე რატომ ფიქრობთ?

— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დაახლოებით 30 კილომეტრი ვიარეთ. მეო-

რეც — თუმცა, მცირე მანძილი, მაგრამ საკმაოდ დამრეცი დაღმართით ვიარეთ... უნდა მოგახსენოთ, რომ წნევის ცვალებადობა ჩემზე ცუდად მოქმედებს. მე არაერთხელ ვყოფილვარ მანქანით მაიაკოვსკიში, როგორც მგზავრად, ისე — საჭესთან და სადგურ რიონის დაღმართს თვალდახუჭულიც კი ვცნობ. დაუშვებოდა თუ არა მანქანა იმ დაღმართზე, ყურები მაშინვე შემიგუბდებოდა.

— კი, მაგრამ დაღმართი სხვა მიმართულებითაც ხომ არის — მაგალითად, ზესტაფონის გზაზე. გასცდებით თუ არა საფიჩხის რკინიგზის ხიდს, იქაც ასეთივე დაღმართი იწყება, — ჩაუბრთო ბალანჩივაძემ.

— მართალია! ამ გზაზეც მივლია და იგივე მიგრძნია, რაც სხვა დაღმართის

ჩავლისას, ამიტომაც არ ვამტკიცებ, რომ უეჭველად მაიაკოვსკისაკენ ვიყავით, ეს მხოლოდ ვარაუდია, აგებული სამგარემოებაზე: ერთი — დაღმართი დაახლოებით 10-15 კმ-ს გავლის შემდეგ იყო, ხოლო ჩემი სახლიდან საფიჩხამდე 2 კმ თუ იქნება; მეორე — უკან დაბრუნებისას, აღმართი არ მიგრძნია და მესამე — როდესაც იმ ჩიხიდან გამოვედი, სადაც უცნობებმა დამტოვეს, მივხვდი, რომ მანქანა ნერეთლის ქუჩით, აბრეშუმკომბინატი-საკენ წავიდა: საზურავების კვალი კარგად ირჩეოდა, თუმცა იმ დროის განმავლობაში, რაც მე თვალსახვეული ვიდექი, კვალი საკმაოდ ამოევსო თოვლს.

— თუ შეგიძლიათ, ალგინერეთ თქვენი გამტაცებლები და დაჭრილი, — სთხოვა ექიმს მინდელმა.

— სიამოვნებით. ჭაღარა დაახლოებით 50-55 წლისა იქნება, საშუალოზე მაღალი, თვალების ფერს ვერ გეტყვით, რადგან დღის შუქზე არ მინახავს; კარგად მოყვანილი, მოგრძო, მიმზიდველი სახე, ფართო შუბლი, ძალზე მეტყველი გამოხედვა აქვს; გაბრაზების დროს, თვალები საოცრად ენთება, ბოროტ ნაპერწკლებს აკვესებს და მთელი სახე რალაც სამინელ, ბოროტ გამომეტყველებას იღებს; ხმა ოდნავ ჩინარინწული, სიცილი — ცივი, ძალზე უსიამოვნო აქვს. ლაპარაკობს დინჯად. მის ასაკთან შედარებით, ძლიერი, კარგად განვითარებული კუნთები აქვს; წვერი, როგორც მოგახსენეთ, ჭაღარა; ოდნავ მელოტიც; დადის გამართულად; სასიამოვნო მოსაუბრეა; ქცევით, ზრდილობიანი ჩანს, შეიძლება ითქვას, დახვეწილიც; ნაკითხი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს და საკმაოდ კარგად ერკვე-



ვა მედიცინაში. მისი თანმხლები, 30-35 წლის ახალგაზრდა იქნება. საშუალო სიმაღლის, ქერა, პატარა ჭროლა, ჩავარდნილი თვალები, თითქმის სწორი ნარბები, საკმაოდ დიდი თავი, წინ ნამონეული შუბლი აქვს; თმა უკან აქვს გადავარცხნილი; ოდნავ კეხიანი ცხვირი. საკმაოდ წვრილი ხმით გამოირჩევა. გამოხედვა ცივი აქვს, ბეჭებში ოდნავ მოხრილია. ავადმყოფის სახესა და თვალბზე ვერაფერს გეტყვით. ქერა, უფრო ოქროსფერი, ოდნავ ხუჭუჭი თმა აქვს; 30-32 წლისა იქნება, შედარებით პატარა ტანისაა. ხელები თეთრი, ქალიგით ნაზი — ალბათ, ფიზიკურად არასოდეს უშრომია; შედარებით გამხდარი და სუსტი აგებულებისაა, — დაამთავრა ექიმმა.

— რაიმე განსაკუთრებული ნიშანი ხომ არ შეგიმჩნევიათ რომელიმე მათგანისათვის? — კითხვა დასვა ბალანჩივაძემ.

ექიმი ცოტა ხანს დაფიქრდა, შემდეგ გადაჭრით უპასუხა:

— არა, არავითარი — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ გარემოებას: ჭალარას საოცრად თეთრი, ლამაზი და როგორც ჩანს, საკმაოდ მაგარი კბილები აქვს.

— თქვენ დაჭრილი რამდენჯერმე ნახეთ, როგორც აღნიშნეთ, პულსიც გაუსინჯეთ. ხომ არ მიგიქცევიათ ყურადღება მარჯვენა ხელის თითებისთვის? — შეეკითხა მინდელი.

— განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. როგორც მოგახსენეთ, მე მხოლოდ ის შევამჩნიე, რომ ძალზე ნაზი, თითქმის ქალიგით ხელები აქვს.

— რაიმე განსაკუთრებული ნიშანი ხომ არა აქვს? — გაიმეორა კითხვა მინდელმა.

— ეს კია — მარჯვენა ხელის შუათითზე, პატარა ნახვლეტი ჭრილობა შევამჩნიე, მაგრამ ეს ხომ ისეთი ნიშანი არაა, რომელიც თქვენ გამოგადგებათ! მინდელს გაელიმა:

— ჩვენ ყველაფერი გამოგვადგება, თუ გნებავთ — ასეთი წვრილმანიც, ამიტომ გთხოვთ, შეძლებისდაგვარად, გაიხსნოთ. ყველაფერი ის, რასაც თქვენი ვარაუდით, მნიშვნელობა არა აქვს, შეიძლება, გამოძიებას გამოადგეს.

გრძელიძე ჩაფიქრდა. სათვალე ისევ მოიხსნა, საგულდაგულოდ განმინდა ცხვირსახოცით, ისევ გაიკეთა და მიუშვა:

— არა, სხვა განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია.

— ექიმო, გთხოვთ, სანწყნად არ მიიღოთ. ყველას თუ არა, ადამიანთა დიდ უმრავლესობას მაინც რაღაც თავისებურება ახასიათებს, რაღაც სხვისგან განსხვავებული ჩვევა აქვს, ეს კი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. აი, თქვენ, მაგალითად, ერთი საათის განმავლობაში, 7-ჯერ განმინდეთ სათვალე, ეს ალბათ ჩვეულების ამბავია და ადამიანი ანგარიშმიუცემლად აკეთებს... — მინდელს კვ-

ლავ გაელიმა.

გრძელიძე შეცბა და გაოცებულმა შეხედა მინდელს:

— მართალი ხართ, ეს ჩემი ჩვევაა და თითქმის მექანიკურად ვაკეთებ, არც მიფიქრია, რომ შეამჩნევდით, თქვენ კი, დაგითვისიათ კიდევაც...

ექიმი ერთი წამით დაფიქრდა და შემდეგ, ყოყმანით დაუმატა:

— იცით, რა, დაბეჯითებით ვერ გეტყვით, მაგრამ მე მგონი, ჭალარა ფრჩხილებს იკვნეტდა...

ბალანჩივაძემ გაიციხა.

— აი, ხომ ხედავთ, ექიმო — თქვენც შეგიმჩნევიათ ისეთი რამ, რაც ჭალარას თავისებურ, არცთუ ისე მოსაწონ ჩვევაზე მიუთითებს.

— დიახ, დიახ, მართალი ბრძანდებით! არ მეგონა, თუ ასეთ წვრილმანებს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა.

— თქვენ ნამდვილად გახსოვთ კიბის საფეხურების რაოდენობა? — შემდეგი კითხვა დასვა მინდელმა.

— ნამდვილად. ავი მოგახსენეთ, საფეხურები ისე, ანგარიშმიუცემლად, მეც არ ვიცი რატომ, მაგრამ ნამდვილად დავთვალე. მათი რაოდენობა მტკიცედ დამამახსოვრდა — 17, შემდეგ — ბაქანი და კვლავ საფეხურები — 22. დამაცადეთ, დამაცადეთ... ახლა გამახსენდა, რომ იმ 22 საფეხურიდან ერთ-ერთს — მერვეს თუ მეათეს — მარცხენა მხარე, მოაჯირისკენ, ჩამოტეხილი აქვს. თვალახვეულმა, ცხადია, ვერ შევამჩნიე და კინაღამ წავიქეცი. ჭალარამ ბოდიშიც კი მოიხადა ამის გამო.

— მოაჯირი ხისაა?

— არა, რკინის, დაკუთხული რკინის. როდესაც კიბეზე ავდიოდი, სახელურს უხელთათმანო ხელით ვეხებოდი.

— შეგიძლიათ ალგვიწეროთ ოთახები?

გრძელიძე ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

— პირველი ოთახი დაახლოებით 16-18 კვ მეტრი იქნება: მაღალი ჭერი, შუაში ოთხკუთხა მაგიდა, რამდენიმე სკამი, კუთხეში — წიგნების თარო; ტახტი, მის პირდაპირ კედელზე — ხალიჩა, რომელიც ტახტის ნაწილსაც ფარავს. სხვა ნივთები არ შემიმჩნევია. მეორე ოთახი უფრო დიდია — 20-22 კვ მეტრი იქნება. ძვირად ღირებული ხის ორი სანოლი, სარკე, ჩინური ვაზა, ტუმბოები, ტანსაცმლის დიდი კარადა, ჭერზე პატარა ზომის ბროლის ჭალი, ნათურების რაოდენობა არ მახსოვს; ასევე — მაგიდის პატარა აბაჟური.

— ხომ არ მიგიქცევიათ ყურადღება წიგნებისთვის?

— არა. მხოლოდ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა რამდენიმე ტომი დავინახე. მართალი გითხრათ, ტყვეობაში, დროის მოკვლის მიზნით, მინდოდა, წიგნის კითხვით შემეძლია თავი, მაგრამ ნება არ მომცეს, ახლოსაც არ მიმავარეს თაროს.

— გარდა თქვენი გამტაცებლებისა, სხვა ხომ არავინ გინახავთ იქ?

— არა, არავინ.

— ლაპარაკისთვისაც არ მოგიკრავთ ყური? — კვლავ შეეკითხა მინდელი.

— არა. როგორც მოგახსენეთ, დილას, სასმელ-საჭმელი ახალგაზრდამ შემოიტანა, საღამოს, მანვე მოიტანა მოხარული ქათამი და შემწვარი ხორცი, ღვინო და კონიაკი. სხვა არავინ მინახავს, არც ლაპარაკის ხმა გამიგონია. ჭალარა ოთახიდან არ გასულა, თითქმის მთელი დრო დაჭრილთან გაატარა. ხანდახან გამოდიოდა ჩემთან, მესაუბრებოდა და უკანვე ბრუნდებოდა. ახალგაზრდა კი, მთელი დღე, ჩემს ოთახში იჯდა, მხოლოდ წამოსვლამდე, რამდენიმე წუთით გავიდა გარეთ.

დუმილი ჩამოვარდა. მინდელმა კალმისტარი აიღო, სუფთა ფურცელი დანომრა და გრძელიძეს მიმართა:

— ექიმო, მართალია, გვიანი დროა, მაგრამ ცოტა ხნით, კიდევ უნდა გაგაჩეროთ — ვიდრე თქვენს ჩვენებას წერილობით გავაფორმებთ და ხელს მოგანერინებთ. შემდეგ კი, მივიღებთ ზომებს, სახლში თქვენი გაცილებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

— მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ მე მგონი, თქვენ მთავარი დაგავიწყდათ: ამ თავაზიანმა ყაჩაღებმა ჩემი შრომისა და შეშინების საზღაურად, მეფურად დამაჯილდოეს... ავადმყოფის საშველად ხშირად, ღამით, ფეხით თუ ცხენით 10-20 კმ გამივლია, მაგრამ ფული პატიოსანი ხალხისგანაც არ ამიღია, მხოლოდ ექიმის მოვალეობას ვასრულებდი. მით უმეტეს, დღეს, ასეთი გზით აღებული ფული არ მჭირდება, — გრძელიძემ ჯიბეში ხელი ჩაიყო, გაკეცილი ასმანეთიანები ამოიღო და მინდელის წინ მაგიდაზე დააწყო.

ბალანჩივაძეს გაელიმა.

— თქვენი უანგარობის მტკიცება ჩვენთვის საჭირო არ არის, საკმაოდ გიცნობთ და ეჭვი არ გვეპარება თქვენში. ფულს კი, უსათუოდ დავიტოვებთ — ის საქმეს უნდა დაერთოს.

— პატივცემულო დავით! — მიმართა მინდელმა ბალანჩივაძეს. — მე ისე უცებ გამოვვარდი თქვენთან, რომ არც კი მომგონებია კაპიტან ჩრდილელის გაფრთხილება: ის ალბათ, პროკურატურაში მეძებს. იქნებ, დაავალოთ მორიგეს, აქ გამოგზავნოს ჩრდილელი? ვატყობ, ამაღამ ძილი არც ერთს არ გვიწერია. საჭირო იქნება სწრაფი მოქმედება. ვიდრე მე ექიმის ჩვენებას გავაფორმებ, აუცილებელია, ოპერატიული ჯგუფის თავმოყრა და შემდგომი მოქმედების გეგმის შემუშავება.

— კეთილი, კეთილი. ოპერმუშავეები ყველანი ადგილზე არიან. შეტყობინების გარეშე, არც ერთი მათგანი არ მიდის განყოფილებიდან.

ბალანჩივაძემ თითი დააჭირა ზარის ღილაკს და შემოსულ სერჟანტს უბრძანა, 20 წუთში შეეკრიბა მის კაბინეტში ყველა ოპერატიული მუშაკი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# წმინდა შიო გვიგამი უგვიღო წყვილს განსაკუთრებულად გვენება

ყველიერის ხუთშაბათს (წლეულს — 2 მარტს), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს წმინდა შიო მღვიმელის წმინდა ნაწილთა საფლავიდან აღმოსვლას, რომელიც გასულ საუკუნეებში ყოველწლიურად ხდებოდა ყველიერის კვირის ხუთშაბათს...

## შორენა მერკვილაძე

წმინდა შიო, შემდგომში შიო მღვიმელად წოდებული, ანტიოქიაში, საკმაოდ შეძლებულ ოჯახში V საუკუნეში დაიბადა. მისი მშობლები ღვთისმოსავი ადამიანები იყვნენ, ამიტომ ერთადერთი ვაჟი საღვთო სწავლებით აღზარდეს.

20 წლის ასაკში, შიო ანტიოქიის უდაბნოში მოღვაწე მამა იოანე ზედაზნელს დემონაფა. მალე ბერადაც აღიკვეცა. როდესაც წმინდა იოანე, ღვთისმშობლის უწყებით, თორმეტ რჩეულ მოწაფესთან ერთად, ქრისტიანული სჯულის განსამტკიცებლად, საქართველოში გამოემართა, შიოც მასთან ერთად წამოვიდა, როგორც უფლის რჩეული.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, შიო ერთხანს, იოანე ზედაზნელთან, ზედაზნის მთაზე მოღვაწეობდა. შემდეგ, სულიერი მამის კურთხევით, მცხეთის დასავლეთით, კლდოვან და მიუვალ ადგილას მღვიმე იპოვა და იქ დაემკვიდრა — სწორედ მღვიმეში ცხოვრების გამო ეწოდა მას მღვიმელი.

უკაცრიელ ტყეში მარტომყოფი წმინდანს უამრავი განსაცდელის გადატანა მოუხდა. ერთხელ, მთელი ღამის განმავლობაში მუხლმოყრილი ლოცულობდა და ღმერთს ბოროტი ძალის ძლევამი შეწევნას შესთხოვდა. გამოთინიხას, მთელი ხევი საკვირველმა ნათებამ მოიცვა. წმინდა შიოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა, იოანე ნათლისმცემელთან ერთად, ხელში თოვლივით თეთრი ზეციური საკვები მისცა და აუწყა, რომ ამიერიდან საზრდო ზეციდან მიეცემოდა, თავად ემზავებოდა იქნებოდა დაეცული, მისი მოღვაწეობის ადგილი კი, ღმერთშემოსილ კაცთა სავანედ იქცეოდა. ამის შემდეგ, საზრდელი შიოსთან მტრედს მიჰქონდა.

იმ ადგილებში, სადაც ნეტარი მამა მკვიდრობდა, ხშირად ნადირობდა ფარსმან მეფის სპარტაკი-ევარგე. მან შენიშნა მტრედი, რომელსაც ნისკარტით საკვები მიჰქონდა. მღვიმეში კი ბერი იხილა, რომელიც ხელაყრობილი ლოცულობდა. როდესაც წარჩინებულმა ერისკაცმა განდევნილი ბერის ცხოვრების წესის შესახებ შეიტყო, იმდენად მოიხიბლა, რომ მასთან მოღვაწეობის სურვილი გაუჩნდა, — ბერად აღიკვეცა და შიოსთან დაემკვიდრა.

წმინდა მამის შესახებ მალე მრავალმა ადამიანმა შეიტყო და მასთან მისვლა იწყეს. ბევრი მათგანი იქვე რჩებოდა სამოღვაწეოდ. ბერების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. მუუდაბნოეთა და მომლოცველთა სალოცავად, საჭირო გახდა ტაძრის აგება. ნეტარი მამა მთელი ღამე, ლოცვით შესთხოვდა უფალს, მისთვის ტაძრის ასაშენებელი ად-

გილი მიენიშნებინა. დღისით, ხელისგულზე გახურებული ნახშირი დაიყარა, ზედ საკმეველი დაყარა და კმევა დაიწყო, საკმეველის კვამლს გაჰყვა, იმ ადგილას გადაწყვიტა ტაძრის აგება, სადაც კვამლი ზეცისკენ ამაღლდა.

შიო მღვიმელი სხვა მრავალ სასწაულსაც აღასრულებდა: მისი ლოცვით უდაბნოში აღმოცენდა მაკურნებელი წყარო. განიკურნა ერთ-ერთი დიდებული, ფარსმან მეფის ამაღლის წევრი, რომელსაც თვალი ისრისგან ჰქონდა დაზიანებული: თვალი წმინდანის ფეხს შეახო და მხედველობა დაუბრუნდა. მასთან ასეთი სასწაულიცაა დაკავშირებული: ადგილი, სადაც წმინდანი მკვიდრობდა, მხეცებით იყო სავსე. მგლეხი მონასტრის სახედრებს ანადგურებდნენ. შიო მღვიმელმა ლოცვა აღავლინა, შემდეგ, მხეცებს უბრძანა, სამალავებიდან გამოსულიყვნენ. მოხდა სასწაული — მხეცები მართლაც, მივიდნენ წმინდა მამასთან და მის წინ მორჩილად დადგნენ, შემდეგ იმ ადგილს განერიდნენ. დარჩა მხოლოდ ერთი მგელი, რომელიც წლების მანძილზე, მორჩილად იცავდა სახედრებს.

ერთხელ, შიომ, მასთან მოღვაწე ბერები შეკრიბა — დამოძღვრა, ცხოვრების წესი დაუდგინა, წინამძღვრად ევარგე დაუნიშნა და განუცხადა: „მე ამიერიდან მეგულეების შთასვლა მღვიმესა შინა, რომელი შევამზადე საყოფელად და საფლავად ჩემდა“. მან თხუთმეტი წელი, თორმეტი მეტრის სიღრმეზე მდებარე მღვიმეში გაატარა. ნეტარ მამასთან ჩასვლის უფლება მხოლოდ ევარგეს ჰქონდა, რომელიც ჭაში თოვთ ჩადიოდა და განდევნილ ბერს წყალსა და პურს აწვდიდა. მღვიმეში განმარტოებული შიო უმეტეს დროს, ლოცვაში ატრებდა.

წმინდა შიოს, ამა სოფლიდან გასვლის უამის შესახებ წინასწარ ეუწყა. მან მონასტრის ბერები იხმო, გამოემშვიდობა მათ, რჩევა-დარიგებები მისცა, წმინდა ზიარება მიიღო და მშვიდად მიაბარა სული უფალს სიტყვებით: „ჰოი უფალო! ხელთა შენთა შევადგურებ სულსა ჩემსა“. იგი მის მიერვე გაჭრილ მღვიმეში დაკრძალეს, რომელიც იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის გვერდით მდებარეობდა. შემდგომში, ტაძარი გააფართოვეს და წმინდანის საფლავი მის შიგნით მოექცა.

გასულ საუკუნეებში ყოველწლიურად, ყველიერის ხუთშაბათს, წმინდა შიოს სხეულის წმინდა ნაწილები სასწაულგებრივად ამოდიოდა თორმეტი მეტრის სიმაღლის სამარხიდან და კედელში ჩნდებოდა — კაკუნით ატყობინებდა ბერებს ტაძრის კედელში ამოჭრილ ერთ-ერთ თალთან ყოფნის შესახებ. რამდენიმე საუკუნის წინ,



შაჰ-აბასმა შიომღვიმის მონასტერი ააოხრა, სპარსეთში დაბრუნებისას შიოს წმინდა ნაწილებიც თან წაიღო. იმ წელიწადს, ირანს დიდი უბედურება დაატყდა თავს — ქვეყანაში უცნობი დაავადება გაჩნდა და უამრავი ადამიანი იმსხვერპლა; შემდეგ, თითქმის სამი წლის განმავლობაში, გვალვა იყო. ამ მიზეზს განსაცდელის ჟამს, ერთ-ერთ სპარს შიო მღვიმელი გამოეცხადა და აუწყა: ვიდრე წმინდა ნაწილებს საქართველოში არ დააბრუნებთ, თქვენს ქვეყანას არაფერი ეშველებაო. შემფოთებულმა შაჰ-აბასმა ოქროს ლუსკუმს დაამზადებინა, წმინდანის წმინდა ნაწილები შიგ ჩააბრძანა, დიდძალი ოქრო-ვერცხლით შეამკო და საქართველოში გამოგზავნა. წმინდა ძვლებმა კვლავ იწყეს საფლავიდან ამოსვლა. მაგრამ შაჰ-ნადირის მეფობის ჟამს (XV ს-ში) სპარსელებმა კვლავ დაარბიეს შიო მღვიმის მონასტერი, ამის შემდეგ, წმინდა ძვლებმა საფლავიდან ამოსვლა შეწყვიტეს.

კომუნისტური მმართველობის ჟამს, შიო მღვიმელის წმინდა ნაწილების უმეტესობა დაიკარგა, გადარჩა მხოლოდ წვივის ძვალი და რამდენიმე ნაწილი, რომელიც ამჟამად შიო მღვიმის სამონასტრო კომპლექსში, კერძოდ, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის იმ თაღშია დაბრძანებული, სადაც წლების მანძილზე, საფლავიდან ამოსვლის დროს ჩნდებოდა. მორწმუნეებს საშუალება აქვთ, მიეახლონ ამ უღიდეს სინამინდეს, რომლის ძალითა და მადლით, არაერთი სასწაული აღესრულება — განსაკუთრებით შვილიერების მადლი შესწევს, ამიტომ, წმინდა ნაწილებთან ყველაზე ხშირად, უშვილო წყვილები ლოცულობენ და გულმშურვალედ შესთხოვენ წმინდანს შვილიერებას.



## სინუსიტი: როგორ გავიაზვილოთ სუნთქვა

### რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ზამთარში იშვიათად თუ აიცილებ თავიდან სურდოს. ცივი ჰაერი, უამრავი ვირუსი, გადაცივება გვაიძულებს, მოვიმარაგოთ ცხვირსახოცები და ცხვირის წვეთები. მწვავე სურდო შვიდ დღეში გაივლის, მაგრამ იმის შესახებ, რომ შვიდი დღის შემდეგ სურდო შესაძლოა, სინუსიტით გართულდეს, ბევრმა როდი იცის.

სურდო სერიოზულ დაავადებად არ აღიქმება და ამიტომ ადამიანთა უმრავლესობა მას ფეხზე მოიხდის ხოლმე. მაგრამ ბანალურ სურდოსა და სინუსიტს შორის ზღვარი საკმაოდ უმნიშვნელოა, რადგან ნებისმიერი სურდო აზიანებს სინუსებს — ცხვირის დანამატი ღრუებს. ანთებისას, მათში ვითარდება შეშუპება, ღრუს არხი იხურება და სინუსში გროვდება ლორწო, თანაც, აქტიურად მრავლდება ბაქტერიები. ცხვირის დანამატი ღრუებში იწყება ჩირქოვანი ანთება — სინუსიტი.

ჩვეულებისამებრ, ბანალური სურდო დაავადების დაწყებიდან მე-5, მე-7 დღეს გადადის მწვავე სინუსიტში.

ახალი პრობლემის არსებობის შესახებ თავადაც მიხვდებით.

### სინუსიტის მახასიათებელი ნიშნები

- ცხვირის გაჭედვა, რასაც წვეთების გამოყენებაც არ შველის
- მოყვითალო ან მომწვანო ფერის და უსიამოვნო სუნის მქონე გამონადენი ცხვირიდან
- დაბალი ტემპერატურა
- თავის ტკივილი, რომელიც თავის მდგომარეობის შეცვლისას ძლიერდება.

იმის მიხედვით, თუ რომელი ღრუა დაავადებული, ტკივილს სინუსიტის დროს სხვადასხვა ლოკალიზაცია აქვს.

**შუბლის სინუსიტის დროს**, ანთება ვითარდება წარბების არეში მდებარე ღრუებში — ამას ფრონტიტი ეწოდება და მისთვის დამახასიათებელია ძლიერი ტკივილი შუბლის არეში. ზოგჯერ ტკივილს იწვევს თვალების მოძრაობაც; ადამიანს სინათლის შიში აქვს.

**ჰაიმორიტის ანუ ზედა ყბის სინუსების ანთების დროს**, ავადმყ-



ვს აწუხებს მუდმივი ტკივილი, რომელიც ხშირად გადაეცემა ზედა ყბას. თუ ანთება განვითარდება ღრმად მდებარე ლაბირინთის სინუსში, ტკივილი თვალებს შორის ლოკალიზდება. ამავე დროს აღინიშნება თვალის ირგვლივ რბილი ქსოვილების შეშუპება. ეს **ეთმოიდიტის** ნიშნებია.

სინუსიტით დაავადების რისკი მატულობს, თუ ადამიანს აქვს ცხვირის ღრუს პათოლოგიები — პოლიპები, ვინრო არხები, ცხვირის ძვიდის გამრუდება. ასევე იოლად უვითარდებათ სინუსიტი ვაზომოტორული სინუსიტის მქონე ადამიანებს — მათ სინუსების ცხვირის ღრუსთან შემეერთებელი არხები გამუდმებით შევიწროებული აქვთ.

### მეცრი კონტროლის ქვეშ

● სინუსიტის მკურნალობა მხოლოდ ექიმის დახმარებითაა შესაძლებელი. დიაგნოზის დასაზუსტებლად, კეთდება ცხვირის დანამატი ღრუების რენტგენოგრაფია. ამ გამოკვლევის მეშვეობით დგინდება ღრუების დაზიანების ხარისხიც.

● ცხვირის მდგომარეობის ყველაზე თანამედროვე და ინფორმაციული კვლევის მეთოდია კომპიუტერული ტომოგრაფია.

● სინუსიტის განკურნება ანტიბიოტიკების გამოყენების გარეშე, შეუძლებელია. ამასთან ერთად, სინუსიტის დროს, აუცილებელია სისხლძარღვთა შემავიწროებელი წვეთების გამოყენება — ისინი აღადგენს ცხვირის არხების გამავლობას. ინიშნება აგრეთვე მასენ-სიბილიზებელი პრეპარატები — შეშუპების მოსახსნელად და ვიტამინები —

ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. კარგია ცხვირის ღრუების გამორეცხვა ანტისეპტიკური ხსნარებით.

● ანტიბაქტერიული თერაპია ზოგჯერ შედეგს არ იძლევა, რადგან სინუსიტის გამომწვევ ბაქტერიებს შორის ბევრი, ანტიბიოტიკებისადმი გამძლეა. თუ 3-5 დღის განმავლობაში დაავადების სიმპტომები არ გაქრება და ავადმყოფის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, ექიმები ცხვირის დანამატი ღრუების პუნქციას მიმართავენ ხოლმე — ცხვირის ღრუდან წვრილი ნემსით შედიან სინუსში და მის შიგთავსს გამოქაჩავენ.

● ბოლო დროს, საექიმო პრაქტიკაში დამკვიდრდა ენდოსკოპიური მეთოდები, რომლებიც ასეთ ოპერაციებს მაქსიმალურად დამზოგავს ხდის.

**კითხვა** — საჭიროა თუ არა სინუსიტის მკურნალობა? — საკითხავიც კი არაა. ინფექციის კერის არსებობა თავში, ტვინის სიახლოვეს მეტისმეტად საშიშია.

### ყველაფერი გამარჯვებისთვის

სინუსიტის მკურნალობა მარტივი ამოცანა არ გახლავთ, ამიტომ ექიმები გვირჩევენ, ყურადღება დავუთმოთ დაავადების პროფილაქტიკას. ეცადეთ, არ გაცივდეთ, არ შეგეყაროთ ვირუსული ინფექცია, აქეთ-იქით სიარულში, ნუ გაიცევებთ ფეხებს. უყურადღებოდ ნუ დატოვებთ სურდოს. თუ მას დროულად არ უმკურნალებთ, შეშუპება უფრო ზევით — ჰაიმორის ღრუში გადაინაცვლებს. ამიტომ, როგორც კი ცხვირში სისველეს იგრძნობთ, აქტიურად შეებრძოლეთ მას.

● ჩაინვეთეთ ცხვირში ჭარხლის ან სტაფილოს წვენი, გაიკეთეთ ინჰალაციები სოდიანი წყლით, „ბორჯომით“, გვირილის, ევკალიპტის, დაფნის ფოთლის, სალბის, პიტნის ნახარშებით. კარგია ცხვირის ღრუს გამორეცხვა მარილის ხსნარით (ფიზიოლოგიური ხსნარით).

● აქტიურად გამოიყენეთ „მშრალი სითბო“. მოხარშული ცხელი კვერცხი გაახვიეთ ქსოვილში და დაიდეთ ცხვირის მიმდებარე არეზე, მანამ, სანამ არ შეგრილდება.

### სურდოს სახეობები

#### მწვავე სურდო

ცხვირიდან განუწყვეტილად მოდის გამჭვირვალე სითხე, თვალები გეცრემლებათ, თავი გაბრუებული გაქვთ. გამუდმებით აცემინებთ. ტემპერატურა

მომატებულია.

მკურნალობენ მშრალი სითბოთი, სითხეების მიღებით, ინჰალაციებით.

**ქრონიკული სურდო**

ცხვირი მშრალია, მაგრამ სასუნთქი არხების გამავლობა შეფერხებულია. მკურნალობენ მიზეზს: ცხვირის დანაშაულები ღრუების (სინუსების) ანთებას, სიმსუქნეს, გულის დაავადებებს, თირკმლის პათოლოგიებს; იყენებენ ცხვირის წვეთებს, მშრალ სითბოს, ცხვირის ღრუს გამორეცხვას.

**ვაზომოტორული („ცრუ“) სურდო ცხვირიდან ქარბი გამონადენი** ჩნდება სითბოდან სიცივეში გასვლისას. ცხვირით სუნთქვა უეცრად, შეუძლებელი ხდება ნერვიულობის დროს. ცხვირის წვეთები მხოლოდ მცირე ხნით გაძლევთ შევებას. ლორწოვანის ანთება არ აღინიშნება.

დაავადების საფუძველია სისხლძარღვთა რეაქტიულობა. მკურნალობა კომპლექსურია: ნოვოკაინური ბლოკადები, ჰორმონული პრეპარატები, რეფლექ-

სური ზონების მოწვა, ნერვულ სისტემაზე ზემოქმედება.

**ალერგიული სურდო**

ცხვირიდან გამონადენია და ამასთან ერთად, თვალეცხვია შენიღბული, აღინიშნება ქავილი და ცრემლდენა.

ინიშნება ანტიჰისტამინური პრეპარატები და იკრძალება ალერგენებთან (ოთახის მტვერი, ალერგენების შემცველი კვების პროდუქტები, მატყლი, ბუმბული, ყვავილის მტვერი და ა.შ.) კონტაქტი.

**მკვე რეკა**

**ოჰ, ეს ოხერი სიგარეტი.. და მწველ ადამიანთა ფსიქოლოგიური ტიპები**

ევროპაში მცხოვრები ადამიანები მრავალი საუკუნის განმავლობაში არ იცნობდნენ თამბაქოს. მან ევროპაში მხოლოდ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, 1495 წელს შეაღწია.

საინტერესოა, რომ თამბაქოს პოპულარობას ნაწილობრივ ხელი შეუწყო მითმა მისი საოცარი სამკურნალო თვისებების შესახებ. საფრანგეთის ელჩმა პორტუგალიაში, ჟან ნიკომ დიდი რეკლამა გაუწია თამბაქოს, როგორც სწულებათა თავიდან აცილების ერთ-ერთ საშუალებას. სწორედ ამის შემდეგ ეწოდა თამბაქოს ყველაზე მკვე კომპონენტი, მისი სახელი — ნიკოტინი. ასე უკვდავო მან საკუთარი სახელი.

თამბაქომ თანდათანობით დაიპყრო მრავალი ქვეყანა. რუსეთში იგი XV ს-ის დასასრულს შევიდა და თავდაპირველად, აქტიურად იღვენებოდა. მეფე ალექსანდრე მიხეილის ძის დროს (XV ს-ის შუა წლები) თამბაქოს მონევისთვის წვეპლავდნენ, ნესტოებს აგლეჯდნენ და ციმიბირში ასახლებდნენ. თვით თუთუნს კი „ეშმაკის წამალს“ უწოდებდნენ. პეტრე პირველმა ნება დართო, რუსეთში თუთუნის შემოეტანათ, ამიტომ აღარც ნესტოებს აგლეჯდნენ მის მწველებს. ამასთან, თვით მეფეც თუთუნს ეწეოდა და კარისკაცებიც იძულებულნი იყვნენ, ყალიონი ყალიონზე ებოლებინათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თამბაქო ძველად, გაცილებით მაგარი იყო და დღევანდელს არ შეედრებოდა.

თავდაპირველად, ეწეოდნენ ყალიონს, აგრეთვე — ყნოსავდნენ და ლეჭავდნენ თუთუნს. მოგვიანებით, დაიწყეს ქაღალდში თამბაქოს გახვევა. სიგარა გავრცელდა XX ს-ის დასაწყისში. სიგარეტი კი, მანამდე — XV საუკუნეში, ჯერ ბრაზილიაში, შემდეგ — ესპანეთ-

ში გავრცელდა. ევროპა ამ მხრივ ჩამორჩა.

ბრიტანელ ჯარისკაცებს ყირიმის ომის დროს სიგარეტი ულუფასთან ერთად ურიგდებოდათ. შემდეგ, მათ მონევის ჩვევა სამშობლოშიც დაამკვიდრეს.

პირველ მსოფლიო ომამდე, ევროპაში იშვიათი იყო თამბაქოს მწველი ქალი. მოგვიანებით, მათი რიცხვი გაიზარდა. ასევე პირველი მსოფლიო ომის დროს მკვეთრად გაიზარდა მწველი მამაკაცების რიცხვი. მწველთა ზრდის ტენდენცია მეორე მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. ომის შემდგომ კი, თამბაქოს მოყვარულთა რაოდენობამ მკვეთრად დაიკლო. მაგრამ როცა ფილტრიანი სიგარეტის დამზადება დაიწყო, მწველთა რაოდენობამ ისევ მოიმატა. გაცილებით მეტს ეწეოდნენ მოზარდები.

მწველთა რაოდენობის ზრდამ შეაშფოთა მედიკოსები. დაიწყეს, მასობრივი გამოკვლევები, რომლებსაც ათასობით ადამიანს უტარებდნენ. გამოკვლევის მთავარი მიზანი გახლდათ, დაედგინათ ადამიანის ჯანმრთელობისთვის თამბაქოს მიერ მიყენებული რეალური ზიანი. ყოველწლიურად აქვეყნებდნენ გამოკვლევების შედეგებს, რომლებიც იმდენად თავზარდამცემი იყო, რომ ზოგიერთი ერის წარმომადგენლებმა (მაგ. შვედებმა, ფინელებმა) მიზნად დაისახეს, საერთოდ აღეკვეთათ თამბაქოს მოწევა.

**გამოკვლევა და თავზარდამცემი შედეგები**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ლ. ორლოვსკი შემდეგ ცნობებს გვაწვდის: მწველები 13-ჯერ ხშირად ავადდებიან სტენოკარდიით, 11-ჯერ — მიოკარდიუმის ინფარქტით და 10-ჯერ — კუჭის წყლულოვანი დაავადებით. ყოველი მეშვიდე მწველი ხანგრძლივად იტანჯება ქვედა კიდურების სისხლძარღვების მძიმე დაავადებით. სიკვდილის რისკი გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით მწველთა



შორის 2-3-ჯერ მეტია. დადგენილია, რომ ადამიანი, რომელიც დღეში 10-12 ლერ სიგარეტს ეწევა, 15-ჯერ უფრო ხშირად ავადდება ფილტვების კიბოთი, ხოლო ის, ვისაც 2 კოლოფი სიგარეტი არ ჰყოფნის — 30-ჯერ.

ახალგაზრდა, რომელიც 15 წლამდე იწყებს მოწევას, შემდგომ ფილტვების კიბოსგან 5-ჯერ უფრო ხშირად იღუპება, ვიდრე ისინი, ვინც მას 25 წლის ასაკიდან მიეძალება.

ინგლისელმა მედიკოსებმა გამოთვალეს, რომ თითოეული მოწეული სიგარეტი მწველს დაახლოებით 5,5 წუთით უმცირებს სიცოცხლეს.

**მწველ ადამიანთა ფსიქოლოგიური ტიპები**

ექიმები მწველებს 5 ძირითად ტიპად ყოფენ:

**პირველი** — ადამიანს სწამს თამბაქოს მონევის მატონიზებელი, გამამხნეველი, დადებითი მომხსნელი ეფექტისა. იგი სიგარეტზე ძლიერი ფსიქოლოგიური დამოკიდებულებით გამოირჩევა. მას ჰგონია, რომ შიმშილის ატანა უფრო ადვილია, ვიდრე უსიგარეტობის.

**მეორე** — ადამიანი თითქოს ერთობა თამბაქოს მონევის. მას მოს-



წონს კოლოფის გახსნა, სიგარეტის მოკიდება, ბოლის გამოშვება „საკუთარი მანერით“. ცუდი განწყობილების დროს (თუ ეჩქარება, თუ სცივა და ა.შ.), ასეთი ადამიანები იშვიათად ეწვეიან.

**მესამე** — ადამიანი ტკბება თამბაქოს მოწვევით, იგი მისთვის კომფორტის თავისებური დანამატია. ასეთი კაცისთვის გაბოლება, ნამდვილი სიამოვნებაა. დაკანონებული აქვს მოწვევა ჭამის შემდეგ, სამუშაოს დაწყების წინ ან ძილის წინ. ამ ტიპის მწვევლები ცდილობენ, არ შეუთავსონ მოწვევა რაღაც საქმიანობას. „მწვიდად გაბოლებას არ გაცილიან...“ — ეს მათი ფრაზაა.

**მეოთხე** — ადამიანი ეწვეა „ავტომატურად“, ჩვეულების გამო. თამბაქოს მოწვევა შესვენების დროს, მათ ჩვეულებად აქვთ ქცეული. ეს „მცირე საქმიანობაა“, ნაცნობი აქტის შეუცნობლად გამეორება.

**მეხუთე** — ადამიანი ეწვეა და ფიქრობს შექმნილ სიტუაციაზე, სჯერა, რომ სიგარეტს შეუძლია დაეხმაროს აზრის მოკრებაში, გამოსავლის პოვნაში, განრისხების შეკავებაში, გადაალახვინებს სიმორცხვეს. ესაა „სიტუაციური“ მწვევლობა, რომელიც დაძაბულობას ხსნის.

**ახლა კი დროა, განსაზღვროთ „საკუთარი ტიპი“.** ნუ შეშინდებით, თუ საკუთარ თავზე თქვენი წარმოდგენა საფასებით არ დაემთხვევა დახასიათებას. თუ თქვენ ერთი ტიპის შერჩევას ვერ მოახერხებთ, არჩევანი ორზე შეაჩერეთ. გაეცანით დაავადებას „თქვე-

ნი ტიპისთვის“ და შეასრულეთ.

**პირველი ტიპი** — ჩვეულებრივ, ადრე გულში გაივლებდით — „დროა, მოწვიო“. ამჯერად, თავი შეიკავეთ, ზუსტად 10 წუთი იდექით ღია ფანჯარასთან. ისუნთქეთ საკმაოდ ღრმად. გამოტოვებულია ერთი მოწვევა — დაფიქრდით: ამით რა შეიცვალა?

თქვენი ტიპის ხალხისთვის მოწვევის გადაჩვევა ძნელია, მაგრამ „ნაართვათ“ მოწვევას მიმზიდველობა. როგორ? ერთი ფირმის სიგარეტი, მეორე ფირმის სიგარეტით შეცვალეთ — ისეთით, რომელიც არ გსიამოვნებთ. დილაობით ხველება აგიტყდებათ? არაფერია, უნდა მოითმინოთ.

**მეორე ტიპი** — უპირველესად დააკვირდით საკუთარ თავს — ხომ არ გამოგიყენებიათ სიგარეტი თვითდემონსტრირების მიზნით? თუ ეს ასეა (იყავით საკუთარ თავთან გულახდილი), უთხარით ახლობლებს, რომ მტკიცედ გადაწყვიტეთ, აღარ გაეკაროთ სიგარეტს, როცა ამ გადაწყვეტილებას შეასრულებთ, გარშემო მყოფნი აუცილებლად აღნიშნავენ, რომ მტკიცე ნებისყოფით გამოირჩევით.

**მესამე ტიპი** — თქვენ ეუბნებით საკუთარ თავს: — „ახლა შეიძლება მოწვიო“. ეს აზრი განსაზღვრულ ვითარებაში აღმოცენდა. ახლა, შეეცადეთ, იმავე ვითარებაში მყოფმა, იგი სხვა — „დადებითი გამლიზიანებლით“ შეცვალოთ: მაგალითად, ერთი ჭიქა ხილის წვენი, სალექი რეზინით — იმით, რაც თქვენთვის უფრო სასიამოვნოა. უნებურად ერთვება თვისებრივად ახალი „დადებითი გამლიზიანებელი“.

თქვენი ტიპის ადამიანებისთვის მოწვევის დროს, ბოლის გემო წარმოადგენდა ფონს „სხვადასხვა სასიამოვნო ხასიათის აზრისთვის“: ახლა თქვენთვის მნიშვნელოვანია, „ფიქრთა ფონის“ გამონახვა. შეიძლება ეს იყოს საყვარელი მელოდია, აკვარიუმში მოცურავე თევზებზე დაკვირვება, ფიზიკური ვარჯიში და ა.შ.

**მეოთხე ტიპი** — შეუმჩნეველი „მეორე საქმიანობა“ აუცილებლად შესამჩნევად უნდა აქციოთ. არავითარი მოწვევა, ამ კითხვაზე პასუხის მიღებამდე!.. იკონტაქტეთ იმ ადამიანებთან, რომლებიც არ ეწვეიან.

**მეხუთე ტიპი** — „ყოველს შემდეგ მოწვევის“ ნაცვლად, მოაწყვეთ სეირნობა, აჩქარებული ნაბიჯით, 2 კილომეტრზე, დალიეთ ჭიქა ჩაი, გადაალახეთ მოწვევის სურვილის შემოტევა და მალე დარწმუნდებით, რომ ცხოვრება უსიგარეტოდ გაცილებით უკეთესია.

**სტატისტიკა ადასტურებს: იმ ადამიანთა 60-65%-ს, ვინც უკვე თავი დაანება სიგარეტის მოწვევას, ისეთი შეგრძნებები ეუფლება, თითქოს რაღაც აკლია. თამბაქოს ნაწარმის დანახვისას, კაცი მიეცემა ფიქრს — „ნუთუ, აღარასოდეს?!“ ამ ფიქრისგან სრულიად უნდა გათავისუფლდეთ.**

**გოეთემ 50 წლის ასაკში დაანება თავი თამბაქოს მოწვევას და ყველას ამას ურჩევდა.**

**ტოლსტოი 60 წლის ასაკში გადაეჩვია მანე ჩვევას და სიხარულით აღნიშნავდა — იმ დღიდან სულ სხვა ადამიანი გავხდით...**

## თაფლი გასივების სამკურნალოდ



გრიპისა და მწვავე რესპირატორული დაავადებების სამკურნალო საუკეთესო საშუალებაა თაფლი. გამოჯანმრთელების პროცესი გაცილებით აქტი-

ურად წარიმართება, თუკი ძილის წინ მიირთმევთ 1 ჭიქა თაფლიან ჩაის ან ცხელ თაფლიან რძეს (1 ს/კ ცაცხვის ჩაი 1 ჭიქა სასმელზე). ასევე სასარგებლოა 100 გ თაფლისა და 1 ლიმონის წვენის ნარევი, რომლის 1 ს/კ უნდა მიიღოთ ძილის წინ და დააყოლოთ ცხელი ჩაი ან რძე.

**სამკურნალო ეფექტი აქვს თაფლზე დამზადებულ ასეთ ხალხურ საშუალებებს:**

● თანაბარი რაოდენობით აიღეთ თაფლი და ბოლოკის წვენი, აურიეთ და მიიღეთ თითო ს/კ 2-3-ჯერ დღეში (ბავშვებისათვის — 1 ჩ/კ).

● შეურიეთ თანაბარი რაოდენობის თაფლი და ხახვის წვენი და მიიღეთ 2 ს/კ 3-ჯერ დღეში.

● კარგად ათქვიფეთ 2 ს/კ ნაღების კარაქი, 1 ჩ/კ ხორბლის ფქვილი, 2 კვერცხის გული, 2 ჩ/კ თაფლი და მიღებული ნარევი მიირთვით თითო ჩ/კ რამდენჯერმე დღის განმავლობაში.

● წვრილ სახეზე გახეხეთ ნიორი, შეურიეთ თაფლი პროპორციით 1:1 და მიიღეთ 1 ს/კ ძილის წინ, დაყოლოთ თბილი, ანადუღარი წყალი.

● გრიპის და გაცივების თანმდევ სურდოს მკურნალობენ თაფლის ფიჭის ღებვით. რეკომენდებულია ფიჭის ღებვა 15 წთ-ის განმავლობაში, ყოველ საათში ერთხელ. ცხვირის ღრუს ლორწოვანის მწვავე ანთებისას, საკმარისია 4-6-საათიანი კურსი. ცხვირი თავისუფლდება, სურდო წყდება. ამის შემდგომ, კიდევ ერთი კვირის განმავლობაში, უნდა იღებოთ ფიჭა დღეში ერთხელ, რეციდის თავიდან ასაცილებლად.

ბავშვებისთვის მთელი სასწავლო წლის განმავლობაში რეკომენდებულია, დღეში ერთხელ, ფიჭის დაღებვა და ყოველ ჭამაზე 2 ჩ/კ თაფლის მიღება — ეს უზრუნველყოფს გრიპისა და გაცივებისაგან საიმედო დაცვას.

# ლეო მესი – ჰუნდარიანი, რომელსაც მარადონას აღარაბუნ

## დოსია

**სრული სახელი:** ლეონარდ (ლიონ-ელ) მესი  
**დაბადების თარიღი:** 1987 წლის 24 ივნისი  
**დაბადების ადგილი:** სანტა-ფე (არგენტინა)  
**სიმაღლე:** 169 სმ  
**წონა:** 67 კგ  
**ტიტულები:** ესპანეთის ჩემპიონი (2004-2005), ესპანეთის სუპერთასის მფლობელი (2003), ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული (2005), 21 წლამდე მოთამაშეთა შორის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი (2005), არგენტინის საუკეთესო ფეხბურთელი (2005).

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის პირველ მატჩში „ბარსელონამ“ სტუმრად ლონდონის „ჩელსის“ დამარცხება მოახერხა. ამ შეხვედრას ფეხბურთის ქომაგები დიდი ინტერესით ელოდნენ, რადგან 2004-2005 წლების სეზონში სწორედ ჩემპიონთა ლიგაში ჟოზე მოურინიოს გუნდმა კატალონიური გრანდი ორმატიჩიან ბრძოლაში დაჯაბნა, ამჯერად კი, რონალდინიომ და კომპანიამ საბოლოო რევენშისთვის მნიშვნელოვანი სვლა გააკეთეს, ხოლო მთელმა საფეხბურთო სამყარომ იხილა „ბარსელონის“ 18 წლის ვუნდერკინდი, ლიონელ მესი, რომელმაც ლომის წილი დაიღო თავისი გუნდის წარმატებისათვის ბრძოლაში.

შუუპოვარი ბრძოლა და თავდაუზოგაობა, ბრწყინვალე ინდივიდუალური ტექნიკა და მოედნის უზადო ხედვა — ეს იმ საფეხბურთო თვისებებია არასრული ჩამონათვალა, რომლითაც არგენტინელი ამომავალი ვარსკვლავია დაჯილდოებული. „ჩელსისთან“ დაპირისპირებისას ტან-



მორჩილმა ლეომ მართლაც გამარჯვების უჩვეულო ჟინი გამოავლინა. მასპინძლებმა მისი შეჩერება უხეში (და შეიძლება ითქვას, მესისათვის მეტისმეტად სახიფათო) თამაშითაც ვერ შეძლეს.

მოედანზე ლიონელ მესის „ბარსელონის“ მაისურით გამოჩენა, რა თქმა უნდა, საფეხბურთო სამყაროსთვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. მასზე უმაღლეს ალპარაკდენე გავლენიანი სპორტული გამოცემების მიმომხილველები. ამ მიზეზმა-მოთქმამ კი, თვით ფეხბურთელიც გააკვირვა, რომელსაც ადრე კატალონიურ გრანდში თამაშზე მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო: „ხანდახან არც მჯერა, რომ აქ ვთამაშობ. განსაკუთრებით, როდესაც ყველაფერს ვიხსენებ. დღეს ეს რეალობაა, თუმცა ადრე ამაზე მხოლოდ თუ ვიოცნებებდი. ვფიქრობ, ჩემს პირად ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. ისეთივე დავრჩი, როგორც ადრე ვიყავი. უბრალოდ, ახლა ქუჩაში მცნობენ. არც იმას ვიტყვოდი, რომ ეს ძალიან მაღიზიანებს, თანაც ხალხი ჩემ მიმართ დადებითადაა განწყობილი. მოდიან, მილოცავენ, მაგრამ ხანდახან მაინც უხერხულად გრძობ თავს. ისე კი, უკვე ვეჩვენებ იმას, რომ ავტოგრაფს მთხოვენ. თუ ბარსელონის ქუჩებში სეირნობა მსურს, ამ სიამოვნებაზე უარს არასოდეს ვამბობ. გარდა ამისა, ძალიან მიყვარს ოჯახთან — მამასთან, ძმასთან და ჩემს ნათესავ ავგუსტინთან — ერთად ყოფნა“.

ლეო მესი ფეხბურთის ქომაგებმა პირველად, 2005 წლის ახალგაზრდულ (20 წლამდე ასაკის მოთამაშეთა) მსოფლიო ჩემპიონატზე იხილეს. მაშინ ტურნირის ფინალში არგენტინის ნაკრებმა ნიგერიის გუნდს სძლია (2:1), თანაც ორივე გოლი მესიმ თერთმეტმეტრიანი დარტყმებით გაიტანა. შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე მოთამაშე ვუნდერკინდმა უმაღლესი კლასის ფეხბურთი აჩვენა — ბურთის ფლობის ფილიგრანული ტექნიკით, გამოზომილი პასებითა და მოედანზე მანევრირების შესაშური უნარით.

„ბარსელონის“ ამომავალი ვარსკვლავი სანტა-ფეშია დაბადებული. ის ბავშვობიდან „რივერ პლეიტში“ თამაშზე ოცნებობდა და უკვე ხუთი წლის ასაკში ადგილობრივ გუნდ „გრანდოლიში“ აღმოჩნდა, საიდანაც უფრო სახელოვან „ოლდ ბოიზში“ გადავიდა. იქ მესი „რივერ პლეიტის“ სკაუტებმა შენიშნეს, მაგრამ მისი მშობლები მალე მეტისმეტად არასასიამოვნო ფაქტის წინაშე დადგნენ. ლეოს პრომონალური დარღვევა აღმოჩნდა, რის გამოც, მნიშვნელოვნად შეუჩერდა ზრდა. ვუნდერკინდს ძვირად ღირებული პრეპარატებით მკურნალობა ესაჭიროებოდა, მაგრამ არგენტინაში მისი დახმარების მსურველი არავინ გამოჩენილა, ამიტომ მისმა ოჯახმა ესპანეთს მიამჯობა. ამგვარად, 2000 წელს, 13 წლის ასაკში ლეო



მესი ჩაირიცხა „ბარსელონაში“, რომლის ხელმძღვანელობამაც ფეხბურთელის მკურნალობისთვის საჭირო თანხის გაღებაზე უმაღლეს თანხმობა განაცხადა. უკვე 2003 წლის 17 ნოემბერს, „ბარსელონის“ პირველ გუნდში მესის დებიუტი შედგა. მაშინ კატალონიელები ამხანაგურ მატჩში „პორტუს“ ხვდებოდნენ. „ამ ბიჭს მარადონას ცაცია, კრუიფის სისწრაფე და რონალდინიოს პასი აქვს“, — წერდა სტადიონ „დუ დრაგაოზე“ შემდგარი თამაშის შემდეგ ბარსელონური გაზეთი El Mundo Deportivo; სხვათა შორის, პუბლიკის წინაშე ეს ვუნდერკინდის პირველი გამოჩენა იყო. მანამდე „ბარსას“ ხელმძღვანელობაც და ოჯახის წევრებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ მასმედიის წარმომადგენლებისთვის ახალგაზრდა ფეხბურთელის დამალვას.

„ბარსას“ ოფიციალურ მატჩში მესიმ პირველად ერთი წლის შემდეგ ითამაშა, როდესაც კატალონიურ დერბოში მისმა გუნდმა სტუმრად „ესპანიოლი“ დაამარცხა (1:0). მაშინ ფრანკ რაიკარდი იძულებული გახდა, რომ ძირითადი შემადგენლობის ტრავმირებული ფეხბურთელების ნაცვლად, საკუთარი პოტენციალის გამოვლენის შანსი რეზერვისტებისთვისაც მიეცა. თავისი პირველი გოლი კი, „ბარსელონას“ მაისურით მესიმ 2005 წლის 1-ელ მაისს „ალბასეტეს“ კარში გაიტანა. ის კატალონიური კლუბის ისტორიაში, სადებიუტო მატჩში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი აღმოჩნდა, ვინც ესპანეთის ჩემპიონატში მოახერხა თავისი გამოჩენა (17 წლის, 10 თვისა და 7 დღის ასაკში).

რა თქმა უნდა, ახალგაზრდა ფეხბურთელის ევროპულ ასპარეზზე გამოჩენა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელობას. ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდთან ერთად, მესიმ ჯერ ჰოლანდიაში გასულ წელს გამართულ მსოფლიო პირველობაზე იზეიმა გამარჯვება, თანაც, გატანილი 6 გოლით, ბომბარდირთა დავაშიც არავის დაუთმო



პირველობა. გარდა ამისა, ის ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. ამის შემდეგ, ლეო არგენტინის ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიეს. თუმცა, მისთვის სანაკრებო დებიუტი არცთუ ისე სასიამოვნოდ დასრულდა. შეცვლაზე შესულმა მესიმ მოედანზე წუთიც კი არ დაყო — უხეში თამაშისათვის მას წითელი ბარათი უჩვენეს. მიმდინარე წლის დასაწყისში „ბარსელონის“ ამომავალი ვარსკვლავისადმი პრესის წარმომადგენელთა ყურადღება კიდევ უფრო გაიზარდა. გთავაზობთ მესის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუს, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელისაგან ერთ-ერთმა ევროპულმა სპორტულმა გამოცემამ რამდენიმე დღის წინ აიღო.

**რომელი მოვლენა გახდა შენს კარიერაში გარდამტეხი?**

— ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი. ყველაფერი იქიდან დაიწყო. ის მუნდიალი მოვიგეთ და „ბარსელონაში“ საკონტრაქტო პირობებიც გამიუმჯობესეს, თანაც ჩემი თამაში ქომაგებმაც მოიწონეს.

— ადრე ამბობდი, რომ ოცნება ადამიანს იშვიათად უსრულდება. ადრე, „ბარსას“ ძირითად გუნდში თამაშზე ოცნებობდი, რაც აგისრულდა. აგისრულდა არგენტინის ნაკრებში მოხვედრის ოცნებაც. ახლა რაღაზე ოცნებობ?

— იმაზე, რომ „ბარსელონასთან“ და



**რაიკაარდასა და პეკერმანს შორის დიდი განსხვავებაა?**

— ისინი სხვადასხვა ტაქტიკურ სქემას იყენებენ. ნაკრებში, როგორც წესი, მოედნის ცენტრში ვმოქმედებ, სიღრმეიდან. კლუბში კი, შეტევის მარჯვენა ფლანგზე ვთამაშობ. მაგრამ ორივე მწვრთნელი მაძლევს მოქმედების თავისუფლებას.

**პეკერმანმა ნაცხადა, რომ თავის პოსტზე დიეგო მარადონას ხილვა სურს...**

— მსოფლიო ფეხბურთის მხოლოდ სარგებლობას მოუტანდა არგენტინის ნაკრების მწვრთნელად დიეგო მარადონას მოსვლა. ღმერთმა ქნას, მან ამ პოსტზე დანიშნის შემთხვევაში, ისეთსავე წარმატებებს მიაღწიოს, როგორსაც ფეხბურთელის რანგში აღწევდა.

**როდესაც მარადონას პირველად შეხვდი, მან რა გითხრა?**

— არაფერი... მე საერთოდ, ლაპარაკის უნარი დავკარგე. აბა, წარმოიდგინეთ — ჩემ წინ თავად მარადონა იდგა!.. ეს ერთ-ერთ ტელეგადაცემაში მოხდა და მასთან შეხვედრამდე ძალიან ვნერვიულობდი, შემდეგ დავმშვიდდი...

**იცო, რომ უკვე დიეგოს გადარებენ?**

— აი, ეს უკვე მეტისმეტია! მე მხოლოდ ახლა ვინცებ თამაშს... და კიდევ, ჩემთვის ამის გაცნობიერება რამდენად არასასიამოვნოც არ უნდა იყოს, მარადონა ერთადერთია და მასთან გათანაბრება არავის შეუძლია.

**— კარგი. ბავშვობაში შენი კერპი, მარადონა იყო. დღეს თუ არის ისეთი ფეხბურთელი, ვის მიბაძვასაც ცდილობ?**

— კერპები არ მყავს, მაგრამ ძალიან მომწონს პაბლო აიმარისა და ხუან რამონ რიკელმეს თამაში. ვფიქრობ, ისინი ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდნენ.

**— საკუთარ თამაშში რისი გაუმჯობესება გსურს?**

— ბევრი მუშაობა მჭირდება — პირველ რიგში, მარჯვენა ფეხით თამაშზე. მე ხომ დაბადებიდან ცაცია ვარ.

**— კინოში სიარული თუ გიყვარს?**

— არა, კინოს დიდი მოყვარული არ ვარ. ტელევიზორშიც კი, ფილმებს იშვიათად ვუყურებ. უფრო მეტიც, დიდად არც ფეხბურთის მატჩების ყურებით ვიკლავ თავს. წელიწადში რამდენიმე შეხვედრას თუ ვნახავ.

**— ახალი წლის დადგომამდე, აუზში ზვიგენებთან ერთად ცურვა გაგირისკავს...**

— ოჰ, ეს მართლაც შესანიშნავი გამოცდილება იყო. ბევრი გამიგონია მათ შესახებ — ოლონდ, რეალური და არა ისეთი ინფორმაცია, როგორსაც კინოში წარმოგვიდგენენ. თუ ზვიგენები მაძლრები არიან და მათ არ შეაწუხებ, არაფერს დაგიშავებენ. სინამდვილეში, ადამიანი ხომ არ არის მათი საკვები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათთან ერთად აუზში ცურვას ნამდვილად ვერ გავრისკავდი.

**— 2005 წელს, ცუდი დღეებიც გექნებოდა...**

— დიახ, როდესაც „ბარსელონაში“ თამაშის უფლებას რაღაც ბიუროკრატიული წვრილმანების გამო არ მაძლევდნენ. საქმისადმი ასეთი მიდგომა არასოდეს მესმოდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად გადაწყდა და გუნდში თამაშის შესაძლებლობა მომიცა.

**— 2006 წლისგან რას მოელი?**

— მინდა, რომ წელს საქმე იმაზე უარესად არ წამივიდეს, ვიდრე ეს 2005 წელს იყო. და რა თქმა უნდა, ახალ გამარჯვებებს ველი, ესპანეთის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში, ჩემპიონთა ლიგაში, შეიძლება — მსოფლიო ჩემპიონატშიც.

**— ჩემპიონთა ლიგაში ისევ „ჩელსისთან“ გინვით პაექრობა...**

— ერთი მხრივ, მოხარული ვარ, რადგან წინა ტურნირში განცდილი მარცხის შემდეგ, რევანშის აღების შესაძლებლობა გვეძლევა. მეორე მხრივ — ისეთ ძლიერ მეტოქესთან, როგორც „ჩელსია“, ასპარეზობის ბოლო სტადიაზე შეხვედრა უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. თუმცა, მანც მწამს — ამჯერად, ინგლისელებს დაეჯაბნით, მით უმეტეს, რომ პირველ მატჩში გამარჯვებას მივაღწიებ.



არგენტინის ნაკრებთან ერთად, ტიტულები მოვიპოვე.

**— არგენტინის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების შანსი თუ აქვს?**

— აქვს, ამაში დიდი ხანია, დარწმუნებული ვარ. გასულ მუნდიალზე განცდილი ფიზიკო ყველას კარგად გვახსოვს. ამიტომ ერთი სული გვაქვს, როდის აღვიდგენთ პრესტიჟს. ღმერთმა ქნას, პეკერმანმა გერმანიაში წამიყვანოს. ისიც კარგად მესმის, რომ არგენტინა ძალიან რთულ ქვეჯგუფშია მოხვედრილი, მაგრამ რატომღაც ეჭვი არ მეპარება — ყველაფერი გამოგვივა. ფეხბურთელობაზე და რომელიმე მსხვილ ტურნირის ფინალში გოლის გატანაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. თუ ასეთ ტურნირად ჩემთვის მუნდიალი იქცევა — ბედნიერების მწვერვალზე აღმოვჩნდები.

# „თეატრი მიხმოვდა, მივიღეპლა, მოსვენებას აჩეაქღეპლა...“ ოსტატიტოშის ნახოლი გახალგაო

## თაშუნა კვიციანი

გოძიაშვილთა ოჯახის ანჩისხატის უბანში ნაქორავებ ბინაში ცხოვრობდა

ვასო გოძიაშვილის მამა, დავითი, ვაქირე-ლი გლუხუცაძის შვილი იყო. იგი მამას ხელო-ბის სასწავლებლად თბილისში ჩამოუყვანია და მზარეულთან შეგირდად დაუყენებია. მრავალი გაჭირვება უნახავს დავითს, მაგრამ ყოველივე მხნედ გადაუტანია და უკვე ხანში შესულს თბილისში, მეტეხთან, ლვინის პატარა სარდაფი გაუხსნია. დავითი ადრეულ ასაკში დაქორწინებულია ეკატერინე ხატიაშვილზე. ვასო მათი მეცამეტე შვილი იყო. მათ ცამეტი შვილიდან მხოლოდ ექვსი შერჩათ, დანარჩენები კი ადრეულ ბავშვობაშივე გარდაეცვა-ლათ. ვასო ნაბოლარა იყო და ამიტომ მას სხვებზე მეტად ანებივრებდნენ.

მაგრამ ბავშვური ნებივრობის დრომ მალე გაირბინა, ორ-ნახევარი წლის იყო ვასო, როცა მამა გარდაეცვალა. ცოტა ხანში კი ოჯახი ანჩისხატის უბნიდან კუკიაზე გადა-სახლდა, იმ ეზოში, სადაც ცნობილი გამო-ცემელი ზაქარია ჭიჭინაძე ცხოვრობდა. ამ პიროვნებას დიდი წვლილი მიუძღვის ვა-სოს პიროვნების ჩამოყალიბებაში. მისი რჩევით მიიყვანა ეკატერინე შვილი სიონის ტაძარში, სადაც უნაკლო სმენისა და კარგი ხმის ბავშვი კოტე ჩარკვიანის მგალობელ გუნდში ჩარიცხეს. რამდენიმე თვის შემდეგ, ვასო პირველი ქართველი მღვდელმთავრის — კირიონ კათალიკოსის ხელთმასხური გახდა. მან შეისწავლა ზარების რეკვა და „სააღდგომოს“ ერთ-ერთი საუკეთესო დამკვერელის სახელიც მოიპოვა. 7 წლის იყო, როდესაც თბილისის ერთკლასიან საშო-ქალაქო სასწავლებელში მიაბარეს. დამთავრე-ბის შემდეგ სურვილი ჰქონდა სწავლა გაე-გრძელებინა, მაგრამ მრავალრიცხოვანი წვრილშვილის პატრონი ქვრივისთვის ეს ძალზე ძნელი აღმოჩნდა და ვასო საზეინკ-ლო სახელოსნოში მიაბარეს. მან აქ დიდხ-ანს ვერ გაძლო, ვერ აიტანა მწყრალი ოსტა-

ტის ტუქსვა. ერთ მშვენიერ დღეს, გასაღები ესროლა და სახელოსნო-დან გაიქცა.

### ოპერის სცენა და თეთრი ვარდებით სავსე კალათა

გარბოდნენ წლები, ცხოვრება სულ უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა. გოძიაშვილების ოჯახს დღე და ღამის გასწორება უხდებოდა, რომ როგორმე თავი გაეტანა. იმ პერიოდში ვასომ მუშაო-ბა დაიწყო დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩასატარებელ კომისიაში. ცენტრალური ბი-ურო, იმყოფებოდა რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში. მაშინ შედგა ვასოს პირველი სტუმრობა ამ თეატრში. ერთ საღამოს მეზობლის ბიჭმა გაიხმო და ჩურჩულით უთხრა — ნამოდი, შაურიანს გამოვინებო. სირბილით დაეშენენ კუკი-იდან... ოპერის გვერდით შესასვლელთან ზარი ჩამოჰკრეს. მეზობლის ბიჭმა ოპერის თეთრწვერა კაპელდინერს რაღაც წასწერ-ჩულა და ორივენი ოპერაში შეუშვეს. ხე-ლიხელჩაყიდებულებმა გაიარეს ვინრო დერეფანი და სცენაზე მოხვდნენ. უცნაურმა ურუანტელმა დაურა ვასო. მეზობლის ბიჭის ნაბძვით სწრაფად გაიხდა ტანსაცმელი და ვიღაც ჭალარა ქალის გამონვდილ თეთრ კაბაში გაეხვია. ქალმა ახედ-დახედა ხუჭუ-ჭთმიან ბიჭუნას, დაიხარა, თავზე ხელი გადაუსვა და ქაღალდის თეთრი ვარდი თმაში ჩაუმარა. შემდეგ კვლავ შეთვალეირა და ხელში ვარდებით სავსე კალათაც მისცა. საუკუნოდ ეჩვენა ვასოს ის დრო, სანამ სცენაზე გაიყვანდნენ, აი, დადგა ნანატრი ნუთი... თეთრებში შემოსილი ბავშვები სცენაზე გაიყვანეს. ისინი წინ უძღოდნენ ნეფე-დედოფალს და გზაზე ვარდებს უფენდნენ. მხოლოდ შემდეგ გაიგო ვასომ, რომ ეს იყო აბესალომისა და ეთერის ქორწინების სცენა. იგი მოჯადოებულად უსმენდა ვანო სარა-ჯიშვილს და სანდრო ინაშვილს, ბურანში წასულს თავი ზღაპრულ ქვეყანაში ეგონა.



### „ოტელო“ და პირველი უძილო ღამე

ისევე, როგორც ოპერაში, ცირკშიც შემთხ-ვევით მოხვდა. მაგრამ ისე მოიხიბლა უჩვეუ-ლო სანახაობით, რომ სულ მალე, „ბალაგა-ნის“ მუდმივ სტუმრად იქცა. ვასო არათუ სუპეტაკლს, რეპუტიციებსაც კი არ აცდენდა და დიდ ფარდულში ჩუმად შეპარული, თვალმოშორებლად უთვალთვლებდა ყვე-ლაფერს, რაც კი ცირკის არენაზე ხდებოდა. ბაზარში გამართულ წარმოდგენებში მონაწი-ლეობაც თეატრის დაუოკებელმა სიყვარულ-მა გააბედვინა. „ჩემს პატარა ბიჭობაში გაგიყე-ბით მიყვარდა „ბალაგანი“, ქუჩური თეა-ტრალური სანახაობა... ერთხელ როგორ-ღაც დეზერტირების ბაზარზე მოხვდი, აქ გავიცანი „სიცილის მეფე“ დონატო და ცირ-კის ანტრეპრენიორი ტაქინკო, მათ მოე-წონათ ჩემი ეშხიანი სახე, ხუჭუჭა თმა, ხმა, კარგი სმენა... შემდეგ ესტრადაზე ვჩალი-ჩობდი... მე წარმატება მქონდა“, — წერდა თავის მოგონებებში. უფროსი ძმის გიორ-გის და დედის დაყინებული მოთხოვნით, ვასო იძულებული გახდა, „ბალაგანისთვის“ თავი დაენებებინა. თუმცა, გამოსვლებში მონაწილეობამ ვასოს ერთი დიდი სარგებე-ლიც მოუტანა. მან არტისტობით ორმოც მანეთამდე შეაგროვა. ამ ფულს ცოტაც დაუ-მატეს და გიმნაზიაში შესასვლელად თანა ჩარიცხეს. პატარა „ცირკაში“ გიმნაზისტი გახდა. კლასი, რომელშიც ვასო გოძიაშ-ვილი მოხვდა, თავისი შემადგენლობით ძალზე ძლიერი აღმოჩნდა. მასთან ერთად სწავლობდნენ ევგენი ხარაძე, ქუჯი ძიძიშ-ვილი, კოტე ფალავანდიშვილი და სხვ. გიმ-ნაზიაში სწავლისას ნახა გოძიაშვილმა პირვე-ლად „ოტელო“ (მისთვის ბილეთი მიუტცია მეზობლის მეკრავ ქალს ლიზა ბაკურაძეს, რომელსაც ქველმოქმედებისთვის უბანში „კეთილ ლიზას“ უწოდებდნენ). „არასოდეს დამავინცდებდა, როგორ მოვხვდი პირველად ნამდვილ თეატრში, სადაც ოტელოს როლში ბრწყინვალე ტრაგიკოსი ალ. იმედაშვილი ფასე. იმ ღამეს არ მძინებია. ერთხელ აღძრული მძაფრი სიყვარული ხელოვნებისადმი ჩაუ-ქრობლად გიზგიზებდა ჩემში, თეატრი მის-მობდა, მიზიდავდა, მოსვენებას არ მძლევ-და.“ — ვკითხულობთ მსახიობის მოგონებებ-ში. ახალგაზრდა ვასო გოძიაშვილი მოკრძა-ლებით წარდგა პროფესიონალ ხელოვნათა სამსჯავროზე. ეს იყო 1920 წელს. ვასო პირვე-



იცით, რა დღეში იყვნენ გერმანელები? გაშს კი არ უკრავდნენ, ყვიროდნენ: ეს ვინ არის, ეს ვინ ვნახეთო!..



ინფორმაციულ-შეახსენებითი კოლაჟი

ეოზი ღვალის უბის წიგნაკრან:

1. „ზადი“ და „ნაკლი“ სინონიმებია.
2. ვეშაპებს სასქესო ორგანოში ძვალი აქვთ.
3. აინები, იაპონიის უძველესი მოსახლენი იყვნენ.
4. ძვირფას საჩუქარს ძველად არმაღანს ეძახდნენ.
5. დღეისათვის, მსოფლიოში 821 მოქმედი ვულკანია.



6. ხვად ლომს შეუძლია, დღეში 50-ჯერ გაანაყოფიეროს ძუ.
7. ნეპალის დროშა ორი სამკუთხედის ფორმის ქსოვილისგან შედგება.
8. გამოქვაბულის მცურავი, შხამიანი გველია.

9. მსოლოდ ღამურებით იკვებება.
9. პლუტონი, მზის სისტემის პლანეტებიდან ყველაზე გვიან, 1930 წელს აღმოაჩინეს.
10. კარლოს დიდის გოლიათურ ხმაღს საკუთარი სახელი — დიურენდალი — ჰქონდა.
11. დედამიწის ცენტრამდე 6300 კილომეტრია. იქ ისევე ცხელა, როგორც მზის ზედაპირზე.
12. მწერები, კოიოტების ძირითადი საჭმელია. მძორით გაძლომის საშუალება მათ იშვიათად ეძლევათ.
13. ბამბა ევროპაში XV საუკუნემდე არ იყო ცნობილი. მის მაგივრად, ბატის ბუმბულს იყენებდნენ.
14. „ჩვენი ქვეყნის ფართობი მისი სიმადლის ტოლია“, — ხუმრობენ ჯუჯა სახელმწიფოს — სან-მარინოს მცხოვრებლები.
15. „ჩვენი მაცივარი ტკბილი მოგონებებით არის სავსე!“ — ოსრავდა შონზო ტელესერიალ „მუსკულეში“.
16. ალ კაპონეს მოგება წელიწადში 100 მლნ დოლარს შეადგენდა. ასეთი მოგება პენრი ფორდს არ ჰქონია საავტომობილო ბიზნესში.
17. პოლინეზიაში მცხოვრებ ხალხთა უმრავლესობაში არ არსებობს განსხვავება მამაკაცისა და ქალის სახელებს შორის.
18. 1973 წლის დეკემბერში, ამერიკელმა ასტრონავტმა იუჯინ სერნანმა უკანასკნელმა დადგა მთვარეზე ფეხი. პირველი, ნილ არმსტრონგი გახლდათ.
19. „არაფერია იმაზე მშვენიერი, როდესაც ქალიშვილს ავიწყდება, რომ კარგად არის აღზრდილი...“ — ამბობდა ავსტრიელი მწერალი კარლ კრაუსი.
20. ბუქარესტში მშრომელთა სასახლის მშენებლობის პარალელურად, შენობისკენ მიმავალი დიდი ბულვარი გაშენდა. ჩაუშესკუს სპეციალური ბრძა-

ლად მივიდა აკაკი ფალავას სტუდიაში. შემდეგ კი... იმისთვის რომ გავიგოთ, თუ რა მოხდა შემდეგ, ვნახოთ თუ რას წერს ვასოს მარად სათაყვანებელი ალექსანდრე იმედაშვილი შაქრო გომელაურს: „ძვირფასო შაქრო! გაინტერესებს რა არის ახალი თბილისში? არაფერი განსაკუთრებული, მონყენილობაა, მაგრამ ამას წინათ ვიყავი გამოცდაზე ფალავას სტუდიაში. უნდა გითხრა, რომ გამოჩნდა ერთი ბიჭი, რომელიც, ჩემი აზრით, ქართული თეატრის მომავალი ვარსკვლავი იქნება...“

არც შემცდარა ალექსანდრე იმედაშვილი, მისი წინასწარმეტყველება გამართლდა. სულ მალე ვასო გომედაშვილი მკაფურების კურსს გახდა. დიდება მას სცენაზე გამოჩენისთანავე ეწვია. როგორი იყო იგი სცენაზე და ცხოვრებაში, დღეს ამის შესახებ მისი მეგობრები და ახალგაზრდა კოლეგები გვიამბობენ.

ბიბა ლორთქიფანიძე

— სიტყვა „არტისტი“ არავის ისე არ უხდება, როგორც ვასო გომედაშვილს. ეს იყო საოცარი პიროვნება, ადამიანი, რომელსაც ჟანრობრივი შეზღუდულობა არ გააჩნდა, საოცარი ნიჭიერებით დაჯილდოებული. ბევრი დაუფინყარი სახე შექმნა, გავისხენოთ თუნდაც ლუარსაბი ან ავეტიკა. ძალიან დიდი ახლობლობა მაკავშირებდა მასთან. ერთად დიდხანს არ გვიმუშავია, მაგრამ ვასოსთან გატარებული ყოველი წუთი იყო დაუფინყარი.

როგორ იყო იგი სცენის მიღმა, ცხოვრებაში?

— მასთან მოწყენა არ შეიძლებოდა. ერთხელ, გასტროლებზე ვიმყოფებოდით ბათუმში. შევედით რესტორანში, რომელიც თითქმის ცარიელი იყო. მაგრამ მალე გერმანელები შემოვიდნენ და დარბაზიც შეივსო. ორკესტრმა დაუკრა „სამბა“. ჩვენი ვასო ცოტა ნასვამი გახლდათ. ავიდა სცენაზე, იმლერა, იცვკვა, ითამაშა როგორც კაცის, ასევე ქალის როლიც. მთაწყო დიდი თეატრალური სანახაობა. იცით, რა დღეში იყვნენ გერმანელები? ტაშს კი არ უკრავდნენ, ყვიროდნენ: ეს ვინ არის, ეს ვინ ვნახეთო!..

როგორ იყო სუფრაზე?

— უკეთესს ვერ ნახავდი. მასთან ქეიფი იყო სიამოვნება.

თამაშობა თუ უყვარდა?

— ის საერთოდ, ბუნებით იყო პირველი პირი. შესაბამისად, თამაშობაც უყვარდა.



უმეტეს შემთხვევაში, ის მეთაურობდა სუფრას, მაგრამ თუ გამონაკლისი მოხდებოდა, მეურ ცუდ ხასიათზე იყო.

როგორც რეჟისორი, რას გვეტყვით ვასოზე?

— თავიდან რომ მივედი მარჯანიშვილის თეატრში, ვდგამდი „სასტუმროს დიასახლისს“. მონაწილეობდნენ გენიალური მსახიობები: ჟორჟოლიანი, მაღალაშვილი, ანჯაფარიძე, თბილელი, ზაქარიაძე, ლამბაშიძე. მთავარ როლს სერგო ზაქარიაძე თამაშობდა, ხოლო გრაფის როლზე დანიშნული მყავდა ვასო გომედაშვილი. რეპეტიციების დროს, ვამჩნევდი, რომ უხასიათოდ იყო ხოლმე, მაგრამ მიზეზს ვერ ვხვდებოდი. ერთ დღეს, ყველანი შეკრებილნი ვართ, რამდენიმე წუთში უნდა დავინყოთ მუშაობა. უეცრად, ვასო ავიდა სცენაზე და დაიწყო მთავარი როლის თამაში. შემდეგ, იმპროვიზაციულად ითამაშა ყველა როლი, საოცარი ნიჭიერებით. ჩვენ ყველანი ინტერესით ვუყურებდით. მსახიობები სიცილისგან იატყუებდნენ. ამის შემდეგ, ვასოს ამ სპექტაკლში აღარ უთამაშებია. თურმე, ნაწყენი ყოფილა, მთავარ როლზე რომ არ დავამტკიცე. მან ეს თავისი ქმედებით მიმასვედრა. ჩვენ ყველას გვიჩვენა, თუ რა არის ნიჭიერება, როგორ უნდა თამაშობდე ნამდვილი მსახიობი და ნავიდა... მან ჩემთან გენიალურად ითამაშა ბესოს როლი „ღალატში“. ამ როლს წლების მანძილზე, რუსთაველის თეატრში ემართებოდა აფხაძე ასრულებდა, ემართებოდა მარტოვანი ბრწყინვალე ბესო იყო, მაგრამ როდესაც ვასოს მიერ განსახიერებული ეს როლი ნახა, შემოვიდა საგრიმოროში და ჩემთან ერთად უთხრა ვასოს: ორმოცი წელია, ბესოს ვთამაშობ და თუ ასეთი იყო ბესო, არ მეგონა, ეს რა სასწაული მოახდინეო!

როგორ იყო იგი სცენის მიღმა, ცხოვრებაში?

— მასთან დაკავშირებით, ერთ საჩოთირო ამბავსაც გავისხენებ. როდესაც მარჯანიშვილის თეატრში განხეთქილება მოხდა, მე და ვასოს ერთმანეთთან ურთიერთობა მართლაც, გაავიწყდა. თითქმის არ ვლაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ ცოტა ხანში, დაიდგა სპექტაკლი „ძველი ვოდვეილები“, ვასო ტიგრანის როლს თამაშობდა. მე რუმად შევიპარე ამ სპექტაკლზე და დავეჯექი დარბაზში. საერთოდ, ემოციური კაცი ვარ. თავი ვერც ამჯერად შევიკავე და მთელი სპექტაკლის მანძილზე, სიცილისაგან ღვარად ჩამომდიოდა ცრემლები. ამ დღეს დავრწმუნდი, რომ არ შეიძლებოდა ვასოსთან ურთიერთობის დაძაბვა, მივხვდი, რომ მისგან არაფერი არ უნდა გწყენოდა. მე ბოლომდე მის მეგობრად დავრჩი და ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

როგორ იყო სუფრაზე?

— უკეთესს ვერ ნახავდი. მასთან ქეიფი იყო სიამოვნება.

თამაშობა თუ უყვარდა?

— ის საერთოდ, ბუნებით იყო პირველი პირი. შესაბამისად, თამაშობაც უყვარდა.

— მასთან დაკავშირებით, ერთ საჩოთირო ამბავსაც გავისხენებ. როდესაც მარჯანიშვილის თეატრში განხეთქილება მოხდა, მე და ვასოს ერთმანეთთან ურთიერთობა მართლაც, გაავიწყდა. თითქმის არ ვლაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ ცოტა ხანში, დაიდგა სპექტაკლი „ძველი ვოდვეილები“, ვასო ტიგრანის როლს თამაშობდა. მე რუმად შევიპარე ამ სპექტაკლზე და დავეჯექი დარბაზში. საერთოდ, ემოციური კაცი ვარ. თავი ვერც ამჯერად შევიკავე და მთელი სპექტაკლის მანძილზე, სიცილისაგან ღვარად ჩამომდიოდა ცრემლები. ამ დღეს დავრწმუნდი, რომ არ შეიძლებოდა ვასოსთან ურთიერთობის დაძაბვა, მივხვდი, რომ მისგან არაფერი არ უნდა გწყენოდა. მე ბოლომდე მის მეგობრად დავრჩი და ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

სცენა სპექტაკლიდან „იქნებ ბავშვები ფრინველებს ჰგებან?“ (კუპერი - ვ. გომედაშვილი, ლუისი - ვ. ანჯაფარიძე)

— ამბობენ, კახეთი განსაკუთრებით უყვარდაო...

— დიას, განსაკუთრებულად ლტოლვა ჰქონდა კახეთისკენ. მის სახლში ყოველთვის იყო კახური ღვინო და ჩურჩხელა. უყვარდა მეგობრების გამასპინძლება. განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებთან ურთიერთობა. მას სოფს, როდესაც ვასოს 60 წელი შეუსრულდა, იუბილესათვის კახეთში მიგვიწვიეს. თეატრის დასი ავტობუსით წავიდა, ვასო და მე ჩემი მანქანით მივიდოდით. საოცრება რა იყო, იცით?... ყველა სახლის წინ, გზის განაპირას სუფრა იყო გამოლილი, გვეპატიუებოდნენ. მსგავსი რამ არსად არასოდეს მინახავს. ვასო გოძიაშვილი ქუმმარითად იმსახურებდა ხალხის სიყვარულს და პატივისცემას.

**შეგაღო მონაზა:**

— სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც ბატონი ვასო გოძიაშვილი გავიცანი. ის წლები და საერთოდ, მასთან ურთიერთობა ჩემთვის დაუვიწყარია. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც მარჯანიშვილის თეატრში მოხდა განხეთქილება და მსახიობთა ნაწილი წავიდა. იქ დარჩენილებს შორის, დიდი სიყვარული იყო და ამავე დროს, პატივისცემა ახალგაზრდა და უფროს თაობებს შორის. რატომღაც ვასოს გაცნობის დღიდანვე შეუყვარდი და მოყვრებით „მონოს“ მექსხდა.

— როგორი მსახიობი იყო, ეს ყველასთვის კარგად არის ცნობილი. როგორი იყო ბატონი ვასო ტოლისტოვი?

— დიდი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა. თეატრში გრიმის გასაკეთებლად ყველაზე ადრე მოდიოდა. ძალიანაც რომ გნდომებოდა, ვერ დაასწრებდი. გრიმის კუთების პროცესიდანვე შედიოდა როლში. ერთხელ, ასეთ დროს შევიხედე მის არტისტულ სააღკაშმულოში. მარტო იჯდა. გრიმს იკეთებდა, გაგულისებულნი იტყაპუნებდა და ლოყებზე თითებს და გამწარებული ბუზღუნებდა: „ყოველ საღამოს უნდა ვამტკიცო, რომ ნიჭიერი ვარ?!“

— რაიმე გამორჩეული თვისება თუ ახასიათებდა?

— (იცინის) ლობიო უყვარდა ძალიან. ერთხელ სუფრიდან დაბრუნებული ჰყვებოდა: გაიღო ერთი კარი — მოდის! გაიღო მეორე კარი — მოდის! გაიღო მესამე კარი — მოდის! ვერ გავიგეთ, რაზე ლაპარაკობდა და ვკითხე: — რა მოდის-მეთქი, ვასო ძია? — რა და ლობიო, ლო-ბი-ო!.. ოჯახში დავეპატიუე. რადგან ვიცოდი მისი ასეთი სიყვარული ლობიოსადმი, ჩემს მეუღლეს ვთხოვე, რამდენიმენაირი „ვარინანტი“ მოემზადებინათ — ნიგვზით, ქოთანში, ამოლესილი, კირკაჟი... ერთი სიტყვით, ვასოს სტუმრობისთვის საგანგებოდ მოვემზა-



კათალიკოსი (კარლ ფილდესი) „დიდოსტაგის მარჯვენა“, 1970 წ.

დეთ. მან მართლაც, გემრიელად მიირთვა. მოილინა, შესანიშნავად ითამადა და ბოლოს, უკვე კარგად შებახსებულმა მითხრა — ახლა სახლში წამიყვანეო. მე, რა თქმა უნდა, სურვილი შევესრულე. გამომშვიდობებისას კი მითხრა: რა იყო, შე მამაძაღლო, მარტო ლობიო რომ მაჭამე და დამათვრეო?!

— გამორჩეულად საყვარელი სადღეგრძელო თუ ჰქონდა?

— კახეთი უყვარდა ძალიან. ვასო ძალიან განათლებული პიროვნება იყო. მღეროდა შესანიშნავად, ჰქონდა არაჩვეულებრივი პლასტიკა. საუცხოო სიტყვა-პასუხი იცოდა. იმ სუფრაზე, სადაც ის იმყოფებოდა, იშვიათად თუ გაბედავდა ვინმე თამადაობას.

— როგორი პარტნიორი იყო სცენაზე?

— ვასოსნაირი არტისტი არტისტი დღემდე არ მინახავს. ჩემდა საბედნიეროდ, ისეთ დროს დავიბადე, როცა ბუმბერაზი მსახიობები იდგნენ ქართულ სცენაზე და ბევრის პარტნიორიც ვიყავი. ვასო გოძიაშვილი ამ მხრივაც ყველაზე გამორჩეულია. მასზე უკეთესი პარტნიორი აღარ შეიძლება გენატრა. ნახეთ მისი ამპლიტუდა — „რიჩარდიდან“ (ასრულებდა რიჩარდ როლს) „კაცია ადამიანად“ (ლუარსაბი)... გაისწინეთ, მისი ავეტიკა. მისთვის ძნელი როლი არ არსებობდა... მინდა, ერთი რამ აღვნიშნო, რაც დღეს ბევრმა არ იცის. 1936 თუ 1937 წელს, როდესაც ჩატარდა საბჭოთა კავშირის ესტრადის მსახიობთა კონკურსი, ბატონმა ვასომ და არკადი რაიკინმა პირველი ადგილი გაიყვეს. ვასოს ქართულად ჰქონდა მომზადებული პროგრამა, მიუხედავად ამისა, მან რუსების მოხიბვლა შეძლო, სამშემრულებლო ოსტატობითა და ნიჭიერებით. მასზე თვით რაიკინიც კი აღფრთოვანებით ჰყვებოდა, როდესაც ჩვენს თეატრში სტუმრად იყო ჩამოსული.

— დღეს მსახიობებზე და საერთოდ ცნობილ ადამიანებზე უამრავ ჭორს აფრცელებენ. ვასო გოძიაშვილთან დაკავშირებული ასეთი შემთხვევა ხომ არ გახსენდებათ?

— რა დამავინწყებს, მაშინაც ჭორაობდნენ ხშირად პოპულარულ ადამიანებზე. ერთხელ ხმა დაირხა, ვასო გოძიაშვილი გარდაიცვალაო. ამ ამბავმა ვასოს ყურამდეც მიაღწია. მთელი კვირა, მარჯანიშვილის თეატრის წინ იდგა, შიგნით მუნდნენ, რომ ცოცხალი ვარო!..



„ლურასაბ თათქარიძე“

ვერ შემოვიყვანეთ — დამინახოს და დარწმუნდნენ, რომ ცოცხალი ვარო!..

**ინფორმაციულ-შეჯიხნებითი კოლაჟი**

**ეონა ღვალის უბის წიგნაკიდან:**

ნებით, ეს ბულვარი პარიზის ელისეს მინდვრებზე უფრო ფართო იყო.

21. „ქვეყანას, რომელსაც არ სურს საკუთარი ჯარის შენახვა, სხვა ქვეყნის ჯარის შენახვა მოუწევს“, — ამბობენ ინგლისელები.

22. იულ ბრინერი, სტივ მაკ-ჟუინი, ჩარლზ ბრონსონი, ჰორსტ ბუხოლცი, ჯეიმს კობერნი, ბრედ დეკსტერი, რობერტ ვონი — ეს იმ მსახიობთა სიაა, რომლებმაც შეასრულეს მთავარი როლები მხატვრული ფილმში „შესანიშნავი შვიდეული“.



23. ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ალასანიანი ერთ დღეს, 21 დეკემბერს — სტალინის დაბადების დღეს არიან დაბადებულები. ასევე ერთ დღეს, 19 დეკემბერს — წმინდა ნიკოლოზის დღეს არიან დაბადებულები მათი შვილები: ნიკოლოზ ალასანიანი და ნიკოლოზ სააკაშვილი.

24. ეკატერინე მეორის რეზიდენცია — ცაბსკოე სელოს სასადილო დარბაზში სტუმრებისთვის კერძების მიწოდება გარკვეულწილად, ავტომატიზებული იყო. სტუმარს შეეძლო, ნებისმიერი კერძის სახელწოდება დაენერა თევზის დასადგმელ გრიფელის დაფაზე და ქვედა სათოულზე განთავსებულ სამზარეულოში გაეგზავნა. სულ ცოტა ხანში, შემკვეთი სასურველ კერძს ლიფტის მსგავსი მექანიკური მოწყობილობის საშუალებით მიიღებდა. კერძების არჩევანი იმდენად დიდი იყო, რომ ყველაზე ჭირვეულ გურმანსაც კი დააკმაყოფილებდა. მხოლოდ ერთხელ ერთხელ ვერ შეძლეს ეკატერინე მეორის მზარეულებმა სტუმრის სურვილის შესრულება, როცა იმპერატრიცასთან მყოფმა მიხაილ სუვოროვმა სადილად სალდათური ფაფა და „შჩი“ მოითხოვა.

25. ერთხელ, სოლომონ ბრძენს საჩივრით მიმართა მოხუცმა ქალმა, რომელსაც უკანასკნელი გროშებით ფქვილი ეყიდა, უცაბედად ამოვარდნილ ქარს კი, გზაში ეს ფქვილი სულ მიმოუფანტავს. ქალი ზარალის ანახლავს რებას ითხოვდა, ოღონდ, გაუგებარი იყო, კონკრეტულად ვის უნდა ეკისრა ამ ზარალის დაფარვა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, ბრძენმა მეფემ ფქვილის საფასურის გადახდა მესომალდეებს დააკისრა, რომლებიც იმ დღეს, დილიდან მოყოლებული, ქარის ამოვარდნას ევედრებოდნენ ღმერთს.





ზუსტად ათი წლის წინ, ჰოლივუდის ვარსკვლავმა, მომღერალმა და კომპოზიტორმა ბარბრა სტრეიზანდმა თავისი ცხოვრების ჭეშმარიტი თანამგზავრის პოვნა შეძლო და იმ დღიდან მოყოლებული, მის ჭერქვეშ ბედნიერებამ და სიყვარულმა დაისადგურა.


## გაყმაძლახი ანაკონდას ჭეშმარიტი სიყვარული

ჰქონდა წარსულში უიღბლო ქორწინების მწარე გამოცდილება. მიუხედავად ამისა, მათ რომანტიკოსი მოზარდების მსგავსად მთელი ღამე ვერანდაზე საუბარში ისე გაატარეს, ვერც კი შეაჩინეს, რომ იანვრის სუსხიანი ქარი უბერავდა. 10 წელია, რაც მათ შორის ეს დიალოგი გრძელდება და აქედან 8 წელი, ბარბრა და ჯეიმსი დაქორწინებულები არიან...

### ბავშვობაში ბარბრას საფრთხობელას ეძახდნენ

იმ ზღაპრის შინაარსი, სადაც მახინჯი იხვის ჭუკი ბოლოს მშვენიერ გედად იქცევა, ყველასათვის ცნობილია. თუმცა მისგან განსხვავებით, ბარბრა საბოლოოდ, ისევ მახინჯ იხვის ჭუკად დარჩა, მაგრამ მან შეუძლებელი შეძლო — პოპულარობით დაიპყრო მსოფლიო, საქვეყნოდ ცნობილი ათეულობით მამაკაცი სიყვარულს ეფიცებოდა მას, საკუთარი თავიცა და ირგვლივ მყოფებიც დაარწმუნა იმაში, რომ მიუხედავად ვეებერთელა ცხვირისა, სიელმისა და ქალური, მაცდუნებელი ფორმების არქონისა, ის ნამდვილი მზეთუნახავი გახლდათ.

თავდაპირველად, ნიუ-იორკში, ბრუკლინის კვარტალში მცხოვრები გოგონა სასონარკვეთილებამდე მიჰყავდა თანაკლასელებისა და მშობელი დედის (გოგონას მამა ერთი წლის ასაკში გარდაეცვალა) გულის გამგვირავი სიტყვებს: „შენ — ნამდვილი საფრთხობელა ხარ!“ მოზარდი გოგონას ისედაც მწარე ხვედრს, კიდევ უფრო ამძიმებდა მამინაცვლის აგდებული დამოკიდებულება, რომელიც სხვების თანდასწრებით გაუძმებით ამცირებდა და პირში ეუბნებოდა: „ისეთი მახინჯები-სთვის, როგორც შენ ხარ, ნაყინსაც კი არ ყიდულობენ“. სწორედ მაშინ გადაწყვიტა გოგონამ, რომ



საქვეყნოდ ცნობილი ათეულობით მამაკაცი სიყვარულს ეფიცებოდა მას...

შეუძლებელს შეძლებდა და სახელმობ-ვეჭილი მომღერალი და მსახიობი გახდებოდა! რაც შეეხება გარეგნობას: ბარბრას ახლა სასაცილოდაც არ ჰყოფნის, როცა იხსენებს, თუ როგორ იღებდა სუპერმარკეტის წინ დაგდებულ უკვე გამოყენებულ სალაროს ჩეკს. პატარა ბარბარა ჯონს სტრეიზანდი (ვარსკვლავის ნამდვილი სახელი და გვარი), მალაზიაში შედიოდა და ჩეკზე მითითებული თანხის შესაბამისი ღირებულების კოსმეტიკურ საშუალებებს არჩევდა დახლებზე, შემდეგ შეუმჩნევლად აუვლიდა სალაროს გვერდს და გასასვლელში მდგარ კონსტროლიორს ამაყად უჩვენებდა ვილაცის მიერ უკვე გამოყენებულ ჩეკს. ბარბრამ კარგად იცოდა, რომ სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს — ისიც მცდელობას არ აკლებდა და სახეს ტონობით კოსმეტიკით იფარავდა. სამწუხაროდ, ბიჭები კვლავინდებურად ვერ ამჩნევდნენ მას... თუკი სიტყვას ადამიანისთვის გულის მოკვლა ძალუძს, სიტყვასვე აქვს იმის უნარი, რომ ადამიანს გაულამაზოს სამყარო. სასკოლო დარბაზში, სრული სიჩუმისას მასწავლებლის მიერ წარმოთქმული ფრაზა, როცა ბარბრა სცენაზე საბავშვო პიესაში თამაშობდა, მისთვის გზამკვლევი მანათობელ ვარსკვლავად იქცა: „ის ნეფერტიტის ჰგავს!“ ამ სიტყვების გამგონე შეუხედავმა გოგონამ უპირობოდ ირწმუნა, რომ ის მშვენიერი გახლდათ. სკოლის დამთავრებისთანავე ბარბამ მუშაობა დამიწყო და ოჯახიდანაც წავიდა. ის ხან ტელეფონისტად მუშაობდა, ხანაც რესტორნის მიმტანად; სალ-

მამაკაცები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ მის მიმართ, ქალიც თითქმის არასოდეს რჩებოდა გულგრილი და მხურვალე გრძნობით პასუხობდა მათ. როგორც წესი, მისი რომანები მთავრდებოდა იმით, რომ გარკვეული ხნის შემდეგ, ქალი პარტნიორთან სასიყვარულო ურთიერთობის გაგრძელებაზე უარს აცხადებდა (მისი საყვარლები იყვნენ ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც არიან: აშშ-ის ექსპრეზიდენტი ბილ კლინტონი, კანადის პრემიერ-მინისტრი პიერ ტრიუდო, მსახიობები ომარ შარიფი, რიჩარდ ბარტონი, ჩოგბურთელი ანდრე აგასი), მას მეტსახელად გაუმაძლარი ანაკონდაც კი შეარქვეს. ბარბრა სტრეიზანდი ხომ გარეგნული სილამაზით დიდად არ გამოირჩეოდა და მისი ასეთი წარმატება ძლიერი სქესის წარმომადგენლებს შორის, ცოტა არ იყოს, საკვირველიც კი იყო.


10 წლის წინ, ლოს-ანჯელესში, მისი მეგობრების მიერ მოწყობილ წვეულებაზე, ბარბრამ მსახიობი ჯეიმს ბროლინი („მაქციები“, „მამაკაცთა წვეულება“, „დამიჭირე, თუკი შეძლებ...“) გაიცნო. იმხანად ბარბრა 54 წლის იყო, ჯეიმსი — 56-ის, თანაც, ორივეს



ფანი, მიუბილიდან „სასაცილო გოგონა“ — ბარბრა სტრეიზანდის ყველაზე ვარსკვლავური როლი

ამოობით, ღამის კლუბ „მანჰეტენს“ სტუმრობდა, რომლის სცენაზეც ერთხელ, თავხედურად გამოსვლაც კი მოახერხა. მისი მისამართით გამოსატული აპლოდისმენტები, პირველად სწორედ იქ მოისმინა! მომავალი ვარსკვლავი, მაშინ 17 წლის იყო. მისმა ხმა იმდენად მოაჯადოვა მსმენელი, რომ ბარბრას გარეგნობისათვის აღარავის მიუქცევია ყურადღება. თანაც, დამწყებმა მომღერალმა იმთავითვე შეძლო განუმეორებელი სასცენო იმიჯის მორგება: წითური თმა, პუდრის სქელი ფენის წყალობით, ზედმეტად ფერმკრთალი სახე, ბრჭყვიალა კაბა და ურიცხვი ბიჟუტერია. მოკლედ, პუბლიკა წამოეგო მის ანკესს.

ასე რომ, სტრეიზანდი 17 წლის ასაკში გახდა მომღერალი, 20 წლისამ კი, მსახიობობის ოცნების ასრულებაც შეძლო. ის თეატრში მიიწვიეს მგრძობიარე ევროპელი გოგონას როლზე, მუსიკალურ პიესაში — „მე შემძლია, ეს შენგან ბითუმად მივიღო“. სპექტაკლს წარმატება ხვდა წილად. ერთ წელიწადში ბარბრა (იმ დროისათვის, ყოფილმა ბარბარამ სახელიდან ერთი ასო ამოაგდო და ბარბრად იქცა, რათა სხვებისგან განსხვავებული ყოფილიყო) თეატრის წამყვან მსახიობს, ელიოტ გულდს გაჰყვა ცოლად. მალე ცოლ-ქმარს ვაჟიშვილი შეეძინა, რომელსაც მშობლებმა



ბარბრა თავისი ბავშვობის დროინდელი სიმშრების უფლისწულს უწოდებს ჯეიმსს

მელთა ურიცხვი არმია შესძინა. მისი პირველი ტელეპროგრამისთვის — „მე მქვია ბარბრა“ — ახალგაზრდა ვარსკვლავი „ემის“ 5 პრემიით დაჯილდოვდა! ასე წარმატებით დაწყებული კარიერის მიუხედავად, მის სავაზიტო ბარათად მაინც ბროდვეის მიუზიკლში — „სასაცილო გოგონა“ — შესრულებული როლი იქცა. ამას მოჰყვა „სასაცილო გოგონას“ ეკრანიზაცია და „ოსკარი“ „ქალის საუკეთესო შემსრულებლის“ კატეგორიაში. ამასთან, ფილმის



რობერტ დე ნიროსთან ერთად, ფილმი „ფაკერებთან ნაცნობობა“

ჯეისონი დაარქვეს. თითქოს ყველაფერი კარგად იყო და მათ ბედნიერებას არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ თეატრის წამყვანი მსახიობი ელიოტ გულდი, ოჯახში მეორეხარისხოვანი როლის შესრულებას არ დათანხმდა და ცოლ-ქმარი სწორედ ამიტომ გაიყარა.

### მოთვინიერებული ომარ შარიფი

სცენაზე შესრულებულმა პირველმა როლმა, 21 წლის სტრეიზანდს ნიუ-იორკის თეატრალური ასოციაციის კრიტიკოსთა პრემია მოუტანა. პირველმა მუსიკალურმა ალბომმა კი, ერთდროულად „ემის“ 2 პრემია და თაყვანისმცე-

გადაღებების მსვლელობის დროს, სტრეიზანდმა საქვეყნოდ აღიარებული ვარსკვლავის, ომარ შარიფის გულის დაპყრობაც შეძლო. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავდაპირველად ცნობილი დონჟუანი თავისი პარტნიორით აღფრთოვანებული სულაც არ გახლდათ, მაგრამ როგორც ყოველთვის, ბარბრამ შეუძლებელი შეძლო... რაღა თქმა უნდა, გამუდმებით გადაღებაზე ყოფნა, გაუთავებლად მუშაობა ხმის ჩამწერ სტუდიებში და თავბრუდამხვევი რომანები ბარბრას ხელს უშლიდა იმაში, რომ ვაჟიშვილის აღზრდისათვის სათანადო ყურადღება დაეთმო (რასაც ის ამჟამად ძალიან ნანობს). ამან თავისი ნაყოფი გამოიღო: ჯეისონი გეი გახდა, უფრო მეტიც, მან მამაკაცზე —

ცნობილ სპორტსმენსა და მანეკენზე, დევიდ ნაიტზე იქორწინა და ზღაპრული ქორწილიც გადაიხადა. დედამ უარი განაცხადა ქორწილში მისვლაზე და მომხდარს კარგა ხნის მანძილზე განიცდიდა. თუმცა, ცოტა ხნის წინ პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ახლა ესმის საკუთარი შვილის და უხარია, რომ ის ბედნიერად გრძნობს თავს. შესაძლოა, ჯეისონისადმი დამოკიდებულების შეცვლა, ბარბრას პირადი კეთილდღეობითაა განპირობებული. ვარსკვლავის მეუღლე, ჯეიმს ბროლინი ხომ ისეთივე მზრუნველი და მოსიყვარულეა ცოლის მიმართ, როგორც ქორწინების პირველ დღეებში იყო. მათი ქორწილი მაღიბუში, სტრეიზანდის ვილაზე შედგა. იმ დღეს სტრეიზანდი საოცრად მომხიბლავად გამოიყურებოდა — ისევე მომხიბლავად, როგორც მისი საყვარელი თეთრი ორქიდეები, რომლებიც მთელი ვილა იყო მორთული და იმ თეთრი შროშანებით, რომლებიც აუზის წყლის ზედაპირზე იწონებდნენ თავს... წყვილის ოჯახური ბედნიერება იმდენად ჰარმონიულია, რომ მეუღლეები დროის გატარებას კვლავ და კვლავ ერთმანეთის საზოგადოებაში ამჯობინებენ და მხოლოდ იშვიათად სტუმრობენ მაღალი საზოგადოების თავყრილობებს. თავისი ბოლო კონცერტი ბარბრა სტრეიზანდმა 2000 წლის სექტემბერში გამართა. კონცერტის ბოლოს, პუბლიკა ველარ ელეოდა საკუთარ კერპს და მისი სცენიდან გაშვება არ სურდა. მაშინ მომღერალმა თავიანისმცემლების დამშვიდება სცადა და განაცხადა, რომ ამ გამოსვლით ის წერტილს არ უსვამს თავის შემოქმედებას, რომ კვლავაც ითამაშებს კინოში (ფილმი „ფაკერებთან ნაცნობობა“ სტრეიზანდის მონაწილეობით, რომელიც 2004 წელს გამოვიდა ეკრანზე, სწორედ მისი სიტყვების დასტური გახლავთ), გააგრძელებს ანტიკვარული ნივთების კოლექციონერობას, ჩაწერს ახალ ალბომებს... განა ცოტა აქვს საქმე ნიჭიერ ქალბატონს, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად, ყოველდღიურად ისმენს საყვარელი მამაკაცისაგან, რომ ის ყველაზე, ყველაზე ლამაზია!



### ანჯელინა ჯოლი ახალ ცხოვრებას იწყებს



ანჯელინა ჯოლიმ და ბრედ პიტმა ახალი ცხოვრების დაწყება გადაწყვიტეს. ვარსკვლავური წყვილი შვილობილებთან ერთად საფრანგეთში დასახლებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ანჯელინას და ბრედ პიტს მალე ბავშვი შეეძინებათ. ზოგიერთი ცნობის თანახმად, ქვეყნიერებას ტყუპი მოეკლინება. როგორც კი ოჯახი შესაფერის სახლს მონახავს, ისინი მაშინვე საფრანგეთში გადასახლდებიან, ჯერჯერობით კი, პარიზში ცხოვრობენ, სადაც რეპორტიორებმა მოახერხეს და წყვილს ფოტოსურათები იმ მომენტში გადაუღეს, როდესაც ერთ-ერთ კაფეში ბრედი პატარა ზახარას საწოვარათი მზრუნველად აჩვენებდა — პიტისა და ჯოლის კავშირს, სამშობლოში ორიგინალური სახელი — „ბრანჯელინა“ შეარქვეს. ამერიკაში შეყვარებული წყვილებისთვის მსგავსი სახელების შერქმევა ძალიან უყვართ, მაგალითად, იმ დროს, როდესაც ჯენიფერ ლოპესსა და ბენ აფლეკს შორის რომანი იყო გაჩაღებული, მათ მუდამ „ბენიფერად“ მოიხსენიებდნენ.

„ბრანჯელინის“ ჯერ არ დაბადებული შვილის პირველი ფოტო უკვე 1-1,5 მლნ დოლარად არის შეფასებული. ფოტოგრაფები იმედოვნებენ, რომ მშობლები თავად გადაწყვიტენ, თუ ვის მიჰყიდონ ახალშობილის პირველი ფოტო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, პაპარაცებს შორის ნამდვილი ომი გაჩაღდება. ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ ამ ალიაქოთისგან თავის დასაღწევად გარბის წყვილი საფრანგეთში, მაგრამ ძველი წარმოსადგენია, რომ იქ მაინც მოიპოვონ სიმშვიდე.

### ელტონ ჯონი: „ბრუტალიზმი — უპირატესი ცხოვრება!“

გასულ წელს, ბრიტანული გაზეთის — Sunday Times — ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომელშიც სტატიის — Rock royals get too grand — ავტორი, ეჭვქვეშ აყენებდა ელტონ ჯონის მიერ გამოვლენილ გულწრფელობას საქველმოქმედო საღამოს მონაწილესთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, მომღერალმა ჯერ კიდევ 1992 წელს დააარსა შიდა დაავადებულთა დახმარების ფონდი, რომლის სასარგებლოდაც, ყოველწლიურად, ის საქველმოქმედო წვეულებას აწყობს მსფლიოს მალალი საზოგადოების წარმომადგენლებისთვის. საქველმოქმედო საღამოზე ყოველწლიურად, დაახლოებით 3 მლნ გირვანქა სტერლინგის ოდენობის თანხა გროვდება. ჟურნალისტის თქმით, გასულ წელს გამართულ საქველმოქმედო წვეულებაზე მასპინძელი „უზრდელობამდე პატივმოყვარე და ამპარტავანი გახლდათ“. კერძოდ, სტატიის ი აღნიშნული იყო, რომ მიწვეულ სტუმრებს აბსურდული წესების დაცვა უწევდათ — მაგალითად, მათ არ უნდა მიემართათ ღონისძიების მომწყობისთვის (ე.ი. ელტონ ჯონისთვის), ვიდრე ის კეთილს არ ინებებდა და თავად არ მიესალმებოდა სტუმრებს. ელტონ ჯონი პირად შეურაცხყოფაზე მეტად, ფონდის რეპუტაციის შელახვამ ალაშფოთა. მომღერლის ადვოკატებმა სასწრაფოდ მიმართეს სასამართლოს და მათი კლიენტისთვის მიყენებული მორალური ზარალისთვის კომპენსაცია და საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოითხოვეს. ადვოკატებმა შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ ჯონის მიერ მოწყობილ წვეულებაზე, საყოველთაოდ მიღებული წესების გარდა, სტუმრებს არავითარი „ქცევის სხვა წესების“ დაცვა არ უწევდათ. მომღერლის მიერ ბრიტანული გაზეთის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი სასამართლომ დააკმაყოფილა და Sunday Times-ის რედაქციას დაზარალებულის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა (თანხა არ სახელდება) და მისთვის საჯაროდ ბოდიშის მოხდა დააკისრა. თანხა, რომლის გადახდაც ჯარიმის სახით გაზეთის რედაქციას დაეკისრა, ასევე შიდათ დაავადებულთა დახმარების ფონდში გადაირიცხება.



### პეტის ჰილტონი დღეს ცხოვრებას განაახლებს

სასტუმროთა ცნობილი ქსელის მემკვიდრე პეტის ჰილტონი თავიანთი ცხოვრებას წინაშე შესაძლოა სრულიად ახალ ამპლუაში წარადგეს. პოპულარულმა ინდოელმა რეჟისორმა ტ. რაჯინატამ პეტისს დედა ტერეზასადმი მიძღვნილ ფილმში მთავარი როლი შესთავაზა. რეჟისორი გოცუბული დარჩა, როდესაც შეიტყო, რომ პეტისმა ყურნალ Playbox-თვის შიშვლად პოზირებაზე უარი განაცხადა. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა რაჯინატამ, ჰილტონის სინჯებზე მიწვევა. „ისეთი ადამიანის ეკრანული სახის შექმნაზე, როგორც დედა ტერეზა იყო, მრავალი მსახიობი ოცნებობს. ამ როლზე მსახიობის შერჩევა, ხანგრძლივი და სერიოზული პროცესი იქნება“, — განაცხადა რეჟისორმა, რომლის აგენტები პეტის ჰილტონს უკვე დაუკავშირდნენ და მას ფილმის სცენარი გაუზავნეს. საინტერესოა, თუ რა პასუხს გასცემს ცნობილი ლამაზმანი ამ არაორდინარულ შეთავაზებას. შესაძლოა, რეჟისორმა გადაიფიქროს კიდევ, რადგან პეტისის იმიჯი ლეგენდარული მონაზვნის სახეს, ნაკლებად შეეფერება.

### იუა გბინი მონდის გოგონა გახდა

25 წლის ფრანგი მსახიობი ევა გრინი, „ბონდინის“ შემდგომი სერიის მთავარ როლზე დაამტკიცეს. „ბონდინის“ 21-ე ფილმის — „კაზინო როილის“ გადაღებები ა.ნ. იანვრის ბოლოდან უკვე მიმდინარეობს პრაღაში; ევა გრინი მასში ვესპერ ლინდსის როლს შეასრულებს. ფრანგი მსახიობის დებიუტი 2003 წელს, ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმში — „მეოცნებენი“ შედგა, სადაც მან იზაბელის საინტერესო სახე შექმნა. 2005 წელს მსახიობმა სიბილას როლი ითამაშა რიდილი სკოტის სურათში — „ზეციური სამეფო“. იმავე 2005 წელს, გრინის მონაწილეობა უნდა მიეღო ბასტიარ ხუდონიზაროვის პროექტში — „ცოცხალი თევზი“, მაგრამ სურათის გადაღებები გაურკვეველი ვადით გადაიდო. „კაზინო როილის“ რეჟისორია მარტინ კემპბელი, რომელიც 1995 წელს გადაღებული „ბონდინის“ ბოლო სურათის — „ოქროს თვალი“ რეჟისორიც გახლდათ. შეგახსენებთ, რომ 2005 წლის შემოდგომაზე ჯეიმს ბონდის როლზე ინგლისელი მსახიობი დენიელ კრეიგი დაამტკიცეს, რომელმაც მთავარი გმირი განასახიერა სტივენ სპილბერგის გახმაურებულ სურათში — „მიუნხენი“ (2006 წლის „ოსკარზე“ ნომინირებულ ფილმებს შორის, ამ სურათს ფავორიტად მიიჩნევენ). აგენტი 007-ის არამზადა მონაწილეობის, შიფრის როლს კი, დანიელი მადს მიკელსონი შეასრულებს.



## Opel Astra Twin Top

გერმანიაში „ოპელის“ ახალი კუპე-კაბრიოლეტის ფასები გამოცხადდა. მოდიფიკაციებს შორის, ყველაზე იაფფასიანი ვარიანტი 23.650 ევრო ღირს. ამ ფასად მომხმარებელი მიიღებს, 1,6 ლ მოცულობისა და 105 ცხ.დ. სიმძლავრის მქონე Twin Top-ის ორ მოდიფიკაციას — Edition da Cosmo, — რომლებსაც ხუთნაირი ძრავა შეიძლება ჰქონდეს.

კუპე-კაბრიოლეტის საბაზო კომპლექტაციაში შედის: უსაფრთხოების დგარები და ფრონტალური ბალიშები, კონდიციონერი, ბორტკომპიუტერი, ნადინამიკიანი აუდიოსისტემა, სრული ელექტროპაკეტი, ცენტრალური საკეტი, რეგულირებადი სავარძლები, ბურუსის სანინალმდეგო მამუქები. ოპციის სახით კი, მყიდველს შესთავაზებენ: სახურავის დისტანციური მართვის მექანიზმს, კლიმატკონტროლს, ნავიგაციის სისტემასა და ამორტიზატორების ავტომატური რეგულირების სისტემას. Opel Astra Twin top-ის ყველაზე ძვირად ღირებული მოდიფიკაციების ფასე-



ბია: 29.945 (ძრავა — 2.0 Turbo, სიმძლავრე — 200 ცხ.დ.) და 28.980 ევრო (ძრავა — 1,9 CDTI, სიმძლავრე — 150 ცხ.დ.) ■

## Maserati GranSport MC Victory



იტალიურმა კომპანიამ „მაზერატიმ“ გადანყვიტა, თავისებურად აღენიშნა პრესტიჟულ რბოლაში — FIA GT — 2005 წელს მიღწეული გამარჯვება: აღნიშნულ მოვლენას სპორტული კუპე — Maserati GranSport MC Victory-ს ექსკლუზიური პარტიის გამოშვება მიუძღვნა. ასოები — MC — აქ შემთხვევითი როდია: ისინი გამარჯვებული სუპერმანქანის — MC12 — სახელწოდებიდანაა ნასესხები. საბაზო ვერსიისგან განსხვავებით, MC Victory გარეგნულად გამოირჩევა კარბონისგან დამზადებული წინა და უკანა სპოილერებით. ამ და სხვა წვრილმანმა ცვლილებებმა საგრძობლად გააუმჯობესა მანქანის აეროდინამიკური მახასიათებლები, მაღალი სიჩქარის განვითარებისას, ის უფრო მდგრადი გახდა და სამართავადაც — უფრო მოსახერხებელი.

„ჩემპიონის“ სალონის მოსაპირკეთებლად, ე.წ. სპორტული ფუფუნების ელემენტებია გამოყენებული: ძვირად ღირებული კარბონისგან დამზადდა ახალი სავარძლები, ამავე მასალის ჩანართები პანელში; საჭე, კარები და ბევრი სხვა დეტალი ნატურალური ტყავითაა გადაკრული. როგორც კომპანიამ გამოაცხადა, სულ 180 ასეთი ავტომობილი იქნება გამოშვებული. თითოეულ მათგანს თანდართული ექნება მანქანის სერიული ნომერი. ■

## „ფოლქსვაგენის“ ახალი კონცეპტი

ე.წ. კროსოვერი, ახლახან გახსნილ ჟენევის საერთაშორისო ავტოსალონზეა წარმოდგენილი. მას უპრეტენზიო სახელი — Concept შეურჩიეს. მიუხედავად ამისა, თვით მანქანა უპრეტენზიო და მარტივი როდია. დიზაინერთა აზრით, მის ექსტერიერში, ერთდროულად, სპორტული კუპესა და ყველგანმავლის ელემენტებია თავმოყრილი. რადიატორის ცხაურის ფორმა „გოლფისა“ და „ჯეტას“ მოდელებისას ჰგავს, ხოლო დიოდურმაშუქიანი ოპტიკა აშკარად მიუთითებს იმაზე, თუ ეს მანქანა რომელ საუკუნეს მიეკუთვნება.

Concept A ცოტათი ჰქნებესაც წააგავს, რადგან მისი უკანა მხარე, ევროპისთვის ტრადიციულ სტილშია გადანყვიტული. კონსტრუქტორებმა ამჯობინეს, რომ კარები ერთიმეორის საპირისპირო მხარეს იღებოდეს. ამის შედეგია ისიც, რომ ძარას შუა დგარი არა აქვს.

სალონში, ტყავით გადაკრული 4 სავარძელი და მოხდენილი ხელსაწყოთა პანელი დაგვხვდება. მანქანის პარამეტრებია: სიგრძე — 4348 მმ, სიგანე — 1854 მმ — ამგვარად, ის 144 მმ-ით



გრძელი და 95 მმ-ით განიერია, ვიდრე მე-5 თაობის „გოლფი“. კონცეპტუალური კროსოვერი 150 ცხ.დ. სიმძლავრის TSI ტიპის ტურბოდამბრევიანი ძრავითა და 6-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფით, აგრეთვე, სრულამძრავიანი სისტემით — 4Motion — არის აღჭურვილი. ■



რუსულან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-8)

ახალგაზრდა ექიმი ლანა მესხი კოლეგის, გიზო ვაშაკიძის მეგობრის, გივი გიგაურის ფარმაცევტულ ფირმაში მუშაობს. გივის სურს, ლანას ბებიის, რაჭაში ცნობილი სახალხო მკურნალის რეცეპტებით დამზადებული წამლები გამოუშვას. ლანა სოფელში ბებიის სანახავად მიდის... მანამდე, მის ცხოვრებაში ახალგაზრდა ბიზნესმენი ლევან ქართველიშვილი გამოჩნდება, რომელიც მალე გერმანიაში სტაჟირებაზე მიდის. ლევანი ქვრივია და 6 წლის ქალიშვილი ჰყავს...

ლანასა და გივის მდივანს, თინკოს ეჭვი აქვთ, რომ გიგაური ნარკოტიკებით ვაჭრობას მისდევს და ფიქრობენ, რომ ის მალე, მახეში გაეგებება, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდება: გიგაურის კვლში ჩამდგარი პოლიციელები ნარკოტიკებს რატომღაც, მის კაბინეტში შემთხვევით დარჩენილ ლანას პუჯაკში იპოვიან... თუმცა, ლევანის ფირმის ადვოკატისა და თინკოს საქმროს ძალისხმევითა და გირაოს გადახდის შედეგად, ლანას მალევე გაათავისუფლებენ პატიმრობიდან. მაგრამ იქ გატარებული რამდენიმე დღეც, მის სულს იმდენად მძიმე დასვა, რომ ყველაზე ახლო და ერთგულ ადამიანებთან ურთიერთობაც კი აღარ სურს. თამარი შვილს ცოტა ხნით რაჭაში, ბებიასთან წასვლას ურჩევს... ერთ დღეს, ლანა შემთხვევით გადაეცრება ლევანს, მასთან შინ მისვლაზე დათანხმდება და ბოლოს, მის ლოგინშიც აღმოჩნდება...

დილით კი, მის კარადაში შემთხვევით, საკუთარ ლიფს გადააწყდება. ლევანი ცდილობს, აუხსნას, თუ როგორ მოხვდა ეს ნივთი მასთან და არწმუნებს ქალს — შენს პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარებაო. ამ დროს, ლანას დედა ურევავს და ბებიის ავად გახდომის ამბავს ატყობინებს. ლევანი საკუთარი მანქანით წაიყვანს ლანას სოფელში, მაგრამ ქეთოს ცოცხალს ვერ მიუხსნებენ... თამარი აღმაცხრად უყურებს ლევანს და შვილისგან მოითხოვს, რომ კაცმა იქაურობა დატოვოს. თამარის ძმისშვილი გოგა კი, მამიდას ასარებს — სიძე გიშოვიო! თამარი გოგას დატუქსავს, ლანას კი მკაცრად გააფრთხილებს, ლევანი აქ აღარ ვნახოო. მაგრამ ლევანი ქეთოს გასვენებაში მინც მივა, თან, თავის



ბებიასაც მიიყვანს. თამარი აღშფოთებას ვეღარაფრით დაფარავს, ლანას ძმა — რეზო კი, ლევანს განზე გაიხმობს და „საქმის გარჩევას“ დაუპირებს... მთელი დღის ორომტრიალით დაღლილ თამარსა და ლანას საღამოს, გოგა გაღმასოფლელ ნოკოლოზ დვალს მიაყენებს კარზე.

თამარმა ღვინით სასვე დოქი სუფრაზე უხმოდ დადგა და ჭიქების მოსატანად სამზარეულოსკენ გასწია, თან ლანასაც ანიშნა, გამოემყვიო, მაგრამ ეს უკანასკნელი ადგილიდან არც კი დაძრულა.

— ლანაუკა, ბოშო, — თამარის გასვლისთანავე მიუბრუნდა მამიდაშვილს გოგა, — გეცანი, ეს არის ჩვენი ნიკოლოზა...

— ნიკა, — გაანწყვტინა მას სტუმარმა და თან, ლანას თვალებით ბურღვა დაუწყო.

— ნიკა და ნიკოლოზა ერთი არ არის?! — მხრები აიჩეჩა გოგამ.

— ჰო, მაგრამ მე მაინც ნიკა მირჩევნია, — ლანასთვის თვალი წამითაც არ მოუცილებია სტუმარს, — თქვენ?

— ჩემთვის ნამდვილად სულერთია, — უპასუხა ლანამ, — თუმცა, ნიკოლოზი, ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი წმინდანია.

ამასობაში, თამარმა ღვინის ჭიქები და გაფიცებული ლობიანები შემოიტანა.

— ისევ შენ, მამიდაჩემო, თუ არა, შენს ქალიშვილს ისე ჩამოსტირის ცხვირ-პირი, თითქოს სახლში მტრები შემოსცივივოდნენ... — დოქს ხელი წამოავლო და ჭიქების შევსება დაიწყო გოგამ.

— ჩემს შვილს და მე სატირალი მართლაც გვაქვს, — სიტუაციის განმუხტვა სცადა თამარმა, — მაგრამ სტუმარს მაინც თავის წესსა და რიგზე უნდა დახვედრა.

— აგაშენებს ღმერთი! — გაანწყვტინა მას გოგამ და ნიკას ჭიქა მიუჭახუნა. — ბებიანჩემის ხსოვნა-არდავინცებისა იყოს!

— ხსოვნა იყოს!.. — ღვინო ოდნავ მოსვა ნიკამ.

— აუნე, შე კაცო, რა ქალიშვილივით ეპარები! — შეაგულიანა გოგამ. — ქელქში ჭიქა არ გამოგიტოვებია და ახლა რა დაგემართა?... ნუ გემინია, ისევ ის ღვინოა!..

ნიკამ ჭიქა ბოლომდე გამოცალა, მაგიდაზე ფრთხილად დადგა და ლანას თვალი თვალში გაუყარა.

— ამ ჭიქით კი... — სასწრაფოდ შეავსო ჭიქები გოგამ, მაგრამ ნიკამ აღარ აცალა:

— ამ ჭიქით, სიცოცხლეს და ჩვეს წასვლას ერთად გაუმარჯოს, ჩემო გოგა! — ფეხზე წამოდგა ის.

— მლუპავ, შე კაცო?! — შეუძახა მას გოგამ. — რა დროს წასვლაა?! ერთი-ორი ჭიქა კიდო დაგველია...

— სხვა დროს, ჩემო გოგა, ახლა ამ ოჯახს სიმშვიდე და მოსვენება სჭირდება. ხომ მართალი ვარ, ქალბატონო ლანა? — ჰკითხა მან ლანას.

— ჭეშმარიტად! — უპასუხა ლანამ და ისიც ფეხზე წამოდგა.

— მეიცათ! — სასწრაფოდ ჩაერია ლაბარაკში გოგა. — ის მაინც მათქმევივით, ეს კაცი ამ შუალაზე აქ რისთვის მევიყვანე, — ჯიბეში რალაცის ძებნა დაიწყო მან შემდეგ.

— არ არის საჭირო! — გამოცლილი ჭიქა მაგიდაზე ისევ უხმაუროდ დადგა ნიკამ, შემდეგ, გოგას ხელი ხელში ჩაავლო და ისევ შეაჩერა: — მე რომ წავალ, ეგ საქმე მერე გააკვივით...

— ა, ბატონო, ჩეიბარეთ! — ნიკას წასვლისთანავე, ისევ ჯიბეში ჩაიყო ხელი გოგამ, გვარიანად დაჭმუჭნილი ფულის კუპონურები ამოიღო და მაგიდაზე დაყარა.

— ეს რა არის? — შეკრთა თამარი.

— ფულია, რა უნდა იყოს?! — კუპონურებს ხელისგულით დაუწყო სწორება გოგამ.

— ხედავ, რომ ფულია, მაგრამ აქ რისთვის მოიტანე?

— ეს ის ფულია, საკლავისთვის რომ გამოგართვი.

— მერე?

— მერე, ნიკოლოზამ ისევ უკან დაგვიბრუნა — შესაწირავის სიაში ჩემს სახელზე ჩანერთო.

— ა-ა-!.. — როგორც იქნა, მიუხვდა თამარი. — მერე, აქ რას მოარბენინებდი? დედაშენს ვერ მიუტანე?.. ვითომ არ იცი, რომ შესაწირავიც იმან ჩაიბარა და შეუწირავიც...

— ვიცი, მარა ეს ფული ქეთოს ზანდუკიდანაა და ისევ იქ უნდა ჩაბრუნდეს!

— შენც მართალი ხარ, — როგორც იქნა, ფულს ხელი მოჰკიდა თამარმა. — ჯერ ისევ იქ შევინახავ და მერე ვნახოთ.

...გოგას წასვლის შემდეგ, თამარი სუფრის ალაგებსა შეუდგა, ლანა კი მამუნივე დასაძინებლად დაწვა.

— გძინავს? — ცოტა ხნის შემდეგ შეაკითხა მას ოთახში თამარმა.

— არა, — მოკლედ მოუჭრა ლანამ.

— რა არის, იცი?.. — დაიწყო თამარმა.

— რა? — უხალისოდ ჰკითხა ლანამ.

— ის კაცი ძალიან არ მომეწონა.

— ვინ? — ვითომ ვერ მიუხვდა დედას ლანა.

— ვინ და ნიკოლოზაა თუ ვიღაც ეშმაკი... შენ რომ ყასაბს ეძახი... ძალიან ბოროტი გამოხედვა აქვს, ბოროტი და ვერაგო... თვალები კი, ადამიანის სულის სარკეაო, ნათქვამია...

— მერე, შენ რა განერვიულებს?! — გვერდი იცვალა ლანამ. — მაგის ბოროტ თვალებზეც და სულზეც მაგისმა პატრონმა იდარდოს! ჩვენთან კი, დღეის ამას იქით

რალა ხელი აქვს?!

— მასე გეგონოს შენ! — თავისას განგრძობდა თამარი. — ნამდვილად რალა-ცამია საქმე, თორემ, მაგას რომ იმ საკლავის ჩუქება ჰქონოდა გადაწყვეტილი, ჭირისუფლებს იმავე საღამოს მოგვადგებოდა ფულზე?..

— რა თქმა უნდა, არ მოგვადგებოდა. — აბა, ახლა რალა მოხდა?

— რა მოხდა და ხომ გითხარი, ეგ მართლა ყასაბი, მთელი ქელეხის მანძილზე თვალებით მჭამდა-მეთქი!..

— ღმერთო, ღმერთო! — ყურებზე ხელები გამეტებით მიიჭირა თამარმა. — ეგ ღვთისპირიდან გადავარდნილია გვაკლდა!.. არა მინც...

— მოდი, რა, დავიძინოთ! — გაანყვეტინა ლანამ. — ხომ იცი, რომ ახლა ორივეს ნერვები საშინლად გვაქვს დაჭიმული და ალბათ, ყველაფერს ვაზვიადებთ.

— ისე, მგონი, ამ კაცს ლევანიც უნდა იცნობდეს... — მინც არ გაჩუმდა თამარი.

— მაღლობა ღმერთს! — უცბად ლოგინზე წამოჯდა და ტაშიც კი შემოჰკრა ლანამ.

— რა იყო? — შეკრთა თამარი. — განა რა ვთქვი, ასე რომ გაგამხიარულე?

— რა და ლევანი სახელით მოიხსენიე... — უპასუხა ლანამ. — აქამდე ხომ მხოლოდ „ჩემს ვაჟბატონს“ ეძახდი...

— შენ რა გითხარი! — შვილს ლოგინზე ჩამოუჯდა თამარი. — მეც არა ვთქვი, რა აღმოაჩინა-მეთქი?

— აღმოვაჩინე, აბა, რა... ჯერ სახელს დაუძახებ, მერე, იქნებ, ცოტა გულიც უჩვენიო და იმაშიც დარწმუნდე, რომ არც ისე ცუდი ადამიანია...

— ცუდი რატომ უნდა იყოს?! — ლამის იწყინა თამარმა. — სხვა რომ არაფერი, ჩვენი მხარის კაცია...

— ეგეც მეორე პლუსი! — ახლა კი, მართლა გამხიარულდა ლანა. — თუმცა, რა?.. ლევანი რომ ვთქვათ, კახელი იყოს, ვითომ ამით რამე მოაკლდებოდა?!

— შენთვის, რა თქმა უნდა, არაფერი. ზანგიც რომ იყოს, ალბათ, მამინაც გეყვარებოდა, — ალაღად აღიარა თამარმა. — მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ რაჭველი კაცების მეოჯახეობა საქვეყნოდაა ცნობილი...

— აუ, დედა, გეჭვენები, რა!.. რატეს ლაპარაკობ?!. გაიხედე გარეთ, რომელი საუკუნეა... — ისევ ლოგინში ჩაძვრა ლანა.

ერთი კვირის შემდეგ, თამარმა თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა.

— მინც არ მოგიტომინა, ხომ, გულმა?! — სამზადისში გართულ დედას უხალისოდ ადევნებდა თვალს ლანა.

— რა ვენა, შვილო, — დანაშავე ხმით უპასუხა თამარმა. — რეზიკოც ცოდვაა. ჩავალ, საქმეზე ცოტა ხელს წავუკრა და მალევე ამოვბრუნდები.

— ვიცე მე შენი „მალე“! — გაღიზიანდა ლანა. — მაკა რომ ერთს დაგიცაცხანებს, აქეთ ზაფხულამდე ვეღარ იზამ პირს...

— ნუ სულელობ! — ხმას აუწია თამარმა. — ცოტა ხანში, დედაჩემის ორმოცი მოდის და როგორ ფიქრობ, არ ჩამოვალ?

— ნესით, უნდა ჩამოხვიდე, მაგრამ რა

იცე, მაკუნია რა ხასიათზე იქნება...

— მაინძელო! — მოისმა უეცრად გარედან გოგას მხიარული ხმა. — სტუმრებს მიიღებ?

— ოჰ, თუ ახლა ისევ ის ყასაბი მოგვაყენა კარზე, ჩემი ხელით გავუხეთქე ამ იდიოტს თავს! — გაცოფებული ეცა კარს ლანა, მაგრამ ზღურბლზე გოგას გარდა ვერავინ დაინახა...

— რა მოხდა, შე ქალო? რავა ნადირივით ეტაკე ამ კარს! — მამინევე ოთახში შემოალაჯა გოგამ.

— ნადირები შენკენ მოიკითხე! — აღარც ლანა დარჩა ვალში.

— რა იყო, რა დაჭამეთ ერთმანეთი?! — გაუწყრა ორივეს თამარი.

— ისევ შენ თუ მიშველი, ჩემო მამიდუკა, თუ არა, ამას ჩემი მტერი გადაეკიდა! — სასწრაფოდ თამარზე გადაერთო გოგა.

— რა გჭირს? — უხალისოდ ჰკითხა თამარმა.

— მე — არაფერი.

— აბა, რა ხდებ?

— გეიხედე გარეთ და დეინახავ!

თამარმა ძისშვილს ერთი უნდოდ გადახედა, შემდეგ აივანზე გავიდა და ჭიშკართან მდგარი, ხის მორებით დატვირთული თვითმცლელი დაინახა. მანქანის ძარაზე ორი უცნობი ახალგაზრდა იდგა და პატარა ნაჭრებად დახეობილ, დასაჩვენებელ გამზადებულ მორებს პირდაპირ ეზოში ისროდა.

— ესენი ვინა არიან? — იკითხა გაცივებულმა თამარმა.

— გაღმასოფლელი ბიჭუნები არიან, ნიკოლოზას მეზობლები... — უპასუხა გოგამ.

— მერე, აქ რას აკეთებენ? — შუბლი შეიკრა თამარმა.

— ფაფას ჭამენ... — უშნოდ გაიკრიჭა გოგამ.

— მე არ მესურება! — გაანყვეტინა თამარმა. — თუ შეშის მოტანას აპირებდი, ვერ გამაფრთხილებე?!

— მე რომ დამეპირებინა, კი... — უმაღლესერიოზულდა გოგა. — მარა ეს მორები ნიკოლოზა დვალმა გამოგიგზავნათ.

ამ სახელის გაგონებისთანავე, მანამდე აივანზე არსენად მდგარი ლანა ოთახში დემონსტრაციულად შებრუნდა და მამიდა-ძისშვილი ერთმანეთს შეატოვა.

— კი, მაგრამ იმ ნიკოლოზას თუ ვილაკე ეშმაკს ჩემი შემთხვევაში მამარაგება ვინ დაავალა?! — ხმას აუწია თამარმა.

— ცოტა ჩუმათ, შე ქალო, ბიჭუნებმა არ გეიგონონ! — შენუხდა გოგა.

— გაიგონებენ და გაიგონონ! — ხმას კიდევ უფრო აუწია თამარმა. — იმ კაცის მოტანილი შეშა მე არაფერში მჭირდება!

— ისე, ნიკოლოზას მეც ქე ვუთხარი, არ



გინდა, მაგ საქმეს მე და მამაჩემი მივხედავთქვა, მარა არ დეიშალა და რა ვენა?.. ქეთოს საჩუხში რომ შევიხედე, შეშა თითქმის აღარაა დარჩენილიო, დეიჩემა...

— დავიჯერო, დედაჩემს ზამთრისთვის შეშა არ ჰქონდა მომარაგებული?! — გამანარდა თამარი.

— რავა არ ჰქონდა, მარა ხომ ხედავ, რომ დენი აქ არ არის და გაზი... ქელეხის სუფრის შემის „ფეჩხე“ მომზადებას ეჭუმრები შენ?!. ჰოდა, ქე დეილია ის ოხერი შეშა. წინ კიდო ორმოცი გველოდება...

— და ამიტომაც, ვინც რას გადმოგიგდებას სამადლოდ, ყველაფერს ხელი უნდა მოკვიდოთ?! — თავისას არ იშლიდა თამარი. — ახლავე ჩადი და უთხარი, აქედან მოაცილონ ყველაფერი!

— აჰ, ამას ნამდვილად ვერ ვიზამ! — ხელები გაასაფხავა გოგამ.

— კარგი, დედა! — ისევ გამოჩნდა აივანზე ლანა. — ამ უცხო ბიჭებს რალას ერჩი?! მართლა ისევ მანქანაზე ხომ არ აყრიან მორებს!..

— აბა, რა ვენათ? — უმწეო გამომეტყველება მიიღო თამარმა.

— არც არაფერი, — მშვიდად უპასუხა ლანამ. — ეს ხალხი თავის გზაზე გავუშვათ, მერე კი, იქნებ, ბატონი ნიკოლოზი ვნახოთ და უმორჩილესად ვთხოვოთ, ჩვენს მეურვეობაზე ხელი აიღოს.

— ნიკოლოზას ნახვა თუ მართლა გინდათ, ამ საღამოს, მამაჩემთან აპირებს გადმოსვლას და თქვენთანაც ამევიყვან, — სასწრაფოდ ჩაერთო დედა-შვილის ლაპარაკში გოგა.

— შენ ჯერ ეს ბიჭები გაისტუმრე და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ! — საბოლოოდ დააკვალიანა გოგა თამარმა.

— კაი, აბა! — მამინევე დათანხმდა გოგა. — ჩავალ და ცოტა მეც ნოუკრავ ხელს, — კიბისკენ შებრუნდა გოგა.

— მოიცა! — დაადგინა ძისშვილს თამარმა. — თქვენს გადამკიდეს, მალე, ყველაფერი დამავინებდა: რომ მორჩებით, მერე სახლში ამოდით და თითო ჭიქით დაილოცეთ, თორემ, მართლა ველურები ვვგონებით...

— შენ გენაცვალე, მამიდა, შენ! — კინალამ ტაში შემოჰკრა გახარებულმა გოგამ. — ხანდისხან, ძან რაჭულად ქე ირჯები,



მარა მინც კარგი ქალი ხარ! — დაუმატა მან და კიბზე კისრისტეხით დაეშვა.

— შენც კარგი ვინმე ხარ! — როგორც კი მინ შებრუნდნენ, მამინვე ეცა ლანა თამარს. — ჯერ ის მორები კინალამ სათითაოდ ურტყი იმ ბიჭებს თავში და ახლა სახლშიც ეპატიუები?!

— აბა, რა ვქნა? — ხელები გაშალა თამარმა. — მთლად ხომ არ გამოვიჭენებთ თავს სოფელში! ისედაც ალბათ, ჩვენზე ჭროაობს დიდი და პატარა.

— იქორაონ და იყონ! — ფარდაგადაფარებულ ხის ტახტზე წამოწვა ლანა და თავქვე მუთაქა ამოიდო. — ენას ხომ ძვალი არა აქვს...

— სამაგიეროდ, სოფელს აქვს ასი თვალი და ასი ყური! — „დაამშვიდა“ შვილი თამარმა.

— აი, დარდი! — კედლისკენ შებრუნდა ლანა.

— იმედია, ის ბიჭები რომ ამოვლენ, მამინ მინც წამოიმართები ფეხზე... — ლანას საქციელმა კიდევ უფრო გააღიზიანა თამარი.

— თუ რომელიმე, თვალში მომივიდა — კი.

— ადექი, გოგო, სუფრის გამლაში მინც მომეხმარე! — იფეთქა თამარმა.

— თუ ღმერთი გნამს, რა!.. — არც კი განძრეულა ლანა. — სუფრა არა, კიდევ ის! ერთი-ორი ლობიანი გაუფიცე, „ვიჩინა“ კაი სქელ ნაჭრებად დაუჭერი და მორჩა!..

— თუ რამე დაგვრჩა დასაჭერელ-გასაფიცებელი — კი, — ამოიხსრა თამარმა და სამზარეულოში გავიდა.

ცოტა ხანში, ეზოდან მარტო გოგა ამოვიდა.

— ის ბიჭები რა უყავი? — ჰკითხა მას თამარმა.

— არ ამომყენენ და რა ვქნა?! — ხელები გაშალა გოგამ. — ნიკოლოზამ გვითხრა, ოჯახი არ შეანუხოთო.

— ააშენებს ღმერთი! ახლა მაგათი თავი ნამდვილად არ მქონდა... — გაშლილ სუფრაზე წუთის წინ დადგმული დოქის ისევ უკან წაღება დააპირა თამარმა, მაგრამ გოგამ არ დაანება:

— რას შობი, შე ქალო?! ამ დოქს რომ უკან მიარბენინებ, მე თვალში გეპატარავები თუ რა არის?

— ყოველდღე სმა არ გამიგონია მე! — დოქი მაგიდაზე უკმაყოფილოდ დადგა თამარმა.

— მერე, ვინ სვამს ყოველდღე?! — მამინვე სუფრას მიუჯდა კმაყოფილი გოგა. — გუმინ მაგალითად, წვეთი არ ჩამსვლია პირში. გუმინწინ კი — რაც მართალია, მართალია, — მაგრად ჩავლბით მე და ნიკოლოზა... მერე, კიდო...

— იცოდე, ეგ სახელი ჩემთან აღარ ახსენო! — განყვეტინა მისსევილს თამარმა.

— არის, უფროსო! — „ჩესტი“ აულო მას გოგამ და ის იყო, ლობიანის ნაჭერი გადმოიღო, რომ კარზე ფრთხილი კაკუნის ხმა გაისმა.

— გაგხედო? — ხმადაბლა ჰკითხა გოგამ თამარს.

— აბა, რა უნდა ქნა?! — ამოიხსრა

თამარმა.

გოგა ორ ნაბიჯში კართან გაჩნდა და ხმაურით გამოალო. ზღურბლზე საგანგებოდ ჩაცმულ-დახურული ნიკოლოზ დვალი გამოჩნდა.

— ნიკოლოზა?! — ცოტა არ იყოს, შეცბა გოგა. — მართლა შენა ხარ თუ თვალები მატყუებს?

— მე ვარ... — ჩახლქილი ხმით უპუსუხა სტუმარმა. — დავიჯერო, მართლა ასეთი ძნელი საცნობი გავხდი?

— რა ვიცო... — მხრები აიჩჩა გოგამ. — ისეთ ხარ გამოპრანჭული, მართლა, თლად პარიზიდან ჩამოსული ეგონები კაცს, — როგორც იქნა, განზე გადაგა და სტუმარი ოთახში შემოუშვა გოგამ.

— გამარჯობათ, ქალბატონო! — მიესალმა ნიკოლოზი თამარს თან, ტახტზე ფეხმორთხმით მჯდარ, ქეთოს ჩანაწერებში თავჩარგულ ლანასკენ გაეცა თვალი. — როგორ ბრძანდებით?

— გმადლობთ, არა გვიშავს, — ცივად უპასუხა თამარმა და ლანას გახედა: — ლანა, შვილო, სტუმარი გყავს...

ლანამ თავი ნელ-ნელა ასწია და მისი და ნიკოლოზის თვალები ერთმანეთს შეხვდა.

— გამარჯობათ, — მასაც მიესალმა სტუმარი.

— გამარჯობა... — ტახტიდან უხალისოდ წამოდგა ლანა.

ცოტა ხანს, ოთახში უხერხული სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც მალე, გოგამ დაარღვია:

— სუფრასთან მობრძანდი, ჩემო ნიკოლოზა, სუფრასთან!

— არა, დასაჯდომად ნამდვილად არ მცალია, — იუარა ნიკოლოზმა. — სულ ერთი წუთით შემოგიარეთ, მაინტერესებდა, შეშა თუ მოგიტანეს.

— კიდევ მოვიტანეთ და კიდევ დავაბინავთ! — ამაყად გამოუცხადა მას გოგამ. — მარა ისე, ცოტა მამიდაჩემი კი გავგიბრაზდა...

— რატომ? — გაუკვირდა ნიკოლოზს. — შემოსვვით, ჩემმა გამოგზავნილმა ბიჭებმა ხომ არ „დაატორმუხეს“?

— არა, ბიჭებმა ყოლიფერი ხუთიანზე შეასრულეს, მარა... — სათქმელი აღარ დაასრულა გოგამ და თამარს გახედა.

— მამინ, გამოდის, რომ მე დამიშავებია რაღაც...

— ჯერ დაბრძანდით და მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, — სკამზე ანიშნა თამარმა სტუმარს.

ნიკოლოზი წამით კიდევ შეეყოვნა, შემდეგ, გოგას გვერდით დაჯდა და სიგარეტის კოლოფი ამოიღო: — შეიძლება?

— შეიძლება, — ნება დართო მას თამარმა.

გოგამ კი მამინვე, ჭიქების შეესება დააპირა, მაგრამ ნიკოლოზმა საკუთარ ჭიქას ხელი დააფარა:

— მე არ დამისხა!

— რატომ, შე კაცო? — დოქიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა გოგას.

— აქედან ისეთ საქმეზე მივდივარ, რომ ფხიზელი უნდა ვიყო.

— რავარც გინდა! — ღვინო მარტო თავისთვის დაისხა გოგამ.

ამასობაში, სუფრას ლანაც მიუახლოვდა და ამჯერადც სტუმრის პირდაპირ დაჯდა. თამარი შვილს გვერდით მიუჯდა და მამინვე დაინყო:

— ბატონო ნიკოლოზ, ვიცი, რომ სოფელში ადამიანები ერთმანეთს ხშირად უმართავენ ხელს უნაგროდ, მაგრამ მინც გთხოვთ, ჩვენი დახმარება შეწყვიტოთ. სხვა რომ არაფერი, გასათხოვარი ქალიშვილი მყავს და არ მინდა, მის სახელს ჩრდილი მიადგეს.

— დედა! — განყვეტინა თამარს ლანამ. — მე რა შუაში ვარ?!

— შუაში კი არა, თავში ხართ, ქალბატონო ლანა! — თამარს პასუხი დაასწრო ნიკოლოზმა და ლანას თვალი თვალში გაუყარა.

— რას გულისხმობთ? — ვითომ ვერ მიუხვდა ლანა.

— იმას, რომ ძალიან მომწონხართ! — პირდაპირ უპასუხა მას ნიკოლოზმა.

— ჩემს შვილს ოფიციალური საქმრო ჰყავს! — უცბად, კბილებში გამოცრა თამარმა და აქაოდა, ამით ყველაფერი გარკვეულიყო, ფეხზეც დემონსტრაციულად წამოდგა.

— მერე რა?! — წარბიც კი არ შეუხრია, ისე უპასუხა ნიკოლოზმა. — საქმრო, თუნდაც ოფიციალური, ჯერ ქმარს მინც არ ნიშნავს...

— ამ პრინციპით თუ ვიმსჯელებთ, თქვენი სიტყვები ჩემთვის საერთოდ არაფერს ნიშნავს! — როგორც იქნა, სული მოითქვა ჯერ სტუმრის და მერე დედის მოულოდნელი სიტყვებით გაოგნებულმა ლანამ.

— ოფიციალური საქმრო, ალბათ, ლევან ქართველიშვილია, ხომ? — ქალბისთვის საერთოდ აღარ შეუხედავს, ისე მიუბრუნდა ნიკოლოზი მომხდარისგან გაოგნებულ გოგას.

— კი, ის არის, — როგორც იქნა, ამოლერლა გოგამ.

— არა უშავს, იმ კაცს მე მოვუვლი! — სიგარეტი მთელი ძალით მოქაჩა ნიკოლოზმა. — ბოლო-ბოლო, ძველი „საკამერნიკები“ ვართ...

— რაიო?! — ყურები ცქციტა გოგამ.

— რაც გაიგონე... — სიგარეტი პირდაპირ თევშზე დააჭყლიტა ნიკოლოზმა და ფეხზე წამოდგა...

სწორედ იმწუთას, ფანჯრის რაფაზე ლანას მობილური ტელეფონი აწკრიალდა. მაგრამ ლანა არც კი შეჩერებულა. ზარი ისევ გაემორდა.

— შენი ტელეფონი რეკავს, — გადაულაპარაკა თამარმა შვილს.

— ვიცი, — კბილებში ავად გამოცრა ლანამ, შემდეგ, ფანჯარასთან დინჯად მივიდა, აპარატი აიღო და მასზე დაფიქსირებულ ნომერს დახედა.

— გისმენ! — ჩასახა მან ყურმილში. — ეტყობა, გულმა გიგრძნო: სწორედ შენზე ვლაპარაკობდით... ვინ და მე, დედაჩემი, გოგა და შენი ძველი მეგობარი და კეთილისმსურველი, ბატონი ნიკოლოზ დვალი... გინდა, დაგალაპარაკო?.. კარგი, გადაეცემა... როდის?.. კარგი, ყველანი მოუთმენლად დაგელოდებით... — საუბარი დაასრულა ლანამ, აპარატი გათიშა და ისევ სუფრას

დაუბრუნდა: — ლევანი იყო, ყველა მოგიკითხათ, განსაკუთრებით კი — თქვენ, ბატონო ნიკოლოზ...

— ჩამოსვლას ხომ არ აპირებს? — დაინტერესდა ნიკოლოზი.

— აუცილებლად, — უპასუხა ლანამ.

— ბებიანჩემის ორმოცისთვის აქ იქნება.

— ძალიან კარგი... — მხოლოდ ტუჩის კუთხეებით გაელღმა ნიკოლოზს. — ჰოდა, ჩვენც მაშინ გავარკვევთ ყველაფერს...

დაუპატიჟებელი სტუმრის ნასვლის შემდეგ, კარგა ხანს, არც ერთს აღარ ამოუღია ხმა. ბოლოს, ისევ თამარმა დაარღვია დუმილი:

— ხვალვე, ჩემთან ერთად წამოხვალ თბილისში! — თითქმის უბრძანა მან ლანას.

— რატომ? — უცნაურად აიჩივა მხრები ლანამ.

— კიდევ რომ მეკითხება?! — ხელები გაშალა გაოცებულმა თამარმა. — ვერ ხედავ, რა არანორმალურმა და საშინელმა ადამიანმა დაგაგდა თვალი?! — ხმას აუნია მან.

— მერე?.. — კვლავ მშვიდად ჰკითხა ლანამ. — თბილისში ვეღარ მომაცნებს თუ ცხრაკლბულში მიპირებ ჩაკეტვას?

— თბილისი მაინც თბილისია: კარს თუ არ გაუღებს, სახლში ვერავინ შემოგივარდება. თანაც, შენი ძმაც იქვეა, ვეტყვი და კაცურად დაეღაპარაკება.

— კარგი, რა, დედა! — ყურებზე ხელები გამეტებით მიიჭირა ლანამ. — ჩემი ძმა არა, კიდევ ის!.. კაცს თავისი საქმისთვის ვერ მოუვლია და ახლა ჩემი პრობლემები აპკიდუ...

— რას გეტყვით, იცი?.. — როგორც იქნა, საუბარში ჩაერია გოგა. — ნიკოლოზას მე დაველაპარაკები და თუ ნამეტანი გოუბერა, ყბებშიც კარქათ მოვდებ! — უზარმზარი ტორები გამეტებით მომუშტა გოგამ.

— შენლა მაკლდი!.. — შეუღრინა მას ლანამ.

მომხდართ დაზაფრულმა თამარმა გოგა იმ ღამით სახლში აღარ გაუშვა.

— ნუ ნერვიულობ, მამიდუკა, მაგ საქმეს მე მივხედავ! — კიდევ ერთხელ დაამშვიდა თამარი, ტახტზე გაშლილ ლოგინში ჩამძვრალმა გოგამ და მალე, კარგა გვარიანი ხვრინვაც ამოუშვა...

ღილით, ძილ-ბურანში მყოფ გოგას ჯერ ლუმელში შენთებული შემოს ტკაცატკუცი, შემდეგ კი, თამარისა და ლანას ხმადაბალი ლაპარაკი ჩაესმა. გოგამ თვალები ნელ-ნელა გაახილა და მაგიდასთან მჯდარი დედაშვილი დაინახა. მისგან ზურგით მჯდარი თამარი, ლანას ისევ თბილისში დაბრუნებას ურჩევდა, მაგრამ ვერაფრით ითანხმებდა... გოგამ მათ კამათს ცოტა ხანს კიდევ უსმინა, შემდეგ, ერთი გემრიელად გაიზმორა და ლოგინზე წამოჯდა. ხმაურზე თამარმა უკან მიიხედა:

— მაღლობა ღმერთს, გაიღვიძე! — საყვედურნარევი ხმით უთხრა მან მისისვილს.



— გევიღვიძე, თუ არა, თქვენც შემწვარ-მოსრაკული დამახვედრეთ!.. მაგიდაზე მდგარ ჩაის ფინჯნებს აღმაცურად გახედა გოგამ. — მაინც რას ნახულობთ ამ ცხელი წყლის ხვრებაში?.. — ტანსაცმლის ზღაპრით ჩაცმა დაიწყო მან.

— რასაც შენ — ღვინის ყლურწვამი! — უპასუხა ლანამ.

— შენც შემიდარე, რაღა!.. — როგორც იქნა, ფეხზე წამოდგა გოგა. — სად, დალოცვილო, მამაპაპური ღვინო და სად — „მოხარული“ წყალი!

— მაგ უაზრო ლაქლაქს ის გირჩევნია, დაბლა ჩახვიდე და შეშა ამოიტანო! — სასწრაფოდ დავალება მისცა მისისვილს თამარმა.

— რომელი შეშა?.. ნიკოლოზას მოტანილი? — ახითხითდა გოგა.

— ნიკოლოზა იმას და სიკვდილი და არგადარჩენა! — გულთ დაიწყებდა თამარმა. — მთელი ღამე, თვალი ვეღარ მოვხუჭე...

გოგამ შეშა მალევე ამოიტანა, ღუმლის გვერდით ხმაურით დეყარა და ტანსაცმელი ჩამოიფერთხა:

— ახლა კი, ნავედი, თუ არა, თქვენი ამბავი რომ ვიცი, ოფლს ძალათ მომადენინებთ...

— ძლივს მარტო არ დავრჩით?! — გოგას ნასვლის შემდეგ, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა ლანამ.

— ამდენმა უაზრო მიდი-მოდიმ უკვე მეც ძალიან დამალა... — დაეთანხმა მას თამარი.

— მოდი, ვისაუზმობთ და ცოტა კიდევ წაფუძინოთ, — შესთავაზა მას ლანამ.

— გაგიჟდი, გოგო?! — დატუქსა შვილი თამარმა. — რაღა დროს ძილია!.. ან ვინ დაგვაცლის ძილს?!

თამარს სიტყვა ჯერ დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ოთახის კარი ხმაურით გაიღო და ზღურბლზე ისევ გოგა გამოჩნდა.

— ახლა რაღა მოხდა? — მკაცრად ჰკითხა მას თამარმა.

— ახლა მოხდა თუ მოხდა! — განზე საზეიმოდ გადასახეგაბადრული გოგა და ოთახში ლევანი შემოუშვა.

— შე-ენ?! — თვალებს არ დაუფერა ლანამ. — ამ დილადრინ, აქ საიდან გაჩნდი? გუშინ საღამოს, თბილისიდან არ დამირევე?

— ჰო, მაგრამ მას შემდეგ, მთელი რვა საათი და ოცი წუთი გავიდა!.. — საათზე დაიხედა ლევანმა და შემდეგ, თამარს მიუბრუნდა: — დაუპატიჟებელ სტუმარს თუ მიიღებთ, ქალბატონო თამარ?

— მობრძანდით... — ამოიხრა ქალმა და ფეხზე წამოდგა. — ამ ბოლო დროს, მარტო ეგეთი სტუმრებილა გვყავს...

— აბა, ახლა, ცოტა მოშინაურდით და მეც მოვალ! — გასასვლელისკენ შებრუნდა გოგა.

— სად მიდიხარ, ბიჭო? — კიბესთან დაენია მას თამარი. — ამ კაცს მიხედავ არ უნდა?!

— ათ წუთში აქ გაჩნდები, მამიდა, ნუ გეშინია! — კიბე სწრაფად ჩაირბინა გოგამ. — ჰო, მართლა, ნიკოლოზას ნაბუჭტურებზე ამ კაცს არაფერი უთხრათ!.. — დაყოლა მან შემდეგ.

ლევანის მოულოდნელი გამოჩენით საბოლოოდ დაბნეულმა თამარმა სუფრის გაშლაში ლანაც მოიხმარა. ამასობაში, გოგაც დაბრუნდა და ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ.

გოგამ თამადობა ლევანს სთხოვა. მანაც, ერთხელაც არ იუარა, ჭიქას ხელი ისე მოჰკიდა. თავიდან ოჯახი დალოცა, შემდეგ — ქეთო გაისუნჯა, ცოტა ხანში კი, თამარიც საგანგებოდ ადღეგრძელა. და ის იყო, ლევანის მოულოდნელი სტუმრობით გამოწვეული უხერხულობაც უკვალოდ უნდა გამქრალიყო, რომ მას ლანა მიუბრუნდა და ჯიქურ ჰკითხა:

— შენ და დავალი ერთმანეთს საიდან იცნობთ?

შემცბარმა ლევანმა, ლანას პასუხი დაუგვიანა და სუფრაზეც წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

— რაში განიტერესებს? — კითხვა იქით შეუბრუნა შემდეგ მან ქალს.

— მაინტერესებს და მორჩა! — გაჯიუტდა ლანა.

— ბიჭო, ლევანა, ჩრდილოეთ პოლუსზე მართლა იყო ეგ ოხერი თუ იგონებს? — სიტუაციის განმუხტვა სცადა გოგამ.

— მართლა იყო... — ლანასთვის თვალი წამითაც კი არ მოუშორებია, ისე უპასუხა ლევანმა გოგას.

— შემთხვევით, ერთად ხომ არ იყავით?.. — ჩაეძია ლანა.

— არა.

— აბა, საიდან იცნობ?

— ძალიან განიტერესებს?

— ძალიან.

— გერმანიის ციხეში ვიჯექით ერთად... — რა-ა?! — გულზე ხელი იტაცა ლევანის სიტყვების გამგონე თამარმა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# როგორ გახდა «ტროცკისტის შვილი» საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი


## ლევან ინწყირველი ქართულ კალათბურთში უცხოელთა ინტეგრაციის წინააღმდეგია

### გიორგი ლანჩავა


საქართველოში ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ სპორტს დიდი ყურადღება ექცევა. მაგრამ საქმე ასე ნამდვილად რომ არ არის, იოლად დარწმუნდება ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მიხეილ კმაკელიძის სახელობის ბავშვთა საკალათბურთო დარბაზში მოხვდება. ადამიანს ალბათ, სპორტის ეს სახეობა ძალზე უნდა გიყვარდეს, რომ იქ ივარჯიშო, რადგან ჯერ ერთი, დარბაზში პარკეტია აყრილი და წვიმის დროს, სახურავიდან წყალი ისე ჩამოდის, იქ მყოფნი ვედროების გამოცვლას ვერ ასწრებენ, მეორეც — აუტანელი სიცხევა და ალბათ „მორფი“ უნდა იყო, რომ ამას გაუძლო. თუმცა, მინც არსებობს ხალხი, რომელიც შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად, დარბაზში ყოველდღე მიდის და მოზარდებს ავარჯიშებს. ერთ-ერთი მათგანი, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ლევან ინწყირველი გახლავთ. ის 17 წლის განმავლობაში იცავდა თბილისის „დინამოს“ ლირსებას და გუნდთან ერთად, ევროპის ჩემპიონთა თასის გარდა, სამჯერ მოიგო საკავშირო პირველობა. გარდა ამისა, ბატონმა ლევანმა გუნდთან 1959, 1960, 1961 წლებში, ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვა, 1948 და 1952 წლებში — „ბრინჯაო“, ხოლო 1949, 1950, 1951 წლებში — საბჭოთა კავშირის თასი. მისი მთავარი მწვრთნელობისას კი, „დინამო“ ჩემპიონატში ჯერ — ოქროს, შემდეგ — ვერცხლის მედლებს დაეუფლა, აგრეთვე, თასის გათამაშებაში იმარჯვა, დაბოლოს — ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში იასპარეზა, რაც საერთაშორისო არენაზე ქართული კალათბურთის უკანასკნელი წარმატება გახლდათ. 78 წლის მწვრთნელი ახლაც, ადრინდელი ენთუზიაზმით ეკიდება საქმეს და მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, საუბარს არ დაგვზარდა.

### არჩევანი კალათბურთის სასარგებლოდ

— ბავშვობაში, ბათუმში ვცხოვრობდი და ფეხბურთით ვიყავი გატაცებული. ოჯახით თბილისში რომ გადმოვედი საცხოვრებლად, სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში გავაგრძელე მეორე მსოფლიო ომის დროს, ტექნიკურში ვსწავლობდი, სადაც ჩემთან ერთად, შემდგომში კალათბურთში ცნობილი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვახტანგ ჯავახიანიც ეუფლებოდა ცოდნას. სწორე მან შემომთავაზა ვარჯიშის დაწყება. „დინამოს“ დარბაზში, ლენინგრადიდან ჩამოსულ ალექსანდრე ელენსკისთან შევედგე წვრთნას, მაგრამ ფეხბურთისთვის თავი არ დამინებებია. ცოტა ხანში, „ნორჩი დინამოლის“ გუნდში მოვხვდი და მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე მეორე ადგილი დავიკავეთ — ფინალში ესტონეთის ნაკრებთან დავმარცხდი. 1947 წელს, ცნობილმა ქართველმა მწვრთნელმა, შალვა დიასამიძემ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდში მიმინვია, მაგრამ პარალელურად, ჩემი აყვანა „დინამოს“ ფეხბურთელთა დუბლშემადგენლობაშიც უნდოდათ. ბოლოს და ბოლოს, არჩევანი კალათბურთის სასარგებლოდ გავკეთე და უკვე 1948 წელს, გუნდთან ერთად, მოსკოვში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ვიასპარეზე. მაშინ, მე და ვაჟა ულენტი ვიყავით დებიუტანტები, ამიტომ დიასამიძე მხოლოდ მცირე ხნით თამაშის საშუალებას გვაძლევდა. კუნძასი „ჯალღირისთან“ მესამე ადგილისთვის მატჩში ისე მოხდა, რომ სულელო თორთლაძეს თასმა გაუწყდა და რადგან იმ დროს არსებული წესების მიხედვით, ნუთუშეყენების აღება არ შეიძლებოდა, მის მაგივრად, პირველი ტაიმის მიწურულს, მე შემიყვანეს. თამაში კარგად წამივიდა და დიასამიძემ მეორე ტაიმშიც დამტოვა მოედანზე. ის შეხვედრა მოვიგეთ და ბრინჯაოს მედლებს დავეუფლეთ, რამაც უსაზღვროდ გამაასრა.



ნიკოლოზ ღერეუკინთან ერთად



### სპორტკომიტეტის საგანგებო გადაწყვეტილება

— 1949 წლიდან, უკვე „დინამოს“ ერთ-ერთ ნაწყვეან კალათბურთელად ჩამოყალიბდი და იმავე წელს, საბჭოთა კავშირის თასი მოვიპოვეთ, რამაც დიდი წვლილი მიმიძღვის. ერთი სეზონის შემდეგ, გუნდმა ქვეყნის ჩემპიონატშიც მოიგო და თასიც. 1951 წელს, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში „დინამო“, როგორც ამ ტიტულის ორგზის მფლობელი წარდგა და მესამედ ამ ჯილდოს მოპოვების შემთხვევაში, ეს თასი სამუდამოდ ჩვენ დაგვრჩებოდა. მაგრამ საკავშირო სპორტკომიტეტმა განგებ შეცვალა გათამაშების დებულება, რომ „დინამოს“ ასეთი წარმატებისთვის არ მიეღწია და გათამაშებაში მონაწილეობის უფლება, კლუბებთან ერთად, ქალაქებისა და რესპუბლიკების ნაკრებებს გუნდებსაც დართო. აქვე გეტყვი, რომ „დინამოს“ ვერ დაეხმარა ოთარ ქორქია, რომელიც ქვეყნის პირველ გუნდთან ერთად, პარიზში, ევროპის ჩემპიონატზე იმყოფებოდა და სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით, ნაკრების წევრებს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ მისცეს. ცხადია, პარიზიდან მოსკოვში დაბრუნებული ოთარი მატარებელში ჩაჯდა და თბილისში გაემგზავრა. მაგრამ თასის ნახევარფინალური შეხვედრები რომ დაინყო, მოსკოვის გუნდის მოთამაშეები მოვიდნენ და სპორტკომიტეტის ოფიციალური განცხადება მოიტანეს, რომელშიც ეწერა — თუ ნაკრების კალათბურთელებს სურვილი აქვთ, შეუძლიათ, სათასო მატჩები ითამაშონო. ცხადია, ეს განგებ იყო გაკეთებული იმისთვის, რომ მოსკოვის გუნდი გაეძლიერებინათ, ხოლო ჩვენ, თბილისისკენ მატარებლით მიმავალ ქორქიას უკან ნამდვილად ვერ დავაბრუნებდით... ფინალში მოსკოვის ნაკრებს შევხვდით და ქორქიას გარეშე მინც დავამარცხეთ... 1953 და 1954 წლებში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ზედიზედ ორჯერ მოვიგეთ, თან, ოქროს მედლებს ისე დავეუფლეთ, რომ არც ერთი თამაში არ წაგვიგია.

### ქვეყნიდან გაუსვლელი

— 1954 წელს, „დინამომ“ არსებობის ისტორიაში პირველი საერთაშორისო აშანაგური მატჩი ჩაატარა ბულგარეთის ნაკრებთან. ბალკანელებმა ჩვენთან შეხვედრაზედ ორიოდ დღით ადრე, საბჭოთა კავშირის ნაკრები დაამარცხეს. მიუხედავად ამისა, თბილისში მეტოქეს 30 ქულით მოუფეთ. იმავე წელს, ტურნე გვიქონდა ეგვიპტეში, სადაც ჩატარებული სუთი შეხვედრიდან არც

ერთში არ დაგმარცხებულვართ. ზოგიერთს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ ეგვიპტელები 1949 წელს, ევროპის ჩემპიონები იყვნენ. მართალია, ეს აფრიკული სახელობიდან, მაგრამ ვინაიდან მათ კონტინენტზე კალათბურთი განვითარებული არ იყო, ამ ქვეყნის ნაკრებს კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ევროპის პირველობაზე მონაწილეობის უფლება დართო. ჩემთვის ეგვიპტეში გამგზავრება პირველი საზღვარგარეთული ვიზიტი გახლდათ, არადა, როგორც საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატს, უცხოეთში წასვლის შესაძლებლობა მანამდეც მქონდა. თუმცა, 1949-დან 1953 წლამდე, საბჭოთა კავშირის საზღვრების დატოვების საშუალება არც ერთხელ არ მომცეს, რადგან 1937 წელს, მამაჩემი დაბავშვებული გახლდათ და მე „ტროცკისტის შვილად“ ვითვლებოდი. ამის გამო, ვერც ევროპის ჩემპიონატში მივიღე მონაწილეობა და ვერც 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადამი... ეგვიპტიდან სირიასა და ლიბანში ჩავდივით, სადაც ასევე აშხანგური თამაშები ჩავატარეთ. სხვათა შორის, დამსაკომი მცხოვრებმა ქართველმა დიასპორამ ჩვენი ჩასვლის აშხანი რომ გაიგო, ძალიან გაუხარდა და მის ნარომოდგენულს „დინამოს“ მიერ ჩატარებული არც ერთი თამაში არ გაუცდებინათ.

### ისტორიული თამაში

— „დინამოში“ თაობათა ცვლის პროცესი რომ დაიწყო, გუნდს რამდენიმე წლის განმავლობაში, მცირე ჩაგარდნა ჰქონდა. მაგრამ 1959 წლისთვის, კრიზისი უკვე დაძლეული იყო, რაც საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადამაც დადასტურა. მაშინ „დინამოში“ თავის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩატარა, როცა 3 კალათბურთელით, ლატვიელთა სრული შემადგენლობა დამარცხა. თამაშში, რომელიც ორსაათ-ნახევარი გაგრძელდა, გამარჯვებული ვერც ძირითადად დრომ გამოავლინა და ვერც ორმა დამატებითმა, სუთნუთიანმა ტაიმმა. მესამე სუთნუთიანი რომ დაიწყო, ყველანი ძალზე დაღლილები ვიყავით და ერთ-ერთ ეპიზოდში მეტოქემ წამაქცია მართალია, ამ დროს, კუნთი საკმაოდ მეტკინა, მაგრამ გაუსაძლისი მდგომარეობა არ მქონდა, მაგრამ შექმნილი სიტუაციით ვისარგებლე და თანაგუნდელებს ამოსუნთქვის საშუალება რომ მისცემოდათ, იატაკზე გაუნძრევლად დაწვექი. „დინამოს“ ექიმი, ზაქრო თელია ნიშნდურის სპირტით ხელში მოვიდა ჩემთან, რადგან ეგონა, გული წაივიდა. ამ ემპიკობამ მართლაც გაჭრა და ჩვენმა ბიჭებმა ორი წუთით სული მოითქვეს, თან ჩემი ნაცქერისთვის დანიშნული ორი საჯარიმოც გამოვიყენე და 6 ქულით დავინაწურდი. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, შემდეგ, ჩვენი გუნდი მოედანზე სამი კალათბურთელის აშრა დარჩა და ვალერი ალთაბაევიმ, გურამ აბაშიძემ და თამაზ კაკაურიძემ მეტოქეს მაინც არ მისცეს დანიშნულების საშუალება. ამ თამაშს ის დატვირთვაც ჰქონდა, რომ მისი მოგების შემთხვევაში, ფინალურ ექვსეულში ვხვდებოდით და ვერცხლის მედლები ფაქტობრივად, გარანტირებული გვექონდა, ხოლო თუ წაგებდით — ექვსეულში ადგილს საერთოდ ვკარგავდით. ბალტიისპირელებთან დაპირისპირებისას, ჩვენი გუნდიდან ყველაზე მეტი — 18 ქულა მე მოვაგროვე. ლატვიის ნაკრებთან თამაშმა იმდენი ენერჯია წაგვართვა, რომ მომდევნო შეხვედრაში მოსკოვის ნაკრებთან, მოედანზე გამოვიტყულები გამოვდივით და დავმარცხდი. მაგრამ ამ თამაშმა დადასტურა, რომ „დინამოში“ დირ-

სეული ცვლა მოვიდა და 1959, 1960, 1961 წლებში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მეორე ადგილი დავიკავეთ. 1962 წელს, გუნდთან ერთად, ევროპის ჩემპიონთა თასი მოვიგე. მაშინ, როგორც იცით, ფინალში მადრიდის „რეალი“ დავმარცხეთ.

### წარმატებული მთავარი მწვრთნელი

— 1963 წელს, საქართველოს ნაკრები ქვეყნის მესამე სპარტაკიადისთვის ემზადებოდა. მთავარმა მწვრთნელმა, ოთარ ქორქიამ გუნდის შემადგენლობაში არ შემიყვანა. ამის მიზეზად მან ის დაასახელა, რომ უკვე ასაკში ვიყავი და ახალგაზრდა კალათბურთელებისთვის უნდა დამეთმო გზა. ამასთანავე, მისი ასისტენტობა შემომთავაზა. სასტარტო ხუთეულზე პრეტენზიას არ ვაცხადებდი და ქორქიას ვუთხარი კიდევ — თუ საჭირო იქნება, მოედანზე გამოვალ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც სათადარიგოთა შორის ვდგომ მეთაჯილება-მეთქი. ის ამას არ დათანხმდა, ხოლო მეორე მწვრთნელობა, მე არ ვისურვე და ქორქიამ დამხმარედ მოიყვანა ადამიანი, რომელიც ფიზიკულურის ინსტიტუტში კათედრის გამგედ მუშაობდა და კალათბურთთან დიდი შეხება არ ჰქონია... 1964 წელს, უკვე ძალიან ცოტა ხანს მინევდა თამაში და ერთი სეზონის შემდეგ, კალათბურთის თავი დავანებე. 1967 წელს, „ნორჩი დინამოლის“ საკალათბურთო სკოლის უფროსი მწვრთნელი რომ ვიყავი, თბილისის „დინამოს“ გაძლიერება შემომთავაზეს. ამ ნინადადებს დიდი ყოყმანის შემდეგ დავთანხმდი, რადგან არ მინდოდა იმ ხალხის უფროსობა, ვისთან ერთადაც რამდენიმე წლის წინ ვთამაშობდი. გუნდის ხელმძღვანელობამ დამარწმუნა იმაში, რომ ამ მხრივ პრობლემა არ შემეჩვენებოდა და მეც მუშაობას იმავე წლის ოქტომბერში შევუდექი. 1968 წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ახალი სისტემით ჩატარდა — 12 გუნდს ოთხ ნრედ უნევდა თამაში. საერთო ჯამში, 44 შეხვედრა ჩავატარეთ და ქვეყნის ჩემპიონები გავხდით. გასათვალისწინებელია, რომ ჩვენს შემადგენლობაში ზურაბ საკანდელიძეს არ უთამაშია, რადგან ის ნაკრებთან ერთად, ოლიმპიადისთვის ემზადებოდა. მას შემდეგ, საბჭოთა კავშირის დამსამდე, გუნდს ასეთი წარმატებისთვის აღარ მიუღწევია. 1969 წელს, „დინამოში“, ისევ ჩემი მწვრთნელობისას, ქვეყნის ჩემპიონატში უკანასკნელად მოიგო ვერცხლის მედლები და საკავშირო თასი. იმავე წელს, ვენაში თასების თასის ფინალში პრალის „სპარტასთან“ დავმარცხდი და იქიდან მოყოლებული დღემდე, „დინამოს“ ევროტურნირების ფინალში საერთოდ არ უასპარეზია. მაშინ, ჩვენი მარცხი მნიშვნელოვანი ილად იმან განაპირობა, რომ ავსტრიაში გაფრენამდე, მოსკოვში ჩატარებულ საკავშირო ჩემპიონატის ტურში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ამირან სხიერელი დაშავდა და ფინალში ვერ დაგვეხმარა. გარდა ამისა, ჩეოსლოვაკიელები თამაშის მსვლელობისას, უხეშობდნენ და ჩვენ მიმართ საკმაოდ მტრულად იყვნენ განწყობილნი, რაც, ბუნებრივია, 1968 წელს, მათ ქვეყანაში საბჭოთა ტანკების შეჭრით იყო გამოწვეული.

### „გუნდში უცხოელების ყოფნა მიუღებლად მიმაჩნია“

— 1968 წელს ჩემპიონები რომ გავხდით, ეს ბუნებრივია, დიდ წარმატებად ჩაითვალა. ამ ფონზე, მომდევნო წელს, ქვეყნის ჩემპიონატში მეორე ადგილის დაკავებამ ზოგიერთი ადგილობრივი ჩინოვნიკის უკმაყოფილება გამოიწვია და შეიქმნა აზრი, რომ გუნდი სათანადოდ ვერ მოვაშადავ. ცხადია, ეს არ მესიამოვნა და როცა თბილისში საკავშირო თასის ფინალი მოვიგეთ, მეორე დღესვე, „დინამოს“ საბჭოში თავად მივიტანე განცხადება გუნდიდან წასვლის თაობაზე. ზოგიერთს ეს დღეს შეიძლება, ზღაპრად მოეჩვენოს, რადგან იმ პერიოდში, საკუთარი ნებით პოსტს არავინ ტოვებდა, მაგრამ ჩემთვის ნამდვილად არავის დაუძალბებია — გადადექიო... საბჭომ განცხადება არ დააკმაყოფილა, რადგან გუნდს ევროპის თასების თასზე ასპარეზობა უწევდა. უბრალოდ, მე და საბჭოს თავაკები შევთანხმდით, რომ ევროტურნირებზე გუნდის გამოსვლის შემდეგ, თუ სურვილი მექნებოდა, შემეძლო, „დინამოში“ დამეტოვებინა. მართლაც, ნახევარფინალში დავმარცხდი იტალიის ძალზე ძლიერ გუნდთან, რომლის რიგებშიც, ორი ამერიკელი თამაშობდა და 1970 წელს, თანამდებობიდან გადადექი. იქიდან მოყოლებული დღემდე, ახალგაზრდა თაობასთან ვმუშაობ... ქართული კალათბურთის ასლანდელ მდგომარეობაზე თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე დიდი პრობლემა — სათანადო საჯარჯიშო პირობების არქონაა. თუ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა არ იქნება, კადრების აღზრდა ძალიან გართულებულია. საქართველოს ნაკრების შესახებ კი, იმის თქმა მინდა, რომ გუნდში უცხოელი მთავარი მწვრთნელისა და მოთამაშეების ყოფნა მიუღებლად მიმაჩნია. ჯერ ნაკრებს ხორვატი ბრაიკოვიჩი წვრთნიდა, რომელმაც შედეგს ვერ მიაღწია; ამჟამად თავაკი, კანადელი ჰერბერტია და წარმატება ვერც მან მოგიტანა. რა საჭიროა, ამერიკელი უილიამსის საქართველოს ნაკრებში თამაში, როდესაც გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელისთვის მიგვეცა?! ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირის შემდგომ ეტაპზე უილიამსმაც ვერ გაგვიყვანა და მის მაგივრად, ჩვენმა რომელიმე პერსპექტიულმა მოთამაშემაც ვერ მიიღო გამოცდილება, რომელიც მომავალში, ისევ საქართველოს ნაკრებს გამოადგებოდა...



„დინამოს“ კალათბურთელითა გუნდი



# ჯანსაღი სიხარული ჰოლივუდში, გაბიჭული პატრული და ტყუილი ნათესავები



ტელეკომპანია „202“-ის წამყვანს, სალომე გომიანიშვილს მანქანის ტარების სურვილი ჯერ კიდევ ბავშვობაში გასჩენია. 17 წლის ასაკში, საკუთარი ავტომანქანა შეიძინა და მას შემდეგ, როგორც თვითონ ამბობს, საკუთარი ოჯახის მძღოლია. ამჟამად, შავი ფერის „ფოლკსვაგენ ჯეტა“ ჰყავს. ეს მისი ოცნების მანქანა როდია, მაგრამ ჯერჯერობით, სალომე მაინც კმაყოფილია. მანქანა მისთვის არა მარტო კომფორტულად გადაადგილების საშუალებაა, არამედ ნორმალური ცხოვრების აუცილებელი პირობაცაა. მიუხედავად იმისა, რომ ქალია, აღიარებს, რომ ხშირ შემთხვევაში, სწორედ სუსტი სქესის წარმომადგენელი არღვევს მოძრაობის წესებს და ქმნის საავტომობილო სიტუაციას...

## სოფო ჭონიჭილი

— 14 წლის ვიყავი, როცა პირველად ჩემმა მეგობარმა დამსვა საჭესთან. ამის შემდეგ გამიჩნდა სურვილი, საკუთარი ავტომანქანა მყოლოდა. რა თქმა უნდა, ისიც ვიცოდი, რომ ასეთ ასაკში მანქანას არავინ მიყიდდა. რაღაც პერიოდი, მამაჩემი მანებრებდა — ხანდახან დამვამდა საჭესთან. 17 წლის ასაკში, უკვე საკუთარი მანქანაც შევიძინე და მას შემდეგ დამოუკიდებლად დავდივარ.

— ვინ გასწავლა მანქანის ტარება?

— არავინ. იმდენად გულთ მინდოდა, მანქანა მყოლოდა და მეტარებინა, ყველაფერი თავისთავად მოხდა. დავრწმუნდი, რომ ადამიანი, თუკი რაიმეს მონდომებს, აუცილებლად მიაღწევს სანდელს. დედაჩემი მპირდებოდა ხოლმე — გიყიდი მანქანას, გიყიდიო... ბოლოს, იმდენად მოვებურე თავი, მითხრა — ნათესავს გაგაყოლებ ბაზრობაზე და აგარჩევიანბსო. მართლაც, გამომყვა ეს ნათესავი, ამარჩევინა მანქანა და მივეყვანე პატრონი დედაჩემს, ფულის გადასახდელად.

— ე.ი. მართვის მონობა ჩაწყობით აიღე?

— მაშინ, „კარგი დრო“ იყო და შეიძლებოდა ნაცნობ-მეგობრების დახმარებით „საქმის გაკეთება“...

— სისწრაფე თუ გიყვარს? სწრაფად დადიხარ ხოლმე?

— სისწრაფე კი მიყვარს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ საჭესთან მე თვითონ ვზივარ. ძალიან მეშინია, როცა მანქანა სწრაფად მიქრის და მე მძღოლის გვერდით ვზივარ. გამოდის, საკუთარი თავის იმედი მაქვს, სხვისი კი — არა. ეს მოგესვენება, ყველა მძღოლის თვისებაა.

— როგორ შეაფასებდი საკუთარ თავს — პროფესიონალურად ატარებ მანქანას?

— პროფესიონალ მძღოლად თავს ნამდვილად არ ვთვლი. თუ ჩემი მეგობარი მამაკაცების ნათქვამს დაუფერებთ, ქალის კვალობაზე, კარგად ვატარებ.

— ხშირად იცვლი მანქანებს?

— არც ისე, ეს მეოთხე მანქანაა.

— მანქანა შენთვის ფუფუნების საგანია?

— ჩემთვის მანქანა, ნორმალური ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტია. როცა მანქანით სიარულს ხარ მიჩვეული, შემდეგ გრძნობ, რომ უმანქანობა — საშინელებაა. როცა მანქანა გაფუჭებული მაქვს ან ვიღაცას ვათხოვებ, იმდენად დიდ დისკომფორტს ვგრძნობ, რომ გარეთ გასვლაც არ მინდა. ცუდი პერიოდი მქონდა, როცა მანქანა გაყიდე. სანამ ამ „ფოლკსვაგენს“ შევიძინდი, საშინლად ვწუხვდი. ასეთ დროს ფიქრობ, რომ ქალაქში აღარაფერი დადის და ვეღარსად მიდიხარ... როცა შენი მანქანა გაქვს, საკუთარ თავზე ხარ დამოკიდებული, როცა გინდა, სადაც გინდა, წახვალ...

— როგორი შეგრძნება გქონდა, როცა პირველად მიუჯექი საჭეს?

— მეგონა, რომ ყველაზე მაგარი მანქანა მყავდა და ყველაზე მაგარი ვიყავი. მინდოდა, ყველა შუშა ჩამომენია და ყველას დავვენახე. ისე მიხაროდა, რომ აღარც ჭამა მინდოდა, აღარც სმა, არაფერი არ მინდოდა, გარდა იმისა, რომ მანქანაში ვმჯდარიყავი და მევლო... ახლა ვეკითხები, ხოლმე ჩემს მეგობრებს — რა ჭკუით მისხდებოდით მაშინ მანქანაში-მეთქი?.. წესიერად მართვა ხომ არ ვიცოდი!.. ახლა შემოირტყამენ ხოლმე თავში ხელს — როგორ არ გვეშინოდაო?!

— ხშირად არღვევ მოძრაობის წესებს?

— ხშირად — არა (იცინის) — ყოველთვის... მაგრამ პატრულთანაც არასდროს მქონია სერიოზული პრობლემა. ამას წინათ, გამაჩერეს. ახალგაზრდა ბიჭი იყო პატრული, მეც მივხედი, რომ დავარღვიე... ბევრი ვხვდნე — ბავშვი მიზის მანქანაში, საახალწლო ნაძვის ხეზე მიმყავს-მეთქი, მაგრამ არაფერმა გაჭრა. დამინყო წესების ახსნა. ამას მოჰყვა ლანძღვა-გინება, ხელების შლა... ბოლოს, მეგობრები მანქანიდან მირეკავდნენ — სირცხვილია, ქალი ხარ და „იუბკა“ გაცვია, რა დღეში ხარო?! ყველაფერი კი ისე დამთავრდა, რომ 20-ლარიანი „შტრაფი“ გამომინერეს.

— რა დაარღვიე, ნითელზე გაიარე?

— ზუსტად არ ვიცი, რა დავარღვიე — მგონი, რაღაც ხაზი ცუდად გადავკვეთე. ბავშვი მეჯდა მანქანაში, თორემ, ასეთ მომენტებში, არ ვუჩერებ ხოლმე...

— საგზაო პოლიციელებთან როგორი ურთიერთობა გქონდა? ფულს აძლევდი ხოლმე?

— არა. სანამ პატრულს შემოიღებდნენ, იმ პოლიციელებს ჰქონდათ რაღაც ჯენტლმენური: ქალს რომ დანიხავდნენ, — მეტი აღარ დაარღვიოო, — გეტყოდნენ და გაგიშვებდნენ. ახლა კი, ეს გაჯგამოლი პატრულის ბიჭები, გაგაჩერებენ, არაფერს გაპატიებენ, გინდ ქალი იყავი და გინდ კაცი.

— ყველაზე დიდი მანძილი სად გაგივლია შენი მანქანით?

— ყველაზე დიდ გზაზე პირველად, საჩხერის რაიონში გავემგზავრე. მეორედ — კახეთში, თელავში წავედი კონცერტზე. წელს დიდი სურვილი მაქვს, დასავლეთში ზღვისკენ გავწიო ჩემი მანქანით. მაგრამ ჯერ ამას ოჯახში არ ვამხელ —



ვიცი, რომ გაგიჟდებიან. ვცდილობ, ნელ-ნელა შევაპარო ეს ამბავი.

— **ოჯახის წევრები მშვიდად გისხდებიან ხოლმე მანქანაში? გენდობიან?**

— კი, როგორ არა. ოჯახის პირადი მძღოლი ვარ.

— **შენი ხელფასი თუ გყოფნის მანქანის სარჯების დასაფარავად.**

— არა, რას ამბობ?! ჩემი ხელფასით ვყიდულობ „შოკოლადებს“ და „ჟეჟეკებს“. დიდი შემართებით ვეძებ ახალ სამსახურს, ისეთს, სადაც ისეთი ანაზღაურება მექნება, მანქანის შეცვლა რომ მომინდეს, საკუთარი სახსრებით მოვახერხო.

— **მანქანის მოვლა თუ გიყვარს?**

— არა, ვერ ვიტან. ახალ მანქანას რომ ვიყიდი, ვიტყვი ხოლმე — აი, ამას კი მოვუვლი-მეთქი, — მაგრამ მაინც ვერ ვახერხებ. ხან რას ვუფუჭებ, ხან — რას.

— **სალომე, სწრაფად საარული გვევარება. ძირითადად, რა სიჩქარით მოძრაობ და ყველაზე დიდი რა სიჩქარე იყო, რომლითაც გივლია?**

— ყველაზე დიდი — 120 კმ/სთ. რომ დამიხედია სპიდომეტრისთვის, ძალიან შემშინებია, მიფიქრია — რომელიმე სასაფლაოზე არ ამოვყო თავი-მეთქი... ქალაქში მოძრაობისას, 100-მდე ავსულვარ. თავდაპირველად, ვერ ვფიქრობ იმას, რომ გართობისა და იმის გამო, რომ ვილაცას გაუსწრო, შეიძლება დაღუპო საკუთარი თავიც, ოჯახიც და ძალიან ბევრი, შენ გარშემო მყოფი ადამიანიც. იმის გამო, რომ სპიდომეტრზე 120-140 კმ/სთ დაინეროს, ცხოვრება არ უნდა გაიფუჭო, ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, საშუალო სიჩქარით ვიარო.

— **რომელია შენი ოცნების მანქანა?**

— ე.ი. რა მანქანას ვინატრებდი... თუ ნატვრაა, „ინფინიტის ჯიპს“ ვინატრებდი. ისე RAV-4-ზეც არ ვიტყვოდი უარს. საერთოდ, ქალი უხეშად ხმარობს მანქანას, ამიტომ უმჯობესია, ქალი ჯიპზე იჯდეს, გამძლეობის თვალსაზრისით.

— **თუ შეგიძლია, მანქანასთან დაკავშირებული რაიმე კურორზი გაიხსენე?**

— ერთხელ, მე და ჩემმა მეგობრებმა, მოძრაობის წესები დავარღვიეთ. რა თქმა უნდა, პატრულმაც არ დააყოვნა და გაგვანჩერა, ძალიან კარგი ამინდი იყო, განწყობილებაც კარგი გვექონდა. გავაჩერე, გადმოვედი და უცებ ტყუილიც მოვიგონე — თითქოს, ბენზინი გამითავდა და იმიტომ გავაჩერე იქ, სადაც გაჩერება არ შეიძლებოდა. შევეცოდე პატრულს, ჩამსვეს თავიანთ მანქანაში, ბენზინიც ჩამისხეს... მერე, ძალიან შემრცხვა ამ ტყუილის... რამდენიმე ხნის შემდეგ, შემხვდნენ ისევ ის პატრულის ბიჭები, გავიცანი და სიმართლე გავუმხილე. ძალიან ბევრი ვიცინეთ ერთად...

# ბუმბულებით შექმნილი



როდესაც ქალბატონ ლია ბარნაბიშვილი ინტერვიუს ჩასანერად მივიდოდი, ვიცოდი, რომ ბუმბულებით საოცარი სურათები ჰქონდა შექმნილი, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მისი ნამუშევრების დათვალიერების შემდეგ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ადამიანის ნიჭსა და შესაძლებლობებს საოცრების შექმნა შეუძლია. ლია ბარნაბიშვილი მრავალფეროვანი მხატვარია, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, წარმატება და პოპულარობა ბუმბულებით შექმნილმა სურათებმა მოუტანა.

## მარეს ჭონიშვილი

— ბავშვობიდან მიყვარდა ხატვა, ამიტომ სკოლის დამთავრების მერე ჩავაბარე იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, შემდეგ კი — სამხატვრო აკადემიაში, კერამიკის ფაკულტეტზე, მაგრამ აკადემიის დამთავრების შემდეგ, ჩემი სპეციალობით არ მიმუშავია. ცოტა ხანს ვიმუშავე ქსოვილების დაჩითვაზე, ბავშვთა სამხატვრო სკოლაში, პედაგოგად. ამის შემდეგ, დავინწყე აკვარელში მუშაობა. მყავდა აბიტურიენტები. შემდეგ ამასაც დავანებე თავი და გამხმარი ყვავილებითა და ფოთლებით სურათების გაკეთება დავინწყე. ბუმბულზე მუშაობას 1992 წლიდან მივყავი ხელი.

— **რატომ გაგიჩნდათ იდეა, რომ ბუმბულებით შეგექმნათ სურათები?**

— ჩემმა შვილმა ძალიან ლამაზი გარეული ფრინველები მოიყვანა შინ.

ფრინველებმა ვერ გაუძლეს გალიაში ცხოვრებას და დაიხოცნენ. ისეთი ლამაზი ბუმბულები ჰქონდათ, რომ დამენანა მათი გადაყრა. ბუმბულები შევინახე, მაგრამ რალაც მოსვენებას არ მაძლევდა. ერთ დღესაც, დავჯექი და ამ ბუმბულებით პეიზაჟი გავაკეთე. ძალიან ლამაზი გამოვიდა, ვისაც ვანახვე, ყველას მოეწონა. ამის შემდეგ, აღარ გავჩერებულვარ, სულ ვმუშაობ. თავიდან, მხოლოდ პეიზაჟებზე ვმუშაობდი, მერე, თანდათან სხვადასხვა სახე გავაკეთე. უკვე 15 გამოფენა მქონდა.

— **საიდან მოგაქვთ ბუმბულები სურათების შესაქმნელად?**

— ყველა ფრინველის ბუმბულს ვიყენებ — ქათმის, ინდაურის, იხვის, ხოს-







ბოლო გამოფენა, რომელიც მწერალთა კავშირში მქონდა, თბილისის საკრებულომ გამიკეთა

ბის. ის მონადირეები, რომლებმაც გამოცნეს და იციან ჩემი შემოქმედების შესახებ, ბუმბულებს არ ყრიან და მე მაძლევენ.

**როგორ იქმნება თქვენი სურათები?**

— იდეა, თუ რა უნდა გავაკეთო, თვითონ ბუმბული მკარნახობს. როცა სურათის შექმნას ვინც, მხოლოდ ფიგურის კონტურს ვაკეთებ, ნახატი რომ არ „გამეცეს“. შემდეგ, ვინც ბუმბულით მუშაობს. სინყნარეში მუშაობა მიყვარს, მაქვს სახელოსნო, სადაც ჩემი სამყარო მაქვს შექმნილი. ირგვლივ სულ ბუმბულებია. ბუმბულს რომ შევხვდავ, უკვე ვიცი, რა უნდა გავაკეთო მისგან. ერთხელ, სოხბის ბუმბულში გუმბათი დავინახე და ეკლესია გავაკეთე.

**საღებავებს თუ იყენებთ, ფერების მისაცემად?**

— უფალმა შექმნა ფრინველი და მან ეს ისე გააკეთა, რომ ჩემი შედეგა არ სჭირდება. აკვარელსა და ზეთში მიმუშავია, მაგრამ ეს ხომ ადამიანის მიერ შექმნილი საღებავია და სურათზე

„ყვირის“. ბუმბულებით გაკეთებულ ამ ნახატებს კი, რომ გადაავლო თვალი, ყველაფერი — წითელი, მწვანე, ყვითელი, ცისფერი, — ბუნებრივია. გარდა ამისა, ბუმბული ძალიან ჰეროვანია, სული რომ შეუბერო, გაფრინდება, ზეთის საღებავი კი მიძივს და ბუმბულს ფორმას უკარგავს, რაც შეეხება აკვარელს — ის ხომ წყალია, ბუმბული კი, ცხიმინი და ერთმანეთს ვერ უთავსდება.

**ფრინველის გრიბი რომ არის, არ გეშინიათ ბუმბულზე მუშაობის?**

— რა თქმა უნდა, მეშინია და ახალ ბუმბულს ვერ ვიძენ. თუმცა, მაქვს ბუმბულების მარაგი და მას გამოვიყენებ ახალი სურათების შესაქმნელად. იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი დიდხანს არ გასტანს.

**რამდენ ხანს ანდომებთ ერთი სურათის შექმნას?**

— გააჩნია, რას ვაკეთებ, რა ზომის სურათია. ბუმბულების აკინძვას ბევრი დრო მიაქვს. პატარა ზომის სურათს 6-7 დღეს ვანდომებ. „თამარ მეფეზე“ კი, ერთი თვე ვიმუშავე. ეს სურათი კათალიკოს-პატრიარქის თხოვნითა და ლოცვა-კურთხევით გავაკეთე.

**სულ რამდენი ნამუშევარი გაქვთ?**

— სულ 150-მდე ნამუშევარი მექმნება. ბევრი სურათი გაყიდული და გაჩუქებული მაქვს. გული მწყდება, რომ ვყიდი, მაგრამ 28 ლარი მაქვს პენსია და ამ თანხით თავის გატანა ძალიან მიჭირს. გერმანიაში ვიყავი და ჩემი 40 ნამუშევარი იქ დავტოვე. სურათები წაღებული მქონდა აგრეთვე, ჰოლანდიაში, ჩეხეთში და იტალიური ხალხის დიდი მოწონება ხვდა წილად.

**ცნობილი პიროვნებებიდან, ვინწეს თუ აქვს თქვენი ნამუშევარი?**

— ჩემი ნამუშევარი ძალიან ბევრს აქვს, მაგრამ ჩემთვის მთავარია, რომ კათალიკოს-პატრიარქს აქვს ჩემი გაკეთებული „თამარ მეფე“. მან წმინდანების გაკეთებაზე ლოცვა-კურთხევა მომცა. ჩემი ბოლო გამოფენა, რომელიც მწერალთა კავშირში მქონდა, თბილისის საკრებულომ გამიკეთა. ამ გამოფენაზე, პრეზიდენტსაც ვულოდი, საჩუქარი მქონდა მისთვის — ბუმბულებით გაკეთებული „დავით აღმაშენებელი“, მაგრამ იმ დროს, საქართველოში არ იმყოფებოდა. შემდეგ გამოვხატე, მაგრამ ჩემი სურვილია, პირადად გადავცე და იმედი მაქვს, რომ ამის შესაძლებლობა მომეცემა. ჩემ მიერ გაკეთებული ნამუშევრები საზღვარგარეთაც მიაქვთ ხოლმე საჩუქრად.

**თქვენი ნამუშევარი თუ მორდება?**

— ძალიანაც, რომ მოვინდომო, ერთნაირ სურათს მაინც ვერ გავაკეთებ, იმიტომ, რომ ერთნაირი ზომისა და ფორ-

მის ბუმბულს ვერ ვნახავ. ყველა სურათი ორიგინალურია და არ მეორდება, ამიტომაც მწყდება გული ჩემგან რომ მიდის.

**ალბათ, თქვენი განწყობილებაც აისახება თქვენს ნამუშევარზე.**

— რა თქმა უნდა. სამუშაოდ, რომ ვვადები და სურათს ვაკეთებ, მასში მთელ ჩემს ენერჯიასა და განწყობილებას ვაქსოვ და ეს ჩანს კიდევ ჩემს ნამუშევრებში. შთაბეჭდილებათა წიგნიდან ერთი ქალბატონის ჩანაწერს ნაგიკითხავთ: „შემოკვდი თქვენი სევდის სამყაროში“. ამ ქალბატონმა სევდა დაინახა ჩემს ნამუშევარში. ზოგი ბედნიერების გამოხატულებას ხედავს... მქონდა ასეთი შემთხვევა — ჩემს მეგობარს ვუკეთებდი სურათს. როცა დავამთავრე, ძალიან მომეწონა და გავიფიქრე: მოდი, ამას არ მიცემ და ჩემთვის დავიტოვებ-მეთქი. მაგრამ შინაგანმა ხმამ არ მომცა ამის უფლება, იმიტომ, რომ ის სურათი მისთვის გავაკეთე, ყველა ბუმბული მისი სიყვარულით დაედევ და მას ჩემთვის ვერ დავიტოვებდი...




**სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

— ხანდახან, ისეთი უიმედობა მეუფლება, არაფრის გაკეთების სურვილი არ მაქვს. მაგრამ როცა შთაბეჭდილების წიგნს გადავშლი და ვკითხულობ ამ არაჩვეულებრივ ჩანაწერებს, რომელსაც ჩემ მიმართ გამოთქვამენ დამთვალეირებლები, სურვილი მიჩნდება, დავჯდე და ვიმუშაო. რადგან საზოგადოებას მოსწონს ჩემი ნამუშევრები, ვფიქრობ, უფლება არ მაქვს, მას ეს სიამოვნება მოვაკლო... ცოტა ხნის წინ, უკრაინის ელჩი იყო ჩემთან მოსული და უკრაინაში გამოფენის მოწყობა შემომთავაზა. თურქეთშიც ჰქონდათ წაღებული ჩემი კატალოგი და ძალიან მოსწონებიათ ჩემი ნამუშევრები. მაგრამ ყოველივე ამას დაფინანსება ესაჭიროება და არ ვიცი, როგორ მოხერხდება...



**ნდობის ტექსტური ფსიქოლოგიური კონსულტაციები**  
☎ 822 42 55 44  
822 006 005  
822-006-099

ზარი ფახიანია, 18 წლიდან  
დაკავშირება უმსაძლებლეს  
ტელეფონ-ბარათებითაც

	1 უმცროსი მედიცინის მუშაკი	2 საექსპლესიო კრება	3 წისქვილის ქვა			4 უარყოფით მოდერნიზაციას შერეობა	5 დესერტი	6 სახელწოდება მკურნელობის	
						7 მუსიკის დიდი მოყვარული			
						8 ზღაპრული შენაარსის ლექსი			
			9 აზრის იგარკურად გამოხატვა						
									
10 ხეობის ძეგლი და სურათი	11 მუსიკის მარხვა					12 ვლადიმერ ულიანოვი		13 მდინარის ნაპირი	14 თევზის უზენაესი ღვინო
			15 მტრის ბარტყი	16 სსრკ-ის ტურისტული გეგმა	17 სახელმწიფო აფრიკაში	18 საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელი			
	19 წარწერის ძვირფასი ქვა							20 ჭარბი ფიგურა	
			21 მტაცებელი ცხოველი	22 მწერი	23 მალაქიანი კლამი		24 ტადარი თბილისში		
25 ივერის რაქონი	26 ჩრდილოეთის პარლამენტი								27 აშშ-ის სატელევიზიო პრემია
			28 XX ს-ის ამერიკელი მწერალი						
29 პურის საცხობი						30 კუთხის ერთი ტრიგონომეტრიული ფუნქცია	31 პარტიის ჩოგბურთის თამაში		32 პირის ნაცვლის სახელი

**წინა ნომრის სპანსორდის პასუხები**  
 1. მარიონეტი; 2. კარაბინი; 3. კრედო; 4. კონდარი; 5. ტენიკა; 6. ფინტი; 7. იგრევი; 8. ბუი; 9. ერმიტაჟი; 10. კაპრიზი; 11. ასპიროზი; 12. ბაიტი; 13. ალური; 14. სურათი; 15. ბლოკი; 16. ბროში; 17. პომპონი; 18. რიდი; 19. გიგა; 20. დელი; 21. გიტარა; 22. დო; 23. მატინა; 24. ლამბი; 25. დეფოლტი; 26. ტოპაზი; 27. გივი; 28. ჟიგა; 29. დოლი; 30. ისლი; 31. ალტი; 32. ლამა;  
**სურათზე:** ალექ ბოლდუინი.

## ქანთურ ენაში რამდენიმე რამდენიმე გამოთქმები

### ამორძალი

ძველბერძნულ და სხვა ხალხთა მითებში გარკვეული ადგილი უჭირავთ მებრძოლ ქალებს, რომლებიც სხვადასხვა ადგილას ცხოვრობდნენ. ისინი მამაკაცებისადმი ზიზღით გამოირჩეოდნენ, მაგრამ გარკვეულ დროს, შთამომავლობის გასაგრძელებლად, მაინც უკავშირდებოდნენ მათ. ამ კავშირის შემდეგ, ისინი კვლავ თავიანთ ქვეყანაში ბრუნდებოდნენ და თუ ვაჟი შეეძინებოდათ — ან მამასთან აგზავნიდნენ, ან ასახიჩრებდნენ და მერე, შავი სამუშაოს შესასრულებლად იყენებდნენ, ხოლო თუ გოგონა დაიბადებო-

და, მეომრად ზრდიდნენ. ამორძალები სილამაზითა და სიმამაცით გამოირჩეოდნენ.

იგივე სახელი სამედიცინო ენაზე ეწოდებათ ქალებს, რომლებსაც მოკვეთილი აქვთ ცალი ძუძუ. მითების თანახმად, ამორძალები ახალშობილ გოგონას მარცხენა ძუძუს ამოუშინებდნენ ხოლმე, რომ მას მშვილდისა და სხვა იარაღის ხმარებაში ხელი არ შეშლოდა.

### ეკო

ძველბერძნული მითოლოგიის თანახმად, ეკო მშვენიერი ფერია იყო. ყველაზე გავრცელებული მითის მიხედვით, მას ნარცისი შეუყვარდა, ეს სიყვარული უპასუხ-

ოდ დარჩა. ეკომ ბევრი იდარდა, მეტიმეტად დაილია და ბოლოს, მისგან მხოლოდ ხმა დარჩა. სხვა მითების თანახმად, ჰერამ, ზევსზე ეჭვიანობის გამო, მშვენიერი ფერია დაამუხჯა და ამის შემდეგ, მას მხოლოდ გაგონილი სიტყვების ბოლო ბგერების გამოორება შეეძლო.

### აბუჩად აიგლო

„აბუჩ — უხამსი სტუმარი“ — განმარტავს სულხან-საბა. აქედან გამომდინარე, გამოთქმა — „აბუჩად აიგლო“ — ნიშნავს ადამიანის არად ჩაგდებას, უდიერად მოპყრობას.





# ანექდოტები

საელელად მზრუნველ და მოსიყვარულე ოჯახში... ან დავახსრობ!

სასესე დღიური ვუჩვენე და მეორეთ, მაშვინ, როცხა ვუთხარი, რომე ეს მისი ბოვშვობის დღიური იყო.



\*\*\*  
გურული და კახელი საუბრობენ. უცებ, გურულს თავზე კოდალა დააჯდა.  
გურული გამწარდა:  
— ძამა, მე რას მაჯდობი?! აი, კახელი და მაგას დააჯექი!  
კახელმა გაიცინა:  
— ჯოო, მაგასა ფუტუროი უყვარს!..

\*\*\*  
ოსი ვალოდა მეორე მსოფლიო ომში ფაშისტებთან საბრძოლველად წავიდა. დაინყო ბრძოლა. გარშემო ტყვიები სეტყვასავით ცვივა, აქეთ მოკლული გდია, იქეთ დაჭრილი... ვალოდამ ყვირილი ატეხა:  
— ოი!.. სტალინი!.. აღარ მეხალისება ომი, სენი წილიმე!..

\*\*\*  
უროლოგიური საოპერაციო: ავადმყოფი მაგიდაზე წევს, შემოდის სახელოებაკაპინებული, სტერილური ხელთამანებიანი ექიმი და ახალგაზრდა, პრაქტიკანტ გოგონას მიმართავს:  
— ქალიშვილო, თუ შეიძლება, სასქესო ორგანო გაასწორეთ. ჰმ... ესლა პაციენტის...

\*\*\*  
პროფესორი სტუდენტებს:  
— გამოცდა ეს იგივე თეატრია. თქვენ მსახიობები ხართ, მე კი მაცურებელი.  
სტუდენტი:  
— ძალიანაც კარგი პატივცემულო. ჩემი აზრით, მხოლოდ სუფლიორი გვაკლია და დავინყოთ.

\*\*\*  
ღამით სვანი ცოლს ეუბნება:  
— დოდო! მოდი ჩემთან!.. ცოლს გაუხარდა:  
— გახდილი მოვიდე, თუ!..

\*\*\*  
ორი „ახალი რუსი“ საუბრობს:  
— იცი, მოცარტი ვინაა?

\*\*\*  
ხევსურეთში პირველად აიტანენ ჩექმას. ფიქრობენ ხევსურები: რა არის ეს. ვერაფერი მოიფიქრეს.  
მივიდნენ ხევისბერთან. ხევისბერმა უტრიალა ჩექმას და ბოლოს დაასკვნა:  
— ესა იქნების... იქნების... თოსის ქარქაში იქნების...



\*\*\*  
— კი, ეგ ჩვენი მობილურებისთვის სიმღერებს არ წერს?!

\*\*\*  
თუკი ამჩნევ, რომ პასპორტში ჩაკრულ შავ-თეთრ ფოტოსურათს ნელნელა ემსგავსები, ე.ი. დროა დაისვენო.

\*\*\*  
კუბეში ქალი და კაცი მარტონი სხედან. ქალი ზურგით არის შებრუნებული და ნახევარი გზა ისე გაიარეს, ერთხელაც არ შემობრუნებულა. კაცმა ველარ მოითმინა და ბოლოს ეუბნება:  
— გოგონა, შემობრუნდი და 10 დოლარს მოგცემ.  
ქალი შემობრუნდა.  
— აუ, 10-ს გიმატებ და ისევ შებრუნდი.

\*\*\*  
— ექიმო, რას აკეთებთ, როცა თვითონ ცივდებით ხოლმე?  
— ვახველებ.  
\*\*\*  
— მფრინავი თევზში თუ გინახავს?  
— კი, ქორწინების შემდეგ.

\*\*\*  
ქორწილში  
— მიირთვით, სტუმრებო, მიირთვით... და თუ ნამუსი საერთოდ დაკარგეთ, ხვალაც მოდით.

\*\*\*  
თელავში მიხო ჯიხურთან მივიდა:  
— „ტიკ-ტაკი“ გააქეთ?  
— მაქვს მათ! „ტოჩნათ“ ორის ნახევარია.

\*\*\*  
იყო პოლიტიკოსი, ეს ნიშნავს, შეგედლოს იწინასწარმეტყველო, რა მოხდება 2 დღის, 2 თვის, 2 წლის შემდეგ, ამ დროის გასვლის მერე კი, ნათლად განმარტო, თუ რატომ არ მოხდა ეს ყოველივე.

\*\*\*  
მთვრალი ონისე დგას და ფიქრობს: დედა არ უნდა ვანერვიულო, უნდა დაეურევო და ვუთხრა სადაც ვარ.  
— ალო, დედა, სადა ვარ?

\*\*\*  
პაციენტი:  
— ექიმო, ამ ბოლო დროს, ყველა იგნორირებას მიკეთებს და მიშველეთ რამე.  
ექიმი:  
— შემდეგი პაციენტი შემოვიდეს.

\*\*\*  
— ყველაფერი მქონდა: ფული, სახლი, მანქანა, ლამაზი ქალი, რომელსაც ვყუყვარდი და უცებ... ყველაფერი გაქრა.  
— რატომ?  
— ცოლმა გაიგო.

\*\*\*  
პატარა ქუთაისელი დედას შესჩივის:  
— დედიკონა, დღეს მამამ ორჯერ მცემა.  
— ორჯერ რატომ?  
— პირველად, როცხა ორიანებით

\*\*\*  
განცხადება:  
„გავცემ საყვარელ მწვანეთვალეზა კნუტს მო-



\*\*\*  
ორი ქირურგის დიალოგი:  
— როგორ ჩაიარა ოპერაციამ?  
— ეჰ, ნარკოზით ხომ იცი მოსაწყენია...

# რამდენად კარგად იხსნობთ თქვენს მეგობარ გოგონასა თუ პაპს?



1. თქვენთან ერთად ქუჩაში ყოფნისას, მას მეგობრები შეხვდნენ:

- ა) თქვენ მაშინვე წარგადგენენ, როგორც საცოლეს (საქმროს);
- ბ) ის, როგორც თანამშრომელს ისე წარგადგენთ;
- გ) ის ისე იქცევა, თითქოს თქვენ არც კი არსებობდეთ.

2. თქვენი მეგობარი გოგონა-სათვის (ვაჟისათვის) საჩუქრად საცვლის ყიდვა გადაწყვიტეთ:

- ა) სასურველი ზომის საცვლის შერჩევა სულაც არ გაგიჭირდებათ;
- ბ) დახმარებას, შესაბამისი „ზომა-წონის“ გამყიდველს სთხოვს;
- გ) პიუჟამას ყიდვას ამჯობინებთ, რადგან თვალზომით იოლია მისი შერჩევა.

3. მის ბინაში თქვენ:

- ა) თავისუფლად მიაგნებთ იმ თაროს, სადაც მას ცხვირსახოცები ულაგია;
- ბ) ძნელად, მაგრამ მაინც იპოვით სუფთა

ჭიქას;

- გ) მის ბინაში სად რა არის, წარმოდგენაც არ გაქვთ, რადგან იქ მხოლოდ ღამით ხართ ნამყოფი.

4. თქვენ ერთად დადისართ სტუმრად:

- ა) რა თქმა უნდა, კარგა ხანია, რაც ცალცალკე აღარავინ გეპატიჟებათ;
- ბ) თითოეულ ჩვენგანს თავის ნაცნობ-მეგობრების წრე ჰყავს და ერთად მხოლოდ ქორწილებსა და დაკრძალვებზე გვინვეს სიარული;
- გ) მისი ოჯახის ნევრები და ახლობლები მხოლოდ ფოტოსურათებზე მყავს ნანახი.

5. თქვენს პარტნიორს ტელეფონით დაურეკეთ სამსახურში:

- ა) ჯერ, სიახლეებზე გაესაუბრებით მას, ვინც ყურმილს აიღებს;

ბ) მკაცრი ტონით წარმოთქვამთ პარტნიორის გვარს და მოითხოვთ, რომ მასთან დაგალაპარაკონ;

გ) გადაადებული ყურმილიდან გესმით იუმორნარევი ხმა: „ტელეფონთან მოდი, ერთ-ერთ შენს ქალბატონს (კავალერს) შენთან დალაპარაკება სურს!“

**დააჯამეთ ქულები:** დაითვალოთ, რომელი ტიპის — „ა“, „ბ“ თუ „გ“ — „პასუხები სჭარბობს თქვენ მიერ შერჩეულ ვარიანტებში.

## ტესტის შედეგები

„ა“ ვარიანტი — შეიძლება ითქვას, რომ თქვენმა წყვილმა ერთგულების გამოცდა წარმატებით ჩააბარა. ერთმანეთის შესახებ იცით ყველაფერი, რაც ბედნიერებისთვისაა საჭირო.

„ბ“ ვარიანტი — ჯერ კიდევ გაქვთ ერთმანეთისგან დაფარული საიდუმლოებები. თუმცა, ეს, შესა-

ძლოა, არც ისე ცუდი იყოს.

„გ“ ვარიანტი — თქვენი პარტნიორი თქვენთვის ჩინური იეროგლიფებით შედგენილი წიგნითაა. როგორც ჩანს, მას მართლაც გადახდენია თავს ისეთი რამეები, რის დაფარვასაც გულმოდგინედ ცდილობს. ისმის კითხვა: გჭირდებათ კი ამგვარი სიყვარული?

# გეგმობთ თუ არა პაროდონტოზი?



ამ ტესტის შეკითხვებზე გულწრფელი პასუხების შემთხვევაში, თქვენ ძალზე იოლად შეიტყობთ, რამდენად ჯანმრთელი კბილების პატრონი ბრძანდებით.

1. თქვენ დანტისტთან ვიზიტზე, ბოლოს, ერთი წლის წინ იყავით?

- ა) დიახ — 4;
- ბ) არა — 0.

2. ზოგჯერ ღრძილებიდან სისხლი გდით და გტკივთ კიდევ?

- ა) დიახ — 5;
- ბ) არა — 0.

3. თქვენ კბილებს მხოლოდ დილაობით იხეხავთ?

- ა) დიახ — 5;

ბ) არა — 0.

4. თქვენი ღრძილები მგრძობიარეა ტემპერატურის ცვალებადობის მიმართ — ისინი მტკივნეულად რეაგირებენ ცხელსა და ცივ საჭმელ-სასმელზე?

- ა) დიახ — 5;
- ბ) არა — 0.

5. ანთებითი პროცესი, სისხლდენა და ღრძილების შეშუპება გამოუდგებით განუხებთ?

- ა) დიახ — 5;
- ბ) არა — 0.

## ტესტის შედეგები

0-4 ქულა: დღევანდელი თქვენი ღრძილების მდგომარეობა, სრულიად დამაკმაყოფილებელია. მიუხედავად ამისა, ეს დამშვიდებისა და სიფხიზლის მოდუნების უფლებას არ გაძლევთ. კვლავაც სათანადო ყურადღება მიაქციეთ პირის ღრუს და პერიოდულად — მინიმუმ, წელიწადში 2-ჯერ — მიაკითხეთ სტომატოლოგს.

5-9 ქულა: თქვენს ღრძილებს საფრთხე ემუქრება. გამოიყენეთ პაროდონტოზის სანინააღმდეგო პროფილაქტიკური საშუალებები. მიაკითხეთ

სტომატოლოგს, რათა თქვენთვის საჭირო წამლები და პირის ღრუს სავლებები გამოგიწეროთ, რომლებიც რეგულარულად უნდა გამოიყენოთ.

9 ქულაზე მეტი: თქვენ გინგივიტი — პაროდონტიტის საწყისი სტადია — გაქვთ. დროს ნუ დაკარგავთ. სასწრაფოდ მიაკითხეთ სტომატოლოგს, რათა თავიდან აიცილოთ დაავადების გართულება. უკეთესი იქნება, თუ ვიზიტს არ გადადებთ და ხვალ დილიდანვე მიაკითხავთ დანტისტს.



# ცნობილია ცხოვრებიდან


\*\*\*

ალექსანდრე მაკედონელმა თავის აღმზრდელისგან შეიტყო, რომ დედამინის მსგავსი მრავალი სხვა პლანეტაც არსებობდა. ალექსანდრე ცოტა ხანს დაგვიქრდა და შემდეგ სინანულით თქვა: „მე კი ერთსაც ვერ ვფლობ!“

\*\*\*

საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ, ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთზე გალაშქრება განიზრახა. მაკედონიდან გამგზავრების წინ, მთელი თავისი ქონება მეგობრებს დაურიგა. როდესაც ჰკითხეს — ყველაფერი რომ გაეცი, შენ რაღა გრჩებაო? — მოკლედ მოუჭრა — იმედო. ამ ერთი სიტყვით იმდენი რწმენა გამოხატა, რომ მისმა მეგობარმა აღფრთოვანებით შესძახა — „მაგ განძიდან წილი მეც მიიღე, მეფეო!“ — და უარი თქვა ალექსანდრეს მიერ მისთვის ნაბოძებ ქონებაზე. მას სხვა მეგობრებმაც მიჰბაძეს.

\*\*\*



ალბერტ აინშტაინის მკურნალი ექიმი — ბუკი წერს: „რაც არ უნდა ძლიერი ყოფილიყო აინშტაინის აზრების სიღრმითა და მოულოდნელობით გამოწვეული შთაბეჭდილება, მისი ადამიანურობა მაინც უდიდესი და ყველაზე დიდი სასწაული იყო“. ბუკის გადმოცემით, დიდი მეცნიერი უარს ეუბნებოდა მხატვრებს სეანსებზე, მაგრამ არსებობდა არგუმენტი, რომელიც მასზე მოქმედებდა. საკმარისი იყო, მხატვარს ეთქვა, რომ აინშტაინის პორტრეტი მას, თუნდაც დროებით, სიღარიბისაგან იხსნიდა, რომ მეცნიერი სიტყვის უთქმელად დასთანხმდებოდა და უამრავ დროსაც, მხატვრის წინ მჯდომი გაატარებდა.

\*\*\*

ბუკი (აინშტაინის ექიმი) გვიამბობს, რომ გამველები ქუჩაში აინშტაინის დანახვაზე ყოველთვის კეთილად ილიმებოდნენ. ის კი, ოდნავ დარცხვნილი პასუხობდა ამ ლიმილს. „ერთხელ, პრინსტონში, პატარა საუნივერსიტეტო ქალაქში, სადაც აინშტაინს ყველა ცნობდა, კინოსურათის სანახავად წავედით. გადიოდა „ემილ ზოლას ცხოვრება“. ბილეთები ვიყიდეთ და ხალხით სავე მოსაცდელ დარბაზში შევედით. გამოირკვა, რომ კიდევ 15 წუთი უნდა გვეცადა. აინშტაინმა გასეირნება შემომთავაზა. გამოსვლისას, მეკარეს ვუთხარი: რამდენიმე წუთში დავბრუნდებით, აინშტაინი შეწუხდა — ჩვენ რომ ბილეთები აღარ გვაქვს, რომ დავბრუნდებით-მეთქი, გვიცნობთო? მეკარემ ჩათვალა, რომ ეს ხუმრობა იყო და უპასუხა: „დაიხ, პროფესორო, მე თქვენ უთუოდ გიცნობთ; როდესაც ვუყურებდი ამ ფილმს, ვფიქრობდი, რომ მე თუ არა, ჩემი შვილები მაინც ნახავენ ოდესმე ფილმს — „ალბერტ აინშტაინის ცხოვრება“. დარწმუნებული ვარ, რომ აინშტაინმა ეს შემთხვევა რამდენიმე წუთში დაივიწყა...“

## იაპონური სენსაშია

## სუდოკუ

### წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩანეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამოერდეს. სწორად ამოსხნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

1	8	5	6	9	7	3	4	2
6	4	7	5	3	2	1	8	9
2	9	3	8	4	1	7	6	5
5	1	6	7	2	3	4	9	8
3	7	8	9	5	4	6	2	1
4	2	9	1	6	8	5	7	3
8	5	4	3	7	9	2	1	6
9	6	2	4	1	5	8	3	7
7	3	1	2	8	6	9	5	4



7	1	9	5	4	3	6	2	8
6	8	2	9	1	7	3	5	4
3	5	4	6	2	8	1	7	9
8	7	6	1	3	5	4	9	2
5	4	3	8	9	2	7	1	6
9	2	1	7	6	4	8	3	5
2	3	7	4	8	9	5	6	1
4	6	5	2	7	1	9	8	3
1	9	8	3	5	6	2	4	7

*	მარტივი							
		4		9	2		8	3
	3	1	5		7		9	
9	8	5	3	4				7
	2	3	9	7	5	1		
1		9	6				7	5
5	7		4			9	2	8
			2		3	7		1
3	1			6	4			9
6		7		1	9	4	3	2


**	საშუალო								
		4		9	2			7	6
8			6		3	1		4	
		1					3		5
9				3		5	7		
1	6					4		3	
		3			8	6		5	
			8	1		9			
6	9					8			5
7		4							1



# ფოტოკუჩიონები







**TB STARS**

ბ112/10

# პრემიუმიანი უნიტუნი სანდი ბუილიშვილი



ლხამაძე

ბუილიშვილი



ინდივიდუალური გადახდის სისტემა

**☎ 38-91-92 45-17-17**  
**877-77-70-77 899-35-90-00**

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილიან")

ბინები 57 მ<sup>2</sup> - დან  
თანამედროვე ლიფტი  
სუპერმარკეტი  
საბავშვო პარკი  
აუთიაჟი  
სამედიცინო ცენტრი  
მიწისქვეშა ავტოსადგომი  
დაცვა  
კაფე - ბარი  
იზოლირებული,  
კეთილმოწყობილი  
ეზო 5000 მ<sup>2</sup>  
მოპირკეთებული ქუჩა და  
მიმდებარე ტერიტორია  
თეთრი კარკასი